



მასწავლებელთა
პროფესიული
განვითარების
ერთეული
ცენტრი

მასწავლებლის წიგნი

უსაფრთხო
სკოლა

ნინო ლაბარძეა
ქეთევან ოსიაშვილი
მალინა საჭაია
ქეთევან კობალაძე

მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრი

2018

სახელმძღვანელოს ავტორები თავიანთ სტატიებში გვთავაზობენ უსაფრთხო სკოლის კონცეფციის თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს. განიხილავენ იმ მიდგომებს, რომელიც დაეხმარება სკოლას და მასწავლებელს შექმნას პოზიტიური სასწავლო გარემო, სადაც თითოეული ბავშვის უსაფრთხოება იქნება დაცული.

ავტორები პრაქტიკულ მაგალითებზე დაყრდნობით განიხილავენ რამდენად მნიშვნელოვანია: ბავშვისადმი ჰუმანური დამოკიდებულება; ბავშვის უფლებების დაცვა; მშობლის, ოჯახის და სოციალური როლი; არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა; ბუღინგისაგან დაცვა; სტრესულ სიტუაციებთან გამკლავება; ემოციებისა და ქცევის მართვა; მასწავლებლების, მშობლებისა და თემის როლი სკოლაში მოსწავლეთა უსაფრთხოებაში; უსაფრთხოებაზე ორიენტირებული ფიზიკური გარემო; ერთობაზე ორიენტირებული სასკოლო კულტურა; სკოლის პოლიტიკა და პროცედურები; სკოლის საზოგადოების პროფესიული განვითარება; ქცევის პოზიტიური მართვის ტრადიცია; უსაფრთხოებაზე ორიენტირებული სასკოლო სასწავლო გეგმა; ორიენტაცია მოსწავლეთა კეთილდღეობაზე; ადრეული ჩარევა და მიზანმიმართული მხარდაჭერა; თანამშრომლობა ოჯახსა და თემთან.

რედაქტორები:

ნატო ინგროოფვა

მანანა ბოჭორიშვილი

სტილისტი:

ნანა მაჭავარიანი

დიზაინერი:

ბესიკ დანელია

ISBN 978-9941-8-0352-9

© 2018, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

ნინო ლაბაროძე

1	უსაფრთხო სკოლა, როგორც ბავშვის ფსიქოლოგიური კეთილდღეობის განმაპირობებელი	7
2	ძალადობა ონლაინ სამყაროში	12
3	გარდატეხის ასაკისთვის დამახასიათებელი სირთულეები / სარისკო ქცევა	19
4	როგორ დავძლიოთ ტყუილი	26
5	ამბის მიტანა – პასუხისმგებლობიანი ქცევა თუ ირიბი აგრესიის გამოხატულება	32

უსაფრთხო სკოლა, როგორც ბავშვის ფსიქოლოგიური კეთილდღეობის განმაპირობებელი

მიიჩნევა, რომ ბავშვებისა და მოზარდების სრულფასოვანი განვითარება და არსებული პოტენციალის სრული რეალიზება ხდება მაშინ, როდესაც ბავშვები თავს გრძნობენ ჯანმრთელად, ბედნიერად და აქვთ მიკუთვნებულობის გრძნობა.

ადამიანი მაშინაა ბედნიერი, როდესაც მის ცხოვრებაში დადებითი ემოციები უარყოფითს სჭარბობს და ადამიანს აქვს განცდა იმისა, რომ შეუძლია დასახული მიზნების მიღწევა.

ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში ბედნიერების გაგება ორი მიმართულებით ხდება. ერთი, როგორც ჰედონისტური – სუბიექტური კეთილდღეობა (რაშიც კარგი განწყობა, უარყოფითი ემოციების არქონა, ცხოვრების სხვადასხვა სფეროთი კმაყოფილება მოიაზრება) და მეორე, როგორც ფსიქოლოგიური კეთილდღეობა (რომელიც ადამიანის განვითარების და პიროვნული ზრდის შესაძლებლობას გულისხმობს) (Ryan & Deci, 2001).

ჩვენ ყურადღებას ფსიქოლოგიურ კეთილდღეობაზე გავამახვილებთ. ფსიქოლოგიური კეთილდღეობა აღიწერება როგორც კმაყოფილება, ბედნიერება და სტრესულ სიტუაციებთან, სირთულეებთან გამკლავების უნარი.

მეცნიერები ფსიქოლოგიური კეთილდღეობის აღწერისას ეხებიან ექვს ასპექტს (Ryff C. D, 1995):

- 1) დადებით დამოკიდებულებას საკუთარი თავისა და ცხოვრების მიმართ;
- 2) მიზნების არსებობას;
- 3) ცხოვრებისეულ გამოწვევებთან (დაკისრებულ დავალებებთან) გამკლავების უნარს;
- 4) თვითგანვითარებისკენ სწრაფვას;
- 5) სხვა ადამიანებისადმი დადებით დამოკიდებულებას (ზრუნვასა და ნდობაზე დაფუძნებულს);
- 6) საკუთარი ღირებულების/რწმენის შესაბამისად მოქმედებას.

ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, გვჩნდება კითხვა – თანამედროვე სკოლაში სასწავლო გარემო იწვევს თუ არა ბავშვში დადებით ემოციებს და აძლევს თუ არა მას შესაძლებლობას, განიცადოს მიზნის მიღწევით გამოწვეული კმაყოფილება? და თუ არა, მაშინ როგორ არის ამის მიღწევა შესაძლებელი?

მოზრდილი ადამიანი ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას განიცდის მაშინ, როდესაც მისი აქტიურობა მიმართულია საკუთარი თავისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისკენ, შეუძლია საკუთარი ფსიქოლოგიური მდგომარეობის რეფლექსია და მასზე პასუხისმგებლობის აღება. ბავშვის ფსიქოლოგიური კეთილდღეობა კი განპირობებულია იმ გარემოთი, რომელსაც მას უქმნიან უფროსები.

მაშასადამე, იმისთვის, რომ ბავშვის ბუნება სრულფასოვნად გაიშალოს – საგანმანათლებლო გარემოში უნდა იყოს უზრუნველყოფილი თითოეული ბავშვის უსაფრთხოება.

უსაფრთხოება არის მოვლენა, რომელიც უზრუნველყოფს პიროვნების განვითარებას. უსაფრთხოების მოთხოვნილება მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქიაში ადამიანის საბაზისო მოთხოვნილებებს მიეკუთვნება.

უსაფრთხო გარემოზე საუბრისას, პირველ რიგში, ფიზიკურ უსაფრთხოებას ეხებიან. სკოლა არის პასუხისმგებელი იმაზე, რომ მხედველობიდან არ გამოირჩეთ არც ერთი დეტალი, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას მოსწავლის ფიზიკურ უსაფრთხოებას (დაწყებული დენის წყაროთი, ფანჯრების მდგომარეობით, დამთავრებული ფიზიკური ძალადობით), აგრეთვე იზრუნონ კომფორტული ფიზიკური გარემოს მოწყობაზე (აქ მოიაზრება მერხების განლაგება, სწორი მიმართულებით განათება), აღჭურვონ მოსწავლეები იმგვარი უნარ-ჩვევებით, რომ მათ შეძლონ კრიტიკული სიტუაციებისა თუ ბუნებრივი კატასტროფების დროს ადეკვატური რეაგირება (გახეილაძე და სხვა, 2014).

მაგრამ, იმისთვის რომ მოსწავლემ თავი დაცულად იგრძნოს, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ ფსიქოლოგიური უსაფრთხოების გათვალისწინება.

ფსიქოლოგიური უსაფრთხოების ცნების განმარტება სამეცნიერო ლიტერატურაში ერთგვაროვანი არ არის. ამისდა მიუხედავად, რიგ ლიტერატურაში ვხვდებით, რომ უსაფრთხო გარემო უზრუნველყოფს ადამიანის პოზიტიურ თვითგრძნობას, დადებითი ემოციების სიტარბესა და განვითარების შესაძლებლობას. ამავდროულად, ეს არის გარემო, სადაც არ ხდება ბავშვის უფ-

ლებების დარღვევა. მაშასადამე, ფსიქოლოგიურად უსაფრთხოა სასწავლო გარემო, რომელიც თავისუფალია ძალადობისგან, იქ დამკვიდრებულია ურთიერთნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობები და წახალისებულია თითოეული ბავშვის ჩართულობა სკოლის ცხოვრებაში. მოსწავლეთა ფსიქოლოგიური კეთილდღეობა შეიძლება განვიხილოთ როგორც ფსიქოლოგიურად უსაფრთხო გარემოს შედეგი.

სკოლაში ფსიქოლოგიურ უსაფრთხოებას განაპირობებს:

- ბავშვისადმი ჰუმანური დამოკიდებულება;
- ზრუნვა ბავშვის უფლებების დაცვაზე;
- არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა (ეს შეიძლება ეხებოდეს როგორც სასწავლო შინაარსს, ისე ცოდნის დემონსტრირების ფორმას);
- ბავშვის დაცვა მატრავმირებელი გამოცდილებისა და სხვათა მხრიდან მუქარებისგან;
- ბავშვისთვის სტრესულ სიტუაციებთან გამკლავების, ემოციებისა და ქცევის მართვის უნარების განვითარება.

მხოლოდ ამგვარი გარემო განაპირობებს ბავშვის სოციალურ კომპეტენციას, სოციუმში მშვიდობიან ურთიერთობაზე ორიენტაციას, სოციუმისგან მიღების, მხარდაჭერის მოლოდინს და დადებით დამოკიდებულებას საკუთარი თავის მიმართ.

ბავშვისთვის ფსიქოლოგიური ზიანის წყარო სკოლაში შეიძლება იყოს შემდეგი რისკფაქტორები: სწავლების მეთოდების შეუსაბამობა ბავშვის ასაკთან ან ინდივიდუალურ შესაძლებლობებთან, არარაციონალურად დაგეგმილი სასწავლო პროცესი – არასაკმარისი დრო მოძრაობის, დასვენებისა და კვებისთვის, უფროსების ნაკლები ფსიქოლოგიური კომპეტენტურობა, თანატოლთა მხრიდან ფიზიკური თუ ემოციური ძალადობა. ბუნებრივია, რომ ამგვარ გარემოში ბავშვი მოკლებულია უსაფრთხოების განცდას, და, მაშასადამე, სრულფასოვნად განვითარების შესაძლებლობას.

ბავშვის ფსიქოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად კი მნიშვნელოვანია ზრუნვა თითოეული მოსწავლის შეცნობასა და ინდივიდუალური მიდგომის განხორციელებაზე, კლასისა თუ სკოლის ერთობის ფორმირებაზე, ქცევის პოზიტიური მართვისა და პროსოციალური ქცევის (სხვაზე ზრუნვა, ისე, რომ არ მოეღი პირად გამორჩენას) წახალისებაზე.

ამავდროულად, სასურველია უსაფრთხო სკოლის უზრუნველსაყოფად, მკაფიოდ იყოს გაწერილი როგორც სკოლის საზოგადოების (მასწავლებლების, მშობლების/მეურვეების სკოლის ადმინისტრაციის, თემის, თუ მოსწავლეთა), ისე იმ უწყებათა როლი, რომლებიც ჩართულნი არიან ბავშვთა დაცვისა და მათზე ზრუნვის საქმეში.

მაგალითად, ავსტრალიაში არსებობს უსაფრთხო სკოლების ნაციონალური პლატფორმა (National safe schools framework), რომელიც გათანაბრებულია ნაციონალურ კურიკულუმთან და აღწერს მასწავლებლების, მშობლებისა და თემის როლს სკოლაში მოსწავლეთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

ნაციონალური პლატფორმის ხედვაა, რომ სკოლა არის უსაფრთხო, მხარდამჭერი და მიმართულია ბავშვთა კეთილდღეობის უზრუნველყოფისკენ.

პლატფორმა ძირითად ცხრა ელემენტს მოიცავს:

- ლიდერობა სკოლაში უსაფრთხო გარემოს ფორმირებისთვის;
- მხარდამჭერი და ერთობაზე ორიენტირებული სასკოლო კულტურა;
- სკოლის პოლიტიკა და პროცედურები;
- სკოლის საზოგადოების პროფესიული განვითარება;
- ქცევის პოზიტიური მართვა;
- უსაფრთხოებაზე ორიენტირებული სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ორიენტაცია მოსწავლეთა კეთილდღეობაზე;
- ადრეული ჩარევა და მიზანმიმართული მხარდაჭერა;
- თანამშრომლობა ოჯახსა და თემთან.

თითოეული ელემენტი, თავის მხრივ, გაწერილია უფრო კონკრეტულ მახასიათებლებად, სადაც მკაფიოდ ჩანს სასკოლო თემის თითოეული მხარის როლი და პასუხისმგებლობა.

მაშასადამე, უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია როგორც უფროსების მხრიდან გარე კონტროლის არსებობა, ისე სკოლის საზოგადოების ფსიქოლოგიური განათლება, საზოგადოების ინფორმირება ბავშვის განვითარების ხელშემწყობი ფაქტორების, ძალადობრივი ქცევის მავნე ზეგავლენის, მოსწავლეთა შორის დაპირისპირების ადრეული ნიშნების ამოცნობა, აგრეთვე ზრუნვა მოსწავლეებში ქცევის და ემოციების მართვის, თანამშრომლობისა და სირთულეების მშვიდობიანი გზით გადაჭრის უნარ-

ბის განვითარებაზე, შემოქმედებითი უნარების განვითარებასა და ენერგიის სოციალურად მისაღები ფორმით განტვირთვისათვის. ვინაიდან, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქნება ბავშვი აღჭურვილი ცხოვრებისთვის მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევებით, სკოლაც იქნება ხელშემწყობი, რომ ბავშვს განუმტკიცდეს დადებითი დამოკიდებულება საკუთარი თავისა და სხვა ადამიანების მიმართ, იგრძნოს თავი ღირებულად და შეძლოს განსხვავებულ სიტუაციაშიც ცხოვრებისეულ გამოწვევებთან გამკლავება. მაშასადამე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩამოთვლილი მახასიათებლები განაპირობებს კიდევ ფსიქოლოგიური კეთილდღეობის გრძნობას, რაც ადამიანისა და საზოგადოების ფსიქიკური ჯანმრთელობის წინაპირობაა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გახელაძე, გ. და სხვები (2014) მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის გზამკვლევი. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი. – 150 გვ.
2. ტურაშვილი თ. – ფსიქოლოგიური კეთილდღეობის განმსაზღვრელი ზოგიერთი ფაქტორის კვლევა ქართველ სტუდენტებში. სადისერტაციო ნაშრომი ფსიქოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი, 2014.
3. Ryan, R.M., & Deci, E.L. (2001) On happiness and human potentials: A review of research on hedonic and eudaimonic well-being. *Annual Review of Psychology*, 52, 141-166.
4. Ryff C. D. (1995) The structure of psychological well-being revisited / Ryff C. D., C. L. M. Keyes // *Journal of Personality and Social Psychology*. – N 69. – P. 719-727
5. Баева И. А. (2006). Обеспечение психологической безопасности в образовательном учреждении: Практическое руководство. под ред. И. А. Баевой. – СПб.: Речь, – 288 с.
6. Соловьева С. Л. (2008) Кризисная психология: справочник практического психолога – М.: АСТ Сова, – 288 с. <https://studentwellbeinghub.edu.au> (ნახვა – 2.11. 2018)

ძალადობა ონლაინ სამყაროში

ციფრულმა ტექნოლოგიებმა შეცვალა და გარკვეულწილად გააიოლა ადამიანთა შორის კომუნიკაცია. მოზარდების წრეში ძალზე მნიშვნელოვანია, ბევრი მეგობარი ჰყავდეთ როგორც ონლაინ, ისე რეალურ სამყაროში. თუმცა, როგორც რეალურ, ისე ონლაინ სამყაროში არსებული ურთიერთობები მხოლოდ პოზიტიურ კომუნიკაციას არ შეიცავს და ორივე ტიპის ურთიერთობებში ვხვდებით ბულინგის შემთხვევებს (ბულინგი ეს არის ხანგრძლივი ფიზიკური და ფსიქიკური ძალადობა, ერთი ინდივიდის ან ჯგუფის მხრიდან, მეორე ინდივიდზე, რომელსაც არ შეუძლია თავის დაცვა კონკრეტულ სიტუაციაში (Whitney I. & Smith P.K.: A survey of the nature and extent of bullying in junior/middle and secondary schools.- Educational Research, 35, 3-25, 1993).

აქ ჩვენ შევეხებით კიბერბულინგს (Cyberbullying) – შევიწროებას, ჩაგვრასა თუ დაშინებას ონლაინ სამყაროში. იგი შეიძლება მოიცავდეს როგორც უშუალო დაპირისპირებას, ისე პიროვნებისადმი ნეგატიური დამოკიდებულების გამოწვევის მიზნით – ჭორების გავრცელებას ან პირადი მიმოწერის/სხვა მასალების გამოქვეყნებას – დამცირებისა და სახელის გატეხვის მიზნით.

არსებობს მონაცემები, რომლის თანახმადაც მოზარდების 20 % გამხდარა კიბერბულინგის მსხვერპლი (ამ შემთხვევაში მოყვანილია აშშ-ს, კანადისა და ევროპული ქვეყნების მონაცემები, სადაც მოსახლეობაში ინტერნეტის გავრცელება/დაფარვა 90 %-ს აღემატება (Duggan M. Online Harassment. – report for Pew Research Center, 2014). თანაც, საჭიროა აღვნიშნოთ, რომ კიბერბულინგის შედეგი მსხვერპლისთვის შესაძლოა ძალზე მძიმე აღმოჩნდეს.

მიიჩნევენ, რომ ძალადობრივი ქცევის განხორციელება კავშირშია გარკვეულ პიროვნულ თვისებებთან. მაგ., ძალადობისადმი შემწყნარებლურ და-

მოკიდებულებასთან, იმპულსურობასთან, მოუთმენლობასთან, აგრეთვე, ანტი-სოციალური და რისკიანი ქცევის განხორციელების მიდრეკილებასთან. და საპირისპიროდ – პატიოსნება, ემოციური ღიაობა და სინდისიერება ხელს უშლის ძალადობრივი ქცევის გამოვლენას.

რაც შეეხება კიბერბულინგს, მის თავისებურებას დიდად განაპირობებს თავად ინტერნეტკომუნიკაციის სპეციფიკა. კერძოდ, დროში შეუზღუდაობა – ინტერნეტკომუნიკაციის შემთხვევაში ნებისმიერ დროს არის შესაძლებელი როგორც დიალოგის წამოწყება, ისე შეწყვეტა.

მულტიმედურობა – ინტერნეტით მოსარგებლისთვის ხელმისაწვდომია შეტყობინებების მრავალფეროვანი სპექტრი. ეს შეიძლება იყოს ტექსტი, გრაფიკული გამოსახულებები, ვიდეო და აუდიო მასალები.

ანონიმურობა – ინტერნეტკომუნიკაციის დროს შესაძლებელია რეალური პიროვნების დამალვა, ამიტომ შეიძლება ადამიანმა ნაკლები პასუხისმგებლობა იგრძნოს საკუთარ საქციელსა და სიტყვებზე.

გაშუალებული ხასიათი – ინტერნეტკომუნიკაცია გამოირჩევა ორ მხარეს შორის პირისპირ კონტაქტს. ამიტომ ურთიერთობისას ვერ ხერხდება დაკვირვება არავერბალურ ნიშნებზე (ჟესტებზე, გამომეტყველებასა და მიმიკაზე), რაც ამცირებს დაპისრისპირებული მხარისადმი ემპათიის გრძნობას.

დღეს ადამიანებს ნაკლებად გვაქვს გამიჯნული ონლაინ და რეალურ სივრცეში არსებული სანაცნობო წრე. ჩვენ, ხშირ შემთხვევაში, ინტერნეტის მეშვეობით ვურთიერთობთ იმავე ადამიანებთან, ვისთანაც რეალურ სამყაროში. შესაბამისად, ბულინგიც შესაძლებელია გადავიდეს სკოლის ეზოდან სოციალურ ქსელში და პირიქით. მიუხედავად იმისა, რომ ორივე შემთხვევაში ბულინგი განიმარტება როგორც აგრესიის ხშირი გამოვლენა ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის მხრიდან, შეიძლება ზემოთ დასახელებული თავისებურებებისა და მეტადრე კომუნიკაციის ანონიმურობისა და გაშუალებული ხასიათის გამო – მოძალადე ნაკლებ პასუხისმგებლობას გრძნობდეს საკუთარ საქციელზე. ამავდროულად, ბევრი ონლაინპლატფორმა სუპერვიზიის ნაკლებობას განიცდის, მიუხედავად სუპერვიზიის ფორმებისა, პირადი მესიჯები ანონიმურია და შესაბამისად მხოლოდ მგზავნელსა და მიმღებს აქვთ ამის შე-

სახე ინფორმაცია. თანაც, მოზარდები მეტად გაცნობიერებულნი არიან ონლაინ კომუნიკაციაში, ვიდრე უფროსები და შეუძლიათ მათი იმგვარი მართვა, რომ შეიძლება უფროსებმა ეს ვერც კი აღმოაჩინონ.

აქედან გამომდინარე, მოძალადის ტიპი ონლაინ და ოფლაინ სამყაროში შესაძლოა განსხვავებული იყოს. გამომდინარე იქიდან, რომ მხარეები ვერ ხედავენ ერთმანეთს, მეტად არიან კონცენტრირებულნი საკუთარ თავზე და ნაკლებად აღელვებთ მეორე ადამიანის გრძნობები და რეაქციები, რაც თავისთავად ზრდის რისკიანი და აგრესიული ქცევის განხორციელების ალბათობას. კიბერსივრცეში მოძალადედ შეიძლება იქცეს ის ადამიანიც, რომელიც არ გამოირჩევა ფიზიკური ძალით და თავადაც ყოფილა ძალადობის მსხვერპლი. ამიტომ, ურთიერთობის გაშუალებული ფორმა შესაძლოა დამახინჯებული ფორმით თვითდამკვიდრების საშუალებად იქცეს. არ არის გამორიცხული, რომ ინდივიდი რეალურ გარემოში საკმაოდ რბილი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდეს.

კიბერბულინგის შედეგები შესაძლოა მეტად მძიმე აღმოჩნდეს გარკვეული მიზეზების გამო: რთულია მოძალადის პიროვნების იდენტიფიკაცია, ამასთანავე ინტერნეტს აქვს მყარი მეხსიერება, სადაც დიდი ხნის განმავლობაში რჩება ინფორმაცია. მოზარდები, რომლებიც ხდებიან კიბერბულინგის მსხვერპლნი, ამის შესახებ არ ესაუბრებიან უფროსებს, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მათ არ თვლიან კომპეტენტურად აღნიშნულ საკითხში. კიბერბულინგისგან დამალვა შეუძლებელია (განსხვავებით ოფლაინ სივრცეში ბულინგისგან), ვინაიდან ეს შეიძლება მოხდეს არა მხოლოდ ეზოში ან სკოლაში, არამედ ნებისმიერ დროს მაგ., სმარტფონის საშუალებით.

კიბერბულინგის რამდენიმე ფორმა არსებობს – რომლებიც კომუნიკაციის მხარეების ჩართულობითა და თანმდევი შედეგების მიხედვით განსხვავდება.

ძალადობის ყველაზე უწყინარ ფორმად მიიჩნევა – ადამიანის განდევნა (მაგ., დახურული ჯგუფიდან), რის მიზანიც არის, ადამიანს აგრძნობინონ საკუთარი აუტსაიდერობა. ამგვარმა ქცევამ შესაძლოა გამოიწვიოს/გაამწვავოს კონფლიქტი. თანაც, გარიყულ ადამიანს ყოველთვის ჰგონია, რომ მისი განკითხვა ხდება მის ზურგს უკან. ამგვარი ქცევა შეიძლება ერთი ადამიანის

(ჯგუფის ლიდერის) მიერ იყოს ინიცირებული და გაზიარებული ჯგუფის სხვა წევრების მიერაც.

მეტად საშიშ ფორმად მიიჩნევა – შევიწროება, იგი ვლინდება ხანგრძლივ, მიზანმიმართულ შეურაცხმყოფელ ან მუქარისშემცველ შეტყობინებების გაგზავნაში. ამგვარი ქცევა სერიოზულ ზიანს აყენებს მოზარდის თვითშეფასებას, აიძულებს, განიცადოს შიში.

შემდეგი ფორმაა – „გახსნა“, „გამოაშკარავება“, რომელიც მოიაზრებს ფართო სოციალურ ქსელში პირადი ინფორმაციის გავრცელებას, ავტორის თანხმობის გარეშე ან ადამიანის წერილების კითხვას. ბულინგის მსგავს ფორმას შეიძლება მოჰყვეს განსხვავებული შედეგი, გამომდინარე მასშტაბებიდან.

კიბერბულინგის ერთ-ერთ ფორმად მიიჩნევა სხვისი აქაუნთის გამოყენება წერილების დასაგზავნად. ბევრი ამას ბავშვურ გართობად მიიჩნევს. თუმცა, ამან შეიძლება სერიოზული ზიანი მიაყენოს ადამიანის რეპუტაციას.

2014 წელს Pew Research Center-ის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, გამოკითხულ რესპონდენტთა 73% კიბერბულინგის შემსწრე ყოფილა (თავად გამხდარა თავდასხმის მსხვერპლი/შესწრებია ამგვარ ქცევას). მოზარდების 18,8% დან – 40.6% მდე თავად ყოფილა მსხვერპლი. ყველაზე ხშირ ფორმად რესპონდენტები ასახელებდნენ შეურაცხმყოფელი კომენტარის განთავსებას სოციალურ ქსელში (მოზარდების 14% ხაზს უსვამს ამ ფაქტს) მოზარდთა – 3% აღნიშნავს მათი მონაწილეობით შეურაცხმყოფელი ვიდეოს დაუკითხავად გამოქვეყნებას (Rivers I. & Noret N. The prevalence and correlates of cyberbullying in adolescents: results of five-year cohort study, American Psychological Association, 2007). მოზარდთა 7% აღნიშნავს, რომ მიუღია მუქარის შემცველი ან შეურაცხმყოფელი შეტყობინებები. კვლევის თანახმად, მოზარდთა 11% დან 20%-მდე ყოფილა თავად ბულერი, ამასთანავე 11% მოზარდებისა აღნიშნავს, რომ ბოლო თვის განმავლობაში ორჯერ ან სამჯერ მიუმართავთ ამგვარი ქცევისთვის. 9% აღნიშნავს, რომ დაუწერიათ შეურაცხმყოფელი კომენტარები და 5% უშუალოდ დამუქრებია კონკრეტულ ინდივიდს.

რაც შეეხება გენდერულ განსხვავებებს, გოგონათა 22% და ვაჟების 19% ერთხელ მაინც გამხდარა კიბერბულინგის მსხვერპლი. რაც შეეხება თავად

ბულერებს, გოგონების 14% და ვაჟების 18.5% ყოფილა ჩართული ამ პროცესში. მკვლევრები აღნიშნავენ, რომ ამგვარი გატაცების პიკი მოდის საბაზო საფეხურზე, საშუალო საფეხურზე მისი რაოდენობა მცირდება.

აღმოჩნდა, რომ განსხვავებულია ძალადობის მსხვერპლთა ქცევა. რესპონდენტთა 60%-მა აღნიშნა, რომ ახდენს ძალადობრივი ქცევის იგნორირებას, რესპონდენტთა 40% კი სხვადასხვაგვარ რეაგირებას ახდენს. გამოიკვეთა რეაგირების იმგვარი ფორმები, როგორებიცაა: კონფრონტაციაში ჩართვა, მოძალადის დაბლოკვა, საიტის ან ონლაინ სერვერის ადმინისტრატორისთვის შეტყობინების გაგზავნა, ფაქტის აფიშირება – სხვა ადამიანებისგან მხარდაჭერის მიღების მიზნით, პროფილის გაუქმება, სახელის შეცვლა, თავის არიდება იმ ფორუმებზე შესვლისგან, სადაც მოხდა დაპირისპირება, სამართალდამცავებისთვის მიმართვა.

მართალია, კიბერბულინგი უშუალოდ ფიზიკურ ზიანს არ აყენებს ადამიანებს, მაგრამ იგი სერიოზულ ემოციურ და ფსიქოლოგიურ გავლენას ახდენს როგორც მსხვერპლ, ისე მოძალადე მოზარდებზე.

2010 წელს ჩატარებული კვლევების თანახმად (Cyberbullying Research Center report, 2010), ძალადობის შემდგომ მსხვერპლთა 44 % გრძნობდა ბრალს, 26 % იყო დათრგუნვილი, ჰქონდა წყენისა და შიშის განცდა, რესპონდენტთა მხოლოდ 30 %-მა განაცხადა, რომ მათზე ემოციურად არ უმოქმედია განხორციელებულ ძალადობას.

ელისონ დემპსისა და მისი კოლეგების ჩატარებული კვლევის თანახმად, ავტორები მოზარდთა ემოციური პრობლემების ერთ-ერთ მიზეზად კიბერბულინგს ასახელებენ. ავტორთა აზრით, იგი ხდება, აგრეთვე, დაბალი თვითშეფასების განმაპირობებელი. ამასთანავე, ეს ეხება როგორც მსხვერპლს, ისე მოძალადე მხარესაც (რომლებიც თვითდასამკვიდრებლად არასასურველ ქცევას მიმართავენ).

ვინაიდან ძალადობა უსიამოვნო ნაღვეს ტოვებს, არსებობს რეკომენდაციები უფროსთათვის, თუ როგორ დაიცვან ბავშვები ამ საფრთხისგან:

პირველ რიგში, მნიშვნელოვანია თავად ბავშვებს აუხსნათ, რომ საზოგადოებისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი პირადი ფოტოები, საკონტაქტო

ინფორმაცია, ვიდეო. თუ მოზარდი სარგებლობს სოციალური ქსელით, სასურველია იცოდეს, რომ ჯობს დაიმეგობროს მხოლოდ ის ადამიანები, რომელთაც რეალურად იცნობს. სოციალურ ქსელში ურთიერთობისას თავად იყოს ზრდილობიანი, არ გამოიყენოს უხეში და სხვების შეურაცხმყოფელი სიტყვები, არ გამოიყენოს სოცქსელები ჭორების გასავრცელებლად, თუ სხვა აყენებს შეურაცხყოფას, თავი აარიდოს კონფრონტაციას, შესაძლებელია მომხმარებლის დაბლოკვაც, ადმინისტრატორისთვის მიწერა, ან ქვეყანაში არსებული ცხელი ხაზის გამოყენება.

რას უნდა მიაქციონ მშობლებმა ყურადღება:

ბავშვი იწყებს შფოთვის, ამბობს უარს სკოლაში წასვლაზე.

ბავშვი მუშაობდა კომპიუტერით, სარგებლობდა ინტერნეტით და შემდეგ მკვეთრად დაანება თავი. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს იმ მიზეზით, რომ მას არა აქვს იმ ტიპის დავალებები, რომელიც ინტერნეტის გამოყენებას საჭიროებს ან უბრალოდ მოყირჭდა, მაგრამ ფაქტს უნდა მიექცეს ყურადღება, ბავშვის გუნება – განწყობილებიდან გამომდინარე.

ბავშვი იწყებს ღელვას, როდესაც მოსდის შეტყობინებები და ამავდროულად, სისტემატურად იღებს გარკვეულ შეტყობინებებს.

ვინაიდან ბულინგი განსაკუთრებულ გავლენას ახდენს მოზარდთა პიროვნულ განვითარებასა და თვითგრძნობაზე, ბევრ ქვეყანაში ჩატარდა კვლევა (ფინეთი, დანია, აშშ, დიდი ბრიტანეთი, კანადა, იაპონია), რომლის დროსაც მოხდა ბულინგის ფენომენის სისტემური შესწავლა მისი პრევენციის მიზნით.

კვლევებზე დაყრდნობით ფინეთში შემუშავებულია სასკოლო პროგრამა (Kiva), რომელიც სასკოლო ბულინგის შემცირებას ემსახურება. აღნიშნული პროგრამა შემუშავებულია ტურკუს უნივერსიტეტში, ფინეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს დაფინანსებით. მისი ავტორები არიან მეცნიერები, რომლებიც ათწლეულის განმავლობაში მუშაობდნენ სასკოლო ძალადობის მექანიზმების კვლევაზე. პროგრამის ავტორები თეორიულ საფუძვლად სოციალურ-კოგნიტურ თეორიას მიიჩნევენ. კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, ავტორები ძალადობრივი ქცევის განხორციელებისკენ მიდრეკილებას მაღალი სტატუსის მოპოვების მცდელობით ხსნიან და მის გაგრძელებასაც

მეტწილად ჯგუფის წევრთა რეაქციით გაპირობებულად მოიაზრებენ. პროგრამის მთავარი მიზნებია: მსხვერპლისადმი ემპათიის გაზრდა; მსხვერპლთა დასახმარებელი სტრატეგიების განხორციელება, რომელიც ზრდის მათ თვითფექტიანობას, ცნობიერების ამაღლება იმასთან დაკავშირებით თუ რა როლს თამაშობს ჯგუფი ბულინგის შეწყვეტის თვალსაზრისით. პროგრამა მოიცავს სასწავლო გეგმას (გაკვეთილებსა და ონლაინ თამაშებს), რომლებიც განკუთვნილია ყველა მოსწავლისთვის. პროგრამა მოიაზრებს კონკრეტულ ღონისძიებებს მსხვერპლი, აგრესორი მოზარდებისა და თანაკლასელებისთვის, რომლებიც მხარს უჭერენ მსხვერპლს, იმ მიზნით რომ აღიკვეთოს ძალადობა. პროგრამა განკუთვნილია 3 ასაკობრივი ჯგუფისთვის: 6-დან 9, 10-დან 12 და 13-16 წლამდე ბავშვებისათვის. შემუშავებულია მასალები მშობლების, პედაგოგებისა და მოსწავლეებისთვის. გზამკვლევების, ვიდეო და ონლაინ თამაშების, პოსტერების სახით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Whitney I. & Smith P.K.: A survey of the nature and extent of bullying in junior/middle and secondary schools.- Educational Research, 35, 3-25, 1993.
2. Duggan M. Online Harassment. – report for Pew Research Center, 2014.
URL:<http://www.pewinternet.org/2014/10/22/online-harassment/>
3. Rivers I. & Noret N. The prevalence and correlates of cyberbullying in adolescents: results of five-year cohort study, American Psychological Association, 2007
4. Smith P., Madhavi J., Carvalho M. & Tippet N. An investigation into cyberbullying, its forms, awareness and impact, and the relationship between age and gender in cyberbullying. A report to the Anti-Bullying Alliance, 2011.
5. Cyberbullying Research Center report, 2010. URL: <http://www.cyberbullying.us>.
<http://www.kivaprogram.net/>

გარდატეხის ასაკისთვის დამახასიათებელი სირთულეები / სარისკო ქცევა

მოზარდობა არის პერიოდი ბავშვობასა და მოწიფულობას შორის. მისი ხანგრძლივობა თანამედროვე ეპოქაში სულ უფრო და უფრო იზრდება, ვინაიდან მოწიფულობის მიღწევამდე ძალიან ბევრი ცოდნა და უნარ-ჩვევებია დასაუფლებელი. აღნიშნულ პერიოდში მოზარდის ორგანიზმში კარდინალური ცვლილებები მიმდინარეობს. იწყება ფიზიკური განვითარების ახალი ეტაპი, დგება სქესობრივი მომწიფების პერიოდი, მოზარდის ამროვნება გადადის ახალი ფორმალური ოპერაციების სტადიაზე. მისი ძირითადი ნიშანი აბსტრაქტული ამროვნების ჩამოყალიბებაა. მოზარდებს უკვე შეუძლიათ ჰიპოთეზების ფორმულირება, გადამოწმება და შეფასება. ამროვნების პროცესში ისინი უკვე ეყრდნობიან არა მხოლოდ თვალსაჩინო ნიშნებს ან ნაცნობ ფაქტებს, არამედ განყენებული იდეებითაც მანიპულირებენ.

ამ პერიოდში იწყება თვითშემეცნების რთული პროცესი, პასუხის ძიება კითხვებზე: „ვინ ვარ?“ „როგორი ვარ?“; გამუდმებული დაკვირვება საკუთარ თავზე და იდეალთან შედარება. პარალელურად მოზარდები სხვათა შეცნობას, სხვების ამრის წვდომას ცდილობენ. მოზარდის წინაშე რთული ამოცანა დგება: შეკრიბოს და გააერთიანოს ინფორმაცია საკუთარი თავის შესახებ (როგორი შვილი, და ან ძმა, მოსწავლე თუ სპორტსმენია) და მოახდინოს ამ მრავალრიცხოვანი „მეს“ ხატების ინტეგრაცია პიროვნულ იდენტობაში. თუ მოზარდი წარმატებით გადაწყვეტს თავის ფსიქო-სოციალურ იდენტიფიკაციას, ის გააცნობიერებს იმას, თუ „ვინ“ არის და რა უნდა.

ამ პერიოდში იცვლება მოზარდის ურთიერთობების სტილი მშობლებთან და თანატოლებთან. მოზარდები უფროსებისგან ითხოვენ თანასწორუფლებიან ურთიერთობებზე გადასვლას. მართლაც, თუ უფროსები არ უპირისპირდებიან მოზარდის დამოუკიდებლობის მოთხოვნილებას, აძლევენ საკუთარი ამრის გამოთქმის უფლებას, მხარს უჭერენ, ეხმარებიან და ანუგეშებენ რთულ სიტუაციებში, მოზარდი მეტად თავდაჯერებული და უკეთ მომზადებული ხდება მომავალი ცხოვრებისათვის.

მაშასადამე, გარდატეხის ასაკისთვის დამახასიათებელ ნიშნებს წარმოადგენს ახალი ღირებულებების, ქცევების ჩამოყალიბებისკენ მიმართული ექს-

პერიმენტები, აგრეთვე, მშობლების კონტროლიდან თავის დაღწევის მცდელობა. ამ ყოველივეს რასაკვირველია დადებითი შედეგი აქვს და მოზარდის ზრდასრულად ფორმირებას ემსახურება. მაგრამ არსებობს მოზარდა მხრიდან რისკის შემცველი ქცევების განხორციელების საშიშროება: ეს შეიძლება იყოს ალკოჰოლის მიღება, სახლიდან გაქცევა, დაუცველი სექსუალური კონტაქტები, სუიციდი, აზარტული თამაშებით გატაცება.

უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარ ქცევებს მოზარდთა მცირე ნაწილი მიმართავს. ის სულაც არ არის ყველა მოზარდისთვის დამახასიათებელი.

რისკიან ქცევას მოზარდები სხვადასხვა მიზეზის გამო მიმართავენ:

ზოგი ვერ აცნობიერებს რისკიანი ქცევის შედეგებს, ზოგი ამგვარ ქცევას საფრთხესთან დაკავშირებული ინფორმაციის ნაკლებობის გამო მიმართავს, ზოგიც უფროსების რჩევებს უგულვებელყოფს. ამ ყველაფრის მიზეზი შეიძლება „პერსონალური მითიც [1]“ იყოს.

რისკიანი ქცევის განხორციელების მიზეზი შეიძლება 5 ფაქტორად წარმოვადგინოთ. ესენია: ბიოლოგია/გენეტიკა, სოციალური გარემო/თემი, უშუალო გარემოცვა, პიროვნული თავისებურებები და თავად მოზარდის ქცევა. აღნიშნული ფაქტორები ურთიერთქმედებენ ერთმანეთთან და განაპირობებენ კიდევ ცხოვრების რისკიან წესს. უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარ ქცევის ალბათობას ზრდის როგორც მემკვიდრეობა, ისე მოზარდის უშუალო გარემოცვა.

მაგ. თუ მოზარდის გარშემო უფროსები ჭარბად მოიხმარენ ალკოჰოლს, ამგვარი ქცევის განხორციელების ალბათობა მოზარდთანაც არსებობს. მას აქვს დევიანტური ქცევის მოდელი – რის გამოც ამგვარი ქცევის მიბაძვის ალბათობა მისგან უფრო მეტია, ვიდრე იმ მოზარდებისგან, რომელთაც მსგავსი გარემო ნაკლებად აქვთ.

ბიოლოგია / გენეტიკა	სოციალური გარემოცვა	უშუალო გარემოცვა	პიროვნება	შედეგი
რისკის ფაქტორები				
ალკოჰოლიზმი- სა და წამალ- დამოკიდებუ- ლების ისტორია ოჯახში	მორალური ნორმების არქონა; ცუდი ადაპტაცია გარემოში; დაბალი სოციო- ეკონომიკური ფაქტორები.	დევიანტური ქცევის მოდე- ლები; მშობლებსა და მეგობრებს, მათი მშობლე- ბის ღირებუ- ლებებს შორის კონფლიქტი	დაბალი თვით- შეფასება; საკუთარი შე- საძლებლობე- ბის დაკნინება; სწრაფვა რის- კიანი ქცევისკენ	რისკის ფაქტო- რები; ალკოჰო- ლის მიღება.

პროფილაქტიკის ფაქტორები

მაღალი ინტელექტუალური მონაცემები	სწავლების მაღალი სტანდარტები; შეკრული, მეგობრული ოჯახი; დაინტერესებული უფროსები.	სოცუმიისთვის მისაღები ქცევის მოდელების არსებობა; დევიანტური ქცევის მაღალი კონტროლი.	აკადემიური, თუ მოზარდისთვის საინტერესო საქმიანობაში მიღწევის მნიშვნელობა თავად მოზარდისთვის; ჯანმრთელობის ღირებულება; ნორმების დარღვევისადმი მიუღებლობა.	ოჯახის წევრების მხრიდან ყურადღება; რელიგია; ჩართულობა სკოლის ცხოვრებაში.
----------------------------------	--	--	---	--

შედეგი 1. რისკიანი ქცევა/მოზარდთა ცხოვრების სტილი

პრობლემური ქცევა	ჯანმრთელობის შელახვის გამომწვევი ქცევა	სასკოლო ქცევა
დელიქვენტური ქცევა; ავტომანქანის ტარება არაფხიზელ მდგომარეობაში. ჩაფხუტის გარეშე მოტოციკლის მართვა.	არაჯასადი კვება; სიგარეტის მოწევა; ცხოვრების ჰიპოდინამიკური სტილი; მანქანის მართვისას, წინა სავარძელზე ჯდომისას უსაფრთხოების ღვედის უგულებელყოფა.	სკოლის ხშირი გაცდენა; სწავლისთვის თავის დანება.

შედეგი 2. ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება

სოციალური როლები	პიროვნული განვითარება	მოწიფულობისთვის მომზადება
წარუმატებლობა სკოლაში; სოციალური იზოლაცია; პრობლემები კანონთან; ნაადრევი ორსულობა.	არაადეკვატური მეკონცეფცია; დეპრესია.	შეზღუდული სამუშაო გამოცდილება; შრომის უუნარობა; სწავლის მოტივაციის არქონა.

წყარო:

Risk behavior in adolescence: A psychological framework for understanding and action (p. 27) by Richard Jessor, 1992, in Adolescents at risk: medical and social perspectives, edited by D. F. Rogers and E. Ginzberg.

როგორ შეუძლიათ მშობლებს ამგვარი ქცევის შეჩერება? ბევრი მშობელი თანამშრომლობს პედაგოგებთან, იღებენ ზომებს, რომ შეაჩერონ ბავშვების ინტერესი სარისკო ქცევებისადმი. ქმნიან ოჯახში უსაფრთხო კეთილგანწყობილ გარემოს, რთავენ ბავშვებს ინტერესების მიხედვით წრეებსა და კლუბებს. ასეთ შემთხვევაში მოზარდს უჩნდება საკუთარი კომპეტენტურობისა და თვითპატივისცემის გრძნობა, თავს მიიჩნევს ოჯახისა თუ გარკვეული ჯგუფის წევრად, ამიტომაც იშვიათად მიმართავს რისკიან ქცევებს.

მოზარდები ალკოჰოლის მიღებასა და სიგარეტის მოწევას „მოზრილობის/ მოწიფულობის“ გამოვლინებად მიიჩნევენ. მოზარდების მიერ ალკოჰოლისა თუ სიგარეტის მოხმარებას ეწინააღმდეგება კანონმდებლობა, რომელიც კრძალავს არასრულწლოვანთათვის – სიგარეტის, ალკოჰოლის მიყიდვას. სკოლებში ბუნებისმეტყველების, ბიოლოგიის, სამოქალაქო განათლების, სპორტის სტანდარტში გათვალისწინებულია მიმართულება – ცხოვრების ჯანსაღი წესი, რომელიც ეხება ასაკის შესაბამისად ჯანსაღი კვების, დღის რეჟიმის სწორად დაგეგმვის, ფიზიკური აქტიურობის, ფსიქოაქტიური ნივთიერებების მაღნე ზეგავლენას. X-XII კლასში კი შეტანილია იმგვარი საკითხები, როგორიც არის სქესობრივი გზით გადამდები ინფექციებისა და შიდსის პრევენცია.

დელიქვენობა

რისკის შემცველი ქცევა ზოგჯერ კანონდამრღვევი ქმედებაც არის. ზოგი მეცნიერის მოსაზრებით, კანონის დამრღვევ ქცევებს უფრო ხშირად მიმართავენ მოზარდები დაბალი სოციო-ეკონომიკური სტატუსით, ემიგრანტები, რომლებიც სათანადოდ არ არიან ინტეგრირებული ახალ სოციალურ სივრცეში. ხშირად სამართალდამრღვევ ქცევას სჩადიან მოზარდები არასრული ოჯახებიდან, როდესაც მოზარდი მხოლოდ მარტოხელა დედასთან ცხოვრობს და საერთოდ არა აქვს ურთიერთობა მამასთან, ბაბუასთან (მიუხედავად ეკონომიკური სტატუსისა). მეცნიერები ამ ფაქტორს მამაკაცური ქცევის მოდელის არარსებობით ხსნიან. მსგავს გარემოებას ვხვდებით მაშინაც, თუ ბიჭუნა მამინაცვალთან ერთად იზრდება და მასთან დაძაბული ურთიერთობები აქვს. ამგვარი მოსაზრებები მიეკუთვნება დელიქვენტური ქცევის სოციოლოგიური ფაქტორებით ახსნას. მაგრამ მკვლევრები, რომლებიც ფსიქოლოგიურ ფაქტორებზე აკეთებენ აქცენტს, მიიჩნევენ, რომ ამგვარი ქცევისკენ მიდრეკილნი არიან მოზარდები, რომელთაც აქვთ სოციალიზაციის პრობლემა, უჭირთ ემო-

ციების მართვა, თვითრეგულაცია. (Vitaro, Tremblay, Kerr, Pagani & Bukowski, 1997). თუმცა ამგვარი დაყოფა მაინც ხელოვნურია. შესაძლებელია, რომ სოციალურმა ფაქტორებმა გაამწვავოს ფსიქოლოგიური ფაქტორები და პირიქით. დელიქტუენტური ქცევა შეიძლება აკმაყოფილებდეს მოზარდის თვითპატივისცემის ან უფროსებისგან დამოუკიდებლობის მოთხოვნილებას. მოზარდებზე გავლენა შეიძლება მოახდინოს ფილმებმა, საიდანაც მოზარდი დაისწავლის ამგვარ ქცევას.

სტრესი, დეპრესია და მათთან გამკლავება გარდაბნის ასაკში

მიიჩნევა, რომ დეპრესია, სახლიდან გაქცევა დამახასიათებელია ზოგიერთი მოზარდისთვის. მოზარდს საფრთხეს შეიძლება უქმნიდეს ზომიერიდან მძიმე დეპრესია. ცხრილში გთავაზობთ 13-დან 19-წლამდე მოზარდების პროცენტულ განაწილებას, რომელთაც აღნიშნული პრობლემები აქვთ. წყარო (Brown, Mackay, ickstock, Connely, Johnston, &BI1993).

ცხრილი 2. მოზარდთა რაოდენობა, რომელნიც განიცდიან დეპრესიას ასაკისა და სქესის მიხედვით:

სიმძიმე	ასაკი						
	13	14	15	16	17	18	19
ვაშები							ჯამი
დეპრესიის არქონიდან მსუბუქ გამოვლენამდე	96	97	93	88	93	94	89
მსუბუქიდან მძიმე გამოვლინებამდე	4	3	7	12	7	6	11
გოგონები							
დეპრესიის არქონიდან მსუბუქ გამოვლენამდე	93	90	89	84	87	87	82
მსუბუქიდან მძიმე გამოვლინებამდე	7	10	11	16	13	13	18

წყარო: Connely, Johnston, Brown, Mackay&Blickstock, 1993

მიიჩნევა, რომ დეპრესია მეტად გვხვდება გოგონებში, ვიდრე ვაჟებში. დეპრესიის გამოვლენის სიმპტომები შეიძლება სქესის შესაბამისად განსხვავებული იყოს. ვაჟები მეტად ავლენენ ასოციალურ ქცევას, როგორებიც არის დელიქვენტობა ან ავლენენ ინტერესს ფსიქოპათიური ნივთიერებების მიმართ, შესაძლოა თვითდამაზიანებელ ქცევასაც მიმართონ. გოგონები კი საკუთარ განცდებს შიგნით მიმართავენ და მეტად გულჩათხრობილნი ხდებიან. შესაძლოა გამოვლენა მოხდეს კვებითი დარღვევების სახითაც (Ostrov, Offer & Howard, 1989).

მოზარდებში დეპრესია შეიძლება გამოწვეული იყოს ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციალური ფაქტორების გავლენით. ის ვლინდება მაშინ, როდესაც სამივე ფაქტორით გამოწვეული პრობლემები ერთმანეთს დროში ემთხვევა.

მიზეზი შეიძლება იყოს არაადეკვატურად დაბალი თვითშეფასება. აგრეთვე, მას ადგილი აქვს ხოლმე საშუალო საფეხურზე გადასვლის ან მისი დასრულებისას, როდესაც მოზარდების ცხოვრებაში ახალი ეტაპი იწყება. (Bower, 1991b; Orenstein, 1994). მკვლევრები მიიჩნევენ, რომ გოგონები მეტად მოწყვლადნი არიან მასობრივი საინფორმაციო საშუალებების მიმართ, რომლებიც იდეალური სხეულის აგებულებისა თუ სიგამხდრის პრობაგანდას ახდენენ. მაშასადამე, გოგონებთან დეპრესიის მიზეზი შეიძლება გახდეს სხეულის ნეგატიური ხატი, აგრეთვე მდგომარეობა შეიძლება გაართულოს თანატოლებთან ცუდმა ურთიერთობებმა, რისი მიზეზიც შეიძლება სოციალური უმწიფრობა იყოს, რაც იწვევს პრობლემებს უფროსებთან, თანატოლებთან, თუ საწინააღმდეგო სქესთან ურთიერთობებში. ვაჟებში კი დეპრესიის გამომწვევ მიზეზად ცუდი აკადემიური მოსწრება სახელდება (თუმცა, ვაჟები შესაძლოა სწავლისადმი და სასკოლო ცხოვრებისადმი ინდიფერენტულ დამოკიდებულებას ავლენდნენ). საინტერესოა ის ფაქტიც, რომ სწავლაში არსებულ პრობლემებს გოგონები უფრო მეტად საკუთარ თავს მიაწერენ, ვაჟები კი მასწავლებელს.

მაშ ასე, დეპრესიის გამომწვევი რისკფაქტორებია:

1. სხეულის ნეგატიური ხატი, რომელიც შეიძლება იწვევდეს კვების დარღვევებს ან დეპრესიას;
2. გადამეტებული რეფლექსია საკუთარი თავის/მომავლის შესახებ, ოღონდ უფრო ნეგატიური ელფერიით;
3. ოჯახური დისფუნქცია ან მშობელთა ჯანმრთელობის პრობლემები, რაც მოზარდებში ძლიერ სტრესს იწვევს;

4. კონფლიქტები ოჯახში, შშობელთა განქორწინება (დაპირისპირების გაგრძელება ოჯახის წევრებს შორის) ან მატერიალური პრობლემები, მათთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭება;
5. თანატოლთა წრიდან გარიყვა, დაბალი პოპულარობა – აღნიშნული ფაქტორით გამოწვეული დეპრესია შეიძლება გამოვლინდეს ზრდასრულ ასაკშიც;
6. ცუდი აკადემიური მოსწრება.

დეპრესიისგან დამცავ ფაქტორებად მოიაზრებენ:

1. კარგ ურთიერთობებს ოჯახსა და თანატოლების წრეში. ამგვარი ურთიერთობები ბავშვს უქმნის სტრესისგან დამცავ იმუნიტეტს;
2. წრეებსა და კლუბებში ჩართულობა – მოსწავლეს უჩენს თვითპატივისცემის გრძნობას;
3. სხვაზე პასუხიმგებლობის აღება – ზრუნვა და-ძმაზე, ცხოველებზე, სოციალურ პროექტებში ჩართულობა – ბავშვებს ეხმარება საკუთარი თავის როგორც ღირებულის აღქმაში და პრობლემების გამკლავებაში.

აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბავშვის მიმართ ყურადღებიანი დამოკიდებულება, მისი უპირობო მიღება, მოსწავლის შესაძლებლობების რეალური შეფასება და შესაბამისი უკუკავშირი, ინტერესების კვლევა და მის შესაბამისად ჩართვა წრეებსა და კლუბებში, სხვებზე/გარემოზე ზრუნვის უნარების განვითარება, პროფესიულ არჩევანთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდება მნიშვნელოვანი მექანიზმებია მოზარდთა სრულფასოვანი განვითარებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გოგიაიშვილი, თ. (2001). მოსწავლის ასაკობრივი ფსიქოლოგია. თბილისი.
2. Goldstein, A.P. (1991). Delinquent Gangs: A Psychological Perspective. Champaign, IL: Research Press.
3. Крайг, Г. Бокум, Д. (2004). Психология Развития 9-ое издание.
4. Раис, Ф. (2000). Психология подросткового и юношеского возраста. Питер.

როგორ დავძლიოთ ტყუილი

ტყუილის თქმა – ეს არის ქცევის ფორმა, რომლის დროსაც ხდება რეალობის განზრახ დამახინჯება სასურველი მიზნის მისაღწევად თუ უსიამოვნო შედეგის თავიდან ასაცილებლად. არსებობს განსხვავებული ფენომენიც – მითომანია, პათოლოგიური სწრაფვა ტყუილისა და რეალობის დამახინჯებისკენ, რასაც განაპირობებს პიროვნების ისტერიული მდგომარეობა, ყურადღების ცენტრში ყოფნისა და საკუთარი განსხვავებულობის წარმოჩენისკენ სწრაფვა.

იმის გასარკვევად, როგორ დავძლიოთ ტყუილი, უპირველესად, უნდა ვუპასუხოთ კითხვებს, რა ასაკიდან ცრუობენ ბავშვები და რისი ბრალია ეს.

სკოლამდელი ასაკის ბავშვებთან ერთმანეთისგან აუცილებლად უნდა განვასხვაოთ ფანტაზია და ტყუილი. ხშირად ბავშვები რეალობას წარმოაჩენენ არა იმგვარად, როგორც ის სინამდვილეშია, არამედ ისე, როგორც სურდათ მომხდარიყო, აიგივებენ თავს რომელიმე ნაწარმოების პერსონაჟთან და მის თავგადასავალს როგორც საკუთარს ისე მოგვითხრობენ. ბავშვის ამგვარ ქცევას „ცრუ ტყუილსაც“ უწოდებენ. მიიჩნევა, რომ ის განსაკუთრებით ხშირად ვლინდება 4-5 წლის ასაკში და შემდეგ თანდათან იკლებს.

ამისდა მიუხედავად, საზოგადოება ნეგატიურად რეაგირებს ტყუილზე და პატარა ფანტაზიური შესაძლოა თანაკლასელების დაცინვის ობიექტადაც იქცეს.

იმის გასარკვევად, როგორ დავძლიოთ ტყუილების პრობლემა, უნდა ვაღიაროთ, რომ ტყუილების გარეშე ბავშვის განვითარება წარმოუდგენელია, მაგრამ განმტკიცდება თუ არა ეს საქციელი, ჩვენზე, უფროსებზეა დამოკიდებული. ამიტომ, უწინარეს ყოვლისა, დავფიქრდეთ და განვიხილოთ ის მიზეზები, რომელთა გამოც ცრუობენ ბავშვები.

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ბავშვები სკოლამდელ ასაკში საერთოდ არ იტყუებიან, ვინაიდან ტყუილსაც და ფანტაზიასაც წარმოსახვისა და მეტყველების განვითარების განსაზღვრული დონე სჭირდება. თანაც პატარები საკუთარი ეგოცენტრიზმის გამო შესაძლოა მიიჩნეოდნენ, რომ, მაგალითად,

დედა ოთახში არყოფნის დროსაც ხედავს, რა ხდება იქ, ამიტომ ვერ ბედავდნენ მის მოტყუებას. რაც შეეხება ბავშვის წარმოსახვას, ის მისთვის იმდენად ნათელი და შთამბეჭდავია, რომ უჭირს კიდევ ფანტაზიისა და რეალობის ერთმანეთისგან გამიჯვნა. შესაძლოა, მოსმენილი ამბავი, ნანახი ფილმი ან სიზმარი რეალობაში აერიოს, ამიტომ სკოლამდელ ასაკში ბავშვის მიერ მოყოლილი ისტორიები მისი აღქმის თავისებურებისა და ფანტაზიის ნაყოფია და არა განზრახ მოტყუების მცდელობა. მაგ., პატარა, რომელიც პარკში გავასეირნეთ, შესაძლოა სხვებს მოუყვეს, რომ უღრან ტყეში ისეირნა და ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ მან იცრუა, არამედ იმას, რომ ხეებით დაბურული პარკი უღრან ტყედ აღიქვა.

თუმცა არსებობს ექსპერიმენტები, რომლებიც სიმართლის შეცვლის/არგამხელის ფაქტის უფრო ადრეულ გამოვლენასაც აფიქსირებს. გაგაცნობთ ერთ-ერთ მათგანს.

3-4 წლის ბავშვები ექსპერიმენტატორს დედასთან ერთად შეჰყავდა ოთახში. პატარას მაგიდასთან ზურგშექცევით სვამდნენ და ეუბნებოდნენ, რომ მაგიდაზე იდო სიურპრიზი – სათამაშო. უცებ ექსპერიმენტატორი ამბობდა, რომ ოთახიდან უნდა გასულიყო და სთხოვდა პატარას, მის დაბრუნებამდე არ მიბრუნებულიყო სათამაშოსკენ, მერე კი ერთად ითამაშებდნენ. ოთახში ბავშვთან ერთად რჩებოდა დედა, რომელიც აღნუსხავდა, მიბრუნდა თუ არა ბავშვი სათამაშოსკენ. შედეგი ასეთი აღმოჩნდა: ზოგი პატარა აღიარებდა, რომ მიბრუნდა, ზოგი კი უარობდა ან საერთოდ არიდებდა თავს პასუხს. ამრიგად, კვლევამ გამოავლინა, რომ 3-4 წლის ბავშვებსაც შეუძლიათ სიმართლის დამალვა.

მაგრამ აქ საინტერესოა ისიც, რა ასაკიდან ესმით პატარებს, რა არის ტყუილი.

ფსიქოლოგ პოლ ეკმანს (ავტორს წიგნებისა „ტყუილის ფსიქოლოგია“, „რატომ ცრუობენ ბავშვები“) მოჰყავს ამგვარი მაგალითი: კეიტის მშობლები გაცილებულები იყვნენ. კეიტს მამა დაჰპირდა, რომ შაბათს კალათბურთის მატჩზე წაიყვანდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ კეიტს იმ დროს ჩოგბურთის გაცვეთილი ჰქონია, რის გამოც მამამ დანაპირები ვეღარ შეუსრულა. კეიტს ძალიან დასწყდა გული და, ატირებულმა, მამას დაურეკა იმის საკითხავად, რატომ მოატყუა. მართალია, მამამ აუხსნა მიზეზი, მაგრამ ბავშვისთვის ის უფრო მნიშვნელოვანი იყო, რომ დანაპირები არ შეუსრულეს. მაშასადამე, ამ ასაკის ბავშვები უკვე ხვდებიან, რა არის ტყუილი, მაგრამ აქცენტს სვამენ მხოლოდ

შედეგზე და არა მიზეზსა თუ საფუძველზე. პიაჟე ამას იმით ხსნიდა, რომ პატარებს ჯერ არ შეუძლიათ მორალური მსჯელობის აგება, მათთვის საქციელით მიღებული შედეგი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე განზრახვა, რამაც ამგვარი ქცევა აღძრა. ეს ფენომენი 8 წლამდე გრძელდება.

ძალზე საინტერესო ექსპერიმენტი ჩაატარეს ვიმერმა, გრუბერმა და პერნერმა (Wimmer H., Gruber S., Perner J. Young Children's Conception of Lying: Lexical Realism – Moral Subjectivism Journal of Experimental Child Psychology. 1984. Vol. 37. P. 1 – 30.). მათ გაარკვიეს, რომ, მართალია, ბავშვებს უჭირთ საქციელის შეფასებისას განზრახვის ფაქტორის გათვალისწინება, მაგრამ თავად განზრახვის შეფასება შეუძლიათ.

ექსპერიმენტის დროს ბავშვები ისმენდნენ და თოჯინებით გაითამაშებდნენ ამგვარ სიტუაციას:

„დედა მაღაზიდან დაბრუნდა. მან კექსის გამოსაცხობად შოკოლადი შეიძინა. მაქსი დედას სურსათის დაბინავებაში დაეხმარა. შოკოლადი მათ ლურჯ კოლოფში ჩადეს. მაქსმა დაიმხსოვრა, სად შეინახა დედამ შოკოლადი, რათა ეზოდან ამოსვლის შემდეგ პირი ჩაეტკბარუნებინა. დედამ ნამცხვარი გამოაცხო და შოკოლადის ფილის ნარჩენი ლურჯის ნაცვლად მწვანე ყუთში ჩადო. მაქსი ეზოდან ამოვიდა თუ არა, დაიკომ ჰკითხა, სად ინახავდა დედა შოკოლადს“.

ამ ამბავს ბავშვებს სთავაზობდნენ ოთხ სხვადასხვა ვერსიად, განსხვავებული დასასრულითა და მიმდინარეობით. პირველ ორ შემთხვევაში მაქსი სიმართლეს ამბობდა, ოღონდ პირველ ვერსიაში – იმას, რაც იცოდა – რომ შოკოლადი იდო ლურჯ ყუთში, მაგრამ ეს მცდარი ინფორმაციის მიწოდება გამოდიოდა (ვინაიდან შოკოლადი სინამდვილეში სხვაგან იდო); მეორე ვერსიაში დედა შოკოლადს ადგილს არ უცვლიდა, ამიტომ მაქსი ამბობდა, რომ შოკოლადი იდო ლურჯ ყუთში და ეს სიმართლე იყო. მესამე და მეოთხე ვერსიებში მაქსს განზრახული ჰქონდა დის მოტყუება. ის ფიქრობდა: „და შემთხვევით შოკოლადს, არადა მეც მინდა მისი ჭამა, ამიტომ არ გავუშვებ მის ადგილსამყოფელს“. მესამე ვერსიაში მაქსი, თავისი ჭკუით, ატყუებდა დას და ეუბნებოდა, რომ შოკოლადი იდო მწვანე ყუთში (ოღონდ თავისდაუნებურად სიმართლე გამოსდიოდა), მეოთხე ვერსიაში კი ამბობდა, რომ შოკოლადი სრულიად სხვაგან იდო.

4-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვების უმრავლესობა მიიჩნევდა, რომ მაქსმა იცრუა არა მხოლოდ მაშინ, როდესაც განიზრახა დის მოტყუება და მოატყუა

კიდევ (მე-4 ვერსია), არამედ მაშინაც, როდესაც ეგონა, რომ სიმართლეს ამბობდა და უნებურად ტყუილი გამოუვიდა (1-ლი ვერსია). ამ შემთხვევაში ბავშვები მაქსის განზრახვას არ ითვალისწინებდნენ. მაგრამ როდესაც პატარებს ეკითხებოდნენ, რას იმსახურებდა მაქსი დისადმი დამოკიდებულებისთვის – ქებას თუ გაკიცხვას, ისინი ამას მაქსის განზრახვის მიხედვით წყვეტდნენ. აქედან გამომდინარეობს, რომ პატარები ქცევის შეფასებისას ითვალისწინებენ განზრახვას, მაგრამ ცუდად ესმით თავად ცნება „ტყუილის“ მნიშვნელობა. თუმცა აშკარაა – 4 წლის ბავშვები უკვე ხვდებიან, რომ ვიღაცის მოტყუების სურვილი ცუდია.

მიუხედავად ამისა, პატარები მაინც ცრუობენ. საინტერესოა, რა უბიძგებს მათ ამისკენ.

ზოგიერთი ფსიქოლოგი მიიჩნევს, რომ ეს შესაძლოა იყოს ოჯახური გარემოს გავლენა, სადაც ბავშვი ბევრ ისეთ აკრძალვას ან მოთხოვნას აწყდება, რომელთა შესრულებაც ჯერ არ შეუძლია, წესის დარღვევასა და მოთხოვნის შეუსრულებლობას კი მკაცრი სასჯელი მოსდევს. ამ შემთხვევაში ბავშვი ტყუილს თავის დასაცავად მიმართავს.

ტყუილის თქმის პროვოცირება უფროსს მაშინაც შეუძლია, როდესაც ბავშვს მისი კეთილგანწყობის მოსაპოვებლად ნებას რთავს, განახორციელოს აკრძალული აქტივობა, იმ პირობით, რომ „ამკრძალავი“ ოჯახის წევრი ამას ვერ შეიტყობს.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზოგჯერ სიმართლის არგამხელა სოციალიზაციის მექანიზმიც არის. მაგ., პატარა ბიჭუნას აჩუქეს სათამაშო, რომელიც არ მოეწონა. როგორ მოიქცევა იგი? მან შესაძლოა გულწრფელად თქვას, რომ ეს ცუდი სათამაშოა ან უკვე აქვს ასეთი. მაგრამ ამ შემთხვევაში შეიძლება ვკითხოთ პატარას, რა უფრო მნიშვნელოვანია მისთვის: ის, რომ სხვებმა იზრუნეს მასზე და მოვიდნენ მის სანახავად/მასთან სათამაშოდ თუ თავად საჩუქარი? ამით ბავშვს დავებმარებით ერთი და იმავე მოვლენის სხვადასხვა რაკურსით აღქმაში და სოციუმში დამკვიდრებული თავაზიანობის ნორმებსაც ვასწავლით.

სკოლაში შესვლასა და ახალ მოთხოვნებთან ერთად იცვლება და ფართოვდება ბავშვის საქმიანობის არეალი. ბავშვს შინ თუ სკოლაში უხდება მასწავლებლის მიერ დაკისრებული დავალებების შესრულება. ამ დროს მშობლისა თუ პედაგოგის არასწორმა მიდგომამ ტყუილების თქმის არეალი შესაძლოა გააფართოოს.

მიიჩნევა, რომ ამ მოქმედების პროვოცირება შეიძლება მოხდეს მაშინაც, როდესაც პატარა მოსწავლეს მასზე წარმატებულ თანაკლასელს ან სხვა ადამიანს ვადარებთ. მაგ., „შეხედე მაშოს, რა კარგად სწავლობს, როგორი მოწესრიგებულია!“ ამ დროს ბავშვს შესაძლოა გაუჩნდეს თვითრეაბილიტაციის სურვილი, მაგრამ არა ამ საქმიანობათა უკეთ შესრულების ხარჯზე, არამედ ფანტაზიით ან „სანიმუშო“ მოსწავლის მიმართ აგრესიის გამოხატვით. ამ შემთხვევაში ბავშვი იწყებს საკუთარ ღირსებათა „გამოგონებას“. აქ დიდი სიფრთხილე გვმართებს, რომ ბავშვი სასკოლო წარუმატებლობის გამო წარმოსახულ სამყაროში არ გადაეშვას. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი წარუმატებლობა მიზეზის კვლევას და ადეკვატურ დახმარებას მოითხოვს.

არის იმგვარი შემთხვევებიც, როდესაც ბავშვები სახალისო ამბებს იგონებენ – ამ დროს მათ გარშემო მყოფთა გართობა სურთ. ხშირად ასეთი ბავშვები შემოქმედებითი უნარებითაც გამოირჩევიან, ამიტომ უპრიანი ხომ არ იქნება, ყურადღება არ მივაქციოთ მათ შეთხზულ ისტორიებს, სამაგიეროდ, ჩავრთოთ სასკოლო თუ კლასგარეშე აქტივობებში და იქ წავახალისოთ მათი შემოქმედებითი უნარები?

მაშ ასე, პატარები შესაძლოა ცრუობდნენ იმიტომ, რომ სასჯელისა ეშინიათ, სურთ კეთილგანწყობის მოპოვება, თვითშეფასების ამაღლება, მეგობრის ან პირადი სივრცის დაცვა. ტყუილს ხშირად ის მოსწავლეები ამბობენ, რომელთაც ყურადღება აკლიათ და მათი ფანტაზია შესაძლოა სწორედ ყურადღების მიპყრობას ემსახურებოდეს. ამიტომ მიზეზის იდენტიფიცირების შემდეგ, ნაცვლად ბავშვის მიმართ მკაცრი სანქციებისა, საჭიროა ადეკვატური რეაგირება მიზეზის აღმოსაფხვრელად.

ძალზე მნიშვნელოვანია ბავშვთან იმაზე შეთანხმება, რომ კეთილსინდისიერება ის თვისებაა, რომელსაც შინ თუ გარეთ დიდად აფასებენ, ამიტომ თუ ბავშვი გაგვანდობს, რომ თავისდა უნებურად რამე დააშავა, აუცილებლად აღნიშნეთ, რომ მისი მადლიერი ხარო, ვინაიდან, რაკი სიმართლე იცით, უკეთ დაეხმარებით.

ტყუილზე საუბრისას სასურველია, ყურადღება გავამახვილოთ შემდეგ ფაქტორებზე: ეკისრება თუ არა ბავშვს მომხდარზე პასუხისმგებლობა? საქციელი გაცნობიერებული გადაწყვეტილებით იყო ნაკარნახები? რა მოჰყვა ტყუილს? ვინ ან რა დაზარალდა? ტყუილმა გაამწვავა სიტუაცია? აუცილებელია ბავშვთან ქცევის ეთიკურობაზე საუბარიც – აქ შეგვიძლია გამოვიყენოთ რომელიმე მოთხრობა, იგავი თუ ზღაპარი. შეგვიძლია ვისაუბროთ იმის შე-

სახეზე, რა მოხდებოდა, ერთ მშვენიერ დღეს ყველას ტყუილების თქმა რომ დაეწყო. შეეცადეთ დაანახოთ ბავშვს ტყუილის შედეგი – აუხსენით, რომ თუ ხშირად იცრუებს, მას აღარავინ ენდობა და მართლა რომ დასჭირდეს რჩევა ან დახმარება, შესაძლოა ვეღარც კი მიიღოს. დაეხმარეთ, განასხვავოს რეალობა გამონაგონისგან – რეალური ხომ ის არის, რაც მოხდა, გამონაგონი კი ის, რაც უნდოდა მომხდარიყო.

თუ ტყუილები გაგრძელდა, შეიძლება სანქციების შემოღებაც, მაგრამ სანქცია არ უნდა იყოს მეტისმეტად მკაცრი და დამამცირებელი. თანაც თავდაპირველად ბავშვს აუცილებლად უნდა ვესაუბროთ იმაზე, რატომ არის ტყუილი მიუღებელი და რა შეიძლება მოჰყვეს მას. სასურველია, სანქცია იყოს იმგვარი, რომ პატარა საკუთარი საქციელის უმართებულობაზე დააფიქროს. ეს შეიძლება იყოს წერილის მიწერა ან დახატვა იმისთვის, ვინც ამ ტყუილმა დააზარალა (ოღონდ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ბავშვი მზად არის ამისთვის), დახატვა/დაწერა ორიდან ხუთამდე ვარიანტისა, რა შეიძლება მოჰყვეს ტყუილს და როგორ მოიქცევა ბავშვი სხვა დროს ასეთივე სიტუაციაში.

გარდა ამისა, ჩვენს ქცევასაც უნდა გადავავლოთ თვალი – ხომ არ მიგვიცია შინ თუ სკოლაში ბავშვისთვის ამის მაგალითი? მაგალითად, დავპირებივართ, რომ თუ დავალებას შეასრულებდა, ანიმაციურ ფილმს ვაჩვენებდით და დაგვვიწყებია ან დავალების შეუსრულებლობისას ხელი დავგიფარებია იმ მიზეზით, თითქოს გუშინ სიცხე ჰქონდა? ამ შემთხვევაში დიდია ალბათობა, ბავშვმა მოგებაძოს.

დასასრულს შემოგთავაზებთ ამერიკელი ფსიქოლოგის პოლ ეკმანის მოსაზრებას: აუცილებელია, ბავშვს თავიდანვე შეგუთანხმდეთ იმაზე, რომ ნდობა ძალიან მნიშვნელოვანია; ბავშვმა წინასწარ უნდა იცოდეს, რაც არ უნდა ჩაიდინოს, უმჯობესია, არ დაუმალოს უფროსს და არ შეაღამებოს თავისი ქცევა, მაგრამ თუ უფროსი მაინც გაუწყრა, შეახსენოს შეთანხმება, რომ საამაყოა, როდესაც ადამიანი ახერხებს, იპოვოს სიმართლის თქმის ძალა. თუ ბავშვის საქციელმა ძალიან გაგვაბრაზა, ჯობს საუბარი გადავდოთ, სანამ არ შევძლებთ საკუთარი ემოციების მართვას, ვინაიდან აგრესია ბავშვს გაუჩენს მოტივაციას, მომავალში უფრო დახვეწილად დაგვიმალოს ჩადენილი „დანაშაული“. როდესაც ბავშვი დარწმუნებულია ჩვენს კეთილგანწყობასა და სიყვარულში, იგი ნაკლებად ცდილობს ჩვენს მოტყუებას.

ამბის მიტანა – პასუხისმგებლობიანი ქცევა თუ ირიბი აგრესიის გამოხატულება

დაწყებითი კლასების მოსწავლეებს ხშირად მიაქვთ ენა მასწავლებლებთან, რომ თანაკლასელმა მათ აწყენინა ან, უბრალოდ, არასწორად მოიქცა. პედაგოგები დილემის წინაშე დგებიან: როგორ მოახდინონ რეაგირება იმგვარად, რომ არც მოსწავლის ჩივილი დატოვონ უყურადღებოდ და არც ასეთი ქცევა განუმტკიცონ?

ენის/ამბის მიტანა ქცევის დასწავლილ ტიპს მიეკუთვნება, რომელიც უმთავრესად უფროსი სკოლამდელი და უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვებისთვის არის დამახასიათებელი. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, თუ უფროსმა ამაზე არასწორი რეაგირება მოახდინა, შესაძლოა, ამგვარი ქცევა უფროს ასაკში ჩამოყალიბდეს სხვისი განკიცხვის, ჭორაობის ჩვევად, რაც აგრესიის ირიბ გამოვლენას წარმოადგენს.

თუ ბავშვს ხშირად მიაქვს ენა, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოტივს: მას ან სხვა ბავშვს მართლა ემუქრებათ საფრთხე; ბავშვმა არ იცის, როგორ მოიქცეს ამა თუ იმ სიტუაციაში და დახმარებისთვის უფროსს მიმართავს; მიაჩნია, რომ დაბეზლებით გიცავთ თქვენ; გაბრაზებულია ვინმეზე და ენის მიტანით ცდილობს მასზე შურისძიებას; ახდენს ძალაუფლების დემონსტრირებას (სხვისი ვნება სხვისი ხელით კონტროლის მნიშვნელოვანი მექანიზმია); უბრალოდ, უმართებულო ფორმით ცდილობს თქვენი ყურადღების მიპყრობას (მაგ.: „მასწ, დღეს მე შევასრულე დავალება, ლუკამ კი – არა!“)

საგულისხმოა ისიც, რომ დაბეზლება ხელს უშლის ჯგუფში თანამშრომლობითი ატმოსფეროს შექმნას. ამგვარმა ქცევამ შესაძლოა გაამწვავოს ურთიერთობა სიბლინგებს (და-ძმას) შორისაც.

გთავაზობთ სამ ძირითად ნაბიჯს ამ პრობლემის მოსაგვარებლად:

1-ელი ნაბიჯი: დაბეზლებასა და ამბის შეტყობინებას შორის განსხვავების დაფიქსირება

უფროსისთვის იმის შეტყობინება, რომ თანაკლასელმა რაიმე დაიშავა ან შეიძლება დაიშავოს, ენის მიტანა/დაბეზლება არ არის. ეს პასუხისმგებლო-

ბიანი ქცევაა. ამ შემთხვევაში ქცევის მიზანი საფრთხის თავიდან აცილება/შემცირებაა და არა სხვისთვის ზიანის მიყენება. ბავშვს მაღლობა უნდა გადაუხადოთ იმისთვის, რომ დროულად შეამჩნია საფრთხე და ვითარების გამოსწორება სცადა. სასურველია, ბავშვმა იცოდეს, ვის მიმართოს ამა თუ იმ შემთხვევაში დახმარებისთვის. შეგვიძლია, მას სიტუაციური ამოცანებიც შევთავაზოთ იმის გასაგებად, რომელი ქცევა ემსახურება თავის/სხვის დაცვას და რომელი – სხვისთვის ზიანის მიყენებას, რათა ბავშვმა მათ შორის განსხვავება დაინახოს. მაგ., მაიამ შეამჩნია, რომ ბიჭები კიბის მოაჯირზე სრიალებდნენ და უფროსებს შეატყობინა – ამ შემთხვევაში მაიამ იბრუნა სხვებზე; თანაკლასელი მაიას ეუბნება, რომ აღარ იმეგობრებს მასთან, თუ არ მისწერს მეორე თანაკლასელს შეურაცხყოფელ წერილს – აქ მაიას დახმარება, დაცვა ან იმის სწავლება სჭირდება, როგორ უნდა განახორციელოს ასერტუული ქცევა. ასეთ ვითარებაში კარგია, რომ მოსწავლემ თქვენ მოგმართათ დახმარებისთვის. მაგრამ თუ მაიას სურდა ეჩვენებინა, რომ ის სხვებზე უკეთ ასრულებს დავალებას და განაცხადა, მე ფაქიზად შევასრულე ის, სხვებმა კი ულამაზოდო, ამით მან სხვების მიმართ ინსტრუმენტული აგრესია გამოავლინა – ხაზი გაუსვა საკუთარ უპირატესობას (სიტუაციების შეთხზვისას ამბავი გამოგონილ პერსონაჟებს უნდა ეხებოდეს და არა რეალურ ადამიანებს).

მე-2 ნაბიჯი: „არ ვაბეზღებთ ერთმანეთს!“

მას შემდეგ, რაც მოსწავლეები დაინახავენ განსხვავებას ზიანის მიყენების, შურისძიების, საკუთარი უპირატესობის ხაზგასმისკენ მიმართულ ქცევასა და საფრთხის შემცველი სიტუაციის შესახებ გამაფრთხილებელ ქცევას შორის, უნდა შემოვიღოთ წესი: არ ვაბეზღებთ ერთმანეთს! უნდა დავეხმაროთ მოსწავლეებს ერთი რამის გაცნობიერებაში: „თუ ეს არ გავამხილე, ამით მე ან ჩემ გარშემო მყოფები ხომ არ დავზარალებით? სასარგებლოა თუ უსარგებლოა ეს შეტყობინება ჩვენთვის?“ ამგვარი კითხვების დასმით თქვენ ხაზს უსვამთ, რომ მოისმენთ მხოლოდ მნიშვნელოვან ინფორმაციას.

მე-3 ნაბიჯი: პრობლემებთან გამკლავების უნარის განვითარება

უფროსისთვის ამბის მიტანის მიზეზი ხშირად ის არის, რომ ბავშვმა არ იცის, როგორ მოიქცეს ამა თუ იმ სიტუაციაში და თქვენ გთხოვთ მასზე რეაგირებას. ბუნებრივია, უფროსები უნდა დავეხმაროთ ბავშვებს, მაგრამ თუ ყოველთვის ჩვენ მოუუგვარებთ პრობლემებს, ისინი ვერ ისწავლიან სირთულეების დაძლე-

ვას და ვერ ირწმუნებენ, რომ ზოგიერთი პრობლემის მოგვარება უკვე დამოუკიდებლად შეუძლიათ. თუ ბავშვი ხშირად მოგმართავთ თხოვნით, მოუგვართ პრობლემა, თქვენ კი მიგაჩნიათ, რომ ზოგიერთი დაბრკოლების გადალახვა მას უკვე დამოუკიდებლად უნდა შეეძლოს, ხელი შეუწყვეთ აღნიშნული უნარის განვითარებას. ამაში ოთხსაფეხურიანი მოდელი დაგეხმარებათ.

მოდელის სადემონსტრაციოდ გთავაზობთ სიტუაციას, რომელიც დაძმას – კოტესა და სოფოს ეხება. სოფო 10 წლისაა, კოტე კი 6-ის.

სოფო მიმართავს დედას: „გინდა გითხრა, რას აკეთებს კოტე?“

1. მნიშვნელოვანია, ერთი რამ: სანამ ამბავს მოგიტანდეთ, ბავშვი დაფიქრდეს, მისი საქმეა თუ არა ეს. სთხოვეთ სოფოს, დაფიქრდეს, ეხება თუ არა მას კოტეს ქცევა.
2. იმის გაანალიზება, რაში მდგომარეობს პრობლემა. მაგ., კოტემ შესაძლოა რამე დაიშავოს – ის კარადიდან ჭიქის ალებას ცდილობს და შესაძლოა ჩამოვარდეს. აღნიშნული სიტუაციიდან გამომდინარე, პირველი ორი საფეხური რომ გავაანალიზოთ, კოტეს ქცევა საფრთხის შემცველია – ის ჩემი ძმაა და შესაძლოა დაშავდეს, მაშ, ეს ქცევა გვეხება ჩვენ და მისი გამოსწორება უნდა ვცადოთ. მაგრამ თუ კოტე თანაკლასელს ახალი მულტფილმის შესახებ უყვება, ეს უკვე მისი პირადი საქმეა.
3. რით შეგიძლია პრობლემის მოგვარება? – „მე შემიძლია ჩამოვუღო ჭიქა ან მივცე სხვა, რომელიც უფრო ხელმისაწვდომ ადგილას დგას“.
4. პრობლემის მოგვარების საუკეთესო გზის არჩევა და მისი განხორციელება. „რა ჯობს, სოფო?“ – „ჯობს, სხვა ჭიქა მივცე“. აქ საჭიროა დაზუსტება: „შეგიძლია, თავად მისცე ჭიქა ძმას?“

ამის შემდეგ აუცილებლად უნდა შევაქოთ სოფო იმისთვის, რომ ძმას დაეხმარა.

ამგვარი მოდელით ბავშვმა უნდა განასხვავოს შეტყობინება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ უბრალო ჭორაობისგან/დაბეზღებისგან. მან უნდა იცოდეს: თუ მიაჩნია, რომ მას ან სხვას საფრთხე ემუქრებათ, აუცილებლად უნდა გაუწყოს ამის შესახებ; მოგმართოთ მაშინაც, როცა დაბნეულია და არ იცის, როგორ მოიქცეს. ასეთ დროს მას მადლობა უნდა გადაუხადოთ ნდობისთვის და დაეხმაროთ როგორც პრობლემის მოგვარებაში, ისე მის მოსაგვარებლად საჭირო უნარების განვითარებაში.

ქეთევან ოსიაშვილი

1	რატომ გაურბიან მოზარდები სკოლას	37
2	სწავლების საწყის ეტაპთან დაკავშირებული პრობლემების თავიდან აცილების გზები	41
3	სასკოლო შფოთიანობა და მისი გავლენა ბავშვის პიროვნების ფორმირებაზე	45
4	ემოციური თავისებურებები და ბავშვის ქცევის მართვა	54
5	როგორ მოვიპოვოთ ბავშვის ნდობა და სიყვარული	59
6	როგორ შევუნარჩუნოთ ბავშვს სკოლისა და სწავლისადმი ინტერესი	63
7	პრობლემის მოგვარება მიზეზების გარკვევით უნდა დავიწყოთ	66
8	სასჯელი და მისი გამოყენების ფსიქოლოგიური კანონზომიერებები	70
9	სასკოლო დატვირთვა და ბავშვის ჯანმრთელობა	74
10	სკოლის შიში და მისი დაძლევის გზები	79
11	როგორ გამოვუმუშაოთ ბავშვს თითკონტროლის უნარი	82
12	ნუ ვაქცევთ შეფასებას სასჯელად	86
13	აგრესიულობა ბავშვებში	89
14	სასკოლო ფობია – გამომწვევი მიზეზები და დაძლევის გზები	93
15	ნევროზი ბავშვებში	98
16	როგორ მოქმედებს მეტსახელი ბავშვზე	102
17	ნუ მოვთხოვთ ბავშვს, იყოს იდეალური	105
18	რატომ ტირიან ბავშვები	109
19	ბავშვები „ჭკვიანი ტექნიკის“ ტყვეობაში	114

რატომ გაურბიან მოზარდები სკოლას

პედაგოგებს მუდამ აწუხებდათ მოსწავლეთა დაუინტერესებლობა სკოლით, სასწავლო პროცესით. მაინც რატომ გაურბის ბავშვი სკოლას? ეს ხომ ის ადგილია, სადაც მას თავისი ინტელექტუალური მოთხოვნილებისა და შემეცნებითი ინტერესის დაკმაყოფილება შეუძლია. აი, ორი ყველაზე ტიპობრივი კითხვა, რომელსაც, პრობლემიდან გამომდინარე, პედაგოგები სვამენ:

- „ერთ-ერთი მოსწავლე არ დადის სკოლაში. მასწავლებლების გადმოცემით, აქვს ძველი ბიჭის იმიჯი. არ ვიცი, რა მოვიმოქმედო, რომ სკოლაში დაბრუნდეს. მეცხრე კლასის ატესტატი ხომ მაინც უნდა მიიღოს? ვესაუბრე. დამპირდა, ვივლიო, მაგრამ უშედეგოდ. როგორ მოვიქცე?“ (რუსული ენის მასწავლებელი)
- „მეთორმეტე კლასში ერთი ბიჭია. არ უნდა სწავლა და პროტესტის ნიშნად მესაუბრება სვანურად. მე რუსულს ვასწავლი. როგორ მოვიქცე?“ (რუსული ენის მასწავლებელი)

ნებისმიერი პრობლემის მოგვარება იწყება იმ ქცევის მოტივების ძიებით, რომელიც აღნიშნულ პრობლემას ქმნის. ბავშვის ქცევის მოტივის მიგნება ძნელია, მასთან საუბარი უშედეგოა, რადგან მის ქცევას არცთუ იშვიათად ქვეცნობიერი მოტივები განაპირობებს. ამ დროს დაკვირვება და პირადი გამოცდილება შესაძლოა საუკეთესო მრჩეველებად მოგვევლინოს. როდესაც სკოლისა და სწავლისადმი უფროსკლასელის უარყოფით დამოკიდებულებებზე ვსაუბრობთ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს დამოკიდებულება შესაძლოა სწავლის ადრეულ ეტაპზე, ჯერ კიდევ დაწყებით კლასებში იყოს ჩამოყალიბებული. ბავშვების დიდი უმრავლესობა პირველ ხანებში სიხარულით მიდის სკოლაში, მაგრამ მალე უმრავლესობისთვის სასწავლო პროცესი კარგავს ადრინდელ მომხიბვლელობას და მშობლებს იძულებით უხდებათ მათი სამეცადინოდ დასმა. დილაობით კი ასეთი ბავშვები ათასნაირ ხერხს მიმართავენ, რომ სკოლისგან თავი დაიძვრიონ.

საინტერესოა, რატომ ეცვლება მოწაფეს ასე მალე სკოლისადმი დამოკიდებულება.

ბავშვები შესაძლებლობებითა და უნარებით ერთმანეთისგან განსხვავდებიან, ამიტომ ყველა ერთნაირი წარმატებით ვერ ასრულებს დავალებებს. მარცხისა და წარუმატებლობის სისტემატური განცდა კი იწვევს უარყოფით დამოკიდებულებას სწავლისა და სკოლის მიმართ. როგორც დაკვირვება გვჩვენებს, პატარებს არ უყვართ იმის კეთება, რაშიც მუდმივად მარცხს განიცდიან. წარუმატებლობა ბავშვს უკარგავს დავალების შესრულების სურვილს. ამდენად, თუ გვინდა, მოსწავლეს თავიდანვე შევუნარჩუნოთ სკოლისა და სწავლისადმი დადებითი დამოკიდებულება, უნდა მოვახდინოთ დავალებების დიფერენცირება და დროდადრო ბავშვს ისეთი სამუშაო შევთავაზოთ, რომელშიც ის წარმატებას მიაღწევს. წარმატებულობის განცდა მომავალში სასწავლო მოტივაციის შენარჩუნების მნიშვნელოვანი წინა პირობაა.

რა შეიძლება მოხდეს, თუ დროულად არ დავცხმარებთ ბავშვს წარუმატებლობისა და მარცხის დაძლევისა და თავისი თუნდაც უმნიშვნელო შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენაში?

ცნობილია, რომ სასკოლო სწავლების საწყის ეტაპზე ბავშვის სოციალური სტატუსი ჯგუფში, მისი სოციალური აღიარება თანატოლთა მხრიდან უშუალოდ უკავშირდება მის სასწავლო წარმატებებს. როცა ბავშვს სწავლა უჭირს, თანატოლები ინტერესს არ იჩენენ მის მიმართ, არ გამოხატავენ მასთან მეგობრული ურთიერთობის სურვილს. უფრო მეტიც – არცთუ იშვიათად, ასეთ ბავშვს იმთავითვე მიეკერება ხოლმე „სუსტის“ იარლიყი, რომელიც წლობით მიჰყვება მას და აბრკოლებს მისი თვითრეალიზაციის პროცესს. გარკვეულ პერიოდამდე ბავშვი სერიოზულ ძალისხმევას არ იჩენს უახლოეს სოციალურ გარემოცვაში საკუთარი მდგომარეობის შესაცვლელად, მაგრამ გარდამავალი ასაკის დასაწყისში, როდესაც აქტუალური ხდება ყურადღების, პატივისცემის, აღიარების მოთხოვნილების დაკმაყოფილება, მოზარდი ყოველგვარი საშუალებით, თანაც ძალიან აქტიურად იწყებს „ბრძოლას“ ჯგუფში საკუთარი მდგომარეობის შესაცვლელად და თანატოლებისგან აღიარების მოსაპოვებლად. ბუნებრივია, ასეთი ბავშვები სწავლაში სისტემატური ჩამორჩენის გამო სასწავლო წარმატებებით ვერ მოახერხებენ თანატოლთა შორის პოზიციის შეცვლას, ამიტომ მიზნის მისაღწევად ხშირად მიუღებლად იქცევიან – ელექობენ, ხელს უშლიან მასწავლებელს, ცდილობენ გაკვეთილის ჩაშლას. სწორედ ასეთი ქცევით ცდილობენ „მაგარი“ ბიჭის იმიჯის დამკვიდრებას და პო-

პულარობის მოპოვებას. ზოგიერთი ახერხებს კიდეც ამას. შედეგად კლასები, რომლებშიც ისინი სწავლობენ, უმართავები ხდებიან და დიდ სირთულეებს უქმნიან პედაგოგებს. თუ მოზარდი პედაგოგთან „ორთაბრძოლაში“ დამარცხდა და სასურველი იმიჯის მოპოვება ვერ მოახერხა, ის თავს არიდებს სასწავლო პროცესს, გარბის სკოლიდან და გარეთ, ქუჩაში, ეძებს იმ წრეს, სადაც აღიარებენ, მოუსმენენ და პატივისცემით მოეპყრობიან. ამრიგად, ერთ დროს მშვიდი, წყნარი, შეუმჩნეველი ბავშვი, რომელიც, მართალია, არ სწავლობდა, მაგრამ არც ხელს უშლიდა მასწავლებელს და თანაკლასელებს, უფროს სასკოლო ასაკში შესაძლოა სერიოზულ პრობლემად იქცეს ოჯახისა და სკოლისთვის.

ადამიანის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოთხოვნილებას, თვითრეალიზაციის მოთხოვნილებას, მოზარდი სასწავლო პროცესში უნდა იკმაყოფილებდეს, ვინაიდან სასკოლო პერიოდში სწორედ სწავლაა ქცევის წამყვანი ფორმა. მოსწავლე, რომელიც წლების განმავლობაში ჩამორჩებოდა ამ კუთხით, ცხადია, აქ ვერ მოახერხებს თვითრეალიზაციას, არარეალიზებული პიროვნება კი უახლოეს სოციალურ გარემოცვაში ხშირად ასაფეთქებლად გამბადებული ნაღმია.

რა შეიძლება ვუპასუხოთ ზემოთ მოყვანილი კითხვების ავტორებს? როგორც კითხვებიდან ჩანს, ორივე შემთხვევაში საუბარია უფროსკლასელ მოსწავლეზე. ამასთან, პრობლემას ორივეჯერ უცხო ენის, კერძოდ, რუსულის მასწავლებელი შეეჯახა. არც პირველ, არც მეორე შემთხვევაში მოზარდი ამ საგნის ცოდნით არ უნდა გამოირჩეოდეს. პირველი მათგანი შესაძლოა იმიტომ არ დადიოდეს სკოლაში, რომ „ძველი ბიჭის“ იმიჯის დაკარგვა აშინებდეს. მისი თვალთახედვით, „ძველი ბიჭი“ ყველაფერში „მაგარი უნდა იყოს, რუსული ენის გაკვეთილზე კი მისი „სუსტი მხარეები“ შესაძლოა ყველასათვის ადვილი შესამჩნევი გახდეს, რაც მის იმიჯს სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის. მეორე მოზარდი, მართალია, დადის სკოლაში, მაგრამ საკუთარი სისუსტის შესანიშნავად მასწავლებელს სვანურად ესაუბრება. მასწავლებელი აცხადებს, რომ მას სწავლა არ უნდა. იქნებ უნდოდეს კიდეც, მაგრამ წლების განმავლობაში ჩამორჩენამ თავისი კვალი დატოვა მასზე, მეთორმეტე კლასში კი სწავლის დაწყება, თანაც – უცხო ენის სწავლისა, არც ისე ადვილი იქნება. ამ მოსწავლეს საგნის შესასწავლად ნამდვილად სჭირდება დამატებითი, ინდივიდუალური მუშაობა, მაგრამ, როგორც ჩანს, უჭირს ამის აღიარება და მასწავლებლისთვის თხოვნა. ამიტომ მან საკუთარი „ძალის“ დემონსტრირე-

ბა დაიწყო – პედაგოგს სვანურად ესაუბრება, რადგან იცის, რომ ის მას ვერ გაუგებს. ასეთი ქცევით მოზარდს შესაძლოა იმის თქმა სურდეს, რომ მანაც იცის რაღაც ისეთი, რაც არ იცის მასწავლებელმა და, ამდენად, ის არც ისეთი სუსტია, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს.

როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში პრობლემის მოსაგვარებლად მასწავლებელი უნდა დაეხმაროს მოსწავლეს თვითრეალიზაციის მოთხოვნების დაკმაყოფილებაში. სწავლების თანამედროვე მეთოდების მრავალფეროვნება ამ მხრივ დიდ დახმარებას გაუწევს პედაგოგს. აქვე უნდა ითქვას, რომ როდესაც მეთერთმეტე-მეთორმეტეკლასელი სკოლაში არ დადის, შესაძლოა, ეს ოჯახური მდგომარეობითაც იყოს განპირობებული. ამ ასაკის მოზარდი, განსაკუთრებით – რაიონებში, ხშირად სერიოზული დამხმარე ძალაა ოჯახისთვის, ამიტომ მას და ხშირად მშობელსაც ურჩევნია, მოზარდმა ოჯახს მოახმაროს თავისი ძალა და ენერგია, ვიდრე ყოველდღიურად იაროს სკოლაში, სადაც ახალს უკვე ველარაფერს ისწავლის წლების განმავლობაში ჩამორჩენის გამო. ამრიგად, შესაძლოა, 12-წლიანი სასკოლო სწავლების საკითხი ხელისუფლების მხრივ საფუძვლიან გადახედვას მოითხოვდეს. ხშირად არც მოზარდს და არც მშობელს არ სურთ, სწავლა 12 წელი გრძელდებოდეს, მაგრამ მაინც ვერ ტოვებენ სკოლას, ვინაიდან ამ შემთხვევაში თავს იჩენს ბავშვის დასაქმების პრობლემა. ხოლო თუ შეიქმნა პროფესიული სასწავლებლების ფართო ქსელი, შესაძლოა, მრავალმა მოზარდმა სკოლაში ამოდ ჯდომას ასეთ სასწავლებელში სწავლა და კონკრეტული ხელობის, პროფესიის დაუფლება ამჯობინოს. ყოველივე ეს საგრძნობლად გააუმჯობესებდა მდგომარეობას სასკოლო სწავლების მესამე საფეხურზე, რადგან სკოლაში დარჩებოდნენ მოზარდები, რომლებსაც სწავლის გაგრძელების საფუძველიც ექნებოდათ და სურვილიც.

სწავლების საწყის ეტაპთან დაკავშირებული პრობლემების თავიდან აცილების გზები

მთელი სასკოლო პერიოდი, პირველი კლასიდან სკოლის დამთავრებამდე, სირთულეებითაა სავსე. ამას უმთავრესად აღნიშნული პერიოდისთვის დამახასიათებელი ასაკობრივი თავისებურებები განაპირობებს.

პირველ სერიოზულ პრობლემას სასკოლო ცხოვრების დასაწყისშივე ვაწყდებით და ის ბავშვის სკოლისათვის მზაობის საკითხს უკავშირდება.

ნებისმიერი მშობელი მოუთმენლად ელის იმ დღეს, როცა მისი შვილი სკოლის ზღურბლს გადააბიჯებს. პირველი დღე ბავშვისთვისაც დიდ მღელვარებასთან არის დაკავშირებული – იწყება მისი ცხოვრების ახალი ეტაპი. რამდენად საინტერესო და მიმზიდველი იქნება მომავალში მისთვის სკოლა, ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, როგორ არის მომზადებული ის სწავლის დასაწყებად. ბევრ მშობელს მიაჩნია, რომ თუ ბავშვს შეუძლია წერა-კითხვა და თვლა, ის სკოლისთვის მზად არის, განურჩევლად იმისა, შეუსრულდა თუ არა სასკოლო ასაკი და აქვს თუ არა ფიზიკური და სოციალური მზაობა სწავლის დასაწყებად. წერა-კითხვის ცოდნა ხშირად ხელის შემშლელ ფაქტორადაც კი იქცევა და მნიშვნელოვნად აქვეითებს ბავშვის სასწავლო მოტივაციას იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ასეთ ბავშვს იმ მოწაფეების გვერდით უწევს სწავლა, რომლებიც ახალაა, სკოლაში შესვლის შემდეგ, იწყებენ ანბანის შესწავლას. უმჯობესია, წერა-კითხვის სწავლების ნაცვლად სკოლამდელ პერიოდში მშობლებმა ყურადღების, ამროვნების, მეხსიერების, ნებისყოფისა და მოსმენის უნარის განვითარებაზე იზრუნონ. ამით ისინი დიდ სამსახურს გაუწევენ სკოლასაც და საკუთარ შვილსაც, ვინაიდან სასწავლო საქმიანობა სწორედ აღნიშნული უნარების განვითარებას მოითხოვს. არცთუ იშვიათია შემთხვევა, როცა სკოლაში სიხარულით მოსული ბავშვი სწრაფად კარგავს სწავლისადმი ინტერესს. ამ მოვლენის მიზეზთა ძიებისას გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ სკოლაში შემოსვლისა და მოსწავლის როლის მიღების შემდეგ ბავშვის ცხოვრების რეჟიმი და უფროსების მიერ მის მიმართ წაყენებული მოთხოვნები თითქმის სრულიად იცვლება. სკოლამდელ პერიოდში ბავშვის ძირითადი საქმიანობა თამაშია, ის თამაშით ცხოვრობს და თამაშით ვითარდება. სკოლაში შემოსვ-

ლის შემდეგ თამაშს სწავლა ენაცვლება. ბავშვს სულ უფრო ნაკლები დრო რჩება თავისი საყვარელი საქმიანობისათვის. უფრო მეტიც, ხშირად მას საერთოდ უკრძალავენ თამაშს იმ მიზეზით, რომ გაკვეთილები აქვს მოსამზადებელი და საშინაო დავალება – დასაწერი. ბავშვის უარყოფითი დამოკიდებულება სწავლისადმი შეიძლება გამოიწვიოს ასევე უფროსების მხრივ მისი სასწავლო საქმიანობის მუდამ უარყოფითმა შეფასებამ და გაუთავებელმა შენიშვნებმა. სასკოლო სწავლისადმი დადებითი დამოკიდებულების შესამუშავებლად და ცხოვრების ახალ ეტაპზე უმტკივნეულოდ გადასასვლელად სასურველია საშუალება მივცეთ ბავშვს, დროის გარკვეული ნაწილი კვლავ თამაშს დაუთმოს. უფრო მეტიც – გაცილებით უკეთეს შედეგს მივიღებთ, თუ სასწავლო საქმიანობაში და დავალებების შესრულების დროს აქტიურად გამოვიყენებთ თამაშის ელემენტებს. ამით საგრძნობლად გავაძლიერებთ ბავშვის სასწავლო ინტერესს და სწავლას მისთვის უფრო მიმზიდველს გავხდით. სწავლისადმი დადებითი დამოკიდებულების შენარჩუნებაში ასევე დაგვეხმარება რაც შეიძლება მეტი დადებითი კომენტარის გამოყენება ბავშვის სასწავლო საქმიანობის შეფასების დროს და უარყოფით კომენტარებსა და საყვედურებზე უარის თქმა. უნდა გავითვალისწინოთ: დაწყებითი კლასების მოსწავლე, სწავლების პირველ წელს მაინც, თავისი შესაძლებლობების მაქსიმალურად ამოქმედებით ცდილობს დავალებების შესრულებას, და თუ, მცდელობის მიუხედავად, მან მაინც ვერ მოახერხა დავალების ჩვენთვის მოსაწონად შესრულება, მას გაკიცხვა და საყვედურები კი არა, დახმარება სჭირდება. ნებისმიერ მშობელს სურს, მისი შვილი საუკეთესო იყოს, საუკეთესო განათლება მიიღოს და რაც შეიძლება მეტს მიაღწიოს ცხოვრებაში, ამ მიზნის მიაღწევად კი სკოლაში შეყვანის პირველივე დღეებიდან მაქსიმალურად ტვირთავს ბავშვს და ნაკლებად ითვალისწინებს მის ასაკობრივ თუ ინდივიდუალურ თავისებურებებს. შესაძლებლობებითა და პიროვნული მახასიათებლებით ბავშვები ერთმანეთისგან განსხვავდებიან. თუ გვსურს დავეხმაროთ ბავშვს თავისი შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენაში, ვეცადოთ, მისი სულ მცირე წარმატებაც კი არ დავტოვოთ უყურადღებოდ და სათანადოდ შევავასოთ მისი საქმიანობა. დადებითი კომენტარები დაეხმარება ბავშვს, ერთი მხრივ, საკუთარი ძალების რწმენის გაძლიერებაში და, მეორე მხრივ, განვითარების ხელშემწყობი თვითშეფასების ჩამოყალიბებაში. დადებითი კომენტარები ბავშვს თანატოლთა წრეში თვითდამკვიდრებასა და ჯგუფთან სოციალური ადაპტაციის წარმატებით განხორციელებაშიც დიდ დახმარებას გაუწევს.

აღსანიშნავია, რომ სწორედ დაწყებით კლასებში, უფროსების შეფასების სფეროებზე მოპოვებული სოციალური სტატუსი განსაზღვრავს უახლოეს მომავალში ბავშვის როგორც ქცევას, ასევე სასწავლო საქმიანობასაც. ხელსაყრელი სოციალური სტატუსი და თანატოლთა მხრივ აღიარება, რომელსაც სასკოლო სწავლების პირველივე დღეებში ეყრება საფუძველი, წარმატებების მნიშვნელოვანი წინაპირობა შეიძლება გახდეს. ამასთან, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ განწყობა-დამოკიდებულებებისა და უნარ-ჩვევების სწორად ჩამოყალიბება გაცილებით ადვილია, ვიდრე უკვე ჩამოყალიბებული შეცვლა. კორექციული მუშაობა საკმაოდ რთულ პროცესად არის მიჩნეული და სასურველი შედეგის მიღწევაც, სამწუხაროდ, ყოველთვის ვერ ხერხდება. თუ სწავლების პირველ წლებში აქტიურად დავებმარებით ბავშვს, უმტკივნეულოდ და წარმატებით გაიაროს სკოლასთან ადაპტაციის პროცესი, უახლოეს მომავალში მის განვითარებაში შედარებით ნაკლები პრობლემები გვექნება.

მაგრამ იმისთვის, რომ სასკოლო სწავლების საწყის ეტაპზე პედაგოგმა შეძლოს ბავშვის პიროვნების ფორმირების პროცესისთვის სწორი გეზის მიცემა და იმ უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება, რომლებიც სასკოლო სწავლების წარმატებით განხორციელებას უზრუნველყოფს, მას გარკვეული წინაპირობები სჭირდება. უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია სასკოლო ასაკის სწორად განსაზღვრა. უახლოეს წარსულში ხუთწლიანთა სწავლებაზე გადასვლამ სერიოზული პრობლემების წინაშე დააყენა როგორც სკოლა და მასწავლებელი, ასევე მშობელიც. სასკოლო ასაკის ხუთ წლამდე შემცირება იმ პირობებში, როდესაც პირველი კლასის მოქმედი სასწავლო სტანდარტი და პირველკლასელთა სასკოლო სახელმძღვანელოები ექვსწლიანებისთვის არის შექმნილი, დიდ თავსატეხს უჩენდა ჩვენს პედაგოგებს. მიუხედავად იმისა, რომ ხუთწლიანებთან სასწავლო პროცესში მათ სერიოზული ცვლილებების შეტანის უფლება მიეცათ და ამისთვის მრავალი მათგანი სპეციალურად გადამზადდა კიდევ, ისინი ხშირად გაურბოდნენ ძირეულ ცვლილებებს, ვინაიდან ხვდებოდნენ, რომ ასეთ პირობებში შესაძლოა დროის დეფიციტს ეჩინათ თავი და წლის ბოლოს პირველი კლასის სტანდარტით გათვალისწინებული შედეგების მიღწევა გასჭირვებოდათ. ფსიქოლოგიაში ხუთიდან ექვს წლამდე პერიოდი სერიოზული ცვლილებების ხანად არის ცნობილი. ამ პერიოდში ერთ თვეში კი არა, შეიძლება ერთ კვირაშიც ისეთი ცვლილებები მოხდეს ბავშვის განვითარებაში, რომ მისი სკოლისათვის მზაობის დონე სრულიად

შეიცვალოს. ამდენად, ხომ არ აჯობებდა, რომ ბავშვს არასასკოლო გარემოში მშვიდად გაეცლო სასკოლო სწავლისთვის მოსამზადებელი პერიოდი, რათა უფრო მომზადებული შეხვედროდა სკოლაში სწავლის დაწყებას?

მისასალმებელია, რომ კანონში შეტანილი ცვლილების საფუძველზე, სკოლებს უკვე ეკრძალებათ ხუთწლიანთა ჩარიცხვა პირველ კლასში. თუმცა, იმ ბავშვებს, რომლებმაც ხუთი წლის ასაკში დაიწყეს სწავლა, სკოლა ჯერ არ დაუმთავრებიათ და შესაძლოა გარკვეული სირთულეების გადალახვა უკვე მოუხდათ ან მომავალში მოუწევთ ამის გაკეთება.

საყურადღებოა, რომ მშობლები ხშირად ძალიან ჩქარობენ ბავშვის, განსაკუთრებით კი პირველი შვილის სკოლაში მიყვანას. შესაძლოა, ეს მათ ქვეცნობიერად ბავშვთან დაკავშირებული გეგმების სწრაფად განხორციელების ილუზიას უქმნის. ბევრი მშობელი ხუთი წლის ბავშვის სკოლაში შეყვანას ახლაც ახერხებს, როდესაც კანონით სასკოლო სწავლების საწყისი ასაკი 6 წელია, თუმცა მოგვიანებით, როცა ბავშვის სასკოლო სწავლებისას სერიოზულ პრობლემებს წააწყდებიან, სამართლიანად ეჭვქვეშ აყენებენ საკუთარი გადაწყვეტილების სისწორეს. იქნებ ღირდეს ასეთი შემთხვევების გაანალიზება და მათი სათანადოდ შეფასება უახლოეს მომავალში მოსალოდნელი სირთულეების თავიდან ასაცილებლად. ერთი წელი უფროსებისთვის ბევრს არაფერს წყვეტს, ბავშვისთვის კი შესაძლოა საბედისწერო აღმოჩნდეს. ალბათ საჭიროა, სერიოზული ანალიზისა და განსჯის საგნად ვაქციოთ ხუთწლიანთა სწავლების საკითხი, იმისთვის, რომ სწორად განვსაზღვროთ სასკოლო სწავლების საწყისი ასაკი და პირველკლასელთა სასწავლო პროცესი უფრო მიმზიდველი და სასიამოვნო გავხადოთ როგორც ბავშვისთვის, ასევე მასწავლებლისთვისაც, ყოველივე ეს კი მომდევნო სასკოლო ეტაპზე უამრავი სირთულის თავიდან აცილებაში დაგვეხმარება.

სასკოლო შფოთიანობა და მისი გავლენა ბავშვის პიროვნების ფორმირებაზე

ემოციური მდგრადობა და სტაბილურობა ნებისმიერი საქმის წარმატებით განხორციელების უმნიშვნელოვანეს წინაპირობას წარმოადგენს. ემოციურ წონასწორობასა და სულიერი კომფორტის განცდას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება სასკოლო პერიოდში. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, მოსწავლის ქცევითი და სასწავლო პრობლემების ყველაზე მნიშვნელოვან წინაპირობად მის ემოციურ ცხოვრებაში მომხდარი სერიოზული ცვლილებები იქცევა ხოლმე.

ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში ბავშვის ემოციური არამდგრადობისა და არასტაბილურობის სხვადასხვა ფორმას გამოყოფენ. ბავშვის განცდები და შიშები, რომლებიც სასკოლო ცხოვრებას უკავშირდება, შეიძლება ძალიან ინტენსიური და მდგრადი გახდეს. ასეთ ემოციურ დარღვევებს სპეციალისტები სხვადასხვანაირად იხსენიებენ.

ტერმინი „სასკოლო ნევროზი“ გამოიყენება მაშინ, როდესაც მოსწავლეს აღენიშნება „უმიზეზო“ პირღებინება, ტემპერატურის მომატება, მუცლისა და თავის ტკივილები და, ამასთან, ეს ყველაფერი – დილაობით, როცა ბავშვის სკოლაში წასვლის დრო ახლოვდება. არდადეგების პერიოდში და უქმე დღეებში ეს სიმპტომები რატომღაც ქრება.

სასკოლო ფობია აღნიშნავს სკოლასთან დაკავშირებული შიშის უკიდურეს ფორმას. მას შესაძლოა არც კი ახლდეს სხეულებრივი სიმპტომები, მაგრამ სამედიცინო ჩარევის გარეშე მისგან გათავისუფლება ძნელია.

ემოციური არამდგრადობის შედარებით მსუბუქ ფორმას წარმოადგენს სასკოლო შფოთიანობა.

სასკოლო შფოთიანობა – ეს არის ემოციური არაკეთილდღეობისა და დისკომფორტის განცდა, რომელიც დაკავშირებულია რაღაც ცუდის, არასასიკეთოს მოლოდინთან, წარუმატებლობისა და ხიფათის წინათგრძნობასთან.

შფოთვა და მღელვარება ამა თუ იმ დოზით მუდამ თან სდევს ბავშვის სასწავლო საქმიანობას ნებისმიერ, თვით საუკეთესო სკოლაშიც კი. უფრო მეტიც – ადამიანის აქტიური შემეცნებითი საქმიანობა ყოველთვის ერთგვარი მღელვარებისა და შფოთვის ფონზე მიმდინარეობს, რაც ბუნებრივია. ბავშვში

შფოთვის, მღელვარების სრული არარსებობა სიგნალი უნდა იყოს პედაგოგებისა და მშობლებისთვის. სასწავლო საქმიანობაში ყოველგვარ შფოთვას და მღელვარებას მოკლებულნი არიან უზრუნველი, დაუდევარი და ინფანტილური ბავშვები, რომლებსაც სასწავლო მოტივაცია არ გააჩნიათ.

შფოთვა სასწავლო პროცესში წარმატების აუცილებელ პირობასაც კი წარმოადგენს. თუმცა, არცთუ იშვიათად, საქმე გვაქვს შფოთვის დესტრუქციულ გამოვლენასთან. ეს მაშინ, როცა შფოთვა დებორგანიზებას უწევს ბავშვის საქმიანობას და სერიოზულ დაბრკოლებას უქმნის მას წარმატებისკენ მიმავალ გზაზე. ამ დროს ბავშვს ცუდის, არასასიკეთოს მოლოდინი უჩნდება. შფოთიანი ბავშვები ძალიან მგრძნობიარენი არიან წარუმატებლობის მიმართ და მწვავედ რეაგირებენ მასზე. ავადმყოფურად ეშინიათ მარცხის და ხშირად უარს ამბობენ იმ დავალებებზე, რომელთა შესრულებისას სირთულეებს განიცდიან – ამით ისინი მარცხის თავიდან აცილებას ცდილობენ.

სასკოლო შფოთიანობის უარყოფითი შედეგები ხშირად იმითაც ვლინდება, რომ ინტელექტუალურ განვითარებაზე ზემოქმედებით არასასურველ გავლენას ახდენს დივერგენტულ (კრეატიულ, შემოქმედებით) აზროვნებაზე, რომლისთვისაც აუცილებელია ისეთი პიროვნული თვისებები, როგორებიცაა გამბედაობა, სითამამე, შიშის უქონლობა სიახლეებთან შეხვედრისას.

შფოთიან ბავშვებს აქვთ მავნე, ნევროზული ხასიათის ჩვევებისადმი (ფრჩხილების კვნეტა, თითის წოვა, თმების წიწვნა-ამოგლეჯა, ონანიზმი) მიდრეკილება. საკუთარი სხეულით მანიპულირება ამცირებს ასეთი ბავშვების ემოციურ დაძაბულობას და ამშვიდებს მათ.

მართალია, სასკოლო შფოთიანობა ემოციური არამდგრადობის შედარებით მსუბუქი ფორმაა, მაგრამ ის შეიძლება გადაიზარდოს უფრო რთულ ფორმებში და ნევროზის ერთ-ერთ წინაპირობადაც იქცეს. ამდენად, აუცილებელია მუშაობა მის დასაძლევად.

საკორექციო მუშაობის წარმატებით ჩასატარებლად, პირველ რიგში, უნდა დადგინდეს შფოთიანობის მიზეზი, რომელიც საკმაოდ მრავალფეროვანია.

სასკოლო შფოთიანობის მიზეზებია:

- ბავშვის თანდაყოლილი, ნერვულ-ფსიქიკური ორგანიზაციის ბუნება;
- მშობლების გადაჭარბებული მოთხოვნები და ზედმეტი სიმკაცრე („ყველაფერი უნდა გაკეთდეს საუკეთესოდ“; „კარგად სწავლა მხოლოდ უმაღლესი ქულების მიღებას ნიშნავს“);

- სწავლების სისტემისა და მასწავლებლის დამოკიდებულების თავისებურებანი;
- მუდმივი სტრესი და საინფორმაციო გადაცემებიდან მიღებული ნეგატიური ინფორმაციის ნაკადის უარყოფითი ზემოქმედება ბავშვის ფსიქიკაზე;
- მშობლების ჰიპერმზრუნველობა, ზედმეტი მღელვარება და შიში, რამე არ დაემართოს მათ შვილს;
- სკოლის ხშირი ცვლა და ახალ სიტუაციასთან და თანაკლასელებთან გაერთულებული სოციალური ადაპტაცია.
- სოციალური დამოკიდებულებების ცვლილება ბავშვისთვის მნიშვნელოვან სირთულეს წარმოადგენს;
- სასკოლო ცხოვრების დასაწყისში სკოლაში სწავლისთვის მზაობის არასთანადო დონე;
- სწავლისთვის საჭირო ინტელექტუალური ბაზის დეფიციტი;
- ოჯახური პრობლემები;
- აღზრდის მოუქნელი, დოგმატური სისტემა, რომელიც არ ითვალისწინებს ბავშვის ინტერესებს, უნარებსა და მიდრეკილებებს;
- ბავშვის იძულებითი, ძალდატანებითი მონაწილეობა ისეთ საქმეებში, რომლებიც არ აინტერესებს;
- ორიენტაცია ნიშანზე და არა შემეცნების პროცესზე;
- ოჯახისა და სკოლის მიერ ბავშვის მიმართ წაყენებული მოთხოვნების წინაღმდეგობრივი ხასიათი და შეუთავსებლობა;
- წინააღმდეგობა მშობლების პრეტენზიების მაღალ დონესა და ბავშვის რეალურ შესაძლებლობებს შორის;
- პატივისცემის, ყურადღების, აღიარებისა და დამოუკიდებლობის მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა;
- მუდმივი ცვლილებები გარე სამყაროში, ცხოვრების ჩვეული რიტმის დარღვევა;
- აღზრდის ავტორიტარული სტილი, მოთხოვნებისა და შეფასებების არათანამიმდევრულობა;
- დიდი მოცულობის დავალებები და ბავშვის შიში, რომ თავს ვერ გაართმევს მათ;
- დროის მცირე მონაკვეთში განმეორებადი შეფასებით-საგამოცდო სიტუაციები.

ევროპული სკოლის IV–IX კლასებში ბავშვთა ემოციური მდგომარეობის შესასწავლად ფსიქოლოგიური კვლევა ჩატარდა. კვლევაში 216-მა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა. კვლევა ტარდებოდა ფილიპსის სასკოლო შფოთიანობის კითხვარით, რომელიც სტანდარტიზებულ ფსიქოდიანოზტიკურ მეთოდებს წარმოადგენს და საშუალებას იძლევა, შევაფასოთ სასკოლო შფოთიანობის არა მხოლოდ დონე, არამედ სასკოლო ცხოვრების სხვადასხვა სფეროსთან დაკავშირებული შფოთვის განცდების თავისებურებანი, გამოვყოთ ფაქტორები, რომლებიც დომინანტურ როლს ასრულებს ბავშვში ემოციური არამდგრადობის აღმოცენებაში.

სასკოლო შფოთიანობის ძირითადი ფაქტორების

შინაარსობრივი დახასიათება:

ბოგადი შფოთიანობა სკოლაში – ბავშვის ბოგადი ემოციური მდგომარეობა, დაკავშირებული სკოლის ცხოვრებაში მისი ჩართულობის სხვადასხვა ფორმასთან;

სოციალური სტრესის განცდა – ბავშვის ემოციური მდგომარეობა, რომლის ფონზეც ვითარდება მისი სოციალური კონტაქტები (პირველ რიგში, თანატოლებთან);

წარმატების მოთხოვნილების ფრუსტრაცია – არახელსაყრელი ფსიქიკური ფონი, რომელიც საშუალებას არ აძლევს ბავშვს, დაიკმაყოფილოს წარმატების მოთხოვნილება მაღალი შედეგების მიღწევით და ა.შ.

თვითგამოხატვის შიში – უარყოფითი ემოციური განცდები ისეთ სიტუაციებში, სადაც საჭიროა საკუთარი თავის, საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენა;

ცოდნის შემოწმების შიში – ნეგატიური დამოკიდებულება და შიშის განცდა სიტუაციებში, სადაც მოწმდება ბავშვის ცოდნა, მიღწევები, შესაძლებლობები (განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს საჯაროდ ხდება);


შიში, რომ ვერ გაამართლებს გარშემო მყოფთა მოლოდინს, ორიენტაცია სხვათა შეხედულებებსა და აზრებზე საკუთარი შედეგების, ქცევებისა და აზრების შეფასების დროს, შფოთვა იმ შეფასებების გამო, რომელსაც სხვებისგან იღებს, რადგან მუდმივად უარყოფითი შეფასების მოლოდინშია;

დაბალი ფიზიოლოგიური მდგრადობა სტრესის მიმართ – ფსიქოფიზიოლოგიური ორგანიზაციის თავისებურება, რომელიც ხელს უშლის ბავშვს, შეეგუოს სტრესოგენული ხასიათის სიტუაციებს და ზრდის არაადეკვატური,

დეტრუქციული რეაგირების ალბათობას შფოთვის შემცველ გარემო ფაქტორებზე;

მასწავლებლებთან ურთიერთობაში არსებული პრობლემები და შიშები – სკოლაში უფროსებთან ურთიერთობისას საერთო ნეგატიური ფონის არსებობა, რაც აქვეითებს მოსწავლის აკადემიურ წარმატებას.

კვლევის შედეგად მიღებული მასალების ანალიზის საფუძველზე დადგინდა როგორც ცალკეული მოსწავლეების შფოთიანობის დონე, ასევე კლასების მიხედვით მოსწავლეთა ჯგუფებში არსებული მდგომარეობა. რაც შეეხება სკოლის საერთო მაჩვენებელს, ის ქვემოთ დიაგრამის სახით არის წარმოდგენილი:



როგორც დიაგრამიდან ჩანს, რვა ფაქტორიდან სასკოლო შფოთიანობის დონე არც ერთის მიხედვით არ აჭარბებს ნორმალურს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ სასკოლო შფოთიანობის მაღალი დონის მქონე თუნდაც ერთმა ბავშვმა შეიძლება საგრძნობლად შეცვალოს ფსიქოლოგიური კლიმატი კლასში და სასწავლო-საგაკვეთილო პროცესს სერიოზული პრობლემები შეუქმნას, აუცილებლად მიგვაჩნია ყურადღების გამახვილება იმ ფაქტორებზე, რომლებიც დომინანტურ როლს ასრულებს ცალკეულ მოსწავლეში შფოთიანობის დონის მომატებაში. როგორც გამოკვლევის შედეგების ანალიზმა

გვიჩვენა, ჩვენს მოსწავლეებში შფოთიანობის გამომწვევ ფაქტორებს შორის დომინანტურია: მეოთხე (ცოდნის შემოწმების სიტუაციის შიში), მეხუთე (თვითგამოხატვის შიში) და მერვე (მასწავლებლებთან ურთიერთობაში არსებული პრობლემები და შიშები) ფაქტორი (იხ. დიაგრამა).

ცოდნის შემოწმების სიტუაციის შიში – მოსწავლეებს, რომელთა შფოთიანობასაც აღნიშნული ფაქტორი განაპირობებს (მომატებული დონე – 26%-თან, მაღალი დონე – 11%-თან), მიაჩნიათ, რომ მასწავლებლები მათ ზედმეტად მაღალ მოთხოვნებს უყენებენ, რის შედეგადაც შესაძლოა უარყოფითად შეაფასონ ისინი. ნეგატიური შეფასებები კი, თავის მხრივ, ძალიან მტკივნეულია მოზარდებისთვის და საფრთხეს უქმნის მათ მდგომარეობას თანატოლთა შორის, მათ თვითშეფასებას. ამასთან ერთად, ასეთ მოსწავლეებს იმდენად აკლიათ საკუთარი თავის, საკუთარი ცოდნისა და ძალების რწმენა, რომ მხოლოდ მოლოდინიც კი ცოდნის შეფასებისა მათში მღელვარებას და შფოთვას იწვევს. მასწავლებელთან ურთიერთობა ასეთი ბავშვებისათვის მხოლოდ ნეგატიური ემოციებით არის დატვირთული.

თვითგამოხატვის შიში – ეს ფაქტორი კვლევის შედეგებში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებლით არის წარმოდგენილი (მომატებული დონე აღირიცხა გამოკითხული მოსწავლეების 26%-თან, მაღალი დონე – 10%-თან). ის ბავშვები, რომელთათვისაც შფოთიანობის მიზეზი თვითგამოხატვის შიშია, უარყოფით ემოციებს განიცდიან ისეთ სიტუაციებში, სადაც თავი სხვებს უნდა წარუდგინონ. ეს, ერთი მხრივ, იმით აიხსნება, რომ ისინი საკმაოდ კრიტიკულად აფასებენ საკუთარ თავს, მაგრამ იმავდროულად უკიდურესად ეგოცენტრულები არიან და თავი „სამყაროს ცენტრად“ მიაჩნიათ. თვითაღქმის ეს წინააღმდეგობრიობა საშუალებას არ აძლევს მათ, ადეკვატურად შეაფასონ საკუთარი თავი და სათანადოდ წარდგენ გარშემო მყოფთა წინაშე. მეორე მხრივ, ამ ასაკში ბავშვი ხშირად განიცდის ისეთ გრძნობებსა და ემოციებს, რომლებიც არ ესმის და რცხვენია, ამიტომ უჩნდება მისწრაფება, ჩაიკეტოს, დაუმალოს თავისი შინაგანი სამყარო გარშემო მყოფებს.

მასწავლებლებთან ურთიერთობაში არსებული პრობლემები და შიშები – გამოკვლევაში მონაწილე მოსწავლეთა 4%-თან სასკოლო შფოთიანობის დონეს მაღლა სწევს მასწავლებლებთან ურთიერთობა – მათ მიერ ბავშვის ცოდნის შემოწმება, კომენტარები და ქულებით გამოხატული შეფასებები. როგორც დიაგრამიდან ჩანს, მომატებული დონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი – 36% – სწორედ აღნიშნულ ფაქტორთან ფიქსირდება, რაც იმაზე მეტყვე-

ველებს, რომ მასწავლებელთან ურთიერთობა და მისი შეფასებების მოსმენა ბავშვისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია. აღნიშნულ ურთიერთობაში არსებული პრობლემები საკმაოდ მაღლა სწევს სასკოლო შფოთიანობის დონეს. კვლევაში მონაწილე მოსწავლეების 60%-ს მასწავლებლებთან ურთიერთობაში არავითარი განსაკუთრებული პრობლემა და შიში არ აქვს, მათთვის ეს ურთიერთობა საკმაოდ იოლად და უმტკივნეულოდ მიმდინარეობს.

გამოკვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე შევიმუშავეთ საკორექციო პროგრამა ცალკეულ ბავშვთან შფოთიანობის დონის შესამცირებლად. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ფსიქოლოგის მიერ ჩატარებულ საკორექციო მუშაობას თან უნდა ახლდეს სერიოზული ცვლილებები ბავშვის პედაგოგებთან, მშობლებსა და თანატოლებთან ურთიერთობაში. ამ მიზნით მომზადდა რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება პედაგოგებისა და მშობლების მიერ საგრძნობლად შეამცირებს შფოთიანობის დონეს ცალკეულ ბავშვში. ამასთან, აღნიშნული რეკომენდაციების გამოყენება მუშაობის პროცესში პროფილაქტიკის კუთხითაც დიდ დახმარებას გაგვიწევს.

რეკომენდაციები სასკოლო შფოთიანობის შესამცირებლად

- მივიღოთ ბავშვი ისეთი, როგორიც არის. ის უნდა გრძნობდეს, რომ მას იღებენ და აფასებენ იმისგან დამოუკიდებლად, როგორ იქცევა და როგორ სწავლობს. ბავშვის უპირობო მიღება შფოთიანობის შემცირების ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს.
- შევუქმნათ ბავშვს სათანადო პირობები და დავეხმაროთ წარმატების მიღწევაში, გავუჩინოთ წარმატებულობის განცდა.
- მოვერიდოთ ბავშვის სასწავლო შედეგების შედარებას წარმატებულ თანაკლასელთა მიღწევებთან. თითოეული მოსწავლის სასწავლო შედეგები უნდა შევადაროთ მხოლოდ მის ადრინდელ შედეგებს და შევაქოთ იმის გამო, რომ ადრინდელთან შედარებით უკეთესად შეასრულა სამუშაო.
- ნამუშევრების შეფასების დროს, პირველ რიგში, ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმაზე, რაც კარგად არის გაკეთებული, მერე კი გამოვთქვათ კონკრეტული მითითებები იმის თაობაზე, რა არის გასაუმჯობესებელი. მნიშვნელოვანია, დავეყრდნოთ მოსწავლეების ძლიერ მხარეებს.
- ნუ დავუშვებთ, რომ ბავშვი საკუთარ წარუმატებლობაში ჩაიკეტოს. მას აუცილებლად სჭირდება ისეთი არასასწავლო საქმიანობა, რომელშიც თვითდამკვიდრებას შეძლებს, ეს კი მოგვიანებით მის სასკოლო საქმი-

ანობაზეც პოვნებს ასახვას. რაც უფრო მეტად არის მიჯაჭვული ბავშვი სკოლას, მით უფრო მეტად უჭირს სასკოლო წარმატებების მიღწევა.

- ძალიან მნიშვნელოვანია, დავანახოთ და ვავრძნობინოთ ბავშვს, რომ ჩვენთვის მისი მიღწევები და წარმატებები საკმაოდ მაღალი ღირებულების მატარებელია.
- ბავშვს, რომელიც გამუდმებით განიცდის მარცხს, უბრალოდ ხშირი შეცემა და ნაკლები საყვედური კი არ სჭირდება, არამედ შეცემა სწორედ მაშინ, როცა რაღაცას გააკეთებს (და არა მაშინ, როცა პასიურად მის და ხელს არავის უშლის).
- ხანდახან უმჯობესია, თვალი დავხუჭოთ იმაზე, რომ ბავშვს დავალებები სრულყოფილად არ აქვს შესრულებული, თუ ვიცით, რომ, შესაძლებლობებიდან გამომდინარე, უკეთესად შესრულება არ შეეძლო.
- მოვერიდოთ მოსწავლის მუშაობის ტემპის, პიროვნული თვისებების, მეხსიერების, ყურადღების, აღქმის თავისებურებების, მოქმედების ტემპის შეფასებას.
- ვერიდოთ შფოთიანი ბავშვების გამოკითხვას გაკვეთილის დასაწყისში ან გაკვეთილის ბოლოს.
- არა უფრო მეტი, არამედ უფრო ეფექტიანად. დამატებითი დავალებების რაოდენობა ვერ გააუმჯობესებს მდგომარეობას, თუკი არ დავუკვირდებით, რა უჭირს თითოეულ ბავშვს და არ მივცემთ მას ისეთ დავალებებს, რომლებიც ეფექტიანად დაეხმარება მას ამ სირთულეთა დაძლევაში.
- ნუ დავაჩქარებთ ასეთ ბავშვებს დავალების შესრულების დროს. დაჩქარების გარეშე შესრულებული დავალება, განურჩევლად იმისა, გამოუვა თუ არა, მას შფოთიანობისთვის თავის გართმევაში დაეხმარება.
- მკაცრად ვაკონტროლოთ ჩვენი ემოციები შფოთიან ბავშვებთან ურთიერთობისას, ვინაიდან ბავშვის შფოთიანობა ბევრად არის დამოკიდებული გარშემო მყოფი ადამიანების შფოთიანობის დონეზე.
- დავეხმაროთ შფოთიან ბავშვს, გადალახოს დაურწმუნებლობა საკუთარ თავში. ამ კუთხით კარგ სამსახურს გაგვიწევს გულწრფელი შეცემა. ამასთან, ბავშვმა უნდა იცოდეს, რისთვის შეაქვს. სურვილის შემთხვევაში შეცების მიზეზი ყველაზე სუსტ მოსწავლესთანაც კი შეიძლება მოიძებნოს.
- დავეხმაროთ ბავშვს, რომ უსაფრთხოდ იგრძნოს თავი ჯგუფში.
- განსაკუთრებული დახმარება სჭირდებათ სკოლაში ახალგაძმოსულ ბავშვებს, რათა უცხოდ არ იგრძნონ თავი და თავიანთი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოავლინონ. კარგი იქნება, თუ სასწავლო წლის დასაწყისშივე ამ ბავშვების თანატოლებისთვის წარდგენის რამე განსაკუთრებული ფორმას გამოვიყენებთ.

- სასურველია შევამციროთ ნიშნის (და არა ცოდნის) ღირებულება ბავშვის თვალში.
- მხარი დავუჭიროთ და წავახალისოთ ბავშვის, თუნდაც სულ მცირე, ერთი შეხედვით უმნიშვნელო წარმატება.

P.S. სასკოლო განათლების ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია ისეთი ფსიქოლოგიური პირობების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფს თითოეული ბავშვის სრულფასოვან ფსიქიკურ და პიროვნულ გავითარებას. პიროვნების განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ფსიქიკურ ჯანმრთელობას, ანუ სულიერ, ფიზიკურ და სოციალურ კეთილდღეობას. თუ ადამიანი დისკომფორტს განიცდის, პირველ რიგში, ფრუსტრაცია ემუქრება ემოციურ სფეროს, რასაც, თავის მხრივ, მოჰყვება შფოთიანობა, როგორც საპასუხო რეაქცია სტრესულ სიტუაციაზე.

სკოლა ბავშვის პიროვნების ჩამოყალიბების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი ხდება. მრავალი მისი ძირითადი თვისება და პიროვნული მახასიათებელი ცხოვრების სწორედ ამ პერიოდში ყალიბდება. იმაზე, თუ როგორ ჩამოყალიბდება ისინი, ბევრად არის დამოკიდებული მთელი მისი შემდგომი განვითარება. სწორედ ამიტომ, პიროვნების ფორმირება სკოლისთვის პრიორიტეტად უნდა იქცეს და სასწავლო პროცესიც ისე დაიგეგმოს, რომ პიროვნების ჩამოყალიბების პროცესში სერიოზულმა პრობლემებმა არ იჩინოს თავი. ამისთვის გასაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ურთიერთობებს. როგორც ერთმა მოსწავლემ ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, მისთვის სწავლა პირველადი არ არის და ვერც იქნება; მოზარდებისთვის პირველადი ურთიერთობებია. გასულ წლებში ევროპულ სკოლაში სასკოლო მოტივაციის კვლევამ გვიჩვენა, რომ სასწავლო მოტივებს შორის დომინანტურია აღიარების, პატივისცემის, ყურადღების მოთხოვნილების დაკმაყოფილება. იმისთვის, რომ ბავშვმა სწავლაზე იფიქროს და კარგადაც ისწავლოს, უპირველეს ყოვლისა, ეს მოთხოვნილებები უნდა ჰქონდეს დაკმაყოფილებული. შემთხვევითი არ არის, რომ ამჯერად ჩატარებული კვლევის მიხედვითაც სასკოლო შფოთიანობის ყველაზე მაღალი დონე ურთიერთობის პრობლემებს უკავშირდება. ამდენად, აღნიშნული პრობლემების მოგვარება სასწავლო მოტივაციასაც გააძლიერებს და სწავლების ხარისხსაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს.

ემოციური თავისებურებები და ბავშვის ქცევის მართვა

სწავლებაში წარმატებისთვის ხშირად საგაკვეთილო პროცესის სწორად დაგეგმვა არ არის საკმარისი. ბავშვთან ურთიერთობისას როგორც საკუთრივ მისი, ისე ჩვენი ემოციური თავისებურებების გაუთვალისწინებლობა შესაძლოა უამრავი პრობლემის წყაროდ გვექცეს. წლების წინ ერთმა შეწუხებულმა მშობელმა თხოვნით მოგვმართა, დავხმარებოდით მის შვილს, რომელიც ისტორიაში არათუ მაღალი, დაბალი ნიშნის მიღებასაც ვერ ახერხებდა – საგანგებოდ მომზადებულიც კი ვერ ამჟღავნებდა გაკვეთილზე საკუთარ ცოდნას. დიტო დინჯი, მშვიდი ბიჭუნა იყო. მას საკმაოდ ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა ჰქონდა, მაგრამ დასმულ კითხვებზე მისგან პასუხის მისაღებად მასწავლებელს დიდი ძალისხმევა და მოთმინება უნდა გამოეჩინა. ისტორიის მასწავლებლისთვის ეს ადვილი არ იყო – საკუთარი ემოციური თავისებურებები უშლიდა ხელს. მარინა მასწავლებელი სწრაფად მოქმედებდა, აზროვნებდა, მეტყველებდა და იმავს ითხოვდა ბავშვებისგანაც. ამ პედაგოგთან ურთიერთობა დიტოსთვის დაუძლეველ პრობლემად იქცა.

ასეთივე მდგომარეობაში აღმოჩნდა პატარა ტატოც, რომელიც ხასიათით ძალიან ჰგავდა უფროს მეგობარს. ერთხელ, როცა მასთან, გაკვეთილზე, სტუმრად მყოფმა, მისი პასიურობა შევამჩნიე, ვუსაყვედურე: „რატომ არ იწევდი ხელს, დავიჯერო, ასეთმა ჭკვიანმა ბიჭმა ერთ კითხვაზე მაინც არ იცოდი სწორი პასუხი?“ საგონებელში ჩავარდნილმა ტატომ დინჯად მიპასუხა: „ვიცოდი, მაგრამ სანამ ხელს ავიწევდი, პასუხი უკვე გაცემული იყო და რაღა აზრი ჰქონდა ხელის აწევას?“ ასეთ სიტუაციებს არცთუ იშვიათად წააწყდებით ჩვენს სკოლებში.

ვინაიდან ადამიანის ემოციური ცხოვრების საფუძველს ტემპერამენტი წარმოადგენს, სასურველია, ყველა პედაგოგი მეტ-ნაკლებად ერკვეოდეს მის არსსა და ტიპოლოგიურ თავისებურებებში და ითვალისწინებდეს ამას ბავშვთან ურთიერთობისას.

ტემპერამენტი პირველად აღწერა და ამ ცნების პირველი განმარტება, ისევე როგორც ტემპერამენტის ტიპების პირველი კლასიფიკაცია, მოგვცა ჩვენს

წელთაღრიცხვამდე V საუკუნეში ძველი საბერძნეთის მოაზროვნემ, მედიცინის მამამთავარმა ჰიპოკრატემ. დღესაც, ოცდახუთი საუკუნის შემდეგ, ფსიქოლოგიაში, ფსიქიატრიაში და ფიზიოლოგიაში მიღებულია ტემპერამენტის ის 4 ძირითადი ტიპი, რომლებიც ჰიპოკრატემ გამოყო.

ტემპერამენტის ძირითადი ტიპები:

- სანგვინიკური
- ქოლერიკული
- ფლეგმატიკური
- მელანქოლიკური

ტემპერამენტის ტიპების ძირითადი განმასხვავებელი ნიშნები:

- გრძნობათა აღმოცენების სისწრაფე
- გრძნობათა ხასიათი
- გრძნობათა ხანგრძლივობა
- გრძნობათა ექსპრესიულობის ხარისხი

სანგვინიკური ტიპი

- გრძნობები აღმოცენდება ძალიან სწრაფად;
- აღმოცენებული გრძნობა არ არის ღრმა და მტკიცე, ის ადვილად და სწრაფად ქრება;
- მიდრეკილება აქვს დადებითი ხასიათის გრძნობებისადმი;
- საკმაოდ კომუნიკაბელურია;
- ახასიათებს მკვეთრი შესტიკულაცია და მიმიკა;
- არის ოპტიმისტი, მხიარული, არასოდეს კარგავს მომავლის იმედს.

ქოლერიკული ტიპი

- გამოირჩევა ემოციური აღგზნებადობით, ძლიერი განცდების სწრაფი აღმოცენებით; ეს ტიპი ადვილად ინთება, ხშირად აფექტურად არის;
- ახასიათებს შედარებით მტკიცე, უფრო ხანიერი და ღრმა გრძნობები;
- მიდრეკილება აქვს უარყოფითი ხასიათის გრძნობებისადმი;
- ახასიათებს მდიდარი მიმიკა და მეტყველი შესტიკულაცია, ასევე – აჩქარებული მოქმედება და მოძრაობათა სისწრაფე.

ფლეგმატიკური ტიპი

- ახასიათებს გრძნობათა სუსტი აღგზნებადობა, მისთვის უცხოა აფექტები;
- აღმოცენებული გრძნობები არის მტკიცე და ღრმა, დიდხანს არ ქრება, პირიქით, დროთა განმავლობაში უფრო და უფრო ღვივდება და ძლიერდება;
- მიდრეკილება აქვს უფრო დადებითი ხასიათის გრძნობებისადმი, არის ოპტიმისტი;
- მისი მიმიკა და ჟესტები ძუნწია, არ უყვარს გრძნობების გამომჟღავნება.

მელანქოლიკური ტიპი

- ახასიათებს გრძნობათა სუსტი აღგზნებადობა;
- აქვს მიდრეკილება უარყოფითი გრძნობებისადმი; მასთან ჭარბობს უარყოფითი ემოციები; იგი პესიმისტურადაა განწყობილი, ხშირად ნაღვლიანია;
- მისი მოქმედება, ჩვეულებრივ, დუნეა, უენერგიო, უხალისო. ცხოვრების ტონუსი დაქვეითებული აქვს, გულჩათხრობილი და ეჭვიანია, ყველაფერი გულთან მიაქვს;
- გრძნობები ღრმა და ხანგრძლივია;
- ჟესტები და მიმიკა გაუბედავი აქვს.

რეკომენდაციები სხვადასხვა ტემპერამენტის ადამიანებთან ეფექტური კომუნიკაციისთვის

არ არსებობს ტემპერამენტის კარგი და ცუდი ტიპი; ეფექტური კომუნიკაცია შეიძლება ნებისმიერი ტემპერამენტის ადამიანთან, თუ გავითვალისწინებთ მის თავისებურებებს.

სანგვინიკი ცოცხალია, ცნობისმოყვარე, მოძრავი, მხიარული, ხალისიანი, ემოციურად არამდგრადი; ადვილად ემორჩილება გრძნობებს, მაგრამ მისი გრძნობები არ არის ძლიერი და ღრმა. სწრაფად ავიწყდება წყენა, შედარებით ადვილად იტანს წარუმატებლობას. ადვილად ეგუება ცვლილებებს.

სანგვინიკში უნდა აღვზარდოთ მდგრადი ინტერესები, სერიოზული დამოკიდებულება ნებისმიერი საქმიანობის მიმართ, აუჩქარებლობა.

ქოლერიკი გამოირჩევა მოძრაობისა და მოქმედების სისწრაფით, აღგზნებადობით. ფსიქიკური პროცესები მასში სწრაფად, ინტენსიურად მიმდინარეობს. ქოლერიკისთვის დამახასიათებელი გაუწონასწორებლობა აშკარად მჟღავნდება მის მოქმედებაში: ის გატაცებით იწყებს საქმეს, იჩენს ინიციატი-

ვას, მაგრამ ნერვული ენერგიის მარაგი შესაძლოა მალე გამოეღოს, განსაკუთრებით მაშინ, როცა სამუშაო ერთფეროვანია და მოთმინებას მოითხოვს. ამ დროს ქოლერიკს ეუფლება გულგრილობა, განწყობა მკვეთრად ეცემა.

თავშეუკავებლობის, უხეშობისა და სიფიცხის გამო ადვილად ვარდება აფექტურ მდგომარეობაში, ამიტომ მასთან მკვეთრი და ხმააწეული ტონით საუბარი რეკომენდებული არ არის, ეს მხოლოდ გააძლიერებს მის აღგზნებას. ქოლერიკზე უკეთესად მოქმედებს მშვიდი, წყნარი ხმა. სასურველია, გავითვალისწინოთ მისი დადებითი თვისებები – ენერგიულობა, აქტიურობა, ინიციატივანობა.

ფლეგმატიკი ნელია, მშვიდი, აუჩქარებელი; საქმიანობას ეკიდება გულისყურით, ბეჯითად. მიდრეკილება აქვს წესრიგისკენ, ჩვეული გარემოსკენ; ცვლილებები არ უყვარს. დაწყებული საქმე, წესისამებრ, ბოლომდე მიჰყავს. ფსიქიკური პროცესები მასთან შენელებულია. ადამიანებთან ურთიერთობისას ის ყოველთვის მშვიდი, გაწონასწორებული და ზომიერად კომუნიკაბელურია. ფლეგმატიკის წონასწორობიდან გამოყვანა და ემოციურად დამუხტვა ადვილი არ არის. ის გაურბის ჩხუბს, უსიამოვნებას და წარუმატებლობას, ძალიან ძნელია მისი გაცინებაც და გაბრაზებაც.

ფლეგმატიკის ნაკლია ინერტულობა, სიზანტე. მას დრო სჭირდება ყურადღების მობილიზებისთვის, ერთი ობიექტიდან მეორეზე ყურადღების გადატანისთვის სასურველია, განვუვითაროთ აქტიურობა, ქმედითობა, ვიბრუნოთ, რომ არ გამოიჩინოს გულგრილობა, სიზარმაცე და ინერტულობა საქმიანობის მიმართ.


მელანქოლიკი ძნელად რეაგირებს ძლიერ გამღიზიანებლებზე. ფსიქიკური პროცესები მასში შენელებულად მიმდინარეობს. მართალია, ის სწრაფად იღლება, მაგრამ ნაცნობ სიტუაციაში თავს მშვიდად გრძნობს და ნაყოფიერად მუშაობს. მისი წყენინება ადვილია. ის მტკივნეულად განიცდის წყენას, მწუხარებას, თუმცა გარეგნულად ამ განცდებს სუსტად გამოხატავს. მიდრეკილება აქვს ჩაკეტილობისკენ, გაურბის ურთიერთობას ნაკლებად ნაცნობ ადამიანებთან. ხშირად მორცხვობს და გრძნობს უხერხულობას უცხო ვითარებაში. საშიშ სიტუაციებში განიცდის ძლიერ შიშს.

მელანქოლიკთან ურთიერთობისას აუცილებელია სირბილე, ტაქტი, გულისხმიერება, კეთილგანწყობა. უზომო სიმკაცრე და მაღალი მოთხოვნები უფრო მეტად თრგუნავს მას და აქვეითებს მის შრომისუნარიანობას. მელანქოლიკს ხშირად სჭირდება მოწონება, შექება და გამხნეება.

ამ სტატიის წაკითხვის შემდეგ, ალბათ, ბევრს გაუჩნდა სურვილი, მიიღოს ფსიქოლოგიური ტესტი, რომელიც მას საკუთარი თუ ბავშვის ტემპერამენტის

ტიპის განსაზღვრაში დაეხმარება. ჩვენი პრინციპული პოზიციაა, ვერიდოთ ფართო მკითხველისთვის ფსიქოლოგიური ტესტების მიწოდებას – ასეთი ტესტის გამოყენება და, მით უმეტეს, შედეგების ინტერპრეტირება კვალიფიციური ფსიქოლოგის საქმეა, ვინაიდან მცირე უზუსტობაც კი შესაძლოა სიკეთის ნაცვლად ზიანის მომტანი აღმოჩნდეს. ამასთან, ვფიქრობთ, ტემპერამენტის ტიპების ზემოთ მოყვანილი დახასიათება გარკვეულწილად დაეხმარება ადამიანს საკუთარი ტიპის განსაზღვრაში. თუმცა ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ტემპერამენტის წმინდა ტიპები იშვიათად გვხვდება – ადამიანთა უმრავლესობა ნარევს წარმოადგენს, რაც იმას ნიშნავს, რომ მას აქვს როგორც ერთი, ისე მეორე ტიპის ნიშნები. საყურადღებოა, რომ ტემპერამენტის წმინდა ტიპებს ბავშვებთან უფრო გვხვდებით, ვიდრე მოზრდილებთან. ეს იმაზე მიანიშნებს, რომ ადამიანი ასაკის მატებასთან ერთად უკეთესად ახერხებს იმ მახასიათებელთა გამოვლენის შესუსტებას, რომლებიც მას სხვებთან ურთიერთობას ურთულებს.

ქვემოთ წარმოდგენილ ნახატზე დანიელმა მხატვარმა ბილსტრუპმა დიდი ოსტატობით გამოსახა ტემპერამენტის 4 ტიპი. ვფიქრობთ, ჩვენ მიერ მოწოდებული ინფორმაციის მეშვეობით მკითხველი ადვილად ამოიცნობს თითოეულ მათგანს ერთსა და იმავე სიტუაციაში მოქმედების მიხედვით:



როგორ მოვიპოვოთ ბავშვის ნდობა და სიყვარული

ნდობა და სიყვარული ადამიანთა შორის ნებისმიერ საქმეში წარმატების მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს, მაგრამ როცა საქმე ბავშვთან ურთიერთობას ეხება, მათი როლი ფასდაუდებელია. ალბათ დამეთანხმებით, რომ ბავშვის ნდობისა და სიყვარულის მოპოვება ადვილიც არის და საკმაოდ ძნელიც. ადვილია მაშინ, როცა ვითვალისწინებთ მათ მოთხოვნებს, ხოლო ძნელია მაშინ, როცა მათ კრიტერიუმებს ვერ ვაკმაყოფილებთ და, ამასთან, მათგან უსიტყვო მორჩილებას მოვითხოვთ. გასათვალისწინებელია, რომ როგორც უფროსებს გვაქვს ბავშვის ქცევისა და მისი პიროვნების შეფასების კრიტერიუმები, ასევე აქვთ ბავშვებსაც კრიტერიუმები ჩვენი მოქმედების შესაფასებლად, რომელთა გათვალისწინება ძალიან დაგვეხმარებოდა ბავშვთან ურთიერთობაში, მისი ნდობისა და სიყვარულის მოპოვებაში.

მაინც რა არის ის, რასაც ასე აფასებენ პატარები, რა მოთხოვნებს უნდა ვაკმაყოფილებდეთ, რომ ბავშვი ჩვენდამი ნდობითა და სიყვარულით განიმსჭვალოს? პირველი აუცილებელი პირობაა სამართლიანობა. ბავშვები ყველაზე მტკივნეულად უსამართლობაზე რეაგირებენ. თუმცა ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ საკმარისი არ არის, ჩვენი ქმედება ობიექტურად იყოს სამართლიანი – ის ბავშვის თვალთაგან, სუბიექტურადაც სამართლიანად უნდა აღიქმებოდეს. ერთხელ, ტრანსპორტში, ჩემდა უნებურად, დედაშვილის საინტერესო საუბრის მოწმე გავხდი. 7-8 წლის ბიჭუნა დედას თავის გულისტკივილს უზიარებდა: „ვერ გავიგე, რა ხდება; როცა ვინმეს ვეჩხუბები, მასწავლებელი მსჯის, მაგრამ როცა სხვა მეჩხუბება, მაინც მე მსჯის“. არცთუ იშვიათად ბავშვს სასკოლო ცხოვრების დასაწყისშივე მიეკერება ესა თუ ის იარლიყი და ბოლომდე ამ იარლიყით უწევს თანატოლებთან ურთიერთობა და როდესაც კლასში რამე ხდება, ხშირად საქმეში გაურკვევლად ისჯება ის, ვისაც „რთული“ ბავშვის იარლიყი აქვს მიკერებული, მაშინაც კი, როცა თავადაა დაზარალებული. „შენ გამოიწვევდი, თორემ ის ამას არ იზამდა“, – ამ სიტყვებით უფროსი ხშირად თავისი ქცევის გამართლებას უფრო ცდილობს, ვიდრე სასჯელის სამართლიანობაში ბავშვის დარწმუნებას. სამწუხაროდ,

დროთა განმავლობაში ასეთი ბავშვები ეგუებიან იმ როლს, რომელიც მათ „დააკისრეს“, ირგებენ შესაბამის ნილაბს, რომ უფრო კომფორტულად იგრძნონ თავი და „რთული მოზარდის“ როლის თამაშს იწყებენ. ამ შემთხვევაში უფროსები უფრო მეტი თავდაჯერებით ამტკიცებენ საკუთარი პოზიციისა და ქმედების სამართლიანობას: „გახსოვთ, ჯერ კიდევ როდის გეუბნებოდით, რომ ამისგან კარგი არაფერი გამოვიდოდა; კოჭებში ეტყობოდა, რაც დადგებოდა“. სტერეოტიპული აზროვნებისგან გათავისუფლება და იარაღიყების მიკერებისგან თავის შეკავება ბავშვის ნდობისა და სიყვარულის მოპოვების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა.

მეორე, ასევე მნიშვნელოვანი პირობა, რომელიც ბავშვის ნდობისა და სიყვარულის მოპოვებაში დაგვეხმარება, თანატოლებთან მისი შედარებისგან თავის შეკავებაა. ბავშვებს არ მოსწონთ, როცა უფროსი რომელიმე მათგანს სანიმუშოდ წარმოაჩენს და ყველას მოუწოდებს, მას დაემსგავსონ. „როგორ მინდა, ჩემს კლასში ყველა გიოს ჰგავდეს; შეხედეთ, როგორი წესიერი, ზრდილობიანი, ნაკითხი და ბეჯითია!“ – მასწავლებლის ეს სიტყვები შესაძლოა საკმარისი აღმოჩნდეს თანაკლასელებს შორის ურთიერთობის გასაფუჭებლად. ყველა ბავშვი ინდივიდუალურია და როცა მისგან მოითხოვენ, სხვას მიბაძოს, მას სამართლიანად უჩნდება პროტესტის გრძნობა და აგრესიული ხდება. ინდივიდუალურობა განვითარების პიროვნულ დონეზე მდგომი ადამიანის უმნიშვნელოვანესი ნიშან-თვისებაა და როცა პიროვნული განვითარების პროცესში მყოფი ბავშვისგან ინდივიდუალურობაზე უარის თქმას მოვითხოვთ, გამოუსწორებელ შეცდომას ვუშვებთ, რადგან ამით შესაძლოა ისეთი პიროვნების ჩამოყალიბებას შევეწყუოთ ხელი, რომელიც მომავალში თვითონაც აღარ მოგვეწყონება. ალბათ დამეთანხმებით, რომ საზოგადოებაში არცთუ დიდი მოწონებით სარგებლობს ადამიანი, რომელსაც არ გააჩნია საკუთარი აზრი, საკუთარი პრინციპები, ღირებულებები და მუდამ სხვებს ბაძავს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ შედარება ვნებს არა მხოლოდ იმ ბავშვს, ვისგანაც მოითხოვენ, „სანიმუშო“ თანატოლს მიბაძოს, არამედ მასაც, ვინც, უფროსის აზრით, ყველასთვის მისაბაძი მაგალითი უნდა გახდეს. სასკოლო პრაქტიკა მოწმობს, რომ არახელსაყრელი სოციალური სტატუსის მატარებლები და ჯგუფისგან გარიყულები ხდებიან არა მხოლოდ ის ბავშვები, რომლებსაც გამუდმებით კიცხავს მასწავლებელი, არამედ ისინიც, რომლებსაც სხვებს ეტალონებად უსახავენ.

წლების წინ ორ პატარა გოგონასთან მქონდა ურთიერთობა – 7 წლის ნინიკოსა და 6 წლის ნატუკასთან. ისინი ტყუპი არ ყოფილან, მაგრამ დედამ მაინც

ერთად შემოიყვანა სკოლაში. ნინიკო ადვილად შეეგუა სკოლას და მალე სანიმუშო მოსწავლე გახდა, ნატუკას კი ძალიან უჭირდა სასკოლო წესების დაცვა და სწავლა, რის გამოც ხშირად იმსახურებდა საყვედურებს. კარგად მახსოვს, როგორ გამაცნო დედამ გოგონები: „ეს ნინიკოა, ჩემი სიამაყე, ჩემი სასახელო შვილი“, – ამაცად გამომიცხადა მან და კმაყოფილი ღიმილით გადახედა გოგონას, რომელიც სიამოვნებით ისმენდა ამ სიტყვებს, მერე კი შეწუხებულმა შეავლო თვალი ნატუკას და თქვა: „აი, ეს კი ბოლოს მომიღებს, ამან მომკლა, ამან გამაჭალარავა“. ნატუკა წარბშეჭმუხნილი ისმენდა დედის სიტყვებს. როგორც შემდეგ გავიგე, „ურჩი შვილი“ ყოველ დღით უცნაურ სცენებს აწყობდა – ადრე ამდგარი, ტანსაცმელს უმაღლავდა თავის „სანიმუშო“ დაიკოს, თავად კი სწრაფად ემზადებოდა და, ჩანთით ხელში, მშვიდად ელოდა კართან, როდის წაიყვანდნენ სკოლაში. მას იმედი ჰქონდა, რომ „მოწესრიგებულობისთვის“ შეაქებდნენ, მაგრამ ეშმაკობას მიუხვდნენ, მკაცრად უსაყვედურეს და დასაჯეს... ბევრ სირთულეს ავიცილებთ თავიდან, თუ ბავშვს მივიღებთ ისეთს, როგორიც არის. ყველა ბავშვი განსაკუთრებულია და ეს განსაკუთრებულობა მათდამი ჩვენს დამოკიდებულებაშიც უნდა ჩანდეს. მოზარდები განსხვავდებიან ერთმანეთისგან თავიანთი შესაძლებლობებით, პიროვნული თავისებურებებით. თუ მათ ქცევასა და უნარებში რამის შეცვლა გვსურს, მათი დღევანდელი მდგომარეობა უნდა შევადაროთ მათსავე ადრინდელ მდგომარეობას და არა მათი თანატოლების ახლანდელ ან წარსულ მიღწევებს.

ყოველივე ამასთან ერთად, ნდობისა და სიყვარულის მოსაპოვებლად საჭიროა ვაგრძნობინოთ ბავშვს, რომ ის ჩვენთვის ძალიან ძვირფასი და მნიშვნელოვანია. უცნაურია, მაგრამ ბავშვებს უყვართ ავად გახდომა. ეს იმიტომ, რომ ავადმყოფობის დროს მათ მიმართ ყველა განსაკუთრებულ ყურადღებას, მზრუნველობას, სითბოსა და სიყვარულს ამჟღავნებს. ერთხელ მეორეკლასელმა ნანუკამ, რომელიც რამდენიმე დღის განმავლობაში აცდენდა სკოლას, კითხვაზე, რატომ არ დადიოდა, მიპასუხა, ავად ვიყავიო და თან ამაცად მამცნო, რომ მთელი ავადმყოფობის განმავლობაში დედა გვერდიდან არ მოსცილებია. „წარმოგიდგენიათ?! სამსახურიც კი გააცდინა, რომ ჩემთან ყოფილიყო. თანაც დირექტორია თავის სამსახურში. არ მეგონა, თუ არ წავიდოდა“, – გოცებას ვერ მალავდა ნანუკა. დღეს ბევრი მშობელი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ცხოვრების დღევანდელი რიტმის გამო ბავშვთან ურთიერთობისთვის ვეღარ იცლის. ეს პრობლემა ნამდვილად არსებობს და შესაძლოა, მომავალში კიდევ უფრო მეტი სიმწვავეთ დადგეს ჩვენ წინაშე.

მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ბავშვისთვის დროის ხანგრძლივობაზე მნიშვნელოვანი მისი შინაარსობრივი დატვირთვაა, ალბათ ძნელი არ იქნება მისი გულის მოგება. ვეცადოთ, შინაარსიანად გავატაროთ ბავშვთან თუნდაც მოკლე ხანი, მოვუსმინოთ მას. თუ ასე არ მოვიქცევით, ახლო მომავალში ჩვენ შორის გაუცხოება დაისადგურებს და როცა თავად მოვინდომებთ მასთან საუბარს, იმის გაგებას, რა აწუხებს, რა უხარია, მას ამის სურვილი უკვე აღარ ექნება.

ხშირად ბავშვთან ურთიერთობისას პრობლემები იმის გამო იჩენს თავს, რომ არ ვითვალისწინებთ მის ასაკს და მისგან ჩამოყალიბებული, ზრდასრული პიროვნების საკადრის ქცევას მოვითხოვთ, მაგრამ თავად ვეპყრობით როგორც პატარა, ჯერ კიდევ შეზღუდული უფლებების მქონე არსებას.

დაბოლოს, ის, რის გარეშეც ბავშვის ნდობისა და სიყვარულის მოპოვება თითქმის შეუძლებელია, ღიმილი და კეთილგანწყობაა. ნურასოდეს დავივიწყებთ, რომ ღიმილი და კეთილგანწყობა ნებისმიერი ბავშვის სულთან მისასვლელი უმოკლესი გზაა.

როგორ შევუნარჩუნოთ ბავშვის სკოლისა და სწავლისადმი ინტერესი

მას შემდეგ, რაც ადამიანმა მოზარდი თაობის სწავლა-განათლებაზე დაიწყო ზრუნვა, სასწავლო პროცესით ბავშვის დაინტერესება კაცობრიობის განვითარების ნებისმიერ საფეხურზე ერთ-ერთი აქტუალური საკითხი უნდა ყოფილიყო. ასეთი ვარაუდის გამოთქმის საფუძველს გვაძლევს სწავლის, როგორც ქცევის, საკმაოდ რთული ბუნება. როგორც დ. უზნაძე აღნიშნავს, სწავლა ქცევის სპეციფიკური ფორმაა. ის არც თამაშია და არც შრომა, თუმცა მოიცავს როგორც ერთის, ისე მეორის ელემენტებს. ამასთან ერთად, სწავლის პროცესი ყველაზე მაღალი დონის მოთხოვნილებათა (შემეცნების, თვითაქტუალიზაციის) დაკმაყოფილების საშუალებას იძლევა. თუმცა, როგორც მასლოუ მიგვანიშნებს, იმისთვის, რომ ადამიანს თვითაქტუალიზაციის მოთხოვნილება გაუჩნდეს, მან ჯერ გაცილებით დაბალი დონის მოთხოვნილებები უნდა დაკმაყოფილოს. ბიოლოგიურ მოთხოვნილებებზე რომ არაფერი ვთქვათ, უსაფრთხოების მოთხოვნილების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში სწავლის სურვილი და საკუთარი შესაძლებლობების რეალიზების მოთხოვნილება ბავშვს ვერ გაუჩნდება. უსაფრთხოების მოთხოვნილება არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ სოციალური უსაფრთხოების მოთხოვნილებასაც მოიაზრებს. სოციალური უსაფრთხოების მოთხოვნილება მოზარდისთვის ხშირად უფრო მნიშვნელოვანიც კია, ვიდრე ფიზიკური უსაფრთხოებისა. რამდენიმე წლის წინ ვიცნობდი პატარა ბიჭუნას, სახელად გიოს, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ ინტელექტუალური განვითარებით არათუ არ ჩამორჩებოდა თანაკლასელებს, არამედ მრავალ მათგანზე მაღლაც კი იდგა, ვერასოდეს ამჟღავნებდა კლასში საკუთარ შესაძლებლობებს და ერთ-ერთ სუსტ მოსწავლედ ითვლებოდა. ამას ერთვოდა სასკოლო წესებისადმი დაუმორჩილებლობა, რაც მასწავლებელს ბავშვის ხშირად გაკიცხვის საფუძველს აძლევდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ უმცროს სასკოლო ასაკში ჯგუფში ბავშვის ადგილს და მისდამი თანაკლასელების დამოკიდებულებას თითქმის მთლიანად მასწავლებლის დამოკიდებულება განსაზღვრავს, ადვილი წარმოსადგენია, როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო გიოს მდგომარეობა. ის ხშირად ხდებოდა თანაკლასელთა დაცინვის ობიექტი და

ისიც, გაღიზიანებული, თავის დასაცავად ისე იქცეოდა, რომ უფრო მეტ საყვედურსა და სასჯელს იმსახურებდა. ასეთ ვითარებაში გიო, ბუნებრივია, სწავლაზე ვერ იფიქრებდა. საბედნიეროდ, სიტუაციის გაანალიზების შემდეგ პედაგოგმა სრულიად შეცვალა მასთან ურთიერთობა – ორიენტაცია აიღო არა შენიშვნებსა და საყვედურებზე, არამედ ქებაზე თუნდაც მცირე წარმატებისთვის. პედაგოგის მიერ დადებითის და არა უარყოფითის ხაზგასმამ ბავშვისადმი თანაკლასელების დამოკიდებულებაც შეცვალა – გაცილებით კეთილგანწყობილი გახდნენ მის მიმართ, მათ თვალეში აღარ ჩანდა დაცინვა, რომელიც ასე აღიზიანებდა გიოს. მას სოციალური კომფორტის განცდა დაეუფლა და სწავლაში თავის გამოჩენასა და წარმატებაზე დაიწყო ფიქრი. შედეგმაც არ დააყოვნა და მალე გიო კლასში ერთ-ერთი საუკეთესო მოსწავლე გახდა.

თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ უსაფრთხოების მოთხოვნილების დაკმაყოფილების შემდეგ ბავშვისთვის სხვა, უფრო მაღალი დონის, ე.წ. სოციალური მოთხოვნილებების: ყურადღების, პატივისცემის, აღიარების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება ხდება აქტუალური. მათი დაუკმაყოფილებლობა შესაძლოა არანაკლები პრობლემების წყაროდ იქცეს. ერთ დილით, სამსახურში მიმავალი, ტრანსპორტში საყურადღებო დიალოგს შევესწარი. როცა ერთ-ერთი სკოლის შენობას გავცდით, ჩემ გვერდით მჯდომმა ქალბატონმა გაოცება ვერ დაფარა და იქვე მდგომ 12-13 წლის ბიჭუნას მიმართა: „დათუნა, რატომ არ ჩახვედი? შენ ხომ ამ სკოლაში სწავლობ, გაკვეთილებს აცდენ?“ მოზარდმა დაირცხვინა, მაგრამ სიმართლე არ დაუმალავს: „ამ სკოლაში კი ვსწავლობ, მაგრამ ახლა შატალოზე მივდივარ“. „როგორ, მარტო მიდიხარ შატალოზე?“ – არ ეშვებოდა ქალბატონი, რომელიც მისი მეზობელი აღმოჩნდა. „მარტო არა, სხვა სკოლის ბავშვებს უნდა შევხვდე, ჩემს სკოლაში მეგობარი არ მყავს“, – სინანულით მიუგო დათუნამ. ალბათ დამეთანხმებით, რომ ძნელია იმ საზოგადოებაში ყოფნა, სადაც ვერ გვამჩნევენ, ყურადღებას არ გვაქცევენ, პატივს არ გვცემენ. კიდევ უფრო მტკივნეულია ეს 12-13 წლის მოზარდისთვის, ვინაიდან ამ ასაკში თანატოლებთან ურთიერთობა, მათი აღიარება გაცილებით ფასეულია, ვიდრე უფროსებთან ურთიერთობა. ერთხელ ერთ მეშვიდეკლასელს, რომელსაც უკვე რამდენიმე წელი ვიცნობდი, ვკითხე, რა შეიცვალა მასში ბოლო ხანს. მან გულახდილად მიპასუხა: „სანამ პატარა ვიყავი, ცვდილობდი ისე მოვექცეულიყავი, როგორც მშობლებს და მასწავლებლებს მოეწონებოდათ, ახლა კი იმაზე ვფიქრობ, რა მოეწონებათ ჩემს თანაკლასელებს და ცვდილობ ისე მოვიქცე, რომ მათ მაღიარონ, მათთვის

მისაღები გავხდეთ, თუნდაც ჩემი ქცევა უფროსებისთვის მოსაწონი არ იყოს“. თანატოლთა აღიარების მოსაპოვებლად მოზარდი ყოველგვარ ხერხს მიმართავს, ამ მიზნისკენ მიმავალ გზაზე ხშირად არც უფროსების (მშობლებისა და მასწავლებლების) განაწყენებას ერიდება და არც მათ საყვედურებს უფროსის. ცალკეულ შემთხვევებში უფროსებისთვის მიუღებელი ქცევით მოზარდები ახერხებენ თანატოლთა წრეში თვითდამკვიდრებას. ერთმა მეექვსეკლასელმა ბიჭუნამ, რომელსაც გამუდმებით საყვედურობდნენ მოსწავლისთვის „შეუფერებელი“ საქციელის გამო და მშობლებსაც იბარებდნენ, რომ საქმის კურსში ჩაეყენებინათ მათი შვილის „უსაქციელობის“ შესახებ, თავისი ქცევის მიზეზები ასე ამოხსნა: „იცით, ამით ძალიან პოპულარული გავხდი სკოლაში. ადრე თანაკლასელებიც ვერ მამჩნევდნენ, ახლა კი მეთექვსეკლასელებსაც სურთ ჩემთან მეგობრობა და როცა დერეფანში ჩავივლი, სიხარულით მხვდებიან“.

მოზარდი, დიდი მცდელობის მიუხედავად, ყოველთვის ვერ ახერხებს გარშემო მყოფთა ყურადღების, პატივისცემის, აღიარების მოპოვებას. ყოფილა შემთხვევები, როდესაც მე-6, მე-7 გაკვეთილზე მასწავლებელი რომელიმე ბავშვის სკოლაში ყოფნის, წინა გაკვეთილებზე მისი დასწრების შესახებ მისი თანაკლასელებისგან ცდილობს ინფორმაციის მიღებას, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ იხსენებს, იყო თუ არა ეს მოსწავლე პირველ ან მეორე გაკვეთილზე. მოზარდს ძალიან უჭირს იმ საზოგადოებაში თავის დამკვიდრება, სადაც მის ყოფნა-არყოფნასაც კი ვერ ამჩნევენ. ამიტომაც გაურბის სკოლას და ეძებს ისეთ წრეს, სადაც მას აღიარებენ და პატივს სცემენ. ამ წრეს ის ხშირად ქუჩაში პოულობს.

ამრიგად, თუ გვსურს, მოსწავლე აქტიურად იყოს ჩართული სასწავლო პროცესში და სკოლამ მისთვის მიმზიდველობა არ დაკარგოს, უნდა ვცადოთ, შევუქმნათ მას სოციალურად კომფორტული გარემო, დავეხმაროთ იმ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში, რომლებიც მნიშვნელოვანია სწავლისადმი დადებითი დამოკიდებულების გამოსამუშავებლად. მართალია, ადვილი არ არის, მაგრამ სავსებით შესაძლებელია. ამ შემთხვევაში სასწავლო პროცესი ბავშვისთვისაც და ჩვენთვისაც გაცილებით საინტერესო და მიმზიდველი გახდება.

პრობლემის მოგვარება მიზეზების გარკვევით უნდა დავიწყოთ

ცნობილი ფაქტია, რომ პრობლემის მოგვარება აღნიშნული პრობლემის გამომწვევი მიზეზების გარკვევით უნდა დავიწყოთ და ამ მიზეზების დაძლევაზე ვიმუშაოთ. ჩვენს რეალობაში კი პრობლემის მოგვარებას შედეგებთან ბრძოლით ვიწყებთ. ასეთი ქმედება, პრობლემის მოგვარების ნაცვლად, მის „მიძინებას“ იწვევს და გარკვეული დროის შემდეგ ის ისევ შემაწუხებელი ხდება ჩვენთვის. ასე მაგ. სასკოლო წესებისათვის მიუღებელ ბავშვის ქცევას ხშირად ვებრძვით იმით, რომ ვუბარებთ მშობელს, ვსაყვედურობთ, ვკიცხავთ, ვუტარებთ საუბრებს და ა.შ. თუმცა ჩვენი ასეთი ქმედებები, არცთუ იშვიათად, მხოლოდ დროებითი ეფექტის მომტანი ხდება, თუ არ იქნება წინასწარ გარკვეული ბავშვის ამგვარი ქცევის მიზეზები. საკმაოდ ხშირად, ჩვენთვის მიუღებელი ქცევა მოზარდისთვის თანატოლთა შორის თვითდამკვიდრების კარგი საშუალებაა. ამიტომ, თუ ასეთ შემთხვევაში, ჩვენ პრობლემის მოგვარება გვინდა, ჯგუფში საკუთარი ადგილის პოვნაში უნდა დავეხმაროთ ბავშვს. პრაქტიკა ადასტურებს, რომ გაცილებით უფრო ადვილია პრობლემის თავიდან აცილება, ვიდრე უკვე არსებული პრობლემის მოგვარებაზე მუშაობა. ამასთან ერთად, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სკოლის პერიოდში მოზარდთან დაკავშირებული პრობლემების გამომწვევი მიზეზები არცთუ ისე იშვიათად ბავშვის განვითარების ადრეულ პერიოდს უკავშირდება, ალბათ მიზანშეწონილი იქნება სკოლამდელი ასაკის ბავშვის იმ თავისებურებების მოკლე მიმოხილვა, რომლებიც შეიძლება სასკოლო პერიოდში პრობლემების გამომწვევ მიზეზთა რიგში მოხვდეს. ეს, რასაკვირველია, იმ შემთხვევაში მოხდება, თუ განვითარების კონკრეტულ ეტაპზე, ბავშვთან ურთიერთობაში, ამ პერიოდისთვის მნიშვნელოვანი ასაკობრივი თავისებურებები არ იქნება გათვალისწინებული. გარკვეული ხნის წინ ერთმა შეწუხებულმა მშობელმა მოგვმართა. მისი წუხილის მიზეზი იყო მისივე შვილი, მე-10 კლასელი ნიკა, რომელიც, როგორც მშობელი აცხადებდა, ზედმეტად დამოკიდებული იყო ოჯახის უფროს წევრებზე. „დილით ჩაის რომ გავუმზადებთ და ფინჯანში შაქარს ჩავუყრით, თუ ჩვენ არ მოვუვრიეთ, შეიძლება უშაქრო ჩაი დალიოს.

ჩვენ უნდა შევახსენოთ, სად არის წასასვლელი, რა აქვს გასაკეთებელი და ა.შ. უჩვენოდ ის ნამდვილად დაიღუპება“, – შეშფოთებას ვერ მალავდა ნიკას დედა. ჩვენ შევეცადეთ გვეპოვა მოზარდის ამგვარი ქცევის მიზეზები განვითარების განვლილი პერიოდების გაანალიზების გზით. ცნობილია, რომ ბავშვის განვითარება სწორხაზოვნად არ მიმდინარეობს. ამ პროცესში გვხვდება პერიოდები, როცა ბავშვთან ურთიერთობა საკმაოდ რთულდება, მისი ქცევა ერთგვარად უმართავიც კი ხდება, რაც სერიოზულ პრობლემებს უქმნის აღზრდელებს. პირველ სერიოზულ სირთულეებს უფროსები 3-დან 5 წლამდე ასაკის ბავშვებთან ურთიერთობაში ხვდებიან. შემთხვევითი არ არის, რომ განვითარების ეს მონაკვეთი პირველი კრიტიკული პერიოდის სახელით არის ცნობილი. რა თქმა უნდა, ამ პერიოდის საზღვრები ასე მკაცრად დადგენილი არ არის და ის შეიძლება 3 წლამდეც დაიწყოს. ერთ-ერთი პირველი სიმპტომი, ხშირ შემთხვევაში, ბავშვის მეტყველებაში პირის ნაცვალსახელის „მე“-ს აქტიური მოხმარება ხდება ხოლმე. გარკვეულ პერიოდამდე გარშემოცემებთან ურთიერთობაში ბავშვი საკუთარ თავს მესამე პირში მოიხსენებს – მაგ. „გიორგის შია“, „გიორგის თამაში უნდა“, „გიორგის ეძინება“ და ასე შემდეგ. ასეთი წინადადებების წარმოთქმის დროს ის საკუთარ თავზე საუბრობს. თუმცა მალე დგება მომენტი, როცა ბავშვი თითქმის ყოველი წინადადების წარმოთქმის დროს იყენებს ნაცვალსახელს „მე“-ს – „მე თვითონ“, „მე ასე მინდა“, „მე ამის ჩაცმა მინდა“, „მე ეს არ მინდა“ და ა.შ. იმ შემთხვევაში, თუ ბავშვს არ აძლევენ იმის გაკეთების უფლებას, რაც სურს, ის იწყებს ჭირვეულობას, ჯიუტობას და ამ გზით თავისი სიტყვის გატანას. ალბათ ყველა გავმხდარვართ ისეთი სცენის მოწმე, როდესაც ბავშვი ჭირვეულობს, ტირის, ეწინააღმდეგება დედას და არ მიჰყვება სახლში, თუ არ უყიდის იმას, რაც მას სურს. სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი დედა, ხშირ შემთხვევაში, უძლური ხდება. ასეთ სიტუაციაში ის ან ჩხუბს იწყებს გაჯიუტებულ ბავშვთან, ან დაყვება მის ნებას და ყველა სურვილს უსრულებს. უმრავლეს შემთხვევაში არც პირველი და არც მეორე მცდელობა სასურველი შედეგის მიღწევის საშუალებას არ იძლევა. ალბათ ნებისმიერი მშობლისთვის საინტერესოა, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ, როცა ბავშვი დაუინებოთ და ჯიუტად მოითხოვს ჩვენთვის მიუღებელი რამის გაკეთებას. რასაკვირველია, ბავშვის სწორად აღზრდისთვის მზამზარეული რეცეპტების მოძიება ძალიან ძნელია. თუმცა, ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში არსებობს ზოგადი კანონზომიერებები, რომელთა გათვალისწინება ბევრი პრობლემის მოგვარებაში დაგვეხმარება:

- უპირველეს ყოვლისა, ვეცადოთ ვიყოთ თანამიმდევრული. ბავშვმა უნდა იცოდეს, რომ რასაც ვუკრძალავთ და რაზეც ვსაყვედურობთ, მიუღებელია ყოველთვის და ყველგან და არა მხოლოდ ამ წუთას და ამ სიტუაციაში. ერთ ოჯახში 3 წლის ბიჭუნას „ცუდი“ სიტყვების წარმოთქმას ასწავლიდნენ და ოჯახის ყველა წევრი ძალიან ხალისობდა, როცა პატარა თავისი ჯერ კიდევ დაუხვეწავი მეტყველებით აღნიშნულ სიტყვებს სასაცილოდ იმეორებდა. მაგრამ, როცა იგივე სიტყვების წარმოთქმა ბავშვმა ტრანსპორტში, უცხო ადამიანების თანდასწრებით დაიწყო, დედა, რომელიც თან ახლდა ბავშვს, ძალიან შეწუხდა და ცდილობდა პირზე ხელის აფარებით გაეჩერებინა პატარა. ბავშვი კი ჯიუტად დედის ხელს იცილებდა და აგრძელებდა იმ სიტყვების ხმამაღლა წარმოთქმას, რომელიც დედას უხერხულ მდგომარეობაში აყენებდა. ძნელია 3 წლის ბავშვს აუხსნა, რატომ შეშფოთდა დედა მის ასეთ ქმედებაზე ახლა, მაშინ როცა ოჯახის ყველა წევრი და მათ შორის დედაც სხვა დროს და სხვა სიტუაციაში მის ასეთ ქმედებას ყოველთვის სიცილით ხვდებოდა;
- ყველაზე მარტივი ქმედება, რასაც შეიძლება მიმართოს უფროსმა გაჯიუტებულ ბავშვთან ურთიერთობისას, არის მისი ყურადღების სხვა მიმართულებით გადატოვა. თუმცა, საკმაოდ ბევრ ბავშვთან ამის გაკეთება არც ისე ადვილია;
- გაჯიუტებულ ბავშვთან ურთიერთობისას გაცილებით დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ხმის ტონს, მიმიკას, ჟესტიკულაციას, ვიდრე ნათქვამის შინაარსს, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ბავშვებს ვერბალურთან შედარებით, არავერბალური კომუნიკაციის უნარი ბევრად უკეთესად აქვთ განვითარებული. თუ ბავშვს რაიმეს ვუკრძალავთ, სახეზე კი სასოწარკვეთილება და შიში გვაქვს გამოხატული და ამასთან ხმაშიც მერყეობა იგრძნობა, გაჯიუტებული პატარა ჩვენს ასეთ მდგომარეობას თავის სასარგებლოდ გამოიყენებს და მიაღწევს იმას, რისი გაკეთებაც სურს;
- აუცილებელია, რომ ოჯახის წევრები ბავშვთან ურთიერთობაში შეთანხმებულად მოქმედებდნენ, მაშინაც კი, თუ მათ განსხვავებული აზრი აქვთ ბავშვის აღზრდის ამა თუ იმ საკითხზე. არ არის სასურველი მათ პატარის თანდასწრებით გამართონ დისკუსია აღზრდის ამა თუ იმ სტრატეგიის ვარგისიანობის შესახებ. თუ ოჯახის რომელიმე უფროსი წევრი არ ეთანხმება მეორეს ბავშვის მიმართ გატარებული ღონისძიების სამართლიანობასა და ვარგისიანობაში, უმჯობესი იქნება ცოტა ხნით განერიდოს სიტუაციას და მხოლოდ ერთი ერთზე საუბრისას აუხსნას და დაუმტკიცოს თავისი პოზიცია ბავშვის „უსამართლოდ დამჩაგვრელს“. ერთი პატარა გოგონა, რომელსაც

დედა გარკვეულ აკრძალვას უწესებდა, უკმაყოფილო ტონით და მკაცრი გამომეტყველებით „დაემუქრა“ მას: „მოვიდეს ჯერ მამიკო! ვუთხრა, რომ ამის გაკეთების უფლებას არ მაძლევ!“ მას დიდი იმედი ჰქონდა, რომ მამიკო დედიკოს გაუწყრებოდა, ეტყოდა რატომ მიჩაგრავ ბავშვსო და ისიც თავისას მიაღწევდა, რაც არა ერთხელ მომხდარა;

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ჯიუტობა არც ისეთი სახიფათო და საგანგაშოა, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს. პირიქით, ჯიუტობა ადრეულ ასაკში შესაძლებელია მომავალში ძლიერი, პრინციპული და დამოუკიდებელი პიროვნების ჩამოყალიბების ხელშემწყობი გახდეს. ამდენად, კარგი იქნება, თუ გარკვეულ საზღვრებში ჯიუტობას გასაქანს მივცემთ. თუ ბავშვის სასიცოცხლო ინტერესებს ზიანს არ აყენებს ის, რის გაკეთებასაც პატარა დაჟინებით მოითხოვს, მივცეთ საშუალება თავისი გაიტანოს. მაგ. ხშირია შემთხვევა, როცა სიტყვებით „მე თვითონ“, ბავშვი ხელიდან სტაცებს კოვზს დედას და ცდილობს დამოუკიდებლად ჭამოს ან დამოუკიდებლად ჩაიცვას ფეხსაცმელი, ტანსაცმელი. უფროსს ურჩევნია თვითონ აჭამოს, თვითონ ჩააცვას პატარას, რადგან ხედავს, რომ ეს მოქმედებები მას კარგად არ გამოსდის, პირის მაგივრად ცხვირთან, თვალთან, ყურთან მიაქვს კოვზი და ითხუპნება; მარჯვენა ფეხსაცმელს მარცხენა ფეხზე იცვამს ან – პირიქით. ასევე უჭირს ტანსაცმლის სწორად ჩაცმა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მისი მოძრაობები, ასაკობრივი თავისებურებებიდან გამომდინარე, ჯერ ისეთი დახვეწილი და კოორდინირებული არ არის, როგორც მოზრდილი ადამიანის. მაგრამ, თუ ჩვენ ადრეულ ასაკში, როცა უკვე საფუძველი ეყრება პიროვნების ჩამოყალიბებას, ყველანაირად ჩავახშობთ ბავშვში დამოუკიდებლად მოქმედების სურვილს, მოზრდილობაში მივიღებთ ინფანტილურ, უინიციატივო, უპრინციპო, მუდმივად სხვებზე დამოკიდებულ პიროვნებას, დაახლოებით ისეთს, როგორიც ზემოთ მოხსენიებული ნიკაა, რომლის დედაც დღეს ასეთი შეწყუბებულია მოზარდის პასიურობით, უინიციატივობით, სხვებზე ზედმეტად დამოკიდებულებით, მაშინ როცა, ადრეულ ასაკში, როგორც თვითონ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, ბავშვის დამოუკიდებლად მოქმედების მცდელობას გასაქანს არ აძლევდა და ყველანაირად ახშობდა მის ჯიუტ გამოვლინებებს. სასურველია, რომ არ დავაგვიანოთ და ბავშვის განვითარების ყოველ ასაკობრივ საფეხურზე დროულად ვიმუშაოთ იმ უნარების განვითარებაზე, რომელთაც სწორედ ამ ეტაპზე აქვთ კარგი „ნიადაგი“ მომზადებული. დავვიანებული მცდელობები ძალიან ხშირად სასურველ შედეგს არ იძლევა. უკვე ჩამოყალიბებულის შეცვლა, კორექცია ბევრად უფრო რთული პროცესია, ვიდრე სწორად ჩამოყალიბება.

სასჯელი და მისი გამოყენების ფსიქოლოგიური კანონზომიერებები

ალბათ ძნელია მოიძებნოს აღმზრდელი, რომელსაც ბავშვთან ურთიერთობის პროცესში, ამა თუ იმ მიზეზის გამო, სასჯელი არ გამოუყენებია. თუმცა, არსებობენ მშობლები, რომლებიც თამამად აცხადებენ, რომ შვილები ისე აღზარდეს, ერთხელაც არ დაუსჯიათ. „ჩემს შვილს განაწყენებული და უკმაყოფილო სახით რომ შევხედავდი, თვალებზე ცრემლი ადგებოდა და როგორ დამესაჯა?!“ – განაცხადა შვილთან დამოკიდებულების ხასიათზე საუბრისას ერთ-ერთი გოგონას დედამ. უნდა აღინიშნოს, რომ უფროსის კეთილგანწყობის დაკარგვის საფრთხე ბავშვისთვის შეიძლება უფრო მკაცრი სასჯელი აღმოჩნდეს, ვიდრე სასჯელის ნებისმიერი სხვა, ბევრად უფრო მკაცრი ფორმა. ბავშვთან ურთიერთობის პროცესში გართულებების თავიდან აცილება ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად სწორად იყენებს აღმზრდელი სასჯელს მის მიმართ. სასჯელის გამოყენება მეტად რთული საქმეა. ის უდიდეს ტაქტსა და სიფრთხილეს მოითხოვს. სწორად გამოყენებული სასჯელი ხსნის კონფლიქტს აღმზრდელსა და აღსაზრდელს შორის და მომავალში ბავშვისთვის მიუღებელი ქცევისაგან თავის შეკავების სტიმული ხდება. სასჯელის არასწორად გამოყენება კი არავითარ აღმზრდელობით ეფექტს არ იძლევა, პირიქით, ის შეიძლება ახალი კონფლიქტებისა და ურთიერთობის გართულების მიზეზი გახდეს.

ცხადია, შეუძლებელია სასჯელის სპეციფიკური რეცეპტის გამოწერა, შეუძლებელია გარკვეულ მიუღებელ ქცევას ყოველთვის ესა თუ ის სასჯელი დაედოს. თუმცა, შეიძლება გარკვეული პირობების გამოყოფა, რომელთა დაცვა ნებისმიერი სახის სასჯელის გამოყენების დროს აუცილებელია, რათა მან საურველი შედეგი გამოიღოს:

- უპირველეს ყოვლისა, ბავშვის მიმართ გამოყენებული სასჯელი უნდა იყოს სამართლიანი. უსამართლოდ გამოყენებულ სასჯელს მივყავართ ბავშვის აღზოგადება-გაბოროტებამდე და უფროსის მიმართ მტრული განწყობილების შექმნამდე;

- იმისათვის, რომ სასჯელმა სასურველი შედეგი გამოიღოს, საკმარისი არ არის მისი ობიექტური სამართლიანობა. აუცილებელია, ის სუბიექტურადაც სამართლიანად განიცდებოდეს, ბავშვსაც უნდა სჯეროდეს მისი სამართლიანობა. დასჯის დროს მნიშვნელოვანია, ფსიქოლოგიურად რას ნიშნავს სასჯელი მისთვის – შეურაცხყოფას, სამაგიეროს გადახდას, თუ მასზე, მის კეთილდღეობაზე ზრუნვას;
- სასჯელის გამოყენებისას აუცილებელია გარკვეული თანამიმდევრობის დაცვა. თუ პირველსავე შემთხვევაში, ჩვენთვის მიუღებელი ქცევის გამო ბავშვის მიმართ მკაცრ სასჯელს გამოვიყენებთ, მომავალში, უფრო მნიშვნელოვან სიტუაციაში ჩვენ შეიძლება სრულიად განიარაღებული აღმოვჩნდეთ. არცთუ ისე იშვიათია შემთხვევა, როდესაც პირველ სასკოლო პერიოდში უფროსები სასჯელის ყველანაირ ფორმას იყენებენ. მოგვიანებით კი, როცა ბავშვის ქცევა ბევრად უფრო რთულდება, არანაირი სასჯელი აღარ იწვევს სასურველ ეფექტს;
- სასჯელის გამოყენებისას აუცილებელია დავიცვათ ტაქტი. დაუშვებელია ბავშვის მიუღებელი ქცევის გამო მისი პიროვნების შეურაცხყოფა, მისი ღირსების შელახვა, მისდამი უხეში მიმართვა, ისტერიული გულმოსულობა. უფროსის მხრიდან გაუმართლებელია გაბრაზების მომენტში ბავშვის დასჯა, რაც ხშირად მისი უსამართლოდ გაკიცხვის მიზეზი ხდება;
- დასჯის დროს არ არის სასურველი დაგვიანება. ფსიქოლოგიურად გაუმართლებელია ჩადენილ დანაშაულსა და დასჯას შორის დიდი შუალედის არსებობა. სასჯელის დაგვიანების შემთხვევაში კავშირი დანაშაულსა და სასჯელს შორის ბავშვის ცნობიერებაში მკრთალდება და მას ზეგავლენის ძალას უკარგავს;
- გაუმართლებელია, რომ ბავშვს ერთხელ ჩადენილი დანაშაულის შესახებ ხშირად შევახსენოთ. თუ მის მიმართ სასჯელი გამოყენებულ იქნა და მასში სინანულის გრძნობა აღიძრა, საქმე დამთავრებულია და ამოწურულად უნდა ჩავთვალოთ;
- სასჯელი სასურველ შედეგს იძლევა მაშინ, როცა მას ავტორიტეტული პიროვნება იყენებს, რადგან ბავშვი სასჯელს შინაგანად მხოლოდ იმისგან იღებს, ვისაც ენდობა და ვისი შეფასების სამართლიანობა სწამს;
- არ არის სასურველი სასჯელის ხშირად გამოყენება, ვინაიდან ასეთ დროს ბავშვი თავს შეურაცხყოფილად გრძნობს, ბოროტდება, აგრესიული ხდება და სისტემატურად იმეორებს იმ არასასურველ მოქმედებას, რომლის გამოც მას სჯიან;

- ფსიქოლოგიურად გაუმართლებელია ბავშვის მიმართ ფიზიკური სასჯელის გამოყენება, ვინაიდან ის ამცირებს მას, ხდის დამოკიდებულს, მხდალს ან პირიქით, იწვევს აგრესიას დამსჯელის, შემდეგ კი უფროსთა მთელი სამყაროს მიმართ, ბაღებს სამართალსაწინააღმდეგო ქცევას. ცემით ბავშვი მხოლოდ ცემას სწავლობს და არა მიუღებელი ქცევისაგან თავის შეკავებას. დროთა განმავლობაში კი ის თავად იწყებს საკუთარი ფიზიკური ძალის გამოყენებას თავისზე სუსტების წინააღმდეგ;
- ბავშვის მიმართ ამა თუ იმ სასჯელის გამოყენების დროს ანგარიში უნდა გავუწიოთ მის ასაკს, პიროვნულ თავისებურებებს; ასევე იმას, თუ როგორ აფასებს თვითონ ბავშვი თავის ქცევას;
- განსაკუთრებული სიფრთხილე გვმართებს გარდამავალ ასაკში მოზარდის მიმართ სასჯელის გამოყენების დროს. ამ პერიოდში ის იწყებს უფროსებისადმი ბავშვური მორჩილების წინააღმდეგ გამოსვლას, მას უჩნდება დამოუკიდებლობის და თავისუფლების მოთხოვნილება, რომელიც იმდენად ძლიერია, რომ ის ხშირად ამაცობს და ყოყმობს კიდევ იმით, რომ სხვების დარიგებებს ყურს არ უგდებს და თავისას აკეთებს. ხშირად უფროსებს მოზარდის ეს მისწრაფებები საგანგაშოდ, სახიფათოდ მიაჩნიათ და მას საგანგებოდ უპირისპირდებიან, მის მიმართ სასჯელის უმკაცრეს ფორმებს იყენებენ. ამით ისინი კიდევ უფრო ირთულებენ მოზარდთან დამოკიდებულებას და დაუმორჩილებლობისაკენ უბიძგებენ მას. ამ პერიოდში მოზარდი ხშირად უბრალო შენიშვნასაც კი მტკივნეულად განიცდის. ამიტომ, მასთან ურთიერთობის მოგვარებისთვის ყველაზე ეფექტურია რჩევა-დარიგება და ახსნა-განმარტება. თუმცა, ამ შემთხვევაშიც ზომიერებაა საჭირო, რადგან გადამეტებული დარიგება ღირებულებას კარგავს და ზოგჯერ უარყოფითადაც კი მოქმედებს;
- ბავშვის მიმართ ამა თუ იმ სასჯელის გამოყენების დროს არ უნდა უგულებელვყოთ მისი პიროვნება. მოვუსმინოთ მას, მხედველობაში მივიღოთ მისი ქცევის მოტივები, წინასწარ გავარკვიოთ ბავშვის მიერ ჩადენილი საქციელის ნამდვილი ვითარება და მასთან ერთად შევაფასოთ ის. მივცეთ მას იმის საშუალება, რომ მომხდართან დაკავშირებით საკუთარი აზრი გამოთქვას;
- ბავშვის მიმართ ამა თუ იმ ღონისძიების გატარების დროს გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ისინი ცხოვრობენ არა მხოლოდ უფროსების ნორმების შესატყვისად, არამედ თანატოლთა ჯგუფის შიგნით ჩამოყალიბებული ნორმების შესაბამისადაც. ამასთან, ეს ნორმები ბევრად უფრო

მკაცრია, ვიდრე უფროსების ნორმების სამყარო. ალბათ ამიტომ, როცა ისინი არჩევანის წინაშე დგებიან, როგორც წესი, უპირატესობას ანიჭებენ თანატოლთა ჯგუფში დამკვიდრებულ ნორმებს, მაშინაც კი, როცა იციან, რომ გაკიცხული იქნებიან მშობლებისა და მასწავლებლების მიერ. ყოველივე აღნიშნულის გამო, ბავშვის დასჯისას აუცილებლად მხედველობაში უნდა მივიღოთ და გავითვალისწინოთ იმ ჯგუფის ნორმები, რომელშიც ბავშვს უხდება ცხოვრება;

- ბავშვის დასჯის დროს დაუშვებელია მისი პიროვნების გლობალური შეფასება. როცა ბავშვს ვსჯით და ვკიცხავთ ცუდი საქციელისათვის, მსჯელობის საგნად უნდა იქცეს ქცევის ეს გამოვლინება და არა მთლიანად პიროვნება. უარყოფითი გლობალური შეფასების დროს ბავშვს ეკარგება საკუთარი ძალების და საკუთარი შესაძლებლობების რწმენა;
- დასჯის დროს აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ბავშვის ფსიქიკური მდგომარეობა, რაც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს სასჯელის აღქმას. ასე მაგ. ბავშვი სხვადასხვანაირად რეაგირებს გაკიცხვაზე იმის მიხედვით, აღგზნებულ თუ მშვიდ მდგომარეობაში იმყოფება ის. გაკიცხვა მაშინ, როდესაც ბავშვი მშვიდ, წონასწორობის მდგომარეობაშია, ბევრად უფრო ეფექტურია;
- ამა თუ იმ საქციელისათვის ბავშვის გაკიცხვისა და დასჯის დროს დაუშვებელია მისი მშობლების აუგად მოხსენიება და მათი გაკიცხვა ცუდი შვილის აღზრდისათვის. ადვილი შესაძლებელია, რომ ეს გახდეს ახალი კონფლიქტების აღმოცენების მიზეზი მოსწავლესა და მასწავლებელს შორის. ბავშვები მტკივნეულად განიცდიან მშობლების მიმართ სხვების უარყოფით დამოკიდებულებას. მშობელი, როგორც არ უნდა იყოს ის, ბავშვისათვის ყველაზე საყვარელი არსებაა და მის შეურაცხყოფას და გაკიცხვას ის არა-ვის აპატიებს. დაუშვებელია, რომ ანგარიში არ გავუწიოთ ამ გარემოებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თუ გვსურს, რომ სასჯელმა სასურველი შედეგი გამოიღოს – ბავშვს ჩვენთვის მიუღებელი ქცევისაგან თავის შეკავების სურვილი გაუჩინოს, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ სასჯელის გამოყენების ფსიქოლოგიური კანონზომიერებები. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადვილი შესაძლებელია გამოყენებული სასჯელი ახალი პრობლემების აღმოცენების მიზეზი გახდეს და კიდევ უფრო გაართულოს ბავშვთან ჩვენი ურთიერთობა.

სასკოლო დატვირთვა და ბავშვის ჯანმრთელობა

ვფიქრობ, ძნელია მოიძებნოს მშობელი, რომელსაც შვილის ჯანმრთელობა უპირველეს საზრუნავად არა აქვს გადაქცეული. თუმცა ხშირ შემთხვევაში შვილის ჯანმრთელობაზე ზრუნვა ელემენტარული ბიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ხელშეწყობით შემოიფარგლება. ასეთი მშობლების აზრით, მთავარია, ბავშვს არ შიოდეს, არ სწყუროდეს, არ სციოდეს და მის ჯანმრთელობას საფრთხე არ დაემუქრება. რაც შეეხება სასკოლო დატვირთვას, ის მათი კრიტიკის საგნად არასოდეს იქცევა. უფრო მეტიც, ხშირად სკოლას იმის მიხედვით არჩევენ, თუ სად უფრო დატვირთული იქნება მათი შვილი სასწავლო დავალებებით. იმ შემთხვევაში კი, თუ ბავშვი დაღლილობას მოიმიზეზებს და წიგნს გვერდზე გადადებს, უკმაყოფილებას ვერ მალავენ და საყვედურებით ავსებენ: „რამ დაგღალა, მხოლოდ სწავლა გევალება. აბა, ჩვენ რა ვქნათ, დილიდან სალამომდე ვმუშაობთ“. ასეთ დროს მშობლებს, როგორც წესი, ავიწყდებათ, რომ შეიძლება ბავშვისთვის, არასწორად ორგანიზებული სასწავლო პროცესი უფრო დამღლევი აღმოჩნდეს, ვიდრე უფრო სისთვის მისი სამსახური. ბევრი მშობლის აზრით, რაც უფრო მეტს წაიკითხავს მისი შვილი, რაც უფრო მეტს მოისმენს და მეტს დაიმახსოვრებს, მით უფრო განათლებული იქნება. ასეთ დროს არ ვითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ადამიანის მეხსიერებას მოცულობა აქვს. ამასთან, ბავშვის მეხსიერების მოცულობა ბევრად უფრო მცირეა, ვიდრე მოზრდილი ადამიანის. და თუ ჩვენ, მოზრდილი ადამიანები ვერ ვახერხებთ იმ ყველაფრის დამახსოვრებას, რასაც ვისმენთ და ვკითხულობთ, როგორ შეიძლება ეს მოახერხოს ბავშვმა.

როგორც წესი, მშობელთა დიდ ნაწილს საკუთარი შვილის განათლების გრძელვადიანი პროგრამა ჯერ კიდევ მის დაბადებამდე აქვს შემუშავებული – რა უნდა ისწავლოს, სად უნდა ისწავლოს, ვინ უნდა ასწავლოს – ეს საკითხები, ხშირ შემთხვევაში, ძალიან დეტალურად აქვთ „გაწერილი“ და საჭიროდაც არ თვლიან მომავალში მის გადახედვას. არცთუ ისე იშვიათად მშობლისთვის შვილი საკუთარი არარეალიზებული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების კარგ საშუალებას წარმოადგენს – „ძალიან მინდოდა მუსიკალური განათლე-

ბა მეონოდა, მაგრამ არ მაქვს. ამიტომ ჩემი შვილი აუცილებლად უნდა ვატარო მუსიკაზე. მომწონს, როცა ახალგაზრდა კარგად ცეკვავს, ქორეოგრაფიულ სტუდიაშიც მომიწევს მისი ტარება. დღევანდელ პირობებში ერთი-ორი უცხო ენა როგორ არ უნდა იცოდეს ადამიანმა, ამიტომ უკეთესი იქნება, თუ საბავშვო ბაღიდანვე ვიზრუნებ ამ საკითხის მოსაგვარებლად“. ასე ალაგებს თავის გეგმებს შვილის სამომავლო განათლების საკითხებზე ბევრი მშობელი და საჭიროდაც არ მიაჩნია იმაზე დაფიქრება, ექნება თუ არა თავად ბავშვს ამ ყველაფრის შესწავლის სურვილი; რაიმე სხვა ინტერესები ხომ არ გაუჩნდება მას მომავალში. როგორც წესი, შვილის განათლებაზე ზრუნვა განსაკუთრებით ძლიერდება სასკოლო სწავლების დაწყებასთან ერთდ. სკოლაში სწავლის პარალელურად, მოსწავლეთა უმეტესობა ჩართულია სხვადასხვა სპორტულ სექციაში, მუსიკალურ და სამხატვრო სკოლაში. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ბევრი მშობელი აღარ ენდობა დღევანდელ სკოლას და საჭიროდ თვლის ცალკეულ საგნებში ბავშვის რეპეტიტორებთან მომზადებას, ადვილი წარმოსადგენია, რა მდგომარეობაში შეიძლება აღმოჩნდეს მშობლების „ზრუნვის ობიექტი“. ერთხელ ერთმა მესამეკლასელმა ბიჭუნამ დეტალურად ჩამომიწერა თავისი მეცადინეობების განრიგი მთელი კვირის განმავლობაში. მშობლების სურვილიდან გამომდინარე, ბავშვი დადიოდა ქორეოგრაფიულ სტუდიაში, ფეხბურთზე, ჭადრაკზე, რეპეტიტორებთან მეცადინეობა ინგლისურს, რუსულს, მათემატიკას. და ამ ყველაფრის პარალელურად, მას უწევდა საკმაოდ დიდი მოცულობის სასკოლო დავალებების შესრულება. იმისათვის, რომ ყველაფერი მოესწრო, ის მუდმივად ჩქარობდა და პრაქტიკულად დრო აღარ რჩებოდა დასვენებისა და არასასწავლო ინტერესების დასაკმაყოფილებლად. ყოველივე აღნიშნულს ემატებოდა ფსიქოლოგიური ზეწოლა ბავშვზე მასწავლებლებისა და მშობლების მხრიდან, გადაჭარბებული მოთხოვნები სასკოლო შეფასებებთან, სპორტულ მიღწევებთან და ქორეოგრაფიულ სტუდიაში წარმატებებთან დაკავშირებით. არაფერია იმაში გასაკვირი, რომ ასეთი დატვირთვის პირობებში, ბავშვის არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობაც შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს. ცნობილია, რომ ინტელექტუალური გადატვირთვა ხშირად შფოთიანობის, ნევროზის და აგრესიულობის მიზეზიც კი შეიძლება გახდეს. ალბათ, ზოგიერთი მშობელი იტყვის, რომ მართალია, შვილი ყველგან დაჰყავს, მაგრამ ის თავს არ იწუხებს, ზარმაცობს და დიდი წარმატებით არსად გამოირჩევა. შეიძლება ეს მართლაც ასეა, მაგრამ დროის დეფიციტის განცდა მას მუდმივად

თან სდევს და ბუნებრივია აწუხებს კიდევ. მოსწავლეებში ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ხომ დროში შეზღუდულობით გამოწვეული სტრესია.

ალბათ, როგორც მშობლებისთვის, ისე მასწავლებლებისთვის საინტერესო იქნება ბავშვის გადაღლილობის და დაძაბულობის ძირითადი მახასიათებლების გაცნობა:

- ასეთი მოსწავლე არ არის მობილიზებული საშინაო დავალებების შესრულებისას, დიდხანს ვერ ახერხებს ყურადღების კონცენტრირებას, უჭირს გაკვეთილის მოსმენა, სულ წრიალებს;
- ღამით უჭირს ჩაძინება, მაშინაც კი, როცა გვიან წგება. დღისით კი, პირიქით – სულ ეძინება;
- ცუდი მადა აქვს, იკლებს წონაში;
- აფორიაქებული და გაღიზიანებულია, უხეშობს, ხშირად ეცვლება გუნება-განწყობა;
- უჩივის თავის ტკივილს, მოთენთილობას და პერიოდულად უწევს არტერიული წნევა;
- იმუნიტეტი დაქვეითებული აქვს, ხშირად ავადმყოფობს;
- ეკარგება ინტერესი სწავლის მიმართ;
- შეინიშნება ნერვული ტიკები, ენის ბორძიკი მეტყველებისას, ფრჩხილების კვნეტა;
- პრობლემები ექმნება მიწოდებული ინფორმაციის აღქმაში;
- კანის სიფერმკრთალე, ჩაშავებული თვალები ასევე შეიძლება გადაღლაზე მიუთითებდეს.

თუ ზემოაღნიშნული ნიშნები და ჩივილები 1,5-2 კვირის განმავლობაში გაგრძელდება და არ გაქრება, საჭირო იქნება ექიმისთვის მიმართვა და ისეთი პრეპარატების გამოყენება, რომლებიც დაეხმარება ორგანიზმს დროულად აღიდგინოს ძალები სტრესის ფონზე, ასევე აწევს შრომისუნარიანობის დონეს. ასეთ დროს, ექიმთან ვიზიტი აუცილებელია იმის გამოც, რომ დაღლილობის ცალკეული ნიშნები ძალიან ჰგავს ზოგიერთი სომატური დაავადების სიმპტომებს, რომელთა დროული ამოცნობა საკმაოდ მნიშვნელოვანია. ქრონიკული გადატვირთვა, არცთუ იშვიათად, თავს გვახსენებს გაციებით. ამის მიზეზი ხშირად ის არის, რომ ინტელექტუალური გადაღლა ორგანიზმის

იმუნურ სისტემას საკმაოდ ასუსტებს და ადაპტაციის შესაძლებლობებს აქვეითებს. სტრესის ფონზე იზრდება ქრონიკული დაავადებების რაოდენობაც, მათ შორის სასუნთქი და საჭმლის გადამამუშავებელი ორგანოების, გულსისხლძარღვთა, ნერვული სისტემისა და საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის პათოლოგიები.

მართალია, მოსწავლეთა მშობლებს ნაკლებად შეუძლიათ გავლენის მოხდენა სკოლაში ჩატარებულ გაკვეთილებზე, საგაკვეთილო ცხრილის შედგენაზე, მაგრამ მათ შეუძლიათ თვალყური ადევნონ ბავშვს სახლში, რომ არ გადაიღალოს. ამისათვის საჭირო იქნება რიგი რეკომენდაციების გათვალისწინება:

- თვალყური ადევნეთ, რომ ბავშვი დიდ დროს არ ატარებდეს კომპიუტერთან, თუ ამას არ მოითხოვს სასწავლო დავალებები. მოზარდობის ასაკში ის მონიტორის წინ საათნახევარზე მეტხანს არ უნდა იჯდეს. 7-8 წლის ბავშვებისთვის ნებადართულია კომპიუტერთან 40 წუთი ჯდომა. 7 წელზე ნაკლები ასაკის ბავშვები კი დღეში 20 წუთზე მეტხანს არ უნდა ისხდნენ კომპიუტერთან. თუ კომპიუტერი მოსწავლეს სასკოლო დავალებების შესასრულებლად სჭირდება, ყოველი ნახევარი საათის შემდეგ ის 10 წუთით უნდა ისვენებდეს;
- დაეხმარეთ ბავშვს მისი ინტერესების და გატაცებების შესაბამისი საქმის მოძებნაში. დააკავეთ ისეთი მეცადინეობებით, რაც აინტერესებს, და არა იმიტომ, რაც თქვენ გინდათ, რომ აინტერესებდეს. გაესაუბრეთ ბავშვს, გაარკვიეთ რა აინტერესებს სინამდვილეში და ხელი შეუწყვეთ მისი ინტერესებისა და მისწრაფებების რეალიზებას. ცნობილია, რომ როცა ადამიანი მისთვის საინტერესო საქმით არის დაკავებული, არანაირი დატვირთვა გამანადგურებლად არ მოქმედებს და სტრესული სიტუაციებიც უცხოა მისთვის;
- თვალყური ადევნეთ, რომ ბავშვი იცავდეს დღის რეჟიმს – იღვიძებდეს, ჭამდეს, წვებოდეს დასაძინებლად ერთსა და იმავე დროს. დღე-ღამეში მას არანაკლებ 8-9 საათი უნდა ეძინოს;
- თქვენს მხარდაჭერას ნუ მოაკლებთ ბავშვს. აღნიშნეთ მისი წარმატებები და ნუ დასჯით მარცხის შემთხვევაში;
- დაეხმარეთ საშინაო დავალებების შესრულების სწორად ორგანიზებაში. მიაჩვიეთ, რომ წინასწარ მოამზადოს ყველაფერი, რაც დავალების შესასრულებლად დასჭირდება, დაიწყოს მეცადინეობა იმ საგნით, რომელიც

მეტ ძალისხმევას საჭიროებს. ასევე სასურველი იქნება ჰუმანიტარული და ტექნიკური საგნების დავალებების მონაცვლეობა. იმ მაგიდის შორიახლოს, სადაც ბავშვი მეცადინეობს, არ უნდა იყოს ყურადღების გამფანტავი ფაქტორები: სათამაშოები, ჩართული ტელევიზორი, კომპიუტერული თამაშები; 40-50-წუთიანი მეცადინეობის შემდეგ საჭირო იქნება 10 წუთიანი შესვენება. II-III კლასებში ბავშვი დავალების შესრულებას 1,5 საათზე მეტს არ უნდა უთმობდეს; IV-V კლასებში – 2 საათს, VI-VII – 2,5 საათს, IX-XII კლასებში კი – 3,5 საათს;

- განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეთ ბავშვის ფიზიკურ აქტივობას. თანამედროვე ბავშვებში გადაღლისა და დაძაბულობის ერთ-ერთ სერიოზულ ფაქტორს ნაკლები ფიზიკური აქტივობა წარმოადგენს. მათი უმეტესობა დასვენების პერიოდს ბუნებაში სეირნობის ნაცვლად კომპიუტერთან ან ტელევიზორთან ატარებს. ეს მაშინ, როცა სასკოლო პერიოდის ბავშვებში მოძრაობა ჰაერით მნიშვნელოვანია, ის მათთვის ფიზიოლოგიური მოთხოვნილებაა. ნაკლები მოძრაობითი აქტივობის შემთხვევაში ისინი ცუდად ვითარდებიან. არასაკმარისი მოტორული აქტივობა უარყოფითად აისახება ბავშვის არა მხოლოდ ფიზიკურ, არამედ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე. სირბილის, ხტუნაობის ან უბრალოდ სუფთა ჰაერზე სეირნობის დროს ბავშვი თავისუფლდება შინაგანი დაძაბულობისა და სტრესებისგან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბავშვის ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე ზრუნვა აუცილებლად უნდა მოიაზრებდეს სასკოლო დატვირთვის გადახედვას. მისასალმებელია მშობლის სურვილი, რომ რაც შეიძლება განათლებული შვილი ჰყავდეს. განათლებული ადამიანები არა მხოლოდ მშობლებს, არამედ საზოგადოებასაც სჭირდება. თუმცა, ერთი რამ აუცილებლად გასათვალისწინებელია – განათლება არ ნიშნავს ადამიანის გონების უსაზღვრო ინფორმაციით დატვირთვას. სასკოლო სწავლების პროცესში, ჩვენი უპირველესი საზრუნავი უნდა იყოს – ვასწავლოთ ბავშვს სწავლა, გამოგუშუაოთ დამოუკიდებელი და ანალიტიკური აზროვნების უნარ-ჩვევები, დაგვხმაროთ საკუთარი თავის, საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების რეალიზებაში. ეს არის ის გზა, რომელიც დაგვეხმარება ისეთი პიროვნების ჩამოყალიბებაში, რომლითაც არა მხოლოდ მშობლები და ახლობლები, არამედ მთელი ქვეყანა იამაყებს.

სკოლის შიში და მისი დაძლევის გზები

ვფიქრობ, ძნელია მოიძებნოს ისეთი სკოლა, რომელსაც, თავისი ისტორიის განმავლობაში, ისე დაეწყო სასწავლო წელი, რომ ერთი-ორი ატირებული, დედის კალთას მიკრული პირველკლასელის დასამშვიდებლად რამე ზომების გატარება არ დასჭირვებოდა. ასეთი ბავშვები საზეიმოდ მორთულ სკოლის ეზოში გვინახავს წარსულში, გვხვდებიან დღეს და, დიდი ალბათობით, მომავალშიც ვიხილავთ. საუკეთესო შემთხვევაში, ისინი რამდენიმე დღეში მშვიდდებიან და ხალისით ერთვებიან სასწავლო პროცესში. თუმცა გვხვდებიან ისეთებიც, რომლებიც უარს აცხადებენ საკლასო ოთახში შესვლაზე, თუ იქ დედაც არ შეჰყვებათ; ზოგჯერ ისინი მშობლის დერეფანში ყოფნის პირობითაც თანახმანი არიან მიუსხდნენ სასკოლო მერხებს.

ასეთი ბავშვების ქცევა, როგორც წესი, განპირობებულია სკოლაში სიარულის პანიკური შიშით. ამ შიშის დაძლევის გარეშე სკოლასთან ადაპტაციის პროცესი საკმაოდ რთულდება და მოგვიანებით, ის შეიძლება სასწავლო პროცესში ბავშვის ჩართვის სერიოზულ ხელისშემშლელ ფაქტორად მოგვევლინოს. ამდენად, აუცილებელია ვიზრუნოთ, რაც შეიძლება დროულად დავძლიოთ ბავშვში სკოლის შიში. თუმცა იმისთვის, რომ ეს მოვახერხოთ, უნდა გავარკვიოთ ამ შიშის გამომწვევი მიზეზები, რადგანაც, როცა შიშის გამომწვევი მიზეზი ცნობილია, მისი დაძლევა გაცილებით იოლად ხერხდება.

ალბათ ყველა მშობლისთვის და პედაგოგისთვის საინტერესო იქნება იმის ცოდნა, თუ რა შეიძლება იწვევდეს სკოლის პანიკურ შიშს ბავშვში, რომელიც არც კი იცნობს სკოლას და ჯერ ერთი დღეც კი არ გაუტარებია იქ.

სკოლის შიშის გამომწვევი ძირითადი მიზეზები:

- უპირველეს ყოვლისა, სკოლის შიში შეიძლება იყოს რამე ნეგატიური გამოცდილების შედეგი. მაგ. შეიძლება სკოლისათვის მოსამზადებელ პერიოდში, ბავშვი ესწრებოდა საბავშვო ბაღში ჩატარებულ მეცადინეობებს, სადაც მიიღო უარყოფითი შეფასება უფროსის მხრიდან, რამაც გამოიწვია ნეგატიური ემოციები, რომლებიც შემდეგ გადაიზარდა ამ მდგომარეობის

კვლავ განცდის შიშში, თავად უფროსის ან უარყოფითი შეფასების მიღების შიშში. შეიძლება ბავშვი შეამინა უფროსის აწეულმა ტონმა და ყვირილმა. შიშის მიზეზი შეიძლება გახდეს ასევე კონფლიქტური სიტუაციები თანატოლებთან მეცადინეობების პროცესში. ბავშვს შეიძლება ჰქონდეს იმის შიში, რომ ისინი მას დასცინებენ არასწორი პასუხების, მეტყველებისა დაშვებული შეცდომების, ქცევის გამო;

- ძალიან ხშირად, ბავშვში სკოლის შიშს იწვევს მშობლებისგან ან უფროსი და-ძმებისგან მიღებული უარყოფითი, არასასურველი ინფორმაცია სკოლის შესახებ. მომავალ მოსწავლეში შფოთიანობის დონემ შეიძლება მნიშვნელოვნად მოიმატოს ბავშვის მიუღებელი ქცევის გამო მშობლების მიერ მისი მისამართით და დასაშინებლად გამოყენებულმა ფრაზებმა: „აი, წახვალ სკოლაში და იქ გასწავლიან, როგორ უნდა მოიქცე, როგორ ელაპარაკო უფროსებს; იქ ისე ვერ ირბენ, ვერც იხტუნავებ შენს ნებაზე და თუ ასე მოიქცევი, შენთან არავინ იმეგობრებს, ცუდ ნიშნებს მიიღებ, დირექტორთანაც შეგიყვანენ და დაგსჯიან“. ხშირად უფროსი და-ძმებიც სერიოზულ მონაწილეობას იღებენ ბავშვის სკოლით დაშინებაში. არის ხოლმე შემთხვევები, როცა ოჯახის უფროსი წევრების მიერ განებივრებულ, ტელევიზორთან ან კომპიუტერთან მჯდომ ან თუნდაც თამაშით გართულ ხუთი-ექვსი წლის ბავშვს სასკოლო დავალებების შესრულებით დაკავებული, თავისუფლებას მონატრებული უფროსი და-ძმა ნიშნისმოგებით მიმართავს: „წახვალ სკოლაში და დამთავრდება შენი თავისუფლება. ხომ არ გგონია მაშინაც ასე ითამაშებ – როცა გინდა და როგორც გინდა. დაიწყება შენი წამება, სულ სამეცადინო გექნება. ასე რომ, გამოემშვიდობე თავისუფლებას“. ცხადია, ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ სკოლის ხსენება და იქ სწავლის დაწყება ბავშვში მხოლოდ უარყოფით ემოციებს და შიშს აღძრავს;

- სკოლის მიმართ შიშის აღმოცენების ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება გახდეს ასევე ბავშვის სოციალური განვითარების არასათანადო დონე. არცთუ ისე იშვიათია შემთხვევა, როცა უცხო გარემოში და უცხო ადამიანებთან ყოფნას მიუხეველ პატარას ეშინია და უჭირს ახლობლების გარეშე სადმე დარჩენა. ეს პრობლემა განსაკუთრებით იმ ბავშვებთან გვხვდება, რომელთაც საბავშვო ბაღში არასოდეს უვლიათ. ასეთ ბავშვებს არ უყვართ მარტო სეირნობა, გაურბიან უცხო ადამიანებს, კომფორტულად ვერ გრძნობენ თავს სტუმრად. უპირატესობას ანიჭებენ ადამიანთა გარკვეულ,

ვიწრო წრესთან ურთიერთობას. სკოლაში წასვლა მათთვის დაკავშირებულია გაურკვევლობასა და უცხო გარემოში მოხვედრასთან, რაც მათი შიშის მიზეზი ხდება.

რეკომენდაციები სკოლის შიშის დასაძლევად სასკოლო ცხოვრების საწყის ეტაპზე:

- შევეცადოთ, პირველ დღეებში მაინც, არ გამოვიყენოთ უარყოფითი შეფასებები. მივცეთ ბავშვს ისეთი დავალება, რომელსაც ის წარმატებით გაართმევს თავს და შევაცოთ შესრულებული დავალების გამო;
- მოვერიდოთ აწეული ტონით ლაპარაკს, მით უმეტეს – ყვირილს, მაშინაც კი, თუ ის ჩვენს მითითებებს ზუსტად ვერ ასრულებს;
- დავეხმაროთ ბავშვს თანატოლებთან უკონფლიქტო და კეთილგანწყობილი დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში. ნუ დავუშვებთ, რომ თანატოლებმა მას დასცინონ და აწყენინონ, შევუქმნათ სოციალურად უსაფრთხო გარემო;
- ვიზრუნოთ იმაზე, რომ მშობლების და ოჯახის წევრების მხრიდან ბავშვს არ ჩამოუყალიბდეს უარყოფითი დამოკიდებულება სკოლის მიმართ; და, თუ ასეთი დამოკიდებულება უკვე ჩამოყალიბებულია, რეალური მაგალითებით დავარწმუნოთ პატარა, რომ სკოლა მისთვის სრულიად უსაფრთხო ადგილია. აქ მას შეუძლია როგორც სწავლა, ასევე გართობა და თამაშიც კი.
- და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სკოლის შიშის დაძლევაში ბავშვს დიდ დახმარებას გაუწევს სკოლაში მისვლის პირველსავე დღეს მასწავლებლის კეთილგანწყობილი, გაღიმებული, სიყვარულით სავსე სახის დანახვა.

დაბოლოს, ნუ დავივიწყებთ, რომ მოსწავლესთან, მით უმეტეს, უმცროსკლასელთან დაკავშირებული პრობლემის მოგვარება მშობლებთან თანამშრომლობის გარეშე შეუძლებელია. ვერც პედაგოგი და ვერც მშობელი დამოუკიდებლად ვერ გაუმკლავდება ზემოაღნიშნულ პრობლემას. მისი გადაწყვეტა მხოლოდ მათი ერთობლივი ძალისხმევით და თანამშრომლობით იქნება შესაძლებელი.

როგორ გამოვუმუშაოთ ბავშვს თვითკონტროლის უნარი

როგორც დაკვირვება გვიჩვენებს, უფროსები, პედაგოგები და მშობლები, ბავშვს ყველაზე ხშირად მაშინ საყვედურობენ, როცა ისინი აშკარად ავლენენ საკუთარი ქმედების მართვისა და კონტროლის უუნარობას. „საერთოდ არ შეუძლია პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება, ყველაფერი ჩემი გასაკეთებელია. მე თუ არ შევახსენე და გავაკეთებინე, თვითონ არაფერი გაახსენდება, ხელით სატარებელი მყავს“, – ეს სიტყვები ხშირად გვესმის საკმაოდ მობრდილი ბავშვების განაწყენებული და შვილის საქციელით უკმაყოფილო მშობლებისგან. როგორც ასეთ მშობლებთან საუბრისას ირკვევა, ისინი შვილის ასაკის გამო წუხან მათ პასურობაზე, უყურადღებობისა და თვითკონტროლის უუნარობაზე. წლების წინ კი, როცა ბავშვი თავად მიისწრაფოდა დამოუკიდებლობისა და პასუხისმგებლობის საკუთარ ხელში აღებისკენ, მშობლები აქტიურად ახშობდნენ მას იმ მოტივით, რომ ის პატარა იყო და ამის უფლებას ვერ მისცემდნენ.

მაინც რა არის თვითკონტროლი და როდიდან უნდა დავიწყოთ ზრუნვა ბავშვში ამ უნარის განვითარებაზე. თვითკონტროლი ჩვენი ქმედების მარეგულირებელი ფუნქციაა, რომლის როლიც მდგომარეობს საქმიანობის შედეგების დასახულ მიზნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფაში, მოსალოდნელი შეცდომების თავიდან აცილებაში ან უკვე დაშვებული შეცდომების აღმოჩენაში. თვითკონტროლის დახმარებით ადამიანი ამა თუ იმ საქმიანობის დროს აცნობიერებს საკუთარი მოქმედების სისწორეს. შემცენებითი საქმიანობის პროცესში „წარმატებულ“ და „წარუმატებელ“ მოსწავლეებს შორის განმასხვავებელ ერთ-ერთ არსებით ნიშანს წარმოადგენს სწორედ საკუთარი მოქმედების კონტროლისა და რეგულაციის უნარი. „წარუმატებელ“ მოსწავლეებს იმ წესების ცოდნისა და გაგების შემთხვევაშიც კი, რომლითაც უნდა იმოქმედონ, უჭირთ ისეთი დავალებების დამოუკიდებლად შესრულება, სადაც აუცილებელია რიგი გონებრივი ოპერაციების თანმიმდევრობის დაცვა, თვითკონტროლის და თვითრეგულაციის უნარის გამოვლენა და ამის გამო მუდმივად საჭიროებენ უფროსების დახმარებას. ბავშვში თვითკონტროლის და თვით-

რეგულაციის უნარის განვითარებაზე ზრუნვას უკვე სკოლამდელ პერიოდში, საკმაოდ ადრეულ ასაკში უნდა ვიწყებდეთ. ალბათ, შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ საკუთარი ქცევის მართვის და კონტროლის უნარი ბავშვის სკოლისათვის მზაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია. ქცევის თვითკონტროლი, გარკვეულ დონეზე, ბავშვს ჯერ კიდევ სკოლამდე უნდა ჰქონდეს ჩამოყალიბებული. წინააღმდეგ შემთხვევაში მას გაუჭირდება, თავი გაართვას სკოლასთან ადაპტაციის სტრესს, შეიძინოს თანაკლასელებთან ურთიერთობის ჩვევები და აიტანოს სასკოლო რეჟიმი. სასკოლო პერიოდში ეს უნარი ვითარდება და სრულყოფამდე მიდის. წარმატებული სწავლა-სწავლება სკოლაში თვითკონტროლის უნარის ორი ძირითადი მიმართულებით განვითარებას მოიპოვებს – ქცევის თვითკონტროლი და სასწავლო საქმიანობის თვითკონტროლი. ქცევის თვითკონტროლის არარსებობა ან არასაკმარისი განვითარება ბავშვის სასკოლო ცხოვრებას ნამდვილ ჯოჯოხეთად აქცევს. მისთვის რთულია როგორც სასკოლო რეჟიმის მოთხოვნებისადმი დამორჩილება, ისე სასწავლო პროგრამის დატვირთვის ატანა. თვითკონტროლის განვითარება სასწავლო პროცესში ვლინდება მიცემული დავალებების შესრულების უნარში, გარკვეული ნიმუშის მიხედვით მოქმედების უნარში, მოქმედებების თანმიმდევრობის დაცვის უნარში, სამუშაოს შესრულებისას დაშვებული შეცდომების აღმოჩენისა და მათი დამოუკიდებლად გამოსწორების უნარში. ამისათვის საჭიროა ვასწავლოთ მას „ცდისა და შეცდომის“ გზით სიარული, ჩხუბისა და დასკვნების გამოტანის გარეშე. მასთან ერთად განვიხილოთ მცდარი ნაბიჯების შედეგები. თვითკონტროლის განვითარება ბავშვში ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი რეაქციები გვექნება უფროსებს მის მიერ დაშვებულ შეცდომებზე. არცთუ იშვიათია შემთხვევა, როცა ბავშვი, საშინაო დავალების ნაჩქარევად შესრულების გამო უშვებს შეცდომებს, ბრაზობს, ყველაფერს შლის და როცა უკვე აღარ იცის შემდეგ რა გააკეთოს, დახმარებას ახლობლებს სთხოვს. ასეთ დროს არ არის სასურველი უკმაყოფილების გამოხატვა, ჩხუბი, გაკიცხვა. ნაცვლად ამისა, უკეთესი იქნება, ბავშვს დავებმართო მომხდარის გააზრებაში, მხარი დავუჭიროთ მას, მაგ. ასეთი სიტყვებით: „შენ იჩქარე ამოხსნა, არ დაფიქრდი. ნუ განიცდი! გაბრაზებით შეიძლება მხოლოდ საკუთარ თავზე გაბრაზდე, მაგრამ, ეს არ დაგეხმარება ამოხსნაში. დამშვიდდი, დაფიქრდი და შენ ყველაფერი გამოგივა“. დიდი ალბათობით ამ სიტყვების მოსმენისა და ჩვენი მხარდაჭერის შემდეგ ბავშვი თავს გაართმევს დავალებას.

ხანდახან ჩვენ, უფროსები, ჩვენდა უნებურად, ბავშვში აღვძრავთ არასწორი მოქმედების, შეცდომების შიშს, ასევე შეცდომების გამო დასჯის შიშს. ასეთ შემთხვევაში ბავშვს შეიძლება გაუქრეს საკუთარი თავის გაკონტროლების, დამოუკიდებლად მოქმედების, შესრულებულ დავალებამე პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღების სურვილი. რაც უფრო ძლიერდება კონტროლი უფროსების მხრიდან, მით უფრო მეტად ითრგუნება ბავშვი და სერიოზულად ფერხდება მასში თვითკონტროლის უნარის განვითარება. ძალიან დიდ შეცდომას უშვებენ ის მშობლები, რომლებიც კონტროლის ფუნქციას მთლიანად საკუთარ თავზე იღებენ, უჭირთ მისი დათმობა და ისწრაფიან, რომ რაც შეიძლება დიდხანს შეინარჩუნონ ის. ასეთ შემთხვევაში, ბუნებრივია, ბავშვი საკუთარ თავზე არანაირ პასუხისმგებლობას არ იღებს. მომავალში, როცა მშობლები თავს დაანებებენ, შეწყვეტენ ბავშვის მიერ დავალებების შესრულების კონტროლს, მას გაცნობიერებული, დამოუკიდებელი კონტროლის განხორციელების უნარი არ ექნება. ყველაფერი ეს კი უარყოფითად იმოქმედებს, ერთი მხრივ, სწავლების პროცესზე, და, მეორე მხრივ, ბავშვის პიროვნების ფორმირებაზე.

რეკომენდაციები ბავშვში თვითკონტროლის უნარის გამოსამუშავებლად:

- ნუ დავაგვიანებთ და დროულად მივცეთ ბავშვს დამოუკიდებლად მოქმედებისა და მიზნის მისაღწევად პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღების შესაძლებლობა;
- ვალიაროთ და მოვიწონოთ ბავშვის ინიციატივა, იმოქმედოს დამოუკიდებლად. მივანიჭოთ მას მოქმედების გარკვეული თავისუფლება, რაც, თავის მხრივ, მომავალში დამოუკიდებლობის და თვითკონტროლის განვითარების ხელშემწყობი გახდება;
- ყურადღება მივაქციოთ დაშვებულ შეცდომებზე ადეკვატური ემოციური რეაქციების გამომუშავებას ბავშვში. წყენის, გაბრაზების და აგრესიის ნაცვლად ბავშვს უნდა გამოვუმუშაოთ სიტუაციის მშვიდად მიღების, მისი გააზრების, გაანალიზების და დასკვნების გამოტანის უნარი;
- მუდმივი საყვედურებისა და შენიშვნების ნაცვლად, შევაქოთ ბავშვი ისეთ შემთხვევაში, როცა ის აშკარად ავლენს თვითკონტროლის უნარს ან თუნდაც ცდილობს ამის გაკეთებას. შესაძლოა მან აღნიშნულის მისაღწევად დიდი შრომა დახარჯა. ნუ გავაუფასურებთ მის მიღწევას, დავაფასოთ და ვალიაროთ ის. ასეთი დადებითი განმტკიცება მასში აღძრავს სურვილს, მომავალშიც გამოამჟღავნოს ეს უნარი;

- როცა ბავშვი საკუთარ თავზე კონტროლს კარგავს, როგორი რთულიც არ უნდა იყოს ეს, ნუ დავიწყებთ ყვირილს, ვიყოთ მტკიცე, თანმიმდევრული და სამართლიანი. თუ ბავშვი ისტერიაში ვარდება, შევინარჩუნოთ სიმშვიდე და ავუხსნათ მას, რომ ყვირილი, ბრახუნი და კარის მიჯახუნება ქცევის მიუღებელი ფორმებია, რის გამოც ის დაისჯება და ვუთხრათ კიდევ, თუ კონკრეტულად რა იქნება ეს სასჯელი. საჭიროა დავანახოთ ბავშვს, რომ ისტერია ვერ დაეხმარება მას სასურველის მიღწევაში;
- შევეცადოთ ჩვენ თავად გავუკეთოთ მოდელირება თვითკონტროლს. არ იქნება გამართლებული, საკუთარი ქცევის კონტროლი მოვთხოვოთ ბავშვს, თუ ჩვენ, მისი თანდასწრებით, ისტერიაში ვვარდებით, ვბრაზობთ და აგრესიას ვაფრქევთ. შევეცადოთ გამაღიზიანებელ სიტუაციაში ჩვენი ქცევით დავანახოთ ბავშვს, რომ ემოციებისა და ქცევის კონტროლი საუკეთესო ხერხია რთული სიტუაციიდან უმტკივნეულოდ გამოსასვლელად.

გავითვალისწინოთ, რომ თვითკონტროლი თანდაყოლილი არ არის, ის გამომუშავებადია და თუ ბავშვი არ არის დაუფლებული ამ უნარს, მას საყვედურები, უკმაყოფილება და ჩხუბი კი არა, ჩვენი დახმარება, თანადგომა და მხარდაჭერა სჭირდება.

ნუ ვაქცევთ შეფასებას სასჯელად

ერთხელ მეექვსეკლასელ გიოსთან ჩემი შეხვედრა საკმაოდ საინტერესო და საყურადღებო დიალოგში გადაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ ჩემ მიერ მიწოდებულ ყველა დავალებას გიო დიდი წარმატებით ართმევდა თავს, მთელი შეხვედრის განმავლობაში ის საკუთარ თავში დაურწმუნებლობას ამჟღავნებდა, მიღწეულ წარმატებებს საკმაოდ არაადეკვატურად ხვდებოდა და მიმტკიცებდა, რომ ეს ყველაფერი შემთხვევითი იყო. იმის გასარკვევად უკავშირდებოდა თუ არა ბავშვის დაქვეითებული თვითშეფასება და საკუთარ თავში დაურწმუნებლობის გრძნობა სასწავლო წარუმატებლობებს, ასეთი შეკითხვა დავუსვი: „გიო, როგორ სწავლობ სკოლაში?“ „ისე რა!“ – მოკლედ და უხალისოდ მიპასუხა მან. „ისე რა, რას ნიშნავს? რა ნიშნებს იღებ ხოლმე?“ – არ ვეშვებოდი გიოს. „ათიანებს, ხანდახან ცხრიანებს და იშვიათად რვიანებსაც“, – დამიბუსტა პასუხი ბავშვმა. „კი, მაგრამ ათიანები, ცხრიანები და რვიანები ისე რა არის?!“ – ვერ დავმალე ჩემი გაოცება. „ეჰ, მე კი ვიცი, რომ არ არის, მაგრამ, აბა დედაჩემს ჰკითხეთ?! ათიანის გარდა, მისთვის სხვა ნიშანი არ არსებობს“, – სინანულით მიპასუხა ბავშვმა. როგორც ჩანს, დედის მუდმივმა უკმაყოფილებამ თავისებური გავლენა მოახდინა გიოს თვითშეფასებაზე. ბავშვი საკმაოდ მაღალ მოთხოვნებს უყენებდა საკუთარ თავს და სულ მცირე მარცხის შემთხვევაშიც კი კარგავდა საკუთარი ძალების რწმენას. ყოველივე აღნიშნული გიოს პიროვნების ფორმირების პროცესს არცთუ ისე სასურველი მიმართულებით წარმართავდა.

ბევრი პედაგოგისგან მსმენია, რომ ძალიან უჭირს ამა თუ იმ ბავშვისთვის დაბალი ნიშნის დაწერა მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ არასასურველი ნიშნის მიღების შემთხვევაში დედა მას სასტიკად სჯის. რამდენიმე დღის წინ მეხუთეკლასელი ნინი პანიკაში იყო ჩავარდნილი მათემატიკაში მიღებული 7 ქულის გამო. ის საშინლად წუხდა, ტიროდა და ნერვიულობდა იმის გამო, რომ დედა დასჯიდა. მსგავსი შემთხვევები, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, არცთუ ისე იშვიათია. ხშირად, მშობელთა გაზრდილი მოთხოვნები და საკუთარი შვილის შესაძლებლობების გაუთვალისწინებლობა სერიოზული ხელისშემშ-

ღელი ფაქტორი ხდება პედაგოგისთვის მოსწავლის სასწავლო მიღწევების შეფასების პროცესში.

ვფიქრობ, საკამათო არ უნდა იყოს, რომ სასწავლო პროცესი შეფასების გარეშე წარმოდგენილია. არანაირი მნიშვნელობა არ აქვს რომელი ქვეყნის, როგორი ტიპის საგანმანათლებლო სისტემასთან გვექნება საქმე, შეფასებას სასწავლო პროცესში ვერავინ აუვლის გვერდს. ასე იყო წარსულში, ასეა დღეს და, დიდი ალბათობით, ასე იქნება მომავალშიც. აღნიშნული გარემოება ნამდვილად არ არის შემთხვევითი, ვინაიდან შეფასებას სასწავლო პროცესში სრულიად განსაკუთრებული დანიშნულება აქვს არა მხოლოდ მოსწავლისთვის, არამედ მასწავლებლისა და მშობლისთვისაც.

მასწავლებლისგან მიღებული შეფასებები მოსწავლეს აძლევს ინფორმაციას საკუთარი მიღწევების შესახებ, ასევე იმის შესახებ, თუ რაზე უნდა გაამახვილოს მომავალში ყურადღება, რა არის მისი ძლიერი და სუსტი მხარე. შეფასებები მოსწავლეს თვითშეფასების ჩამოყალიბებაში ეხმარება. ძალიან ხშირად, განსაკუთრებით დაწყებით კლასებში, მასწავლებლის მიერ ამა თუ იმ ბავშვის მიმართ გამოყენებული შეფასებები პირდაპირ ახდენს გავლენას თანატოლთა წრეში ბავშვის სოციალურ სტატუსზე, ჯგუფში მის მდგომარეობაზე. პედაგოგის მხრიდან მიღებულმა შეფასებებმა შეიძლება ძალიან პოპულარული გახადოს ბავშვი თანატოლთა შორის, ან პირიქით – ხელი შეუწყოს მის არაპოპულარობასა და ჯგუფიდან გარიყვას. მსგავს გავლენას განიცდის ბავშვის თვითშეფასებაც მისი სასწავლო შედეგების შეფასების დროს. შეფასებითი ურთიერთობის პროცესში მოზარდს შეიძლება ჩამოუყალიბდეს მისი შესაძლებლობების ადეკვატური თვითშეფასება, ან პირიქით – სრულიად არაადეკვატური თვითშეფასება. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ მოსწავლის სასწავლო მიღწევების შეფასება არა მხოლოდ სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვისთვის არის მნიშვნელოვანი, არამედ სერიოზულ გავლენას ახდენს პიროვნების ჩამოყალიბების პროცესსა და ჯგუფში დამკვიდრებულ ფსიქოლოგიურ კლიმატზე.

სასწავლო პროცესში გამოყენებული შეფასებები არანაკლებ მნიშვნელოვანია პედაგოგებისთვისაც. მოსწავლეთა მიღწევების შეფასება მასწავლებელს ეხმარება, ზუსტად განსაზღვროს ათვლის წერტილი და საჭიროებები სასწავლო პროცესში. აქედან გამომდინარე კი სწორად დაგეგმოს თავისი საქმიანობა და საგაკვეთილო პროცესიც უფრო ეფექტიანად და საინტერე-

სოდ წარმართოს, რაც, თავის მხრივ, სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევის კარგი საშუალებაა პედაგოგისთვის. სასწავლო პროცესში გამოყენებულმა შეფასებებმა შეიძლება გარკვეული გავლენა მასწავლებლის თვითშეფასებასა და მოსწავლეებთან მის ურთიერთობაზეც იქონიოს. თუ პედაგოგს, მოზარდთა დაბალი მიღწევების გამო, ხშირად უწევს უარყოფითი შეფასებების გამოყენება, მას ან საკუთარი ძალების რწმენა და აქედან გამომდინარე, თვითშეფასებაც დაუქვეითდება, ან ის მოზარდთა დაბალ სასწავლო მოტივაციაზე დაიწყებს ლაპარაკს და შეეცდება ამით ახსნას საკუთარი მოსწავლეების დაბალი მიღწევები. ორივე შემთხვევაში დიდია ალბათობა, რომ მასწავლებელ-მოსწავლის ურთიერთობა გართულდეს, რაც, თავის მხრივ, სასიკეთოს არაფერს მოუტანს სკოლასა და სასწავლო პროცესს.

არანაკლები მნიშვნელობისაა მოსწავლეთა მიღწევების შეფასება მშობლებისთვის. შეფასებები, ერთი მხრივ, იძლევა ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა მიმართულებით საჭიროებს დახმარებას მათი შვილი და რაზე უნდა გაამახვილონ ყურადღება მომავალში; მეორე მხრივ, მასწავლებელზე და მის შესაძლებლობებზეც ქმნის გარკვეულ წარმოდგენას.

იმისათვის, რომ სასწავლო პროცესში გამოყენებულმა შეფასებამ თავისი როლი შეასრულოს და დადებითი შედეგები მოიტანოს, როგორც მოსწავლისათვის, ასევე პედაგოგისა და მშობლისთვისაც, აუცილებელია ყველა პედაგოგისთვის უკვე კარგად ცნობილი შეფასების პრინციპების (ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდურობა, გამჭვირვალობა) დაცვა. თუმცა, არის შემთხვევები, როცა აღნიშნული პრინციპების დაცვა არასაკმარისი აღმოჩნდება ხოლმე შეფასებით გამოწვეული სირთულეების თავიდან ასაცილებლად. ამაზე კარგად მეტყველებს ზემოთ აღწერილი გიოს და ნინის შემთხვევა. აღნიშნული სიტუაციების ანალიზი მიგვანიშნებს, რომ მშობლებთან თანამშრომლობის გარეშე სასწავლო პროცესში შეფასების ეფექტურობაზე ვერ ვისაუბრებთ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ შეფასება მოსწავლისთვის სასჯელად, პედაგოგისთვის სტანჯველად, მშობლისთვის კი, სკოლასა და მასწავლებელზე შურისძიების იარაღად არ იქცეს, აუცილებელია, ერთი მხრივ, პედაგოგის მიერ შეფასების პრინციპების განუხრელი დაცვა და, მეორე მხრივ, მშობელთა ინფორმირება შეფასებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

აგრესიულობა ბავშვებში

ვფიქრობ, აგრესიულობა დღეს არავისთვის უცხო არ არის. თითქმის ყოველდღიურად და ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეიძლება წავაწყდეთ ადამიანებში აგრესიულ ქცევით გამოვლინებებს. თითქოს ამაში არც არაფერია გასაკვირი, აგრესიულობა ხომ ადამიანური ბუნების ნაწილია, მაგრამ ბავშვების ასეთი ქცევა მშობლებს, როგორც წესი, პანიკაში აგდებს და ისინი ყველანაირად ცდილობენ, ჩაახშონ მათში ეს „სამარცხვინო“ ქცევითი მახასიათებელი. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ აგრესიული ქცევა შინაგანი პრობლემების გარე გამოვლენაა, ის ემოციური არაკეთილდღეობის ერთ-ერთი სიმპტომაა. ამიტომ ქცევის კორექცია და აგრესიულობის დაძლევა აუცილებლად საჭიროებს მისი გამომწვევი მიზეზების გარკვევას.

ბავშვის აგრესიულობის მიზეზები:

- **მშობლების მიერ ბავშვის მიუღებლობა** – აგრესიულობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი მშობლების მიერ ბავშვის მიუღებლობაა. შემთხვევითი არ არის, რომ აგრესიულ გამოვლინებებს ძალიან ხშირად არასასურველ ბავშვებში ვხვდებით. არის შემთხვევები, როცა ქალი მზად არ არის დედობისთვის და არც სურვილი აქვს შვილის ყოლის, ან ორი შვილი უკვე ჰყავს და მესამე აღარ სურს. მუცლადმყოფი ბავშვის მოცილება კი, სამედიცინო თვალსაზრისით, შეიძლება საფრთხეს უქმნიდეს მის სიცოცხლეს. ამიტომ ის იძულებით აჩენს ბავშვს. მიუხედავად იმისა, რომ მომავალში შეიძლება მშობლებმა პირდაპირ არ უთხრან ბავშვს, რომ მისი დაბადება არ სურდათ, ის მაინც იღებს ინფორმაციას ამის შესახებ მათი ჟესტებიდან, ინტონაციიდან, მიმიკიდან. ასეთი ბავშვები ცდილობენ ნებისმიერი ხერხით დაამტკიცონ, რომ მათ აქვთ „არსებობის“ უფლება, რომ ისინი კარგები არიან, ცდილობენ მოიპოვონ მათთვის ასეთი აუცილებელი რამ – მშობლების სიყვარული. და, როგორც წესი, ისინი ამას საკმაოდ აგრესიულად აკეთებენ;
- **გულგრილობა ან მტრული დამოკიდებულება მშობლების მხრიდან** – ძალიან მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან ბავშვები, რომელთა მშობლებ-

ბი გულგრილნი არიან მათ მიმართ. ასეთ ბავშვებს უყალიბდებათ ისეთი წარმოდგენა, თითქოს გარემომცველი სამყარო მტრული და აგრესიულია მათ მიმართ. გარშემომყოფთა ქცევაზე მათი რეაქცია, როგორც წესი, აგრესიულ ხასიათს ატარებს;

- **ემოციური კავშირების რღვევა ოჯახში** – ბავშვში მომატებული აგრესიულობის მიზეზი შეიძლება იყოს დადებითი ემოციური კავშირების რღვევა როგორც მშობელსა და ბავშვს შორის, ასევე თვითონ მშობლებს შორის. როცა მეუღლეები მუდმივად კონფლიქტში არიან და ჩხუბობენ, ცხოვრება მათ ოჯახში მიძინებულ ვულკანზე ყოფნას წააგავს. ასეთი ოჯახი ბავშვისთვის სატანჯველად იქცევა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მშობლები შვილს ერთმანეთის წინააღმდეგ ბრძოლის იარაღად იყენებენ. ხშირად ასეთი ბავშვები ოჯახურ გარემოში დაგროვილ აგრესიას უცხო ადამიანებთან ავლენენ;
- **ბავშვის პიროვნების უპატივცემულობა** – ბავშვის აგრესიულ რეაქციებს შეიძლება იწვევდეს მისი ქცევის არაკორექტული და უტაქტო კრიტიკა, დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი შენიშვნები, განსაკუთრებით მაშინ, თუ ის ამას უცხო ადამიანების თანდასწრებით იღებს. გარდა იმისა, რომ უფროსების ასეთი დამოკიდებულება ბავშვში აგრესიულობის მიზეზი ხდება, მას შეიძლება გაუჩნდეს საკუთარ თავში და საკუთარ ძალებში დაურწმუნებლობის განცდა;
- **ზედმეტი კონტროლი ან სრული უკონტროლობა** – ბავშვის ქცევის უზომო კონტროლი არანაკლებ საზიანოა, ვიდრე მისი სრული უკონტროლობა. გვხვდებიან მშობლები, რომლებიც ცდილობენ მართონ საკუთარი შვილი, დათრგუნონ მისი ნებელობა, არ დაუშვან მისი პირადი ინიციატივის გამოვლენა და არ მისცენ მას შესაძლებლობა იყოს ის, რაც არის. ისინი ბავშვებში სიყვარულზე მეტად შიშს იწვევენ. ასეთი აღზრდის შედეგი, როგორც წესი, არის გარშემომყოფებზე მიმართული „დაჩაგრული“ ბავშვის აგრესიული ქცევა. მისი აგრესია შენიღბული პროტესტია არსებული მდგომარეობის წინააღმდეგ, აკრძალვებთან დაკავშირებით მისი უკმაყოფილების გამოხატვაა. ბავშვი ცდილობს დაიცვას თავი, თავისი „მე“ და თავდაცვის ფორმად თავდასხმას ირჩევს. სამყაროს მიმართ მას უჩნდება უნდობლობა და თავს იცავს მაშინაც კი, როცა არავინ არც კი ფიქრობს მასზე თავდასხმას;
- **არასაკმარისი ყურადღება ან, პირიქით, ყურადღების სიჭარბე მშობლების მხრიდან** – თუ ბავშვი ოჯახში საყოველთაო ყურადღების ობიექტად არის ქცეული და მის ყოველ მოთხოვნას უსიტყვოდ და უპრობლემოდ ასრულებ-

ბენ, მას უჩნდება განცდა, რომ ის განსაკუთრებული და განუმეორებელი არსებაა, რომელსაც ყველა უნდა ემსახუროს. მაგრამ თუ მოხდა სასწაული და მას რამე სურვილი ვერ შეუსრულეს, იწყება აგრესიული აფეთქება, რომლის ჩახშობა მშობლებს ძალიან უჭირთ. სრულიად საწინააღმდეგო ბუნება აქვს აგრესიის აღმოცენებას მუდმივად დაკავებული მშობლების შვილებში. მათი აგრესია არის მშობლების ყურადღების მიპყრობის საუკეთესო საშუალება. ისინი მოქმედებენ პრინციპით – „უკეთესია მლანძღონ, მისაყვედურონ, ვიდრე საერთოდ ვერ შემაძნელონ“;

- **ფიზიკური აქტივობის აკრძალვა** – ხშირად ბავშვის აგრესიული ქცევა უფროსების აკრძალვებით არის პროვოცირებული. თუ ბავშვმა მთელი დღის განმავლობაში ვერ შეძლო ვერც დადებითი და ვერც უარყოფითი ემოციების ღიად გამოხატვა, ფიზიკური განმუხტვა, ის მას აუცილებლად აგრესიით გამოავლენს. მისი აგრესია განპირობებული იქნება დაგროვილი მოტარებული ენერგიით, რომელსაც უკვალოდ გაქრობა არ შეუძლია. თუ მშობელი სახლში დაღლილი ბრუნდება და ბავშვს განძრევის საშუალებას არ აძლევს იმ მოტივით, რომ მას დასვენება ესაჭიროება, ის არა მარტო აგრესიული გახდება, არამედ სრულიად უმართავიც და ყველაფერი არაკონტროლირებადი, ხანგრძლივი ისტერიკით დასრულდება. ბავშვის ქცევის ძირითადი კანონია ის, რომ მისმა ენერგიამ აუცილებლად უნდა იპოვოს გამოსავალი. ამიტომ, მას უნდა ჰქონდეს, როგორც თავისუფლად სირბილის, თამაშის, ფიზიკური ენერგიის დახარჯვის, ასევე ემოციების თავისუფლად გამოვლენის საშუალება. წინააღმდეგ შემთხვევაში, აგრესიული ქცევა მისი მხრიდან, ადრე თუ გვიან, გარდაუვალი იქნება;
- **საფრთხის ქვეცნობიერი მოლოდინი** – თუ დედა, ფეხმძიმობის პერიოდში, დაცულად ვერ გრძნობს თავს, მუდმივად შფოთავს და წუხს საკუთარი თავისა და შვილის გამო, მისი შეგრძნებები, როგორც წესი, გადაეცემა მუცლადმყოფ ბავშვს, რომელსაც დაბადების შემდეგ, დიდი ალბათობით, ქვეცნობიერად მუდმივად ექნება მოსალოდნელი საფრთხის შიში, თავდასხმის მოლოდინი, ყველაფერში დაინახავს პოტენციურ საფრთხეს და მისგან თავის დაცვას აგრესიული ქმედებებით შეეცდება;
- **ტელევიზორი, ფილმები ძალადობაზე, სისასტიკეზე, აგრესიის მატარებელი კომპიუტერული თამაშები** ბავშვებში აგრესიის ხელშემწყობი სერიოზული მიზეზია. თუ ბავშვი მუდმივად დაკავებულია ისეთი მულტფილმების, ფილმების ყურებით, სადაც ხედავს ბევრ სისხლს, ჩხუბს, მკვლელობას და ეს

აღიქმება, როგორც ქცევის ნორმა, სერიოზულად მახინჯდება მისი ფსიქიკა. ის საკუთარი თავის იდენტიფიცირებას ახდენს „სუპერ-გმირთან“ და ბაძავს მას. ძალადობის მომცველი სატელევიზიო გადაცემების ყურებამ ასევე მნიშვნელოვნად გაზარდა აგრესიულობა ბავშვებში. ასეთი გადაცემები და ფილმები განსაკუთრებით უარყოფითად მოქმედებს სუსტი ნერვული სისტემის მქონე ბავშვებზე, რომლებიც ადვილად ექვემდებარებიან შთაგონებას.

რეკომენდაციები ბავშვის აგრესიულობის დასაძლევად:

- ბავშვის აგრესიაზე ჩვენი ქცევა არ უნდა იყოს ზედმეტად ემოციური. ამან შეიძლება მხოლოდ განამტკიცოს აგრესიული ქცევა;
- ვერიდოთ მორალისა და ლექციების კითხვას. რაც უფრო რთულად და დიდხანს ავუხსნით ბავშვს, რომ ის არ არის მართალი, მით უფრო ნაკლები იქნება შანსი, რომ ის ნათქვამს გაიგებს. ასეთ დროს ის თავადაც შეშინებულია და ზედმეტი საუბრები მას კიდევ უფრო აშინებს;
- ჩვენ მიერ მიწოდებული ინსტრუქციები და რჩევები უნდა იყოს მარტივი, ცხადი, ნათელი და ადვილად აღსაქმელი;
- ნუ ვუბასუხებთ ბავშვის აგრესიას აგრესიით. წინააღმდეგ შემთხვევაში ის იფიქრებს, რომ მსგავს სიტუაციებში მთავარი ძალაა;
- შევეცადოთ ვაკონტროლოთ საკუთარი ქცევა. თუ ჩვენ ყოველდღიურ ცხოვრებაში თავად ვავლენთ აგრესიას, ჩვენთან ურთიერთობაში მყოფ ბავშვს გაუჭირდება აგრესიულ ჩვევებზე უარის თქმა, რადგან ჩვენი ქმედებით მას ცუდი ქცევის მაგალითს ვაძლევთ;
- განვაფიქროთ აგრესიულ ბავშვებში ემპათიის გრძნობა, სხვების თანაგრძნობის, თანაგანცდის უნარი;
- ვასწავლოთ ბავშვს თავის ქცევაზე პასუხისმგებლობის აღება, რათა სხვას არ გადააბრალოს დანაშაული;
- ნუ ავუკრძალავთ ბავშვს უარყოფითი ემოციების გამოვლენას;
- დავეხმაროთ ადეკვატურად შეაფასოს, როგორც საკუთარი ემოციური მდგომარეობა, ასევე თავისი „მსხვერპლის“ მდგომარეობაც;
- მივიღოთ ბავშვი და გვიყვარდეს ის ისეთი, როგორიც არის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბავშვები საჭიროებენ აგრესიულობის კორექციას, რადგანაც ის ამახინჯებს მათ წარმოდგენას რეალობაზე, აიძულებს დაინახონ მხოლოდ მტრობა გარემომცველ სამყაროში. ბავშვის აგრესიულობისგან გათავისუფლების საუკეთესო გზას კი მისთვის თბილი, გულისხმიერი, სიყვარულით სავსე გარემო წარმოადგენს.

სასკოლო ფობია – გამომწვევი მიზეზები და დაძლევის გზები

ვფიქრობ, სკოლასთან პირდაპირ ან არაპირდაპირ დაკავშირებული ნებისმიერი ადამიანი გამხდარა ისეთი სცენის მოწმე, როდესაც სკოლაში წასვლის წინ ბავშვს იპყრობს პანიკური შიში და ყველანაირ ხერხს მიმართავს გაკვეთილების გასაცდენად და სახლში დასარჩენად. ხშირ შემთხვევაში ბავშვის ემოციური მდგომარეობა და თანმხლები სომატური ჩივილები (თავის ტკივილი, მუცლის ტკივილი, ტემპერატურის მომატება, გულისრევა) იმდენად ძლიერდება, რომ მშობელი იძულებული ხდება დაყვეს მის ნებას და სახლში დატოვოს. თუმცა, მას შემდეგ, რაც ექიმთან ვიზიტი დაარწმუნებს მშობელს, რომ მისი შვილი ჯანმრთელია და არანაირი ორგანული დაავადება არა აქვს, ბავშვი უფროსების დაუჩინებელი მოთხოვნით და დაძალებით მიდის სკოლაში, საიდანაც ერთ-ორ საათში დედას ურეკავენ, ატყობინებენ მისი შვილის ცუდად ყოფნას და ურჩევენ, რომ სახლში წაიყვანოს. აღნიშნული მდგომარეობა ფსიქოლოგიაში ცნობილია სასკოლო ფობიის სახელით. ის ემოციური არამდგრადობის გაცილებით უფრო რთულ ფორმას წარმოადგენს, ვიდრე სასკოლო შფოთიანობა და ნევროზი, მიუხედავად იმისა რომ, შეილება მათ ბევრი რამ საერთოც ჰქონდეთ. სასკოლო ფობია ჩვეულებრივ განისაზღვრება, როგორც სკოლის უმიზეზო, სერიოზული, პანიკური, ინტენსიური შიში, ან უადგილო განგაში, რომელიც აკვიატებულად თან სდევს ზოგიერთ ბავშვს სკოლაში წასვლის წინ. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ფობია არ არის უბრალოდ ვიღაცის ან რაღაცის შიში. შიში ჩვეულებრივი ადამიანური გრძნობაა, საბაზისო ემოციებს მიეკუთვნება და ვფიქრობ, არ არსებობს ადამიანი, რომელსაც ის არ განუცდია. შიში აღმოცენდება რეალური ან წარმოსახული საფრთხის შედეგად. როგორც წესი, ის დროებით ხასიათს ატარებს და ადამიანთა უმრავლესობა ახერხებს მის დაძლევას. მაგრამ, თუ დაძლევის ნაცვლად, ის იმდენად ძლიერდება, რომ ადამიანს პანიკაში აგდებს, ქცევას უმართავს ხდის და მის დემორგანიზებას იწვევს, ჩვენ შეიძლება ფობიაზე მივიტანოთ ეჭვი. ფობია ინტენსიური და არაადეკვატური შიშია, რომლის დროსაც ადამიანი კარგავს ლოგიკური ამროვნების უნარს. ფობიისთვის ტიპურია ის,

რომ ადამიანი ხვდება თავისი შიშის უსაფუძვლობას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არ შეუძლია მისი მართვა – ჩვენ ვერ ვმართავთ თავს ფობიის დროს, პირიქით, ის გვმართავს ჩვენ.

როგორც წესი, სასკოლო ფობია სერიოზული ხელისშემშლელი ფაქტორი ხდება ბავშვისათვის სასკოლო სწავლების პროცესში. ამდენად, სასურველია, რომ დროულად ვიზრუნოთ მის დაძლევაზე. ამისათვის კი, პირველ რიგში, გამოიწვევ მიზეზებში უნდა გავერკვეთ:

- ჰიპერმზრუნველობით გამოწვეული ძლიერი მიჯაჭვულობა მშობლებთან ან ოჯახის სხვა წევრებთან; ასეთი მიჯაჭვულობის გამო, სახლიდან გასვლა და მათთან ხანმოკლე განშორებაც კი ბავშვს სერიოზულ ემოციურ და ქცევით პრობლემებს უქმნის;
- მშობლის გადაჭარბებული, ბავშვის შესაძლებლობების არაადეკვატური მოლოდინები მისი სასკოლო წარმატებების მიმართ. ბავშვს ხშირად ეშინია არა იმდენად სკოლის, რამდენადაც იმის, რომ შეიძლება ვერ გაამართლოს მშობლების მოლოდინები;
- მშობლების მხრიდან სასკოლო სწავლების პრობლემების ზედმეტად დრამატიზირება, რამაც, მათი ნების გარეშე, შეიძლება შთამაგონებლად იმოქმედოს ბავშვზე;
- მშობლების მიერ, სასწავლო პროცესში, ბავშვისთვის ინიციატივის და დამოუკიდებლობის გამოვლენის შესაძლებლობის შეზღუდვა, რაც შეიძლება იმაში გამოიხატოს, რომ თავად შეასრულონ ბავშვის საშინაო დავალებები, ან მკაცრად გააკონტროლონ შვილის ქცევა სასკოლო დავალებების შესრულების დროს, შენიშვნებით და საყვედურებით აავსონ თითოეული შეცდომის, ან თუნდაც ერთი უღამაზოდ დაწერილი ასოს გამო;
- სირთულეები თანატოლებთან ადაპტაციის პროცესში. ხშირად ბავშვში სკოლის ხსენებაც კი პანიკურ შიშს იწვევს იმის გამო, რომ თანაკლასელთა შორის კომფორტულად და უსაფრთხოდ ვერ გრძნობს თავს. ასეთ სიტუაციასთან ჩვეულებრივ მაშინ გვაქვს საქმე, როცა ბავშვი სკოლას იცვლის. ის ხვდება ახალ გარემოში, სადაც ყველას უკვე თავისი ადგილი აქვს დამკვიდრებული და მას სერიოზული ძალისხმევა სჭირდება თანატოლებში სიყვარულის, პატივისცემის და აღიარების მოსაპოვებლად. არიან ბავშვები, რომლებიც შეუპოვრად და თავგამოდებით იბრძვიან ამისთვის. თუმცა, ისეთებიც გვხვდებიან, რომლებიც მაშინვე ფარხმალს ყრიან, ნებდებიან

მათთვის არცთუ სასურველ მდგომარეობას და გაურბიან, როგორც თანაკლასელებს, ასევე სკოლას;

- სასკოლო ფობიის ჩამოყალიბებაში შეიძლება მნიშვნელოვანი ხელშემწყობი გახდეს შიში მკაცრი და ზედმეტად მომთხოვნი მასწავლებლის მიმართ, რომელიც, ნაცვლად იმისა, რომ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებასა და თანატოლთა შორის საკუთარი ადგილის დამკვიდრებაში დაეხმაროს ბავშვს, მუდმივად საყვედურობს მას, უწუნებს, როგორც ქცევას, ასევე შესრულებულ დავალებას და ხმააწეული და შეურაცხმყოფელი ტონით ცდილობს აუხსნას, თუ რას მოითხოვს მისგან. პედაგოგის ასეთი ქცევა განსაკუთრებით სახიფათო და სარისკოა დაწყებით კლასებში, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ის აქვეითებს ბავშვის თვითშეფასებას, საკუთარი ძალების რწმენას, არამედ იმიტაც რომ, ნებით თუ უნებლიედ, სხვა ბავშვებიც ჩართულები ხდებიან თანაკლასელის დამცირების პროცესში. ასაკიდან გამომდინარე მათ არა აქვთ შესაძლებლობა, რომ სუსტის დამცველის პოზიციაზე დადგნენ. პირიქით, ასეთ დროს, როგორც წესი, მასწავლებლის პოზიციას იკავებენ, რადგანაც მათში ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული ნათელი, ცხადი მწიგნობრივი პრინციპები, ნორმები და მათთვის პედაგოგი ყოველთვის და ყველაფერში მართალია. თუ აღნიშნული მდგომარეობა სისტემატურად მეორდება, „დაჩაგრულ“ ბავშვს აუცილებლად გაუჩნდება გაკვეთილის ხშირად დატოვების და კლასიდან გასვლის სურვილი, შედეგად კი სკოლისა და სწავლის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება ჩამოუყალიბდება, რაც, თავის მხრივ, სასკოლო ფობიის აღმოცენების მიზეზი გახდება;
- სასკოლო ფობიის მიზეზი შეიძლება გახდეს ასევე სკოლასთან განშორება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. თუ მაგალითად, ავადმყოფობის ან ხანგრძლივი არდადეგების გამო ბავშვი არ დადიოდა სკოლაში, ახლობლების გარემოცვაში ლაღად, კომფორტულად და თავისუფლად გრძნობდა თავს, დიდი ალბათობაა, რომ მას აღარ მოუხდეს სასკოლო ცხოვრებაში ჩართვა და გაკვეთილებზე ჯდომა;
- არის შემთხვევები, როდესაც რომელიმე მშობლის ან ოჯახის სხვა წევრის ავადმყოფობა ბავშვის ემოციურ ცხოვრებაში სერიოზული დარღვევების მიზეზი ხდება. თუ ოჯახში ვინმე სერიოზულად ავადაა, და, მით უმეტეს, თუ საწოლს არის მიჯაჭვული, ბავშვს აშინებს მისი დატოვება, სახლიდან გასვლა და სტანჯავს იმაზე ფიქრიც კი, რომ უკან მობრუნებულს შეიძლება ის

ცოცხალი აღარ დახვდეს. ასეთ დროს ბავშვში სასკოლო ფობიის აღმოცენება, ვფიქრობ არავისთვის გასაკვირი არ იქნება.

რეკომენდაციები სასკოლო ფობიის დასაძლევად:

- უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია, რომ მშობელმა თავად შეინარჩუნოს ემოციური მდგრადობა და წონასწორობა. თუ მას აშინებს და პანიკაში აგდებს შვილის არსებული მდგომარეობა, ადვილი არ იქნება მისთვის ბავშვთან დაკავშირებული პრობლემის დაძლევა, ვინაიდან, სირთულეებთან გასამკლავებლად პატარას სჭირდება ძლიერი საყრდენი მშობლის სახით. მშობლის მომატებული შფოთიანობა აუცილებლად აისახება ბავშვის ქცევასა და ემოციებზე;
- მივცეთ ბავშვს დამოუკიდებლად მოქმედების საშუალება მეცადინეობისა და საშინაო დავალებების შესრულებისას. მოვერიდოთ ასეთ დროს მის გვერდით ჯდომას, მუდმივ კონტროლს, საყვედურებს და შენიშვნებს. ასევე, ისეთი ფრაზების გამოყენებას, როგორიცაა: „შენ დაუშვი შეცდომა! ცუდ ნიშანს მიიღე!“ „რას იტყვის მასწავლებელი!“ და ა.შ. არ არის ასეთი კომენტარები საჭირო მაშინაც კი, თუ ის ნამდვილად უშვებს შეცდომებს – გავითვალისწინოთ, რომ ბავშვის ფსიქიკური ჯანმრთელობა ბევრად უფრო ძვირფასია, ვიდრე მაღალი ქულების მიღება. უკეთესი იქნება, თუ ჩვენ უბრალოდ შევეუძოვნებთ შესრულებულ დავალებას, კეთილგანწყობილი და მშვიდი ტონით ავღნიშნავთ, თუ რა გამოუვიდა კარგად და რა საჭიროებს გაუმჯობესებას. შემდეგ კი აუცილებლად შევაქებთ დამოუკიდებლად შესრულებული საშინაო დავალების გამო;
- დავეხმაროთ ბავშვს თანაკლასელებთან ადაპტაციაში სხვადასხვა სახის ღონისძიებების, ექსკურსიების მოწყობის და მისი დაფარული შესაძლებლობების და უნარების გამოვლენის გზით;
- მოვერიდოთ ბავშვისთვის იმაზე მეტი მოთხოვნების წაყენებას, რისი გაკეთებაც მას შეუძლია. შევცვალოთ ჩვენი მოლოდინები მის მიმართ. წინააღმდეგ შემთხვევაში ის მუდმივად ემოციური დაძაბულობის მდგომარეობაში იქნება, რაც მას წარმატების მიღწევის და თვითრეალიზების საშუალებას არ მისცემს;
- სასკოლო ფობიის დასაძლევად განსაკუთრებულ დახმარებას საჭიროებენ პირველკლასელი მოსწავლეები. შემთხვევითი არ არის აღნიშნული პრობლემა ყველაზე ხშირად სწორედ ამ პერიოდში გვხვდება. რამდენა-

დაც სკოლაში წასვლით ისინი მხოლოდ იწყებენ საკუთარ გზას დამოუკიდებელ ცხოვრებაში, ბუნებრივია, მათ შეიძლება გაუჩნდეთ გაურკვევლობის შიში სკოლის მიმართ. კარგი იქნება, თუ პირველ ხანებში პირველკლასელს სკოლის ზღურბლამდე მივაცილეთ, მივიყვანთ მასწავლებელთან, ღიმილიანი სახით ზედმეტი ხვევნა-კოცნის გარეშე დავემშვიდობებით, დავპირდებით, რომ გაკვეთილების შემდეგ მის წასაყვანად მივალთ. იმის შიშით, რომ არ გამოგვეტიროს, ნუ გავეპარებით ბავშვს. ასეთ დროს ის შეიძლება ჩავარდეს პანიკაში ჩვენი დაკარგვის შიშის გამო. აუცილებლად უნდა ვუთხრათ, რომ ჩვენ მივდივართ, მაგრამ დავბრუნდებით;

- მივცეთ ბავშვს უფლება, თუ ამის სურვილი აქვს სკოლაში წაიღოს მისთვის საყვარელი პატარა სათამაშო. ის მას დამშვიდება და ეხმარება, რადგანაც უფრო დაცულად იგრძნობს თავს.

დაბოლოს, გვახსოვდეს, რომ სკოლის შიშს ნაკლებად განიცდიან და სასკოლო ფორმებსაც თითქმის არ ვხვდებით საკუთარ თავში დარწმუნებულ, კომუნიკაბელურ, აქტიურ და ცნობისმოყვარე ბავშვებში. ამდენად, კარგი იქნება, თუ აღნიშნული თვისებების გამოსამუშავებლად ჯერ კიდევ ადრეულ ასაკში, სკოლამდელ პერიოდში ვიმუშავებთ ბავშვთან.

ნევროზი ბავშვებში

თითქმის ყველა ოცნებობს, შვილი განათლებულ, წარმატებულ და ღირსეულ პიროვნებად აღზარდოს. მიზნის მისაღწევად მშობლები ძალასა და ენერგიას არ იშურებენ – არჩევენ საუკეთესო სკოლას, საუკეთესო მასწავლებელს, ხშირად რეპეტიტორებსაც არ აკლებენ ბავშვს, დაჰყავთ მუსიკალურ სკოლაში, ქორეოგრაფიულ სტუდიაში, სპორტულ სექციაში, თუმცა ხდება ისეც, რომ მათი ძალისხმევა უშედეგოდ ჩაივლის. ეს აღიზიანებს მშობლებს. ისინი გაოცებას ვერ მალავენ იმ ბავშვების სასწავლო შედეგებით, რომლებიც მშობლების დაუხმარებლად აღწევნენ წარმატებას.

ვინაიდან ბავშვის ქცევა მისი ემოციებით იმართება და წარმატებას ხშირად ინტელექტუალური შესაძლებლობები და დაგროვილი ცოდნა კი არა, ემოციური სტაბილურობა განსაზღვრავს, ვფიქრობ, ბევრისთვის საინტერესო იქნება ინფორმაციის მიღება იმის შესახებ, რა იწვევს ნევროზს, ემოციური არამდგრადობის ყველაზე გავრცელებულ ფორმას, და როგორ ავიცილოთ ის თავიდან.

ნევროზი არის ფსიქიკური მდგომარეობის დარღვევა მატრავმიკული გემოქმედების შედეგად. ის არ წარმოადგენს სახიფათო ან მძიმე დაავადებას, აქვს დროებითი ხასიათი და ექვემდებარება მკურნალობას. თუმცა უფროსები, პედაგოგები და მშობლები, ყოველთვის ვერ ახერხებენ მისი ადრეული სიმპტომების ამოცნობას და სათანადოდ ვერ აფასებენ ბავშვის ნევროზული მდგომარეობის სერიოზულობას.

იმისთვის, რომ ნევროზის დასაძლევად საჭირო მუშაობა სწორი მიმართულებით წარიმართოს, აუცილებლად უნდა გავერკვეთ მის მიზეზებში.

გამოყოფენ ბავშვებში ნევროზების გამომწვევი მიზეზების ორ ჯგუფს:

- **ფიზიოლოგიური** – მეშვიდრეობითი მიდრეკილება, მძიმე ორსულობა, გართულებული მშობიარობა, ადრეულ ასაკში გადატანილი მძიმე დაავადება, ჯანმრთელობის ზოგადი მდგომარეობა, გადაღლა, ტრავმები;
- **ფსიქოლოგიური** – არაკეთილსასურველი გარემო, დაძაბული ურთიერთობები, არახელსაყრელი ფსიქოლოგიური კლიმატი ოჯახში, მკაცრი

აღზრდა, ჰიპერმზრუნველობა, ძლიერი ემოციური განცდები, სტრესი, გადამეტებული ინტელექტუალური დატვირთვა, თავისუფალი დროის დეფიციტი, მოუმზადებელი დავალების ან საკონტროლო სამუშაოში მიღებული არასასურველი შეფასების გამო დასჯის შიში, მშობლის მოლოდინებისა და ბავშვის რეალური შესაძლებლობების შეუსაბამობა, ინდივიდუალური პიროვნული თავისებურებები, ურთიერთობის სირთულეები, კონფლიქტები თანატოლებთან, მასწავლებელთან, შიში, არ გახდეს გარშემო მყოფთა დაცინვის ობიექტი, საკუთარ თავში ჩაკეტილობა, სასწავლო მასალის ათვისების სირთულეები, ემოციური მოუმწიფებლობა (უკანასკნელ ხანს მშობლები ცდილობენ, ბავშვი რაც შეიძლება ადრე შეიყვანონ სკოლაში და ორიენტაციას მის გონებრივ შესაძლებლობებზე იღებენ, მაგრამ ემოციური მოუმწიფებლობის გამო, ბავშვი სასკოლო დატვირთვისთვის მოუმზადებელი აღმოჩნდება ხოლმე, რაც, თავის მხრივ, ნევროზის აღმოცენების მიზეზად იქცევა).

პრობლემის მოსაგვარებლად სასურველია ვიცნობდეთ ნევროზის არა მხოლოდ მიზეზებს, არამედ სიმპტომებსაც. იმისდა მიხედვით, რითია გამოწვეული, ნევროზის სიმპტომებსაც შეიძლება ჰქონდეს ფიზიოლოგიური ან ფსიქოლოგიური ხასიათი:

- **ფიზიოლოგიური სიმპტომები** – უძილობა, უმადობა, გულისრევა, პირღებინება, ბუღემია, ანორექსია, თავის ტკივილი და თავბრუსხვევა, კუნთების სპაზმური ტკივილები, კრუნჩხვები, მოძრაობითი ფუნქციის დარღვევა, სისუსტე, მოთენთილობა, სწრაფი დაღლა, სიფითრე, კანკალი, ტკივილები გულისა და მუცლის არეში;
- **ფსიქოლოგიური სიმპტომები** – ემოციური არამდგრადობა, გუნება-განწყობილების ხშირი ცვლილება, გაღიზიანებადობა და აგრესიულობა, დათრგუნვილობა, უგუნებობა, ჭირვეულობა, ისტერიკის შეტევები, აპათია, დეპრესია, ნერვული ტიკი.

საინტერესოა, რომ ნევროზს იშვიათად აქვს მონოსიმპტომური ხასიათი. ის, წესისამებრ, ვლინდება ერთდროულად ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური სიმპტომებით. მაგალითად, თავის ტკივილმა ან კუნთების სპაზმებმა შესაძლოა, თავის მხრივ, გაღიზიანება და ისტერიკა გამოიწვიოს, უფროსების უბოძო სიმკაცრემ კი – შიშები.

რეკომენდაციები ბავშვთა ნევროზების თავიდან ასაცილებლად

- ნევროზის პროფილაქტიკა ჯერ კიდევ ბავშვის დაბადებამდე უნდა დაიწყოს დედისათვის მშვიდი, უსაფრთხო გარემოს შექმნის, სტრესებისთვის თავის არიდების, შიშებისა და შფოთვის გადალახვის, გაურთულებელი მშობიარობისთვის სათანადო განწყობის შექმნის გზით;
- მოგვიანებით საჭირო იქნება ძალისხმევა ბავშვის ნერვული სისტემის განსამტკიცებლად და იმ გამლიზიანებლების თავიდან ასაცილებლად, რომლებიც მის დაძაბვას იწვევს;
- ოჯახში ჯანსაღი ფსიქოლოგიური კლიმატის და ბავშვის ფსიქიკური განვითარებისთვის კეთილსასურველი გარემოს შექმნა;
- მშობლებსა და შვილებს შორის გაუცხოების თავიდან ასაცილებლად ნდობით აღჭურვილი დამოკიდებულების ჩამოყალიბება;
- სწორი დღის რეჟიმის შემუშავება და დაცვა;
- ზომიერი, ბავშვის შესაძლებლობების შესაბამისი გონებრივი და ფიზიკური დატვირთვა;
- მკაცრად ვაკონტროლოთ ჩვენი მოლოდინები – ნუ მოვითხოვთ ბავშვისგან დიდ ცოდნას, რეკორდულ მიღწევებს, გებუნებრივი უნარების გამომჟღავნებას და მუდმივად მაღალ ქულებს. ასეთი შეფასებების მისაღებად ბრძოლაში ზიანდება ბავშვის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობა. ის გამუდმებით ნერვიულობს, უქვეითდება თვითშეფასება, კარგავს საკუთარი თავის რწმენას, იღლებს, კარგავს ინტერესს სკოლისა და სწავლის მიმართ, ურთულებს მეგობრებსა და მშობლებთან ურთიერთობას, ეკარგება მათი ნდობა. ამრიგად, აკადემიური მიღწევებისთვის ბრძოლას ბავშვის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის ფასად არავითარი გამართლება არა აქვს.
- ბავშვის მოძრაობითი აქტივობის უზრუნველსაყოფად საჭირო პირობების შექმნა. სკოლებში ამისთვის ნამდვილად არ არის სასურველი გარემო – ბავშვები იძულებულნი არიან, რამდენიმე საათის განმავლობაში გაუძირველად ისხდნენ, შესვენების დროს მათგან სირბილისა და ზედმეტი მოძრაობისგან თავშეკავებას მოითხოვენ. ფიზკულტურის კვირაში ორი გაკვეთილი კი მეტისმეტად ცოტაა იმისთვის, რომ ბავშვმა მოძრაობითი აქტივობის დეფიციტი შეივსოს. დაგროვილი ენერგიისაგან გასათავისუფლებლად სასურველია, ბავშვი დროდადრო ბუნებაში გავიყვანოთ, აქტიური თამაშის საშუალება მივცეთ, ვავარჯიშოთ, უკიდურეს შემთხვევაში

ყოველდღიურად ვატაროთ ფეხით სუფთა ჰაერზე.

- საქმიანობის მონაცვლეობა – თუ ბავშვი ბევრ დროს ატარებს მეცადინეობაში, აუცილებელია, გონებრივ შრომას სეირნობა, მოძრაობითი თამაშები, ვარჯიში, სპორტი, ლაშქრობა შევუნაცვლოთ.
- ვიზრუნოთ, რომ ბავშვს ძილი და დასვენება არ დააკლდეს, რადგან ეს აუცილებელია ფიზიკური და ფსიქიკური ძალების აღსადგენად. სრულფასოვანი ძილი ნევროზის თავიდან აცილების კარგი საშუალებაა.

დაბოლოს, გვახსოვდეს, რომ სასკოლო ასაკის ბავშვებთან ნევროზის თავიდან აცილება გაცილებით ადვილია, ვიდრე მკურნალობა, მაგრამ თუ ბავშვის მდგომარეობა მაინც გაუარესდა, ნევროზის სიმპტომები კი გაძლიერდა, ნუ გადავდებთ ექიმთან ვიზიტს. საჭირო იქნება კომპლექსური მკურნალობა ისეთი სპეციალისტების მონაწილეობით, როგორიცაა ფსიქოლოგი, თერაპევტი, ნევროლოგი, ფსიქოთერაპევტი, მასაჟისტი და სხვა.

როგორ მოქმედებს მეტსახელი ბავშვზე

წლების წინ ერთი უცნაური შემთხვევის მოწმე გავხდი. მეექვსეკლასელი გელა, რომელსაც მეტსახელად „მელაკუდას“ ეძახდნენ, ყველანაირად გაუბოდა როგორც თანატოლებთან, ისე უფროსებთან ურთიერთობას, საკუთარ თავში ჩაკეტილი, გულჩათხრობილი, მუდამ განმარტოებით იჯდა, ერიდებოდა აქტიურობას, სწავლისადმი არავითარ ინტერესს არ ამჟღავნებდა. მხოლოდ ერთ მასწავლებელთან, როცა ის დაფასთან იძახებდა და ირონიულად მიმართავდა: „აბა, მელაკუდა, გამოდი და მოგვიყევი ერთი, რა იცი!“ – ცდილობდა ლაღი ბიჭის როლის თამაშს, ამ მიმართვაზე თანაკლასელებთან ერთად იცინოდა და დაფისკენ მიემართებოდა, თუმცა დაფასთან ველარაფერს პასუხობდა და მერხს თავჩალუნული უბრუნდებოდა. აღმოჩნდა, რომ გელას მელაკუდა სწორედ ამ მასწავლებელმა შეარქვა. როცა ავუხსენი, როგორ მოქმედებდა ბავშვზე მეტსახელი და ვთხოვე, სახელით მიემართა, გაოცებულმა მიპასუხა, რომ აზრადაც არ მოსვლია მისი დაცინვა, პირიქით, ამას სიყვარულით აკეთებდა, და დასძინა: „ხომ ხედავ, ჩვენთან ერთად იცინის, ესე იგი, არ სწყინს“. გელა ნამდვილად იცინოდა, მაგრამ ეს ის მწარე სიცილი იყო, რომლითაც ადამიანი ხშირად უხერხულობის დაფარვას ცდილობს.

ბევრი მშობლისთვის ნაცნობია სიტუაცია, როცა ბავშვი ატირებული ბრუნდება სკოლიდან და ჩივის, რომ თანატოლები მას სახელით კი არა, მეტსახელით მიმართავენ. ზემოთ განხილული შემთხვევისგან განსხვავებით, ბავშვები ხშირად თავად არქმევენ ერთმანეთს მეტსახელებს. გამოგონილი სახელით მიმართვა ბავშვისთვის საწყენია, თუმცა არის ისეთი შემთხვევებიც, როცა მეტსახელი მომგებიან პოზიციაში აყენებს მას, მოსწონს, სიამოვნებით რეაგირებს მასზე და უცხო თანატოლებს საკუთარ თავს ხშირად სწორედ ამ სახელით წარუდგენს. მაგალითად, თუ ბავშვი თანატოლებს შორის ავტორიტეტით სარგებლობს, „საქმეებს აგვარებს“, ურთიერთობებს აწესრიგებს, ამის გამო მეტსახელად შერქმეული „ყოჩი“ შესაძლოა სრულიადაც არ იყოს მისთვის შეურაცხმყოფელი. თუმცა ბავშვების უმრავლესობისთვის მეტსახელით

მიმართვა გამაღიზიანებელი და საწყენია, უხერხულ მდგომარეობაში აყენებს, პრობლემებს უქმნის და ურთიერთობის შემაფერხებელიც ხდება.

ვფიქრობ, საინტერესო იქნება იმის ცოდნა, რა შემთხვევაში მოქმედებს ამგვარად მეტსახელი ბავშვზე.

მეტსახელი უმეტესად იწარმოება ადამიანის სახელისგან ან გვარისგან. გარდა ამისა, ის შესაძლოა უკავშირდებოდეს გარეგნობას, ფიზიკურ ნაკლს, გონებრივ ან ქცევით მახასიათებლებს.

საინტერესოა, რომ ბავშვები საკმაოდ ადრეული ასაკიდან იწყებენ ერთმანეთისთვის მეტსახელებით მიმართვას, თუმცა ყველაზე მტკივნეული ეს გარდატეხის ასაკში ხდება, განსაკუთრებით მაშინ, როცა მეტსახელი ფიზიკურ ნაკლს ან თავისებურებას უკავშირდება. ეს არ არის შემთხვევითი, რადგანაც განვითარების დისჰარმონიულობა ბავშვს ამ ასაკში ისედაც უამრავ თავსატეხს უჩენს. ადვილი შესამჩნევია, რომ ამ პერიოდში ბავშვის სახის ნაკვთები უცვლელი რჩება, ცხვირი და ყურები კი სწრაფად ეზრდება, უგრძელდება კიდურები, რაც სხეულის ზომასთან შედარებით საკმაოდ თვალში საცემია. ყოველივე ეს მოზარდს სერიოზულ დისკომფორტს უქმნის და თუ ამაზე ვინმემ ყურადღება გაამახვილა, ასაკობრივი ცვლილებების ატანა მოზარდისთვის ბევრად უფრო მტკივნეული ხდება. ამ დროს ისეთი მეტსახელები, როგორიცაა „ყურმა“ ან „ცხვირა“, ძლიერ ემოციურ აფეთქებას იწვევს. მოზარდები მათ გარეგნობაში მომხდარ ცვლილებებზე ყურადღების გამახვილებას განსაკუთრებით მტკივნეულად აღიქვამენ უფროსებისგან – პედაგოგებისა და მშობლებისაგან, თუმცა, როგორც წესი, უფრო ხშირად თანატოლებთან ურთულდებათ ურთიერთობა მეტსახელით მოხსენიების გამო.

როგორ უნდა მოიქცეს მშობელი, როცა გრძნობს, რომ მისი შვილი მტკივნეულად რეაგირებს თანატოლების მხრივ მეტსახელით მიმართვაზე?

- უპირველეს ყოვლისა, არ არის სასურველი ასეთ სიტუაციაში უფროსების პირდაპირ ჩარევა. ხშირად მშობლები ცდილობენ, შეუმსუბუქონ შვილს ტკივილი და უხერხულობა, დაელაპარაკონ მის თანაკლასელებს და აუხსნან, რომ ბავშვს მეტსახელით მიმართვა არ სიამოვნებს. ასეთი ჩარევა, როგორც წესი, ბავშვს უფრო მეტად უკარგავს თავდაჯერებას. ამასთან, ასეთი ქმედებით ის შესაძლოა ახალი დამამცირებელი მეტსახელის, მაგალითად, „დონდლოს“, შეძენის საფრთხის წინაშეც დავაყენოთ.

- კარგი იქნება, თუ გავარკვევთ, რას უკავშირდება მეტსახელი, მერე კი დაველაპარაკებთ თავად ბავშვს, რომლისთვისაც ის მტკივნეული და დამამცირებელია. თუ ბავშვს თანატოლები სათვალის გამო აღიზიანებენ, დასცინიან და დამამცირებელი მეტსახელით მიმართავენ, ის შესაძლოა ჩაიკეტოს საკუთარ თავში, გახდეს მორცხვი, წყენია. ამ შემთხვევაში ყველაზე უარესი ის იქნება, თუ ბავშვმა უარი თქვა სათვალის ტარებაზე, რაც მნიშვნელოვნად გაუუარესებს მხედველობას. უნდა ავუხსნათ მას, რომ სათვალის ტარება და მასთან დაკავშირებული ზედმეტსახელი სრულიადაც არ არის დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი, რომ ბევრი ცნობილი ადამიანი ხმარობდა სათვალეს ბავშვობაში, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია მათი წარმატებისთვის.
- ვასწავლოთ ბავშვს მისთვის გამაღიზიანებელ სიტუაციაზე მშვიდად რეაგირება. ავუხსნათ, რომ მეტსახელით მიმართვაზე წყენის გამოხატვით ის დამატებით იარაღს აძლევს „თავდამსხმელს“, რომელიც, ასეთი რეაქციის შემყურე, მომავალშიც გააღიზიანებს მას, როცა მის გაბრაზებას მოისურვებს. სიმშვიდე და გულგრილობა კი იმას გამოიწვევს, რომ მოზარდი, რომელიც მის განაწყენებას ცდილობს, ინტერესს დაკარგავს „მსხვერპლის“ მიმართ.
- ხშირად შედეგიანია მეტსახელით მიმართვის იგნორირება. თუ ბავშვი არ გამოეხმაურება მეტსახელს, თუ თავს ისე დაიჭერს, თითქმის მისკენ მიმართული სიტყვები არ ესმის, აგრესორი, დიდი ალბათობით, იძულებული გახდება, მისი ყურადღების მისაპყრობად, სახელით მიმართოს მას.
- ცნობილია, რომ მეტსახელით მიმართვას განსაკუთრებით მტკივნეულად აღიქვამენ მორცხვი ბავშვები და ბავშვები, რომლებსაც ურთიერთობის პრობლემები აქვთ. ისინი, ჩვეულებრივ, არაადეკვატურად დაბალი თვითშეფასებით გამოირჩევიან, ამიტომ სასურველია, მათ, უპირველეს ყოვლისა, თვითშეფასება ავუმალლოთ და საკუთარი ძალების რწმენა გამოვუმუშაოთ.

და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ვასწავლოთ ბავშვებს ნებისმიერ სიტუაციაში შეძლებისდაგვარად შეინარჩუნონ კეთილგანწყობა, სიმშვიდე და სიყვარული. ავუხსნათ, რომ ბოლმა, ბოროტება, სიძულვილი მათ ისეთ ჩიხში შეიყვანს, საიდანაც გამოსავლის პოვნა ძალიან ძნელია.

ნუ მოვთხოვთ ბავშვს, იყოს იდეალური

ნებისმიერი მშობლის ყველაზე დიდი ოცნებაა, ჰყავდეს წარმატებული და რეალიზებული შვილი. თუმცა აღზრდის ის ხერხები და საშუალებები, რომლებსაც მშობელთა არცთუ ისე მცირე ნაწილი იყენებს, ხშირად სრულიად საწინააღმდეგო შედეგს იძლევა.

ყველა იმ შეცდომას შორის, რომელიც შეიძლება უფროსებმა ბავშვის აღზრდის პროცესში დაუშვას, განსაკუთრებით დიდი რისკის მატარებელია მის მიმართ წაყენებული მოთხოვნა – იყოს იდეალური, უშეცდომო, ყველასთვის სამაგალითო და მისაბადი. ასეთი მოთხოვნები ხშირად უამრავ თავსატეხს და პრობლემას უჩენს ბავშვს:

- უფროსების მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის, წარმატებისა და სრულყოფილებისთვის „ბრძოლა“ შეიძლება ბავშვისთვის დეპრესიის მიზეზი გახდეს. ეს ბუნებრივია, ვინაიდან იყო ყოველთვის საუკეთესო, წარმატებული, იდეალური, უნაკლო და უშეცდომო ძალიან ძნელია, როგორც ფიზიკურად, ასევე მორალურადაც, და არა მხოლოდ ბავშვებისთვის, არამედ ზრდასრული ადამიანებისთვისაც. უნდა ითქვას, რომ ამას ბავშვები კარგად ამჩნევენ და აფიქსირებენ კიდევ. ამაზე კარგად მეტყველებს პატარა ბიჭუნას სიტყვები, რომელმაც ერთხელ ჩემთან საუბარში გულისტკივილით აღნიშნა, რომ უფროსები მისგან ხშირად ისეთი რამის გაკეთებას მოითხოვენ, რასაც თვითონაც ვერ ახერხებენ:
- ბავშვი, რომელიც მუდმივად იმის მცდელობაშია, რომ შეცდომა არ დაუშვას, იყოს ყველასათვის მოსაწონი, უნაკლო და მისაბადი, კარგავს ბავშვურ უშუალობას და სიხარულის უნარს;
- უჩნდება პრობლემები თანატოლებთან ურთიერთობაში;
- იმის შიში, რომ რამეს ისე ვერ გააკეთებს, როგორც მისგან მოითხოვენ, სერიოზულ სირთულეებს უქმნის ბავშვს სწავლის პროცესში. ის ძლიერ განიცდის უმნიშვნელო სასწავლო წარუმატებლობასაც კი. ნებისმიერი შეცდომა შეიძლება მისი მოწყენილობის მიზეზი გახდეს. ემინია გაკვეთილზე

დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემის, დაბალი ნიშნების მიღებას და შენიშვნებს მტკიცებულად განიცდის. სასკოლო წარუმატებლობები ხშირად მის მიერ აღიქმება, როგორც კატასტროფა. მაღალი ნიშნების მიღება ასეთი ბავშვისაგან დიდ ძალისხმევას და დასჯის შიშის დაძლევის საჭიროებს;

- **დანაშაულის მუდმივი გრძნობა** – იმის გამო, რომ „მომთხოვნელობით“ სიყვარულით გარემოცული ბავშვი ყოველთვის ვერ ახერხებს უფროსების მოთხოვნების დაკმაყოფილებას და იდეალურ ადამიანად „გარდაქმნას“, მას მუდმივად აწუხებს დანაშაულის გრძნობა და უჭირს მასთან გამკლავება, ვინაიდან ფიქრობს, რომ მშობელი მისით უკმაყოფილოა;
- **შფოთიანობა** – უფროსების განაწყენების შიშით ცხოვრებას, ვითარებისაგან დამოუკიდებლად, თან სდევს შფოთიანობა. ხანდახან მას უჭირს იმის გაგება, თუ რა აშფოთებს, რადგანაც არ არის მღელვარების არანაირი საფუძველი. დროთა განმავლობაში ასეთი მდგომარეობა შეიძლება გადაიზარდოს მძიმე ფსიქიკურ დაავადებაში;
- **გულფიცობა, გულისწყრომა** – ნერვული სისტემა ვერ რჩება გულგრილი მუდმივი დაძაბულობის მიმართ. ბავშვი იწყებს გაღიზიანებას ნებისმიერი წვრილმანის გამო და გამოხატავს სერიოზულ გულისწყრომას გარშემოცოფების მიმართ;
- **მიდრეკილება მარტოობისაკენ** – იმის მუდმივი შიში, რომ ყველაფერს ისე ვერ გააკეთებს, როგორც მისგან მოითხოვენ, ბავშვში იწვევს დაცვიტ რეაქციას – სწრაფვას განმარტოებისაკენ. ეს მისწრაფება ქვეცნობიერად ყალიბდება. როცა ადამიანი მარტოა, ის უსაფრთხოადაა, არსაიდან საფრთხეს არ გრძნობს;
- **ემოციური სიცივე** – მუდმივი შიში და უნდობლობა ახშობს და თრგუნავს სხვა ემოციებს. შედეგად იზრდება ადამიანი, რომელიც მოკლებულია რაიმეს ან ვინმეს გამო მწუხარების, სიხარულის განცდისა და გამოხატვის უნარს;
- **უხეშობა და დესპოტურობა** – მშობლების „მომთხოვნელობით“ სიყვარულზე და გადაჭარბებულ მოთხოვნებზე ბავშვის ფსიქიკის უკურეაქცია უხეშობისა და სისასტიკის ჩამოყალიბება. თუ ბავშვს არ ეძლევა საშუალება, გამოხატოს თავისი გრძნობები მის მიმართ წაყენებული გადაჭარბებული მოთხოვნების მიმართ, არ ისმენენ მის ახსნა-განმარტებას, არ ცდილობენ მისი ქცევის გაანალიზებას, გამართლებას და უბრალოდ ითხოვენ მისთვის წაყენებული მოთხოვნების შესრულებას, ბავშვმა შეიძლება ის-

წავლოს მიზნისკენ სიარული პირობებისა და გარშემომყოფებისათვის ან-გარიშის გაწევის გარეშე. ასეთი ბავშვისაგან შეიძლება გაიზარდოს უხეში და დესპოტური ადამიანი.

მნიშვნელობა არა აქვს, თუ სახელდობრ როგორი პიროვნების ჩამოყალი-ბებამდე მიგვიყვანს „მომთხოვნელობითი“ სიყვარული – სუსტი და შფოთი-ანი, თუ უხეში და უგრძნობი, მთავარია, რომ ჩვენ ბავშვის ფსიქიკურ ჯანმრ-თელობას სერიოზული საფრთხის წინაშე ვაყენებთ. გადაჭაბებული მოთხოვ-ნების და ბავშვისაგან იდეალური ქცევის მოლოდინის პირობებში ვერასოდეს გაიზრდება ბედნიერი ადამიანი.

რეკომენდაციები მოსალოდნელი გართულებების თავიდან ასაცილებ-ლად:

- ვიყოთ გულწრფელი. ვისწავლოთ საკუთარი არასრულყოფილების აღი-არება და ბავშვისთვის მისი ნაკლოვანებების, შეცდომების, არასრულყო-ფილების პატიება;
- ნუ დავუსახავთ ბავშვს მიუღწევად ამოცანებს. ნებისმიერი ჩვენი მოთ-ხოვნა და მოლოდინები მისი შესაძლებლობების ადეკვატური უნდა იყოს. დავფიქრდეთ, რამდენად შეესაბამება ჩვენი მოთხოვნები ბავშვის უნა-რებსა და შესაძლებლობებს. თითოეულ ბავშვს აქვს თავისი მაქსიმალური შესაძლებლობები და ჩვენი მოთხოვნები ამ შესაძლებლობებს არ უნდა აჭარბებდეს;
- გულწრფელად გავიხაროთ ბავშვის თუნდაც სრულიად უმნიშვნელო წარ-მატებითაც კი;
- ბავშვთან ურთიერთობისას ჩვენი ლექსიკონიდან გამოვრიცხოთ ფრაზე-ბი: „მე ასეც ვიცოდი“; „მე შენ გაფრთხილებდი“; „მე შენ გეუბნებოდი“; ეს ის ფრაზებია, რომლებიც გამორიცხავს ბავშვის ინიციატივას და მისი აქტი-ურობის სერიოზულ შემაფერხებლადაც შეიძლება იქცეს;
- უარი ვთქვათ „იდეალური ბავშვის“ აღზრდის ამბიციებზე და, რაც მთავა-რია, გადავხედოთ ჩვენს დამოკიდებულებას ბავშვის აკადემიურ მოსწ-რებასთან. გავითვალისწინოთ, რომ წარმატება ცხოვრებაში ყოველთვის სასკოლო ნიშნებზე არ არის დამოკიდებული;
- აღვზარდოთ ბავშვში სწორი დამოკიდებულება შეფასებებთან. ავუხს-ნათ, რომ მას ყოველთვის და ყველგან ექნება შეხება შეფასებასთან და

არ შეიძლება, რომ ის სრულად განსაზღვრავდეს მის გუნება-განწყობას და წარმოდგენას საკუთარ თავზე. დავარწმუნოთ ბავშვი, რომ ჩვენ ის გვიყვარს, ვაფასებთ და პატივს ვცემთ მას სასკოლო წარმატება-წარუმატებლობის მიუხედავად;

- მივცეთ ბავშვს შეცდომის უფლება. იმის მოლოდინი, რომ ის არანაირ შეცდომას არ დაუშვებს, ნიშნავს მისდამი დამოკიდებულებაში უზომო სისასტიკის გამოვლენას და მისთვის ცხოვრებაზე არასწორი წარმოდგენის შექმნას. ავუხსნათ ბავშვს, რომ მას აქვს შეცდომის უფლება. ამის გაცნობიერება დაეხმარება მას, გადალახოს რამეს არასწორად გაკეთების ან თქმის შიში;
- თუ ბავშვი მწვავედ რეაგირებს სხვა ადამიანების მხრიდან მის მიმართ გამოთქმულ შენიშვნებზე, ავუხსნათ მას, რომ ის არ არის ვალდებული, იყოს იდეალური გარშემომყოფთა თვალში;
- შევეცადოთ განვავითაროთ მასში იუმორის გრძნობა და ოპტიმიზმი. გავითვალისწინოთ, რომ ოპტიმისტი ბავშვი უფრო ადვილად უმკლავდება ცხოვრებისეულ სირთულეებს, ადვილად ამყარებს ურთიერთობას თანატოლებთან და სარგებლობს ავტორიტეტით მათ წრეში.

დაბოლოს, ყველაზე მთავარი აღზრდის პროცესში მაინც პირადი მაგალითია. არ შეიძლება მოვითხოვოთ ბავშვისაგან ის, რისი გაკეთებაც ჩვენ თავად არ შეგვიძლია. ვიყოთ ისეთივე მიმტევებელი ბავშვის მიმართ, როგორც საკუთარი თავის მიმართ ვართ. თუ შევძლებთ, რომ თავიდან ავიცილოთ შეცდომები ბავშვთან ურთიერთობაში, ჩვენ მისთვის ავტორიტეტული პიროვნება გავხდებით და თავადაც ვერ შევამჩნევთ, თუ როგორ შეასრულებს ბავშვი ჩვენს მოთხოვნებს. ის არაფერს გააკეთებს აკრძალულს, უბრალოდ იმიტომ რომ არ ენდობება ჩვენი განაწყენება. ვისწავლოთ ბავშვის პატივისცემა, გაგება და ის აუცილებლად სიყვარულით, პატივისცემითა და გაგებით გვიპასუხებს.

რატომ ტირიან ბავშვები

ერთხელ, სამსახურისკენ მიმავალი, ავტობუსში ორი ქალბატონის დიალოგის უნებლიე მოწმე გავხდი. ერთი მათგანი, საბავშვო ბაღის ახალგაზრდა აღმზრდელი, თავის გასაჭირს უზიარებდა მეგობარს: „არ ვიცი, როგორ მოვიქცე, ჩემს ჯგუფში ყველა ბავშვი ტირის. ბევრის დამშვიდებას და გაჩერებას ვახერხებ, მაგრამ ერთი პატარა ბიჭუნა სერიოზულ პრობლემად მექცა, ვერაფრით დავაწყნარე, გაუთავებლად ტირის. დედამისი დამემუქრა, თუ ჩემს შვილს არ მიხედავთ, დირექციასთან გიჩივლებთ და სამსახურს დაგატოვებინებთო. ნუ შემოიყვანდა ორი წლის ბავშვს ბაღში და პრობლემაც არ იარსებებდა!“ – აღშფოთებას ვერ მალავდა შეწუხებული ქალი. მეგობარმა თანაგრძნობით მოუსმინა და ასეთი რჩევა მისცა: „იცი, რას გეტყვი? იმ მშობელს გადაეცი, რომ ტირილი სასარგებლოა ბავშვისთვის, სწორედ ტირილის დროს უვითარდება მას ფილტვები, ამიტომ დიდად ნუ შეწუხდება, თუ ბავშვი ტირის“.

მაინც, რა არის ტირილი, რას გვეუბნება ბავშვი თავისი ცრემლებით? როგორ მოვიქცეთ, თუ პატარა გამუდმებით ტირის და „ჭკუიდან გადაჰყავს“ უფროსები? სანამ ატირებული ბავშვის დასამშვიდებლად რამე სტრატეგიას შევიმუშავებდეთ, აუცილებლად უნდა გავერკვიოთ ტირილის ბუნებაში, მის მიზეზებში. ამასთან, საჭიროა, გავითვალისწინოთ ბავშვის ასაკიც, ვინაიდან სხვადასხვა ასაკობრივ საფეხურზე ტირილის მიზეზი შეიძლება სრულიად სხვადასხვა რამ იყოს. ვფიქრობ, შეუძლებელია ისეთი ბავშვის პოვნა, რომელსაც არასოდეს უტირია. ტირილი თითოეული მათგანის ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. როგორც კი ბავშვი ამ ქვეყანას მოევიწინება, ტირილს იწყებს. პირველ ტირილთან ერთად ახალშობილის ფილტვებში ხვდება ჰაერის პირველი ულუფა. ცხადია, ჯანმრთელმა პატარამ უნდა იტიროს. ჩვილს არ შეუძლია, სხვაგვარად გაგვაგებინოს თავისი მოთხოვნილებებისა და უსიამოვნებების შესახებ. ურთიერთობის ერთ-ერთ ძირითად ხერხს მისთვის ტირილი წარმოადგენს. ის საუკეთესო საშუალებაა გარშემო მყოფთა ყურადღების მისაპყრობად. ტირილი ძლიერი ფსიქიკური განცდის გამოხატულებაა, თავისებური ემოციური აფეთქება, რომელიც აღმოცენდება წინმსწრები დაძაბულობის

ფონზე. ის შეიძლება იყოს დაძაბულობის განმუხტვის შედეგი. მდგომარეობის შემსუბუქება, რომელსაც განიცდის ბავშვი ტირილის შემდეგ, გარკვეული აზრით, ხელს უწყობს გუნება-განწყობის გაუმჯობესებას, ვინაიდან ამ შემთხვევაში ტირილი ემოციური ტონუსის რეგულაციის საშუალებას წარმოადგენს.

ტირილის ძირითადი მიზეზები

- სიცოცხლის პირველ წლებში ბავშვის ტირილის მიზეზი შეიძლება იყოს ბუნებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების სურვილი. ამ ასაკში, როგორც წესი, ის ტირის იმიტომ, რომ შია, სწყურია, ეძინება, ჩასველებულია, ძალიან სცხელა ან ძალიან სცივა. ბავშვს ჯერ არ შეუძლია ლაპარაკი და თავის ყველა სურვილს ტირილით გამოხატავს მშობლების ყურადღების მისაპყრობად. მოგვიანებითაც, როცა პატარა ისწავლის პირველი სიტყვების წარმოთქმას და თითქოს უკვე სიტყვიერად უნდა გამოხატოს თავისი სურვილები, ის მაინც ტირის და ჭირვეულობს, როცა რამე სურს. ეს რეფლექტორულად ხდება, ვინაიდან ქვეცნობიერში ჩადებულია ინფორმაცია სურვილების ასეთი ხერხით ასრულებაზე.
- ხშირად ბავშვები ტირილს იწყებენ უცხო ადამიანების გარემოცვაში მოხვედრისას. თუ ამას თან სდევს დედის მუქარაც: „შეწყვიტე ზღუქუნი, თორემ, აი, იმ დეიდას გავატან შენს თავს“, – ძალიან ძნელი იქნება ბავშვის დამშვიდება. თუ დედის სიტყვებს უცნობი ქალბატონიც გამოეხმაურა: „მომეცით, მომეცით, წავიყვან“, – ბავშვი შეიძლება პანიკაში ჩაგარდეს მთელი სიცოცხლის უცხო ადამიანების გარემოცვაში გატარების პერსპექტივის გამო. ვინაიდან პატარა უფროსების ნათქვამს პირდაპირ აღიქვამს, ასეთი „საფრთხე“ მასში ავითარებს უცხო ადამიანების მიუღებლობას და მომავალში თავისუფლად, ლაღად და უსაფრთხოდ თავს მხოლოდ ნაცნობ გარემოში, ნაცნობებისა და ახლობელი ადამიანების გარემოცვაში იგრძნობს.
- გაღიზიანების, ცრემლებისა და ჭირვეულობის მიზეზი ხანდახან დღის განმავლობაში შთაბეჭდილებებით უზომო გადატვირთვაა. თუ ბავშვი დროის განსაზღვრულ მონაკვეთში წავიყვანეთ მაღაზიებში, სტუმრად, ვასეირნეთ პარკში, მოვატარეთ ზოოპარკი და კარუსელებზეც ვატრიალეთ, მისთვის ძნელი იქნება ამ მოცულობის ინფორმაციის აღქმა, გაგება და გადახარშვა. დიდი ალბათობით, ის ჭირვეულობას და ტირილს დაიწყებს.
- თუ ბავშვი ვერ პოულობს ვერავითარ გასართობს და განიცდის მშობლებთან უშუალო ურთიერთობის მოთხოვნილებას, უფროსების ყურადღების

მისაპყრობად მან შესაძლოა თავისი სურვილი ტირილით, ცრემლების ღვრით და ქვითინით გამოხატოს.

- ბავშვის ტირილის მიზეზი შეიძლება იყოს საშინელი სიზმრები, კოშმარები. სამყაროში არსებობს ბევრი ისეთი რამ, რაც ბავშვმა ჯერ კიდევ არ იცის და ვერ ხსნის. აქედან მოდის ძლიერი შიშიც და პატარა იწყებს ტირილს ისტერიკამდე და მტკივნეულ სპაზმებამდე.
- როდესაც ბავშვი ავად ხდება და არ შეუძლია აგვისხნას, რა სტკივა, ის იწყებს ტირილს, ჭირვეულობს, უარს ამბობს ჭამაზე, ძილში შფოთავს.
- ტირილი ბუნებრივი რეაქციაა, თუ პატარა დაეცა და რამე იტყინა. საერთოდ, ბავშვები ძალიან სერიოზულად აღიქვამენ თავიანთ მარცხს. მაშინაც კი, როცა არცთუ ისე ძლიერად ეცემიან – ამისგან მაინც მთელ ტრაგედიას ქმნიან. მათთვის ხომ მნიშვნელოვანია, ყურადღება მიაქციონ, თანაუგრძნონ და შეიბრალონ.
- ხშირად ბავშვი იმიტომ ტირის, რომ არ სურს საბავშვო ბაღში წასვლა. ის მიეჩნია, რომ დედა ყოველთვის მის გვერდითაა. უცხო გარემოში მოხვედრისას და მხედველობის არიდან მშობლის დაკარგვისას ბავშვს ეუფლება შიში, დაუცველობის განცდა, იწყებს დედის ძებნას და როცა ვერ პოულობს, უკმაყოფილებას ტირილით გამოხატავს.
- ბავშვი ტირილით გამოხატავს უკმაყოფილებას მაშინაც, როცა რამე არ გამოსდის. მაგალითად, წინდების დამოუკიდებლად ჩაცმა. ამ დროს ის იწყებს ნერვიულობას, ტირილს და ამით ცდილობს უფროსების ყურადღების მიპყრობას, რომ დაეხმარონ.

ბავშვის ტირილს უამრავი სხვა მიზეზიც შეიძლება ჰქონდეს, მაგალითად, მკვდარი პეპლის, ძაღლის ან კატის დანახვა, ზღაპრის საყვარელი პერსონაჟის მიმართ თანაგრძნობა.

როგორ მოვიქცეთ, როცა ბავშვი ტირის – რეკომენდაციები მშობლებისთვის:

- ნუ შევეცდებით ნებისმიერი ხერხით მის გაჩუმებას. ამით სერიოზულად გავრისკავთ და მხოლოდ დისტანციას კი არ გავზრდით ჩვენსა და ბავშვს შორის, არამედ გულგრილობისა და გაუგებრობის ნამდვილ კედელს აღვმართავთ.
- არც ის შეიძლება, საერთოდ არ მივაქციოთ ყურადღება ბავშვის ტირილს – ამით შესაძლოა გამოუსწორებელი ზიანი მივაყენოთ უფროსების მიმართ ბავშვის ნდობას.

- როდესაც ტირილი აშკარად ისტერიკის ხასიათს ატარებს, უმჯობესია, არ განვამტკიცოთ ის გადაჭარბებული ყურადღებით და შევექმნათ პირობები ნერვული დაძაბულობის გარეთ გამოსასვლელად.
- შევეცადოთ დასჯის გამოუყენებლობის გარანტიით ნდობით განმსჭვალული ურთიერთობის დამყარებას ბავშვთან ტირილის მიზეზების დასადგენად.
- თუ ბავშვი ავადმყოფობის გამო ტირის, ნუ მივცოფთ ხელს თვითმკურნალობას – სასწრაფოდ მივმართოთ ექიმს.
- ავადმყოფობის დროს, როგორც წესი, ბავშვი მადას კარგავს. ძალით ნუ ვაჭმევთ. ნურც საწოლში გავაჩერებთ ძალით – ბავშვის დიდხანს წოლას, როცა მას ეს არ სურს, თან სდევს ტირილი. გავითვალისწინოთ, რომ პატარა ტირილზე არანაკლებ ენერგიას ხარჯავს, ვიდრე სიარულზე. ჩავაცვათ ტემპერატურული რეჟიმის შესაბამისად, მაგრამ კომბოსტოსავით ნუ შევფუთავთ. გავითვალისწინოთ, რომ გადახურება სახიფათოა ბავშვისთვის, განსაკუთრებით – როცა ავად არის.
- თუ ბავშვი ტირის, ჭირვეულობს და ექიმთან არ მოგვყვება, ავუხსნათ, რატომ მიგვყავს პოლიკლინიკაში და როგორ ჩაივლის ეს ვიზიტი. ექიმისადმი ბავშვის დამოკიდებულება მშობლების საშუალებით ყალიბდება, ამიტომ უნდა ავუხსნათ, რომ ამ ვიზიტში არაფერია სახიფათო, რომ მას იქ არაფერს ატკენენ. ნუ შევაშინებთ ბავშვს ნემსით და საავადმყოფოთი – ამგვარად შესაძლოა, ჩვენდა უნებურად ჩავუნერგოთ მას თეთრხალათიანი ადამიანების შიში და მიუღებლობა, რომელიც, დიდი ალბათობით, მთელი ცხოვრება გაჰყვება.
- თუ ბავშვი იმიტომ ტირის, რომ არ უნდა საბავშვო ბაღში წასვლა, მოვერიდოთ მის ძალით წაყვანას, ყვირილს და იმით დაშინებას, რომ თუ ტირილს არ შეწყვეტს, აღარ მივაკითხავთ. საბავშვო ბაღში სიარულს ფსიქოლოგიურ ტრავმად ნუ ვაქცევთ. გავითვალისწინოთ, რომ ამ დროს პატარას ნამდვილად აქვს ნერვიულობის და შფოთვის მიზეზი – ის ხვდება უცხო გარემოში საყვარელი, ახლობელი ადამიანების გარეშე. ამასთან, ადაპტაციის პერიოდი სხვადასხვა ბავშვისთვის სრულიად სხვადასხვანაირია – ერთი ბაღს შეიძლება ძალიან სწრაფად შეეგუოს, მეორეს კი გარკვეული დრო დასჭირდეს. კარგი იქნება, თუ პატარას წინასწარ ავუხსნით, რატომ მიგვყავს საბავშვო ბაღში. დავარწმუნებთ, რომ ჩვენ ამას ვაკეთებთ არა იმიტომ, რომ მოგვებზრდა ის ან მისი მოვლით დავიღალეთ, უფრო მნიშვნე-

ნელოვანი საქმეები გვაქვს და მისი თავიდან მოცილება გვინდა, არამედ იმისთვის, რომ დავეხმაროთ, უფრო საინტერესოდ და შინაარსიანად გაატაროს დრო. საჭიროა ძალისხმევა და მოთმინება, რომ ბავშვი ახალ გარემოს შეეგუოს. ვესაუბროთ საბავშვო ბაღზე, იმაზე, თუ რას გააკეთებს იქ. აუცილებლად ვუთხრათ, რომ უკვე დიდია და ვამაყობთ მისით – ის ხომ ახლა ისევე დადის საბავშვო ბაღში, როგორც ჩვენ – სამსახურში. დავარწმუნოთ, რომ იქ მას არ აწყენინებენ, რომ იქ არიან სხვა ბავშვებიც, არის სათამაშოებიც. დავრთოთ ნება, თან წაიღოს საყვარელი სათამაშო, რათა თავი უფრო მშვიდად იგრძნოს. ამ დროს სათამაშოს სახით სახლის ნაწილია მასთან და ბავშვიც უფრო დაცულად და უსაფრთხოდ გრძნობს თავს.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ძალიან მზრუნველ მშობლებსაც კი არ შეუძლიათ შვილის დაცვა ცხოვრებისეული უსიამოვნებებისგან. ბავშვი გარე სამყაროსგან მუდმივად იზოლირებული ვერ გვეყოლება და არც უნდა გვყავდეს. ამიტომ მტირალ პატარასთან ურთიერთობისას ყველაზე უბრალო ტაქტიკა – ნუ გავღიზიანდებით, ვიყოთ მის გვერდით და ვაგრძნობინოთ, რომ მზად ვართ მის დასახმარებლად. ეს მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ყური მივუვდეთ ბავშვის ტირილს, გავიგოთ მისი აზრი. გავითვალისწინოთ, რომ ტირილი ბავშვისთვის ურთიერთობის ენაა. ნუ ვიქნებით ყრუ მის მიმართ მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ ამ ენაზე საუბარი დაგვავიწყდა.

ბავშვები „ჭკვიანი ტექნიკის“ ტყვეობაში

დღეს აღარავის უკვირს კომპიუტერში, პლანშეტსა თუ სმარტფონში თავ-
ჩარგული ადამიანის დანახვა. ასეთ ადამიანებს შეხვდებით ყველგან: ოჯახურ
გარემოში, ტრანსპორტში, კინოში, თეატრში, ქუჩაში, სამსახურში. არც არის
გასაკვირი – კომპიუტერული ტექნიკა ხომ ჩვენთვის ჩვეულებრივი მოხმარე-
ბის და, თამამად შეიძლება ითქვას, ყველაზე გამოყენებად ნივთებად იქცა.
თუმცა ხანდახან შეიძლება ისეთი სცენის მოწმე გავხდეთ, რომ ნანახით გა-
მოწვეულ გაოგნებას დიდხანს ვერ დავაღწიოთ თავი.

ერთ შემთხვევას მოგიყვებით: სამარშრუტო ტაქსიში – ახალგაზრდა ქალ-
მა, მას შემდეგ, რაც დასაჯდომი ადგილი მოძებნა და თავისი სამიოდე წლის
ბიჭუნაც გვერდით მოისვა, ჩანთიდან ორი სმარტფონი ამოიღო, ერთი შვილს
მიაწოდა და ორივემ გატაცებით დაიწყო თამაში. რამდენიმე წუთის შემდეგ,
როცა ჩასვლის დრო მოვიდა, დედამ ბავშვი ხელში აიყვანა და ისე ჩავიდა
მანქანიდან, რომ თამაში არც ერთს არ შეუწყვეტია.

ბევრი იწერება და ალბათ მომავალშიც დაიწერება ადამიანის ფსიქიკაზე
კომპიუტერული ტექნიკის მავნე გავლენის შესახებ. კომპიუტერზე მიჯაჭვუ-
ლობა დღეს უკვე ნარკომანიის ახალ სახედ განიხილება. გაჩნდა დაავადებე-
ბი, რომლებიც ექიმებს საგონებელში აგდებს და ხშირად არც კი ემორჩილება
მკურნალობას. განსაკუთრებული საფრთხის წინაშე ვდგებით, როცა საქმე
ბავშვებსა და მოზარდებს ეხება, რაც სავსებით გასაგებია, ვინაიდან მათი ჩა-
მოუყალიბებელი ფსიქიკა ძალზე მგრძნობიარეა და ადვილად ექცევა რო-
გორც ადამიანების, ისე ტექნიკის გავლენის ქვეშ. კომპიუტერული თამაშების
სამყარო კი ისეთი მაცდუნებელია, რომ მისთვის წინააღმდეგობის გაწევა მო-
წიფულ ადამიანსაც კი უჭირს.

**მაინც რას შეიძლება ველოდეთ, როცა ბავშვი ვერ სწყდება კომპიუტერს
და დროის უდიდეს ნაწილს მონიტორთან ატარებს?**

- ვირტუალურ სამყაროში ჩაძირული ბავშვი უუცხოვდება რეალურს, კარ-
გავს მისდამი ინტერესს, ვერ იძენს ურთიერთობის ჩვევებს, რაც, თავის

მხრივ, უარყოფითად მოქმედებს მის ფსიქიკურ განვითარებაზე, ჩნდება აუტიზმის ნიშნები;

- კომპიუტერული თამაშებით გატაცება ხშირად ხდება სწავლის, კითხვის, სპორტის, მეგობრებთან ურთიერთობის ხარჯზე, რაც უარყოფითად აისახება ბავშვის განვითარებაზე – როგორც ინტელექტუალურზე, ისე სოციალურზეც;
- კომპიუტერული თამაშების გავლენით, განსაკუთრებით მაშინ, თუ მათი პერსონაჟები საშინელი არსებები არიან, ბავშვს უჩნდება სიბნელის, მართობის, სიკვდილის შიში, იწყებს ენის ბორძიკს, აწუხებს კომმარული სიმრეები, უძილობა, ხშირად და უმიზეზოდ ეცვლება განწყობა, ხდება აგრესიული, იმპულსური, სწრაფად იღლებს. კომპიუტერთან დიდხანს ჯდომის შემდეგ ბავშვის ფსიქიკას უჭირს იმ დატვირთვის ატანა, რომელსაც ადრე იოლად ართმევდა თავს;
- კომპიუტერული თამაშების უმრავლესობის აღმზრდელობითი ეფექტი, რბილად რომ ვთქვათ, საეჭვოა, ვინაიდან მათი არსი თითქმის ყოველთვის მკვლელობაზე დაიყვანება. ძალადობის სცენები, რომლებსაც ბავშვი საათობით უყურებს, მის არაცნობიერში ილექება და ადრე თუ გვიან აგრესიულობით გამოვლინდება;
- კომპიუტერული თამაშებით უზომოდ გატაცებულ ბავშვს შესაძლოა დასჩემდეს ნერვული კრუნხხვები და ეპილეფსიური შეტევებიც კი. ასეთი თამაშების მოყვარულები ეჩვევიან „პასიური აგზნების“ მდგომარეობაში ყოფნას – როცა სიამოვნება მიიღწევა ძალისხმევის გარეშე, მხოლოდ იმ ქერქქვეშა სტრუქტურების აგზნებით, რომლებიც ამ ემოციას მართავს. ეს მომადუნებელ გავლენას ახდენს ადამიანზე, უკარგავს ინიციატივას, ნარკოტიკივით მოქმედებს. ასეთ ბავშვებს, როგორც წესი, მეტი აღარაფერი აინტერესებთ და კომპიუტერის ტყვეები ხდებიან;
- ალბათ, შემთხვევითი არ არის, რომ კომპიუტერული თამაშები განსაკუთრებით იტაცებს „პრობლემურ ბავშვებს“, რომლებსაც აქვთ დაბალი თვითშეფასება, ცუდი აკადემიური მოსწრება, სირთულეები თანატოლებთან ურთიერთობისას... სხვაგვარად რომ ვთქვათ, რაც უფრო მეტი ფსიქოლოგიური ბარიერი აქვს ბავშვს ცხოვრებისეულ რეალობაში, მით უფრო ღრმად იძირება ის ვირტუალურ სამყაროში. კომპიუტერული თამაშები მას რეალურ სამყაროში დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილებების ვირტუალურ სამყაროში დაკმაყოფილების საშუალებას აძლევს;

- წიგნის კითხვა და, მით უმეტეს, შემოქმედებითი საქმიანობა ძალისხმევას მოითხოვს, კომპიუტერთან კი ყველაფერი მარტივადაა. ამასთან, ადამიანს რჩება საკუთარი ყოვლისშემძლეობის შთაბეჭდილება – ის „სამყაროს მბრძანებელი“ ხდება. წარმოვიდგინოთ: ბავშვი ზის მონიტორის წინ და განაგებს „პაწაწინა ადამიანების“ სიცოცხლეს. ღილაკზე თითის დაჭერით მას შეუძლია გაანადგუროს ათეულობით „მტერი“. რეალურ სამყაროში კი არაფერი შეუძლია – არც ხეზე აძრომა, არც ხელის შებრუნება მისთვის, ვინც აწყენინა, არც თანატოლებთან ჩხუბი. მაგრამ ეს ყველაფერი მას არც სჭირდება, ვინაიდან არსებობს საკუთარი თავის სუპერმენად აღქმის გაცილებით მარტივი ხერხი. ასე გაზრდილი ბავშვი სუსტი იქნება და რეალური ცხოვრება ყოველთვის შეაშინებს. პრეტენზიების დონე ასეთ ბავშვს, წესისამებრ, საკმაოდ მაღალი აქვს, ხოლო ნებელობა, რომელიც აუცილებელია მიზნის მისაღწევად – არასათანადოდ განვითარებული. ასეთი ბავშვები უმცირესი სირთულის შემთხვევაშიც კი უკან იხევენ, არ შეუძლიათ საქმის ბოლომდე მიყვანა, ამიტომ ხშირად ცუდად სწავლობენ, არ უყვართ კითხვა, არ ამჟღავნებენ ინტერესს შემოქმედებითი საქმიანობის მიმართ. რეალურ შესაძლებლობებსა და პრეტენზიების დონეს შორის შესაბამისობის შედეგად ბავშვს უჩნდება დისკომფორტის განცდა, რაც, თავის მხრივ, შფოთიანობისა და ნევროზულობის განვითარებას უწყობს ხელს. კომპიუტერი საშუალებას აძლევს „პრობლემურ“ ბავშვებს, გაეცნენ არასასიამოვნო რეალობას და თავი გამარჯვებულად იგრძნონ. მაგრამ ვირტუალური რეალობა ნარკოტიკივით მოქმედებს და მათ თავის მორევში ითრევს, საიდანაც, სურვილის შემთხვევაშიც კი, ამოსვლა ძალიან უჭირთ;
- ბავშვი რომც არ გახდეს „კომპიუტერული ნარკომანი“, „ტკვნიანი ტექნიკა“ მაინც გამანადგურებლად მოქმედებს მის ჯანმრთელობაზე – უპირველეს ყოვლისა, ზიანდება მხედველობა, იზრდება ახლომხედველობის ჩამოყალიბების ან უკვე არსებული პროგრესირების რისკი. შესაძლოა, ჩამოყალიბდეს კომპიუტერული მხედველობის სინდრომი, რომელიც კონიუნქტივითს მოგვაგონებს: თვალები წითლდება და ისეთი შეგრძნება ჩნდება, თითქოს ქვიშა შეგვაყარეს;
- იმის გამო, რომ კომპიუტერული თამაშების უმრავლესობა აგრესიასა და მკვლელობებზეა აგებული, ბავშვი ითვისებს ქცევის არცთუ სასურველ მოდელს;
- კომპიუტერული ტექნიკა, მისი არასწორი გამოყენება ამახინჯებს ბავშვის ჯანმრთელობას. ბავშვი სწავლობს აზროვნებას არა შემოქმედებითად,

არამედ ტექნოლოგიურად. ხდება აზროვნების რობოტიზაცია, ქრება ემოციები, თანაგანცდა, თანაგრძნობა.

რეკომენდაციები ბავშვის ფსიქიკურ განვითარებაზე კომპიუტერის უარყოფითი გავლენის შესამცირებლად

- იმისთვის, რომ ბავშვი კომპიუტერზე დამოკიდებულებისგან დავიცვათ, საჭიროა, შევზღუდოთ კომპიუტერთან მისი ყოფნის დრო.
- სასურველია, კომპიუტერი დაიდგას ისეთ ადგილას, სადაც დავინახავთ, რას თამაშობს ბავშვი.
- კარგი იქნება, თუ ჩვენც გავეცნობით იმ კომპიუტერულ თამაშებს, რომლებითაც ბავშვი ერთობა.
- თუ ბავშვს კომპიუტერთან ჯდომას ავუკრძალავთ, მას ალტერნატივა უნდა შევთავაზოთ იმ დროის შესავსებად, რომელიც მას მონიტორთან უნდა გაეტარებინა.
- ვიზრუნოთ ბავშვის თვითშეფასების ამაღლებაზე, ვუპოვოთ ისეთი საქმე, რომელშიც წარმატებას მიაღწევს და რომელიც საკუთარი თავის რწმენას გაუძლიერებს.
- დავეხმაროთ ბავშვს, რეალურ სამყაროში მოახდინოს თავისი შესაძლებლობების რეალიზება, რათა არ გაუჩნდეს ამის ვირტუალურ სამყაროში გაკეთების სურვილი.
- გამოვუმუშაოთ კომპიუტერის სასწავლო მიზნით გამოყენების უნარ-ჩვევები.

დაბოლოს, გავითვალისწინოთ, რომ კომპიუტერის უარყოფა გაუმართლებელია. ის ძალიან გვიმსუბუქებს ცხოვრებას და ბევრი პრობლემის მოგვარებაშიც გვეხმარება. ამდენად, აჯობებს, თუ ბავშვს, აკრძალვის ნაცვლად, კომპიუტერის სწორ, გონივრულ გამოყენებას ვასწავლით.

მელოინა საჭაია

1	როგორ დავეხმაროთ მოსწავლეებს კიბერბულინგთან გამკლავებაში	121
2	როგორ შეუძლია მასწავლებელს მორცხვი ბავშვის დახმარება	124
3	სექსუალური ძალადობის პრევენცია სკოლაში	126
4	მობოდშიშება	128
5	მეგობრობის მნიშვნელობა სასკოლო ასაკში	131
6	მოზარდის სოციალიზაციის სტრატეგიები	135
7	სოციალური გავლენა. კონფორმიზმი	137
8	სოციალური განწყობიდან დისკრიმინაციამდე	141
9	ინტროვერტი საკლასო ოთახში	145
10	მასწავლებლის მოლოდინები	148
11	ბულინგი სკოლაში. როგორ გადავარჩინოთ მოზარდები	151
12	როგორ აღიქვამს ბავშვი დასჯის სიტუაციებს	155
13	მოსწავლე, მასწავლებელი, ჯობსი და ბრედბერი	158
14	ისინი არ მოკლავენ ჯაფარას	161

როგორ დავეხმაროთ მოსწავლეებს კიბერბულინგთან გამკლავებაში

15 წლის გოგონას სთხოვეს, სოციალურ ქსელში წელს ბევრად უფრო მეტი ფოტო გააზიაროს. შინაგანი ინსტინქტი მას კარნახობს, რომ ეს არ უნდა გააკეთოს. ორი ახლო მეგობარი ურჩევს, რომ უარი თქვას შეთავაზებაზე. მაგრამ შეთავაზებები მეორდება და მას მოსწონს ბიჭი, რომელიც ამას სთავაზობს. ამასთან ერთად, გოგონების სხვა ჯგუფი ახალისებს მას ფოტოს გასაგზავნად. ისინი უხსნიან, რომ ეს მიღებულია თანამედროვე ურთიერთობებში. რამდენიმე ღამის განმავლობაში ის ვერ იძინებს და ამის შესახებ იმდენად ხშირად საუბრობს თავის მეგობრებთან, რომ ისინი მასთან შეხვედრას და საუბარს გაუბრუნებენ.

ბოლოს გოგონა უარს ამბობს სურათის გაგზავნაზე. თუმცა, ბიჭს უგზავნის მგრძნობიარე შეტყობინებას, თუ როგორ მოსწონს ის, მაგრამ არ სურს ასეთი სურათის გაგზავნა. ბიჭი ფოტოს უღებს (ასკრინშოტებს) ამ შეტყობინებას და იყენებს მას სოციალურ ქსელებში გოგონას საწვალეზლად. გოგონები, რომლებიც ურჩევდნენ მას სურათის გაგზავნას, ასევე ერთვებიან ამ „თამაშში“. ყოველივე ამით გამოწვეული სტრესის შემდეგ გოგონას ეწყება თავისა და მუცლის ტკივილი, აცდენს სკოლას და უარს ამბობს ხალხთან ურთიერთობაზე.

ბავშვების მიერ ტექნოლოგიების თითქმის მუდმივი გამოყენების გამო, ბევრი მშობელი უფრო ხშირად კიბერბულინგს. მასთან დაკავშირებული ჰედლაინების სიმრავლე მშობლებს თავს დაუცველად აგრძნობინებს. შესაძლოა კი ონლაინსამყაროში კიბერბულინგის პრევენცია?

StopBullying.gov-ის მიერ წარმოდგენილი ბოლო სტატისტიკის თანახმად, 6-12 კლასის მოსწავლეების 9 პროცენტს და high school-ის მოსწავლეების 15 პროცენტს გამოუცდია კიბერბულინგი. LGBTQ მოსწავლეების 55.2 პროცენტს გამოუცდია კიბერბულინგი.

რა არის კიბერბულინგი

კიბერბულინგი არის ბულინგის სახეობა, რომელიც ელექტრონული მოწყობილობების საშუალებით ხორციელდება, როგორცაა ტელეფონები, პლანშე-

ტები ან კომპიუტერები. ის შეიძლება განხორციელდეს sms-ის, ელექტრონული ფოსტის, სოციალური მედიის, ფორუმების და სათამაშო სისტემების საშუალებითაც კი. კიბერბულინგად მიიჩნევა:

- ვინმეს შესახებ საზიანო, უარყოფითი ან ყალბი ინფორმაციის ან კონტენტის გაგზავნა, გაზიარება ან გამოქვეყნება;
- ფოტოების ან „სკრინშოტების“ გაზიარება, რაც შეიძლება საზიანო, შეურაცხმყოფელი ან სამარცხვინო იყოს ვინმესთვის;
- პერსონალური ინფორმაციის გაზიარება ვინმეს შეურაცხყოფის ან რეპუტაციის შელახვის მიზნით.

სოციალური მედიის საჯარო ბუნებისა და სხვა მრავალი საშუალებით ციფრული ინფორმაციის სწრაფი გაზიარების შესაძლებლობის გამო, კიბერბულინგის გავრცელების არეალი უსაზღვროა. ვიდრე ბავშვი დახმარებას ეძებს, დამაზიანებელი ფოტოები და კონტენტი შეიძლება იოლად გაზიარდეს სკოლებს შორის და უფრო ფართოდაც. კიბერბულინგთან გამკლავება ძნელია, რადგან ონლაინ განთავსებული ინფორმაციის დიდი ნაწილი მუდმივია (ან ძნელად წაშალებელი) და ამის გააზრება ძნელია. მასწავლებლებს და მშობლებს არ შეუძლიათ კიბერბულინგის შემჩნევა ისე, როგორც ბულინგის სხვა ფორმებისა.

კიბერბულინგის საზღვრები

ყველა, ვინც კომუნიკაციისათვის, კონტენტის გაზიარებისათვის ან ვინმესთან დასაკავშირებლად იყენებს ციფრულ მოწყობილობებს, შეიძლება გახდეს კიბერბულინგის მსხვერპლი. საუკეთესო რამ, რისი გაკეთებაც მშობლებს შეუძლიათ ციფრულ სამყაროში ჩართული მოზარდებისათვის, არის ხშირი, ღია და გულწრფელი საუბარი მოლოდინებზე და იმაზე, თუ როგორ უნდა მოიქცნენ კიბერბულინგის შემთხვევაში. როგორ გავუმკლავდეთ კიბერბულინგს?

კვლევები გვიჩვენებს, რომ კიბერბულინგი სოციალურ მედიაში დაკავშირებულია მოზარდების დებრესიასთან. მშობლები ცდილობენ იპოვონ გამოსავალი და შეინარჩუნონ ჯანსაღი კომუნიკაცია შვილებთან.

ნუ განსჯით: მოზარდებს სჭირდებათ, რომ მშობლებმა განსჯის გარეშე მოუსმინონ მათ. მათ ასევე არ სურთ, რომ მშობლებმა მაშინვე დაიწყონ სხვა მშობლებთან რეკვა. საუკეთესო დასაწყისია მოსმენა და შესაბამისი კითხვების დასმა კიბერბულინგის მასშტაბის დასადგენად. მთავარია, უპირობო

მხარდაჭერა. თუ უსმენთ, გულისხმიერი ხარო და ერთად მუშაობთ, თქვენი შვილი თქვენგან დახმარებას მიიღებს.

აღნუსხეთ ყველაფერი: გადაუღეთ ფოტო (სკრინშოტი) ყველაფერს, რასაც მოწყობილობებზე კიბერბულინგთან დაკავშირებით იპოვით და გადაგზავნეთ თქვენს ტელეფონზე. აღნუსხეთ თქვენი საუბრებიც. სკოლის პერსონალისა და სხვა შესაბამისი პირებისათვის კიბერბულინგის შესახებ ინფორმაციის მიწოდებისას ეს გამოგადგებათ. მოზარდების ნაამბობს, როცა ისინი ბეწოლის ქვეშ არიან შეიძლება დეტალები აკლდეს ან განსხვავებული ჩანდეს. გამოავლინეთ „უსაფრთხო“ ადამიანი სკოლაში: მოზარდს სჭირდება ვინმე, ვისთანაც მივა კიბერბულინგის შედეგად გამოწვეული ცხოვრებისეული პრობლემების გასაზიარებლად ან იმწუთიერი დახმარების მისაღებად. უპასუხეთ გაამრებულად: თავი შეიკავეთ თქვენი საკუთარი სოციალური მედიაკავშირების გამოყენებისაგან. ეს არ დაეხმარება თქვენს შვილს და შეიძლება მდგომარეობა გააუარესოს კიდევ. ერთად შეიმუშავეთ გეგმა: თქვენს შვილს დახმარება სჭირდება, მაგრამ მას ასევე სჭირდება ავტონომია პრობლემის გადაჭრის ქმედითი უნარების გამოყენებისას. გონებრივი შტურმის მეშვეობით, იპოვეთ გადაწყვეტის შესაძლო გზები, გამოავლინეთ ასევე შესაბამისი პიროვნება სკოლაში (მრჩეველი, ადმინისტრაციის წევრი ან სხვა) და იმუშავეთ ერთად. გამოიყენეთ აპლიკაციებში არსებული ხელსაწყოები: შესაძლებელია, თქვენმა შვილმა იცის მომხმარებლების დაბლოკვის ან პაროლების დაცვის გზები, მაგრამ არაფერი დაშავდება უსაფრთხოების პარამეტრების გადახედვით, მეგობრების სიის შემოწმებითა და პოტენციურად ყალბი ანგარიშების გამოვლენით, მათი შეურაცხმყოფელი კომენტარების ან შეუსაბამო ფოტოების გასაჩივრებით. ისაუბრეთ სიმართლის დაცვის აუცილებლობაზე: ისაუბრეთ ბულინგის ან შეუსაბამო კონტენტის გასაჩივრების საჭიროებაზე მაშინაც კი, თუ ეს უშუალოდ თქვენს შვილს არ ეხება, ისაუბრეთ პოზიტიური გამოხმაურების აუცილებლობაზე მაშინ, როცა სხვები ნეგატიურს ტოვებენ. როცა ბავშვები წახალისდებიან, დაეხმარონ სხვებს, ირწმუნებენ, რომ აქვთ ძალა, ებრძოლონ ონლაინნეგატიურობას სიკეთისა და მხარდაჭერის გამოვლინებით. კიბერბულინგმა მოზარდებში შეიძლება გამოიწვიოს ხანგრძლივი დეპრესია და შფოთვა. თუკი ეჭვობთ, რომ თქვენი შვილი კიბერბულინგის მსხვერპლია, გაესაუბრეთ მას და დასახეთ დახმარების ძიების გზა.

წყარო: <https://www.psychologytoday.com/blog/worry-free-kids/201711/how-help-teens-cope-cyberbullying>

როგორ შეუძლია მასწავლებელს მორცხვი ბავშვის დახმარება

მიუხედავად იმისა, რომ კლასში პიროვნების ტიპებისა და ტემპერამენტების სიმრავლე დადებითად ფასდება, მასწავლებლები და მშობლები, ბუნებრივია, შფოთავენ, როცა რომელიმე ბავშვი სულ ჩუმადაა. გთავაზობთ რამდენიმე რჩევას, რომლებიც მორცხვ ბავშვს თავის გამოჩენაში დაეხმარება. მათი უმრავლესობა სხვა სიტუაციებშიც გამოგადგებათ.

1. გაარკვიეთ, რა აინტერესებს თქვენს მორცხვ მოსწავლეს. შეგიძლიათ მას ამის შესახებ ჰკითხოთ; გამოიყენოთ ინტერესების სფეროს კვლევა; დააკვირდეთ, რა აცვია (მაგ., დინოზავრის გამოსახულებიანი მაისურები), დააწერინოთ წიგნი საკუთარი თავის შესახებ და სხვ. გამოიყენეთ ეს ინფორმაცია საუბრის ან საგანმანათლებლო აქტივობების საწყის წერტილად.
2. დაავალეთ კლასში სხვა, უფრო აქტიურ ბავშვებთან ერთად მუშაობა. ამან შესაძლოა ხელი შეუწყოს მათ ურთიერთობებსა და ახალი მეგობრების გაჩენას.
3. ყურადღება გაამახვილეთ მის ძლიერ მხარეებზე. თუ მორცხვი მოსწავლე წარმატებულია მათემატიკაში, დაავალეთ მას, დაეხმაროს სხვა მოსწავლეს, რომელსაც ამ სფეროში დახმარება სჭირდება.
4. დააწყვეთ მერხები ან სკამები ისე, რომ მორცხვი მოსწავლეები მოხვდნენ მათთვის კარგად ნაცნობი ბავშვების ან მათ გვერდით, ვისაც კარგად შეუძლია სხვების ჩართვა.
5. ასწავლეთ ბავშვებს, როგორ ჩაერთონ ჯგუფურ აქტივობებში. მაგალითად, სათამაშო მოედანზე, წააქებზე ბავშვი, ვინმეს ჰკითხოვს: „შეიძლება, მეც ვითამაშო?“
6. მიეცით დავალება, რომელიც გულისხმობს ოთახში გადაადგილებას და სხვებთან ურთიერთობას ან გააკეთებინეთ რამე, რაც თავს მნიშვნელოვნად აგრძნობინებს, მაგ., დაფის გაწმენდა.
7. ყოველდღე დაუთმეთ დრო მორცხვ მოსწავლეს. ჩართეთ საუბარში. თუ თქვენთან თბილი ურთიერთობის დამყარებას მოახერხებს, შესაძლოა თავი უფრო დაცულად იგრძნოს.

8. მოერიდეთ მორცხვი ბავშვების ისეთ მდგომარეობაში ჩაყენებას, რომელიც მათთვის შესაძლოა შემაწუხებელი ან სტრესის გამომწვევი აღმოჩნდეს.
9. ასწავლეთ ბავშვებს, გაუმკლავდნენ გამოჯავრებას (მაპროვოცირებელ ქცევას). ასწავლეთ სიტყვები, რომლებიც მათ თავის დაცვაში დაეხმარება („გამოჯავრება ცუდია“. „არ მომწონს, როცა მაჯავრებ“. „გთხოვ, შეიერდი“). მზად იყავით ჩასარევად. მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ გამოჯავრება გარდაუვალია, გამოუმუშავეთ ბუღინგისადმი შეუწყნარებლობის პოლიტიკა.
10. იქონიეთ კონტაქტი მშობლებთან. ჰკითხეთ, რას ამბობენ სახლში ბავშვები სკოლის შესახებ. შესაძლოა, ბავშვი სკოლაში არ აქტიურობდეს, მაგრამ სახლში დადებითად ახასიათებდეს სკოლას.
11. წახალისეთ მშობლები, ჩაერთონ სასწავლო პროცესში, როცა ეს შესაძლებელია. ბავშვებს ეამაყებათ კლასში მშობლის ვიზიტი, დაწყებით კლასებში მაინც.
12. გახსოვდეთ, რომ ზოგიერთ მორცხვ მოსწავლეს შესაძლოა მორცხვი მშობლები ჰყავდეს. მშობლებმა შესაძლოა უკეთ იგრძნონ თავი საკლასო ოთახში, თუ მათთვის სტრუქტურირებულ აქტივობას შეარჩევთ. რაიმე მარტივს, როგორიცაა, ვთქვათ, მასალების დაჭრა, რაც საშუალებას მისცემს მშობელს, დააკვირდეს გარემოსა და ვითარებას საუბრის აუცილებლობის გარეშე.
13. გაარკვიეთ, რა რესურსები აქვს სკოლას. შესაძლოა, იზოვოთ წიგნები, რომლებსაც შეუძლია თავდაჯერებისა და სოციალური ჩვევების განვითარების ხელშეწყობა.
14. გააფრთხილეთ მშობლები, რომ – ბავშვი სულ ჩუმადაა ან მხოლოდ ჩურჩულით ლაპარაკობს, არასოდეს სარგებლობს ტუალეტით, არ სადილობს, ხშირად გამოიყურება სევდიანად ან გარიყულად, არასოდეს ან იშვიათად ეთამაშება სხვებს; როცა ესაუბრებიან, მიწას ჩაჰყურებს, უჩივის მუცლის ან თავის ტკივილებს და ა. შ. თუ პროგრესს ვერ ამჩნევთ, შესთავაზეთ მშობლებს, იფიქრონ ფსიქოლოგთან კონსულტაციაზე.

წყარო: <https://www.psychologytoday.com/blog/shyness-is-nice/201709/how-can-teacher-help-shy-child>

სექსუალური ძალადობის პრევენცია სკოლაში

ჰარვი ვაინშტაინის სკანდალის შემდეგ ჰეშთეგმა #metoo (#მეც) წახალისა მრავალი ქალი (ტრანსგენდერი ქალების ჩათვლით) გაეზიარებინათ თავიანთი გამოცდილება სექსუალურ შევიწროებასთან და ძალადობასთან დაკავშირებით. რა ესაქმება ამ ყველაფერს სკოლებთან? სამწუხაროდ, სკოლები არის ინკუბატორი ყველა იმ ღირებულებებისა და შეხედულებათა სისტემებისა, რომლებიც ხელს უწყობს სექსუალური შევიწროების კულტურების არსებობას. მახსოვს, მეშვიდე კლასში ყოფნისას მერვეკლასელმა ბიჭმა მკერდზე ჩემი მაისური გადამიჭიმა და მითხრა, „ნუ გეშინია, ისინი გაიზრდება“. აგრეთვე, მახსოვს, 12-13 წლის რომ ვიყავი, მძულდა ყურადღება ზოგიერთი ბიჭის ან მამაკაცი მასწავლებლის მხრიდან, რომელსაც ისინი მაშინ ავლენდნენ, როცა სკოლაში „ჩირლიდერის“ უნიფორმით სიარული მიწევდა. რა შეგვიძლია გავაკეთოთ ამის შესაცვლელად? რა შეუძლიათ მშობლებს და განათლების სფეროში მომუშავე სპეციალისტებს? როგორ შეიძლება ამის შესახებ, ასაკის შესაბამისად, ვესაუბროთ მოზარდებს?

ერთერთი კვლევით დადგინდა, რომ, როცა საშუალო სკოლის მასწავლებლები კლასში გენდერულ სეგრეგაციას იყენებდნენ (მიმართავენ მოსწავლეებს, როგორც ბიჭებს და გოგონებს ან აკეთებენ ასეთ კომენტარებს – „დღეს გოგონები კარგად მისმენენ“ და სხვ.), ბავშვებს უფრო ტრადიციული შეხედულებები ჰქონდათ გენდერზე, ვიდრე იმ მოსწავლეებს, ვისი მასწავლებლებიც იყენებდნენ ინკლუზიურ ტერმინებს, როგორიცაა „მოსწავლეები“ ან „ბავშვები“. შედეგად „ბიჭებისა და გოგონების“ კლასის მოსწავლეები უფრო ხშირად ეთანხმებოდნენ იმ აზრს, რომ მხოლოდ მამაკაცებს შეუძლიათ ჰქონდეთ გარკვეული სამუშაო და ჰქონდეთ გარკვეული თვისებები. ასეთი ტიპის სტერეოტიპები ხელს უშლის გენდერის სწორად გაგებას და შესაძლოა გამოიწვიოს ბულინგი ან შევიწროება განსაკუთრებით მაშინ, როცა ბავშვები ავლენენ ინტერესებს ან ქცევას, რომელიც გენდერულ ნორმებს ეწინააღმდეგება (ბიჭები, რომელთაც ცეკვა უყვართ; გოგონები, რომლებიც კარგად ეუფლებიან კომპიუტერს;). შემწყნარებლობის სწავლება კარგი დასაწყისია გენდერული სტერეოტიპების მსხვერვისთვის.

ჩვენ უნდა ამოვიცნოთ, თუ როგორ ებმის გენდერული მოლოდინები ბულინგსა და შევიწროებას სკოლებში. დოროთი ესპელეიჯმა, სკოლებში ძალადობის პრე-

ვენციის საერთაშორისო ექსპერტმა, გამოაქვეყნა კვლევა, რომლის თანახმადაც, მე-5 დან მე-7 კლასების ჩათვლით, ბულინგში ჩართული მოსწავლეები უფრო მიდრეკილნი იყვნენ ჰომოფობიური შევიწროებისა და სექსუალური ძალადობისაკენ. კვლევამ გვიჩვენა, რომ თუ ბულინგის პრევენციის პროგრამები არ შეესაბამება მასკულიზაციისა და ჰომოფობიის პრობლემებს, ისინი არაეფექტურია.

სკოლები მიზანმიმართულად უნდა მოქმედებდნენ თემში სექსუალური შევიწროების, ძალადობის ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირებისას. Title IX (ფედერალური კანონი აშშ-ში) იცავს მოსწავლეებს სქესის საფუძველზე დისკრიმინაციისაგან. უნდა იცოდეთ, ვინ არის თქვენს სკოლაში Title IX კოორდინატორი და ჰკითხოთ, რას აკეთებს სკოლაში სექსუალური შევიწროებისა და ძალადობის აღსაკვეთად. თუ ყველანი მივმართავთ ჩვენს სასკოლო უბნებს და მოვითხოვთ ჩვენი სკოლების შესახებ ინფორმაციას, ისინი უფრო დაინტერესდებიან, ჰყავდეთ გამოცდილი და მისაწვდომი Title IX კოორდინატორი, რომელიც შეძლებს მოსწავლეებისა და ოჯახების დახმარებას, და თუ მსგავსი რამ მოხდება პასუხისმგებლობას აიღებს საგანმანათლებლო და პრევენციული ღონისძიებების ჩატარებაზე.

უნდა ვისაუბროთ ჩვენს შვილებთან პატივისცემისა და ნების შესახებ. მე ყოველთვის ვასწავლიდი ჩემს შვილს, სანამ ვინმეს ჩახუტებოდა, ეკითხა მეგობრებისთვის, სურდა თუ არა ჩახუტება მას. ასევე ავუხსენი, რომ არ არის ვალდებული ჩახუტოს ან აკოცოს ვინმეს, თუკი ეს თვითონ არ სურს. როდესაც მეგობრები ან ნათესავები სტუმრობის შემდეგ მიდიან, ვეკითხები, „როგორ დაემშვიდობები შენს ნათესავს – ჩახუტებით, კოცნით თუ ხელის ხელზე დარტყმით (high-five)?“ და ის ისე იქცევა, როგორც სურს. ჩვენ ასევე გარკვეული გვაქვს, რომ ჭიდაობის, ლიტინის, გასართობად ჩხუბის და ა. შ. დროს „შეჩერდეს“ და გაითვალისწინოს, რომ არსებობს სიტყვა „არა“ (STOP and NO). ეს სიტყვები მნიშვნელოვანი იარაღია და მაშინ „მუშაობს“, როცა ვრეაგირებთ მათზე. ეს გაკვეთილები სხვა ადამიანების არჩევანის პატივისცემის შესახებ ძალიან ადრეულ ასაკში იწყება. ჩვენ გვჭირდება მათი მოდელირება და სწავლება ჩვენი შვილებისა და ოჯახებისთვის. ზოგიერთი სკოლა და საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენელი ბევრს მუშაობს მავნე კულტურული ნორმების – ჩვენს შემთხვევაში ჰეგემონიური ან მავნე მასკულიზაციისა და გენდერული სტერეოტიპების დასაშლელად. სკოლები, რომლებიც ამას არ აკეთებენ, ჩუმად და ხშირად ცხადადაც უწყობენ ხელს ისეთი ქცევებისა და რწმენების ჩამოყალიბებას, რომლებიც უშვებს სექსუალური შევიწროებისა და ძალადობის კულტურების არსებობას.

წყარო: <https://www.psychologytoday.com/blog/gender-and-schooling/201710/metoo-and-preventing-sexual-harassment-school>

მობოდიშება

ბავშვებს ხშირად ვაიძულებთ, მოუბოდიშონ და-ძმას, მეგობარს ან უფროსს, მაგრამ ყველას გვეთაკილება, თავად მოვუბოდიშოთ ბავშვს. თავს იმით ვიმართლებთ, რომ მობოდიშებამ შესაძლოა შეასუსტოს ჩვენი ავტორიტეტი. მაგრამ თქვენც ხომ უფრო მეტ პატივს სცემთ იმ ადამიანებს, რომლებსაც შეცდომების აღიარება და გამოსწორება შეუძლიათ? არასწორი საქციელისთვის ბოდიშის მოხდა იმას არ ნიშნავს, რომ შვილებს შეცდომები არ უნდა შევესწოროთ. მათ ისედაც კარგად იციან, ვინ არის უფროსი.

ადამიანების უმრავლესობა დისკომფორტს განიცდის მობოდიშებისას. არა მხოლოდ იმიტომ, რომ შეცდომის აღიარება უწევს, არამედ იმიტომაც, რომ ეს აღვიძებს სირცხვილის შეგრძნებას, რადგან გვახსენდება, რომ ბავშვობისას ჩვენც გვაიძულებდნენ ბოდიშის მოხდას.

და მაინც, რას სწავლობს ბავშვი, როდესაც მშობელი თავს არიდებს ბოდიშის მოხდას?

- ბოდიშის მოხდა ნიშნავს, რომ რაღაც ცუდი ჩაიდინეთ ან თქვენ თვითონ ხართ ცუდი ადამიანი. სირცხვილის გრძნობა ბოდიშის მოხდასთანაა გადაჯაჭვული.
- არაფერი დაშავდება, თუ ურთიერთობას ვავნებთ და შეცდომას არ ვაღიარებთ ან არ ვეცდებით მის გამოსწორებას.
- როდესაც ბოდიშს იხდი, სტატუსს კარგავ.

ამის ნაცვლად, უმჯობესია, მობოდიშებით შვილებს რამდენიმე მნიშვნელოვანი მესიჯი გავუგზავნოთ:

- ყველას მოგვდის შეცდომა, მაგრამ შეგვიძლია, რაღაცების გამოსწორება ვცადოთ.
- ხანდახან ყველანი ვაყენებთ ტკივილს სხვებს. მთავარია მივხვდეთ, როდის ვაკეთებთ ამას და მოვიბოდიშოთ.
- როცა ბოდიშს იხდი, შენზე უკეთესი წარმოდგენა ექმნებათ.

- მოზოდიშობა ძნელია, შესაძლოა გამბედაობის მოსაკრებად დრო დაგეჭირდეს, მაგრამ სამარცხვინო არ არის, რადგან საბოლოოდ ყველანი უკეთ ვიგრძნობთ თავს.

მაშ ასე, როგორ და როდის უნდა მოზოდიშოთ შვილს:

1. მოზოდიშეთ მარტივად და ხშირად, ისეთ მომენტებშიც კი, რომლებიც უმნიშვნელო გეჩვენებათ, მაგრამ ცხოვრების ნაწილია: „უი, ბოდიში, რომ შეგაწყვეტინე“. გაითვალისწინეთ, რომ როცა ისე იქცევით, როგორც არ გინდათ იქცეოდეს თქვენი შვილი, ბოდიშის მოხდაც მოგიწევთ. აუცილებელია, ვმართოთ საკუთარი ემოციები, განურჩევლად იმისა, რას აკეთებს ჩვენი შვილი.
2. თუ თქვენი შვილი რამეს მნიშვნელოვნად მიიჩნევს, გაითვალისწინეთ მისი აზრი, განურჩევლად იმისა, ეთანხმებით თუ არა. „დაგპირდი, რომ ახალ რვეულს მოგიტანდი, მაგრამ სულ დამავიწყდა. ძალიან ვწუხვარ. ვიცი, ელოდებოდი...“
3. აღწერეთ, რა მოხდა. „ყველა წყობიდან გამოვედი. შენ ყვიროდი. მერე მეც ყვირილი დავიწყე, შენ კი ატირდი. ძალიან ვწუხვარ, თუ შეგაშინე. იმედგაცრუებული ვიყავი, მაგრამ თავის შეკავება უნდა მომეხერხებინა. ყვირილი არ არის საყვარელ ადამიანებთან ურთიერთობის გარკვევის საუკეთესო გზა“.
4. ბოდიშიდან ნუ გადახვალთ დადანაშაულებაზე. „მართალია, გიყვირე, მაგრამ ამას იმსახურებდი“. ჩვენ უფროსები ვართ და თავშეკავების მაგალითი უნდა მივცეთ.
5. აუხსენით, რატომ დაკარგეთ წონასწორობა: „ძალიან მძიმე დღე მექონდა, კიდევ ერთ უსიამოვნებას ვეღარ გავუმკლავდი. ამიტომაც გიყვირე. მაგრამ ეს არ მამართლებს. არავინ იმსახურებს, რომ უყვიროდნენ“.
6. მიეცით ბავშვს პასუხისმგებლობის მაგალითი: „ვწუხვარ, რომ შენ გვერდით არ ვიყავი და ვერ დაგეხმარე“. თქვენ თავს არ იდანაშაულებთ – თქვენ წუხხართ, რომ იქ არ იყავით და პასუხისმგებლობა ვერ გაიზიარეთ. ეს დაეხმარება ბავშვს, საპასუხო ნაბიჯი გადმოდგას და თვითონაც მოზოდიშოს.
7. თუ რამე არ გამოგივიდათ, ცხადეთ კიდევ ერთხელ. „მაპატიე, საყვარელო, არ მინდოდა, გაგბრაზებოდი. მოდი, კიდევ ერთხელ ვცდი. აი, რა მინდოდა მეთქვა...“

8. შეიმუშავეთ გეგმა სიტუაციის გამოსასწორებლად. „იცი, რას გეტყვი? დილით, სკოლაში რომ წავალთ, გზად მაღაზიაში შევიაროთ შენი რვეულის საყიდლად“. ეს ნებისმიერი მობოდიშების აუცილებელი პირობაა.
9. თქვენი შვილი ბევრს ისწავლის თქვენგან, თუ ჰკითხავთ, როგორ ჯობდა მოქცეულიყავით და განიხილავთ ამას თავდაცვით პოზიციაში ჩადგომის გარეშე. შემდეგ პირობა დადეთ: „მომავალში შევჩერდები და ღრმად ვისუნთქებ, სანამ არ დავმშვიდდები“, – და აუცილებლად შეასრულეთ. თუ საყვარელი ადამიანი ბევრჯერ გატკენთ გულს, ადრე თუ გვიან მის ბოდიშს აღარ დაიჯერებთ. პატიების თხოვნას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, როცა იცით, რომ ადამიანი მართლაც აღარ გაიმეორებს თავის შეცდომას.
10. ჰკითხეთ შვილს, მზად არის თუ არა შერიგებისთვის. „იმედი მაქვს, მაპატიებ“. ეს დაეხმარება ბავშვს, მოერიოს წყენას და ხელახლა დაამყაროს ემოციური კავშირი. მაგრამ თუ ბავშვი მზად არ არის პატიებისთვის, ნუ აიძულებთ. ნაცვლად ამისა, წყენისაგან გათავისუფლებაში დაეხმარეთ.

გახსოვდეთ, რომ მობოდიშებაში არაფერია სამარცხვინო. პირიქით, მთელი ძალისხმევა შვილთან ურთიერთობის გამოსწორებისკენ მიმართეთ. შეცდომის აღიარებას და პატიების თხოვნას გამბედაობა სჭირდება, თუ ამას შეძლებთ, ეს უკეთეს მშობლად გაქცევთ, ასე აღზრდით უფრო ჯანსაღ პიროვნებას, რომელიც აფასებს ურთიერთობებს და შეუძლია პასუხისმგებლობის აღება.

წყარო: <https://www.psychologytoday.com/blog/peaceful-parents-happy-kids/201706/how-and-when-apologize-your-child>

მეგობრობის მნიშვნელობა სასკოლო ასაკში

მეგობრული ურთიერთობები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბავშვის განვითარებაში. ახლო მეგობრობა ხელს უწყობს დადებითი თვითშეფასების ჩამოყალიბებას, იძლევა ახლო ურთიერთობების დამყარების საფუძველს და ავითარებს თანაგანცდის (ემპათიის) უნარს, რადგან მეგობრები ცდილობენ ჩაუღრმავდნენ საკუთარ თუ ერთმანეთის განცდებს. ეს ურთიერთობა ეხმარება ბავშვებს ყოველდღიური სტრესების დაძლევაში და სკოლის მიმართ პოზიტიურ განწყობას ქმნის. იმ ბავშვებს, რომლებსაც კლასში მეგობარი ეგულებათ, უხარიათ სკოლაში წასვლა, ხოლო უმეგობრობა და მტრული გარემო შიშის და შფოთვის განცდას ბადებს მათში. მეგობრობა ადვილია უმცროს სასკოლო ასაკში. ის უფროს ასაკთან შედარებით ნაკლებ ძალისხმევას მოითხოვს. თუ სკოლამდელისთვის ყველა ის ბავშვი მეგობარია, ვისთან ერთადაც თამაში უწევს, სასკოლო ასაკის ბავშვები უკვე ავიწროებენ მეგობართა წრეს და სხვადასხვა კრიტერიუმებით ირჩევენ მათ. უმცროს სასკოლო ასაკში მეგობრების მსგავსება ძირითადად ასაკით, სქესით, ეთნიკურობითა და სოციალურ-ეკონომიკური სტატუსით განისაზღვრება. შემდგომში, ისინი მეგობრად ირჩევენ პიროვნული თვისებებითა და აკადემიური მოსწრებით მსგავს ადამიანებს. მეგობრობა ორმხრივი ურთიერთობა ხდება და მისი ჩამოყალიბებისთვის საჭიროა ბავშვებს ერთად ყოფნა უნდოდეთ. ისინი ერთმანეთისგან ნდობას და ერთგულებას მოითხოვენ, გასაჭირში ეხმარებიან ერთმანეთს და ერთად აღნიშნავენ მნიშვნელოვან წარმატებებს. მეგობრები ერთმანეთზე გავლენას ახდენენ. ისინი მთელ რიგ საკითხებში ერთმანეთს ემსგავსებიან, ხშირად უჩნდებათ საერთო ინტერესები, უყალიბდებათ ერთნაირი ღირებულებები, განწყობები (ატიტუდები) და სოციალური ქცევა.

ის ბავშვები, რომლებიც თანაგრძნობის უნართა და პროსოციალური ქცევით გამოირჩევიან, დამეგობრების შემდეგ ერთად აგრძელებენ საზოგადოებისთვის მისაღებ ქმედებას. რაც შეეხება აგრესიის მაღალი დონის მქონე ბავშვების მეგობრობას, ხშირია მათ შორის და მათი მხრიდან სხვა ჯგუფების მიმართ ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობა. ამ ასაკში, სკოლამდელი

ასაკისგან განსხვავებით, კონფლიქტისას შერიგება ისე იოლი აღარ არის და მის მიზეზებზე საუბარი და ბოდიშის მოხდა აუცილებელი ხდება.

რიდ ლარსონისა და მისი კოლეგების კვლევაში თინეიჯერებსა და მოზრდილ ადამიანებს სთხოვდნენ ერთი კვირის განმავლობაში თან ეტარებინათ ელექტრონული პეიჯერი და დაეფიქსირებინათ, მართო იყვნენ თუ ვინმესთან ერთად. შედეგების მიხედვით, მოცემული დროის 70% მოზრდილებმა და 74% თინეიჯერებმა სხვებთან ერთად გაატარეს. ეს შეიძლება აიხსნას აფილაციის ტენდენციით – ადამიანის მისწრაფებით, იყოს ვინმესთან ერთად, მიეკუთვნებოდეს რომელიმე ჯგუფს. ინდივიდუალურია ამ სურვილის სიძლიერე და კვლევების მიხედვით, მეგობრობის მოტივაციის მაღალი მაჩვენებლის მქონე მოსწავლეებმა მეტი იციან მეგობრების შესახებ, აქვთ უფრო მყარი ურთიერთობები და მასწავლებლები მათ აფასებენ, როგორც მეგობრულებს, თანამშრომლობის უნარის მქონეებს, ბედნიერებს და პოპულარულებს. თინეიჯერების მეგობრობა უფრო ახლო ურთიერთობად გადაიქცევა. ის ეფუძნება მეგობრებს შორის პიროვნულ მსგავსებას. როცა ვხვდებით ადამიანებს, რომლებსაც ჩვენსაირი რწმენები და შეფასებები აქვთ, ვრწუნდებით ჩვენს სისწორეში. ამ დროს გვიჩნდება დადებითი ემოციები და შესაბამისად, გვსიამოვნებს ამ განცდის მომტან ხალხთან ურთიერთობა. ამიტომ, მეგობრების შერჩევისას უფროსი ასაკის ბავშვები განწყობების მსგავსებასაც ითვალისწინებენ.

ჭიმელის კვლევაში, მოსწავლეებს სთხოვდნენ, თანატოლებისთვის მიენიჭებინათ ქულები მოწონების მიხედვით, ასევე დაესახელებინათ ვისთან ერთად სურდათ თამაში. ამ სოციომეტრიული ტექნიკით ისინი ცდილობდნენ დაედგინათ, ვინ იყო სოციალურად აღიარებული ბავშვი ჯგუფში. მათ გამოჰყვეს რამდენიმე კატეგორია:

1. პოპულარული ბავშვები. ეს ბავშვები, შესაძლოა, ორი სხვადასხვა მიზეზით იმსახურებენ ბევრ დადებით ხმას. მათი უმრავლესობა გამოირჩევა კარგი აკადემიური მოსწრებითა და სოციალური კომპეტენციის უნარებით, არიან მეგობრული და თანამშრომლობითი უნარებით გამოირჩევიან (პოპულარულ-პროსოციალური ბავშვები). პოპულარულ-ასოციალური ბავშვები – ე.წ. „ჩხუბისთავი“ ბავშვები, რომლებსაც შიშის და ავტორიტეტის გამო აძლევენ ხმებს.
2. უარყოფილი ბავშვები. აქაც, ორი ქვეტიპი გამოიყოფა. უარყოფილ-აგრესიული ბავშვები, რომლებიც ქცევის პრობლემებით გამოირჩევიან, არიან

კონფლიქტურნი და იმპულსურნი. საკუთარ სიბრაზეს სხვების ქმედებებზე რეაქციად აღიქვამენ და ამავდროულად, გამომწვევად იქცევიან, რაც მათ დაცინვას და გარიყვას უწყობს ხელს. უარყოფილ-პასიურ ბავშვებს შესაძლოა, სიმორცხვის გამო ეშინოდეთ თანატოლების დაცინვის და ამიტომ ერიდებოდნენ სოციალურ ურთიერთობებს. უარყოფილი ბავშვები ხშირად უმეგობრდებიან სხვა უარყოფილ ბავშვებს. თუ ბავშვი არ არის მიღებული საკუთარი სქესის წარმომადგენლების მიერ, ის ცდილობს იპოვოს მეგობრები საწინააღმდეგო სქესის თანატოლებში. ამიტომ ხშირად ადრეულ მობარდობაში, როგორც ძალიან პოპულარულ, ასევე გარიყულ ბავშვებს, განსხვავებული სქესის მეგობრები ჰყავთ. თანატოლების მიერ უარყოფილ ბავშვებს ნაკლებად უჩნდებათ სასკოლო აქტივობებში მონაწილეობის მიღების ხალისი.

3. წინააღმდეგობრივი ბავშვები. ასეთ ბავშვებს ერთდროულად აქვთ წინაორივე ჯგუფის თვისებები და მათი სოციალური სტატუსი მათ ქცევებზე თანატოლების რეაქციის მიხედვით იცვლება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მეგობრების ყოლა სასკოლო ასაკში მნიშვნელოვან დადებით გავლენას ახდენს ბავშვების ემოციურ მდგომარეობასა და აკადემიურ მოსწრებაზე და გარკვეულწილად განსაზღვრავს მათ მომავალს. ამ დროს ვითარდება სოციალური კომპეტენციისთვის საჭირო უნარები. ამიტომ კარგი იქნება, თუ მშობლები ამ კუთხით წარმართავენ ძალისხმევას და შვილის ინტერესის სფეროს მიხედვით შეარჩევენ სპორტულ ან შემოქმედებით წრეს, სადაც ბავშვი პოტენციური მეგობრების პოვნას შეძლებს. ასევე, დადებით გავლენას ახდენს მათი თბილი დამოკიდებულება შვილების მეგობრებთან და მათ მშობლებთან, ერთობლივი საინტერესო და გასართობი ღონისძიებები. რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა ენიჭება უფროსების მაგალითს, რადგან ბავშვები მათგან სწავლობენ ურთიერთობებსაც.

ჩვენი სახელმწიფოს ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ზოგადი განათლების ამოცანაა, მოსწავლეს ცოდნასთან ერთად მისცეს იმ უნარ-ჩვევების განვითარებისა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბების საშუალება, რომლებიც მას მომავალში დასჭირდება. შესაბამისად, საჭიროა, მოსწავლე-ბელი დაეხმაროს მოსწავლეებს კლასში მეგობრული ურთიერთობების დამყარებაში, გარიყულ ბავშვებს შეუქმნას მეგობრების ძებნის მოტივაცია და ებრძოლოს იარლიყებს. ამისთვის რამდენიმე ხერხი არსებობს:

- მეგობრული დამოკიდებულება მოსწავლეებთან. როცა საქმე ბავშვებს ეხება, როლური მოდელი კარგად მუშაობს. ისინი მასწავლებლისგან ისწავლიან, როგორ უნდა მოიქცნენ, რომ სხვა ადამიანებთან დადებითი ურთიერთობები ჰქონდეთ.
- ჯგუფური აქტივობები. მასწავლებელს შეუძლია კლასის მცირე ჯგუფებად დაყოფა სასწავლო მიზნებისა და სახალისო დავალებების შესასრულებლად, ისე, რომ სხვადასხვა მეგობრული დაჯგუფების წევრები ერთ ჯგუფში მოხვდნენ. ეს ხელს შეუშლის ბავშვების გარიყვას.
- აქტივობები ღია ცის ქვეშ. გასვლითი ღონისძიებები, ლაშქრობები, ექსკურსიები საშუალებას აძლევს ბავშვებს, კლასგარეშე გარემოში დაინახონ თანატოლები და შესაძლოა, ისეთი საერთო ინტერესები აღმოაჩინონ, რის შესახებაც მანამდე არ იცოდნენ.

მოზარდის სოციალიზაციის სტრატეგიები

თუ სკოლამდელი ასაკის ბავშვს სუპერმარკეტში რამდენიმე ნივთის პოვნას დაავალებთ, ის რამდენიმეჯერ გაიმეორებს ჩამონათვალს, რათა უკეთ დაიმახსოვროს. ასეთია ამ ასაკის ბავშვების სტრატეგია. დიახ, ბავშვები პრობლემების მოსაგვარებლად სტრატეგიების დასახვას ადრეული ასაკიდანვე იწყებენ, რათა დავალებას სხვის დაუხმარებლად გაართვან თავი.

სტრატეგიების მეთოდი ბავშვებს ეხმარება მათ წინაშე არსებული გამოწვევების ეფექტიანად მოგვარებაში, სხვადასხვა სიტუაციური სირთულის დაძლევაში და სასწავლო პროგრამის სწრაფად და ხარისხიანად ათვისებაში. მათ სკოლის ასაკიდანვე სჭირდებათ უფროსების გამოცდილებითი მხარდაჭერა სტრატეგიების შემუშავებაში. ვინაიდან ბავშვები დღის უდიდეს ნაწილს სკოლაში ატარებენ, მნიშვნელოვანია ამ პროცესში მასწავლებლების ჩართულობაც.

სოციალურ ჩართულობას ბავშვი ადრეული ასაკიდანვე სწავლობს მშობლებსა და ახლობლებთან ურთიერთობით. მოგვიანებით ამ პროცესში სასკოლო გარემოც ერთვება. ბავშვი იძენს იმ თვისებებსა და უნარ-ჩვევებს, რომლებიც შემდგომ სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში უნდა დაეხმაროს, უზრუნველყოს მისი პიროვნების ფორმირება და საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბება.

ვიგოტსკის მიხედვით, დასწავლა გაშინაგნების გზით ხდება. ბავშვები დაისწავლიან იმ უნარებსა და ჩვევებს, რომლებსაც გარშემო ხედავენ.

სოციალიზაციის პროცესში მონაწილეობს ოთხი მექანიზმი:

- **იმიტაცია.** ეს წამყვანი ფაქტორია ბავშვის სოციალიზაციის პროცესში და მის მიერ სხვისი ქცევის მოდელის გაცნობიერებულ კოპირებას წარმოადგენს. ბავშვები უმთავრესად ბაძავენ მშობლებს, ოჯახის წევრებს, მასწავლებლებს, ადამიანებს, რომლებთანაც ემოციური მიჯაჭვულობა აკავშირებთ ან რომლებსაც მათზე ძალაუფლება აქვთ. ამ პროცესზე უსიამოვნო განცდებიც ახდენს გავლენას. მაგალითად, როცა ბავშვს ფიზიკურად სჯიან,

მან შესაძლოა გადაიღოს ეს ქცევა და „დასაჯოს“ თანატოლი ან ზრდასრულ ასაკშიც ვერ მოახერხოს ამ ფაქტის დავიწყება და საკუთარ შვილებზე იძალადოს.

- **იდენტიფიკაცია** – სხვათა ღირებულებების, განწყობებისა და ქცევების საკუთრად მიჩნევა. ეს არის გზა, ბავშვმა კონკრეტული ჯგუფისადმი მიკუთვნებულობა გააცნობიეროს.
- **სირცხვილის განცდა** – საკუთარი საქციელით უკმაყოფილების თანმხლები ემოციური მდგომარეობა, რომელიც, წესისამებრ, გარშემო მყოფთა უარყოფით რეაქციასთანაა დაკავშირებული.
- **დანაშაულის განცდა**. ის მჭიდროდ უკავშირდება სირცხვილის განცდას, თუმცა ამ დროს თავს იჩენს საკუთარი თავის დასჯის მოთხოვნილებაც. არ აქვს მნიშვნელობა, იციან თუ არა სხვებმა ამ დანაშაულის შესახებ – განცდა ორივე შემთხვევაში თანაბარია.

იმიტაცია და იდენტიფიკაცია პოზიტიური მექანიზმებია, რომლებიც განსაზღვრული ქცევის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს, ხოლო სირცხვილი და დანაშაულის განცდა – ნეგატიური, რამდენადაც კრძალავს ან თრგუნავს განსაზღვრულ ქცევას.

როგორც აღვნიშნეთ, დასწავლა ხდება გაშინაგნების გზით. სტრატეგიების დასახვის პროცესში კი დასწავლის ხარისხი მაღალია. კვლევებით დასტურდება, რომ სოციალიზაციას, სოციალურ ჩართულობას შეუძლია გაზარდოს მოსწავლის მიღწევები ან წაახალისოს უნარები, რომლებიც შემდგომ ხელს შეუწყობს მის მიღწევებს. იმის ცოდნა, რომ მისი შრომის შედეგს გარშემო მყოფები გაიზიარებენ, წაახალისებს მოსწავლეს და გულმოდგინე მუშაობისკენ უბიძგებს. სკოლა, ოჯახის მსგავსად, სოციალური ინსტიტუტია. ის უნდა დაეხმაროს ბავშვებს იმ სტრატეგიების შემუშავებაში, რომლებიც მათ სოციალიზაციას უზრუნველყოფს და ამ პროცესში ჩართული პოზიტიური მექანიზმების მიღებასა და ნეგატიურის გადალახვაში შეუწყობს ხელს.

სოციალური გავლენა. კონფორმიზმი

ადამიანები ხშირად მოქმედებენ სოციალური ნორმების, კანონების, დაწერილი თუ დაუწერელი წესების მიხედვით. მაგალითად, ბულგარელების უმრავლესობა, სხვა ბევრი ქვეყნის მაცხოვრებლებისგან განსხვავებით, უარის ნიშნად თავს დაგიქნევთ, ხოლო დასტურს თავის გაქნევით გამოხატავს. თუ თქვენ დადგებით შუა ქუჩაში და ცაში დაიწყებთ ყურებას, გამვლელები ალბათ ჩვეულებრივად ჩაგივლიან. მაგრამ თუ რამდენიმე მეგობართან ერთად გაიმეორებთ იგივეს, გამვლელებსაც დააინტერესებთ და მოგბაძვენ.

ალბათ, გქონიათ შემთხვევა, როცა შესულხართ მაღაზიაში და შეგიძინეთ ვიათ, რომ ერთ სალაროსთან დიდი რიგია და ადამიანები მაინც იქ მიდიან, როცა მეორე სალაროსთან უფრო ცოტა მომხმარებელი იცდის. ეს არის სოციალური გავლენის „ბნელი მხარე“, რომლის ერთ-ერთი პროცესია კონფორმიზმი – ინდივიდის ქცევების, რწმენების და განწყობების შეცვლა ჯგუფის რეალური ან წარმოსახვითი ზეწოლის გამო. ეს ცვლილება შეიძლება იყოს მხოლოდ საჯარო (ადამიანი მოიქცეს ისე, როგორც იქცევა უმრავლესობა) ან გადავიდეს შინაგან თანხმობაში. ამ დროს ის უკვე იწყებს გარშემომყოფებით ფიქრს და განცდას. უფრო ხშირად, ადამიანები სოციალურ ნორმებს ემორჩილებიან მხოლოდ გარეგნულად, ისე, რომ არ იცვლიან შინაგან რწმენებს.

1935 წელს შერიფი ლაბორატორიულ პირობებში დააკვირდა კონფორმულობის ჩამოყალიბების პროცესს. მან კვლევაში გამოიყენა ავტოკინეტიკური ფენომენი, რომლის არსი მდგომარეობს შემდეგში, რომ სრულ სიბნელეში გვეჩვენება, რომ განათებული წერტილი მოძრაობს ქაოტურად, სხვადასხვა მიმართულებით და განსხვავებული სიჩქარით. რეალურად ეს წერტილი უძრავია. შერიფის ექსპერიმენტის დროს, სუბიექტები შეჰყავდათ ბნელ ოთახში და სთხოვდნენ შეეფასებინათ განათებული წერტილის მოძრაობის მანძილი დიუმებში. აღმოჩნდა, რომ ცდის პირების შეფასება ერთმანეთისგან განსხვავდებოდა და რადგან სიტუაცია ორაზროვანი იყო, ისინი არ იყვნენ დარწმუნებულები და ხშირად ცვლიდნენ საკუთარ შეფასებას. მას შემდეგ, რაც დად-

გინდა თითოეულის მოჩვენებითი მოძრაობის სიგრძე, ლაბორატორიაში 3-3 კაციან ჯგუფებად შეიყვანეს ის ადამიანები, რომელთა შეფასება ერთმანეთისგან განსხვავდებოდა. ისინი რამდენიმე დღის განმავლობაში უსმენდნენ ერთმანეთის მიერ განათებული წერტილის მოძრაობის სიგრძის შეფასებას. კვლევის შედეგების ანალიზმა გამოავლინა, რომ, თუ პირველ დღეს მათი შეფასებები განსხვავებული იყო, მეოთხე დღეს ისინი ერთმანეთს ემთხვეოდა. კვლევაში მონაწილე პირებმა ჯგუფის წევრებად იგრძნეს თავი და დაექვემდებარნენ ჯგუფის ნორმებს. დაახლოებით ერთი წლის შემდეგ, იმავე ცდის პირებს, იგივე კვლევა ცალ-ცალკე ჩაუტარეს. აღმოჩნდა, რომ მათი შედეგები ისევ ემთხვეოდა ერთმანეთს. მათ შეინარჩუნეს ჯგუფის ნორმების ჩამოყალიბების ტენდენცია.

ამერიკელი ფსიქოლოგი სოლომონ აში დაინტერესდა საკითხით, თუ როგორ მოიქცევა ინდივიდი, როცა დარწმუნებულია საკუთარი შეფასების სისწორეში, დარჩება თავის აზრზე თუ დაეთანხმება უმრავლესობის მცდარ აზრს. ექსპერიმენტის დროს, ლაბორატორიაში შემოიყვანეს ხუთი ადამიანი, რომელთაგან ერთი იყო ნამდვილი ცდის პირი, ხოლო დანარჩენები ექსპერიმენტატორის მითითებით მოქმედებდნენ. ისინი დასვეს მაგიდის გარშემო, უთხრეს, რომ მონაწილეობას იღებდნენ პერცეპციის (აღქმის) შესწავლის ექსპერიმენტებში და მისცეს ინსტრუქცია, შეეფასებინათ ხაზების სიგრძე. ამის შემდეგ მათ აჩვენეს სამი განსხვავებული, დანომრილი ხაზი და ერთ-ერთის ტოლი ცალკე დახაზული, ეტალონური ხაზი. მათ ევალებოდათ ხაზის ნომერზე მიეთითებინათ, რომელი იყო შესაბამისი ხაზი. ნამდვილ ცდის პირს სხვების პასუხების მოსმენის შემდეგ უნდა ეპასუხა. პირველი სუბიექტი ხაზის სიგრძეს აფასებდა მცდარად, მის პასუხს იმეორებდნენ დანარჩენებიც, ნამდვილი სუბიექტი ხვდებოდა მათ შეცდომას, მაგრამ ხანდახან თვითონაც იმავე პასუხს სცემდა, ე. ი. ავლენდა კონფორმულობას. კვლევის მიხედვით, პასუხების 63% არ ექვემდებარებოდა კონფორმიზმის გავლენას, ხოლო 37% კონფორმული იყო.

„დათმობა ჯგუფის ზეწოლის გამო“ – მაინც რატომ ვთმობთ ადამიანები საკუთარ აზრს სხვების გამო? რატომ ვიქცევით ისე, როგორც დანარჩენები? ჯგუფის ყველა შეხედულებას გავიზიარებთ? თუ არა, როგორ ვფილტრავთ? რატომ ახდენენ სხვები ჩვენზე გავლენას? მკვლევრები შეეცადნენ გამოეყოთ რამდენიმე ფაქტორი, რომლებსაც შეუძლიათ კონფორმულობაზე გავლენის მოხდენა:

ჯგუფის ერთიანობა და კონფორმულობა. როგორც წესი, იმ ჯგუფის წევრების გავლენის ქვეშ ვექცევით, რომელსაც ღირებულად ვთვლით, მოგვწონს და მათი აზრი ჩვენთვის მნიშვნელოვანია. რაც უფრო მეტია მოწონების ხარისხი, მით უფრო ძლიერია კონფორმულობა. თუ ინდივიდს სურს რომელიმე ჯგუფმა პატივი სცეს და მიიღოს, ყველაზე მოკლე გზა ამისთვის მათი შეხედულებების გათავისება ან უბრალოდ, თანხმობის გამოხატვაა.

სისწორისადმი მიდრეკილება. აშის ექსპერიმენტში მონაწილეები, როცა დავალება მარტივია, არ შეიმჩნევენ ჯგუფის უმრავლესობის მცდარ შეფასებას, მაგრამ ორაზროვნების შემთხვევაში, როცა სწორი პასუხის პოვნა რთულია, დაეთანხმებიან დანარჩენების აზრს.

ჯგუფის სიდიდე და კონფორმულობა. კვლევების მიხედვით, კონფორმულობა იზრდება 5 კაციან ჯგუფებამდე, ამის შემდეგ ჯგუფის ზომის ზრდა ძალიან მცირე დამატებით ეფექტს იძლევა.

სქესი და კონფორმულობა. მეოცე საუკუნის 70-იან წლებამდე არსებობდა თვალსაზრისი, რომ ქალები უფრო კონფორმულები იყვნენ, ვიდრე მამაკაცები, ამჟამინდელი კვლევები ამას არ ადასტურებენ. როგორც ამ ექსპერიმენტების ანალიზმა აჩვენა, ცდის პირებს აძლევდნენ ისეთ მასალას, რომელიც უფრო ნაცნობი იყო კაცებისთვის, ვიდრე ქალებისთვის. შესაბამისად, ისინი იმყოფებოდნენ გაურკვეველ სიტუაციაში და ამიტომ ექცეოდნენ სხვისი გავლენის ქვეშ.

სურვილი მოსწონდე სხვას. კონფორმულობა, რომელიც მომდინარეობს ამ მიზეზიდან, ცნობილია, როგორც ნორმატიული სოციალური გავლენა, რადგან ის გულისხმობს საკუთარი ქცევის შეცვლას, რათა მოერგო სხვების მოლოდინებს, სოციალურ ნორმებს.

სურვილი იყო სწორი. ინფორმაციული სოციალური გავლენა გულისხმობს იმას, რომ სამოქმედოდ ჩვენ ვირჩევთ იმ ქცევებს და აზრებს, რომლებიც სხვა ადამიანების მსგავსია და ამას იმიტომ ვაკეთებთ, რომ დარწმუნებული ვიყოთ ჩვენს სისწორეში.

კონფორმულობა შეძენილი ფენომენია. ბავშვობიდანვე გვასწავლიან, როგორ უნდა დავექცემდებაროთ ჯგუფის ნორმებს, თუ გვინდა მისი წევრების პატივისცემა დავიმსახუროთ. თუმცა, გამოსავალი არსებობს. წინააღმდეგ შემთხვევაში ფიროსმანი, ვან გოგი, პიკასო და დალი ერთნაირ ნახატებს შექმნიდნენ. გამოსავალი ადამიანის ინდივიდუალურობის წახალისებაა. რეალურად, ჩვენ გვინდა ვგავდეთ იმ ჯგუფის წევრებს, რომელიც მოგვწონს, მაგრამ ამავე

დროს, გვსურს ჩვენი უნიკალურობის შენარჩუნება, რათა თვითონ ვმართოთ ის მოვლენები, რომელიც ჩვენ გარშემო ხდება. ამიტომ, მნიშვნელოვანია, მშობლებმა წახალისონ ბავშვის დამოუკიდებელი აზრი, მასწავლებლებმა მისცენ ისეთი დავალებები, სადაც მკაფიოდ იქნება განმარტებული, რომ მათგან მოითხოვენ საკუთარი შეხედულების ჩამოყალიბებას. ბავშვებს უნდა შეექმნათ იმის განცდა, რომ არავინ დასჯის მათ ჯგუფისგან განსხვავებული მოსაზრების გამო. ამრიგად, ინდივიდუალურობის შენარჩუნებისკენ მიდრეკილება ასუსტებს კონფორმულობის ძალას.

სოციალური განწყობიდან დისკრიმინაციამდე

სოციალური განწყობის (ატიტუდის) დეფინიციის ჩამოყალიბებასა და მის კვლევაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა უილიამ ი. თომასისა და ფლორიან ზნანიცკის წიგნმა „პოლონელი გლეხი ევროპასა და ამერიკაში“ (1918–1920). მათ სოციალური განწყობა განმარტეს როგორც შეხედულებებისა და იდეების მყარი სისტემა, რომელიც ამზადებს ინდივიდს განსაზღვრული ქმედებების შესასრულებლად. ღირებულებებთან ერთად თომასის თეორიის „ოთხი სურვილი“ – ახალი გამოცდილებებისა, აღიარებისა, დომინირებისა და უსაფრთხოებისა – წარმოშობს განსაზღვრულ ატიტუდებს.

ფსიქოლოგები განწყობის სხვადასხვა განმარტებას გვთავაზობენ, რომლებიც მის სხვადასხვა ასპექტზე ამახვილებენ ყურადღებას. ერთ-ერთი განმარტების თანახმად, ესაა „რწმენების, განცდებისა და ქცევითი ტენდენციების შედარებით მყარი სტრუქტურა სოციალურად მნიშვნელოვანი საგნების, ჯგუფების, მოვლენებისა და სიმბოლოებისადმი“ (Hogg, & Vaughan 2005, p. 150). ოლბორტის მიხედვით, ატიტუდი არის გამოცდილებით გამყარებული სულიერი და ნერვული მზაობა, რომელიც მიმართულებას აძლევს და განსაზღვრავს განწყობასთან დაკავშირებული საგნებისა და სიტუაციის მიმართ ქცევის დინამიკას. დუბის აზრით, „განწყობა სტიმულსა და რეაქციას შორის ჩართული ცვლადია, რომელიც ქცევის მიმართულებას განსაზღვრავს“. სხვები მას განმარტავენ როგორც „ფსიქოლოგიურ ტენდენციას, რომელიც გამოიხატება განსაზღვრული ობიექტის ან გაერთიანების მიმართ დადებითი ან უარყოფითი შეფასებით“ (Eagly, & Chaiken, 1993, p. 1). კრეჩის, კრეჩფილდისა და ბალაჩის დეფინიციით, განწყობა სოციალური ობიექტის დადებითი ან უარყოფითი შეფასების, ასევე დამოკიდებულებისა და ობიექტისადმი სამტროდ ან სასიკეთოდ მოქმედების მყარი სისტემაა. ატიტუდის სტრუქტურა 3 კომპონენტისგან შედგება: 1. აფექტური კომპონენტი – ინდივიდის განცდები/ემოციები, რომლებსაც ის განწყობის ობიექტს უკავშირებს („მე მეშინია ძაღლების“); 2. ქცევითი კომპონენტი – ატიტუდის გავლენით ინდივიდის ქცევა განწყობის ობიექტის მიმართ („როცა ძაღლს დავინახავ, გავიქცევი“); 3. შემეცნებითი კომპონენტი

– ინდივიდის რწმენები/ცოდნა განწყობის ობიექტის მიმართ („მჯერა, რომ ძაღლები საშიშები არიან“).

განწყობის შესაქმნელად საჭიროა ობიექტი და მისი შეფასება. განწყობის ობიექტად შესაძლოა იქცეს ერთი ადამიანი ან სოციალური ჯგუფი, აბსტრაქტული ან კონკრეტული საგანი და ა. შ. მისი შეფასება შესაძლოა იყოს დადებითი ან უარყოფითი. თუ ადამიანი დადებითად აფასებს განწყობის ობიექტს, იგი მის მიმართ იმოქმედებს დადებითი მანერით, ხოლო თუ უარყოფითად – უარყოფითი მანერით. თუ მასწავლებელს მოსწონს ცაცია მოსწავლეები (აფექტური კომპონენტი), წარსული გამოცდილებიდან სჯერა, რომ ისინი კარგად სწავლობენ (შემეცნებითი კომპონენტი).

თურსტონმა განაცხადა, რომ „ატიტუდი შეიძლება იყოს გამომავდი“ და შემოგვთავაზა მისი საზომი სკალა, რომელიც განწყობის ობიექტის მიმართ გამოვლენილ დადებით ან უარყოფით შეფასებას განსაზღვრავს. ამ მიზნით გამოიყენება ოგუდის სემანტიკური დიფერენციალი და ლაიკერტის ტიპის სკალა. ბოგარდუსის მიერ შემუშავებული სოციალური დისტანციის სკალა სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა მიმართ ატიტუდის გასაზომად შეიქმნა.

პრეჯუდისი ეწოდება უარყოფით განწყობას ზოგიერთი ჯგუფის წევრებისადმი, მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ისინი მოცემულ ჯგუფს ეკუთვნიან. თუ ადამიანი ჯგუფის წევრებს მიაწერს განსაზღვრულ ნეგატიურ საერთო თვისებას ისე, რომ არ ითვალისწინებს მათ ინდივიდუალურ ქცევებსა და თვისებებს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მას აქვს პრეჯუდისები ამ ჯგუფის მიმართ. მაგალითად, თუ მასწავლებელს ჰგონია, რომ ყველა ცაცია მოსწავლეს ცუდი კალიგრაფია აქვს, შესაძლოა დაუმსახურებლად დაუწეროს დაბალი ნიშანი ამ ჯგუფის ისეთ წარმომადგენელს, რომელიც კარგად წერს. პრეჯუდისი, ატიტუდის მსგავსად, შეიცავს სამ კომპონენტს. კანონების, სოციალური ზეწოლის ან სამაგიეროს გადახდის შიშით ინდივიდები ხშირად შემეცნებით და აფექტურ კომპონენტზე ჩერდებიან. როცა ასეთი შემაკავებელი გარემოებები არ არსებობს, ადამიანს შეუძლია, თავისი ნეგატიური ქცევა განსაზღვრული ჯგუფის ან მისი წევრების მიმართ ღიად გამოხატოს – უარყოფითი სოციალური განწყობა/პრეჯუდისი გადავიდეს დისკრიმინაციაში.

უარყოფითი სოციალური განწყობა/პრეჯუდისი და დისკრიმინაცია შეძენილი ფენომენებია. „მე არ მინდა, ჩემმა შვილმა სკოლაში იაროს ამ ჯგუფთან ერთად“, „მე არ ვისაძილებ იმ კაფეში, სადაც ამ ეროვნების მზარეული

ჰყავთ“, „ჩემი შვილი ამ რელიგიის წარმომადგენელს ცოლად არ მოიყვანს“ – ხშირად ამ ფრაზებით მშობელი „პასს“ აწვდის შვილს, რათა შემდგომ უკვე მან გაიტანოს „გოლი“. უფროსების უარყოფითი განწყობა რომელიმე ჯგუფის მიმართ შესაძლოა ბავშვის გონებაში დაილექოს, მასაც გაუჩნდეს განწყობა და გამოხატოს. გამოხატვის ფორმად მან შესაძლოა აირჩიოს როგორც ობიექტის გარიყვა, პერსონა ნონ გრატად მისი გამოცხადება, ასევე ვერბალური ან ფიზიკური აგრესიაც.

დისკრიმინაციასთან ბრძოლისას ერთ-ერთი ყველაზე საიმედო ფაქტორი ის არის, რომ ბავშვები არ იბადებიან განსაზღვრული სოციალური ჯგუფებისადმი სიძულვილით. საჭიროა ბავშვების აღზრდის პროცესის წარმართვა სტერეოტიპებისა და უარყოფითი სოციალური განწყობის გარეშე.

რამდენიმე რჩევა მშობლებს:

- მიიღეთ თქვენი შვილები როგორც უნიკალურები, ინდივიდები. დაანახეთ, რომ აღიარებთ და აფასებთ მათ ინდივიდუალურ თვისებებს, ამასთანავე, ესაუბრეთ სხვა ადამიანების განსხვავებულობაზე.
- დაეხმარეთ თქვენს შვილებს, მეტი თანაგრძნობით მოეკიდონ სხვის განცდებს. კვლევების მიხედვით, ემპათიური ბავშვები ნაკლებად ხდებიან უარყოფითი სოციალური განწყობის ტყვეები, რადგან შეუძლიათ სხვა ადამიანის განცდების წარმოდგენა.
- აუხსენით ბავშვებს, რომ დაუშვებელია ადამიანების გარიყვა ან დამცირება მათი რელიგიური, ეთნიკური, გენდერული, გარეგნული, სექსუალური ორიენტაციის გამო.
- ასწავლეთ თქვენს შვილებს განსხვავებულ ჯგუფებთან, სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებთან თანამშრომლობა და მათი პატივისცემა.
- მიიღეთ ზომები უარყოფითი სოციალური განწყობისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ. თუ თქვენ ან თქვენს შვილს არასათანადოდ მოგმართეს, დაუყოვნებლივ უთხარით მას, რომ „ასეთი ხუმრობა შეურაცხმყოფელია თქვენთვის“, რადგან ბავშვებმა უნდა იცოდნენ, რა არის მიუღებელი. თუ გსურთ, ბავშვი შორს იყოს უარყოფითი განწყობებისგან, თავადაც უნდა მიბაძოთ მას.

უარყოფით სოციალურ განწყობასთან ბრძოლის პროცესში, მშობლებთან ერთად, დიდი როლი ეკისრება მასწავლებელს. ჯგუფური მუშაობის დროს

დაპირისპირებული ჯგუფების წევრებს შორის საერთო მახასიათებლების აღმოჩენა და ხაზგასმა ბავშვებს კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებაში დაეხმარება. რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, მასწავლებელი თავად უნდა იყოს უარყოფითი სოციალური განწყობისგან შორს. სტერეოტიპებისა და უარყოფითი სოციალური განწყობებისგან თავისუფალ საკლასო ოთახში ხშირი, არგუმენტებით გაჯერებული საუბარი იმაზე, რა ნეგატიურ შედეგებს იწვევს დისკრიმინაცია და პირიქით, როგორ აფერადებს და საინტერესოს ხდის დედამიწას ადამიანებისა და მათი კულტურების განსხვავებულობა, საბოლოოდ შედეგს გამოიღებს.

ინტროვერტი საკლასო ოთახში

მსოფლიოს სკოლები მორგებულია ექსტრავერტებზე. შეიძლება ბევრი მასწავლებელი ცდილობს მოაწყოს საკლასო ოთახი ისე, რომ ის პასუხობდეს პიროვნების სხვადასხვა ტიპისა და სწავლების სხვადასხვა სტილის საჭიროებებს, მაგრამ თუ დავფიქრდებით კლასიკურ სასკოლო დღეზე, ის არ არის შექმნილი ინტროვერტებისთვის.

ყოველ დღე ნ ან მეტი საათის განმავლობაში, ბავშვები გადადიან საგნიდან საგანზე, აქტივობიდან აქტივობაზე და ამ დროს სწავლობენ და ურთიერთობენ. ერთხელ ან ორჯერ დღეში მათ აქვთ დრო წახემსებისთვის, თანაკლასელებთან ერთად, ხშირად ძალიან ხმაურიან ოთახში ცუდი განათებით.

როგორც სუზან ქეინი ამბობს, ჩვენ ვცხოვრობთ ექსტრავერტების სამყაროში. დასვენების ის პერიოდი, რომელიც ამხიარულებს ექსტრავერტ ბავშვს, შეიძლება კომპარად ექცეს პატარა ინტროვერტს: ხმაური, წესრიგის არქონა, გამუდმებული ცვლილებები, ხალხის ზღვა, გადაჭედილი კაფეტერია.

თუ ექსტრავერტი ბავშვი ენერგიას იღებს გარშემო მყოფთაგან და წარმატებულია მოქმედებით სავსე აქტივობებში, სკოლის ყოველდღიური განრიგი ფიტავს ინტროვერტ ბავშვებს. ისინი თავს გრძნობენ გადაჭარბებულად აგზნებულად, ემოციურად გადაღლილად და მზად არიან დანებდნენ. როცა ზოგიერთი რაღაც შემთხვევის გამო გადაწყვეტს არ ჩამორჩეს და დაეწიოს სხვებს, სხვა შეიძლება ჩაიკეტოს და ემოციები არ გამოხატოს.

მახსოვს, ბავშვობაში, როგორ მტანჯავდა პანიკის შეგრძნება სკოლაში. მე არ მინდოდა გადაჭედილი კაფეტერიით სარგებლობა, იმაზე ფიქრი, რას ვითამაშებდი დასვენებებზე ან როგორ მოვძებნიდი, ერთ ადგილას მორბენალ ამდენ ბავშვში, ჩემს ყველაზე ახლო მეგობარს. ეს არ იყო საზოგადოების შიში ან სიმორცხვე, რომელიც იწვევდა ამ განცდებს ჩემში. ეს იყო შესვენების საჭიროება.

მხოლოდ მოზარდობის ასაკში დავადგინე, თუ რა მჭირდებოდა ჩემი „ბატარეების დასამუხტად“ (რაღაც ერთ დაჯდომაზე მთელი წიგნის წაკითხვის მსგავსი), რომ ის, რაც ბავშვობისას მუდმივად ყელში მაწვებოდა, იყო ალელ-

ვების შედეგი, რასაც იწვევდა მცდელობა მეთამაშა ბურთი, როგორც ინტრო-ვერტს ექსტრავერტებისთვის შექმნილ ქვეყანაში.

ზრდასრულობისას უკვე ვიცი, როგორ ვიცხოვრო ამ სამყაროში. ვიცი, როდის ავჩქარდე და როდის შევყოვნდე. ვიცი, როგორ დავიცვა ჩემი საჭიროებები და როდის დავენებდე. და არ ვაძლევ სხვებს ჩემი დათრგუნვის ნებას. ჩემს ცხოვრებაში ყველას არ ესმის ჩემი, მაგრამ ეს არ მიშლის ხელს – ვიყო ის, ვინც ვარ.

პატარებისთვის ეს ასე ადვილი არ არის. წინა კვირას ჩემი ვაჟი საბავშვო ბაღში წავიდა. მას მოსწონს ბაღი და სახლში ახალი და საინტერესო ინფორმაციით სავსე ბრუნდება, მაგრამ ამავდროულად ის ძალაგამოლეულია. მისი პატარა ინტროვერტი სული ყოველდღე 12:45-თვის გამოფიტულია და ის იბრძვის ამის გამო. მან არ იცის, როგორ შევყოვნდეს, როგორ მოუკლოს სიჩქარეს ამ ახალ გარემოში. როდესაც დაღლილია, სახლში დაბრუნებული, ის უჩინარდება ფაზლებისა და ლეგოების სამყაროში. ის აქამდე, ძალის აღსადგენად, დასარტყამ ინსტრუმენტებზე უკრავდა ხოლმე, ახლა კი აღარ იცის, როგორ „დააჭიროს პაუზას“ და მართო ის არ არის ასეთი.

თქვენ თავს ვერ აარიდებთ სტატიებს ცხოვრების ტემპის შენელებისა და მეტი დასვენების საჭიროების შესახებ. სხვადასხვა დარგის ექსპერტები გვაფრთხილებენ გადატვირთულობის საფრთხეების შესახებ როგორც ზრდასრულთათვის, ასევე ბავშვებისათვის. და მაინც ჩვენ ვაგზავნით ბავშვებს სკოლაში და მათგან მთელი ექვსი საათის განმავლობაში მოველით აქტიურობას.

შესაძლებელია კლასში მცირე ცვლილებების განხორციელება, რაც დაეხმარება ინტროვერტ ბავშვებს. სადღაც არის “ოქროს შუალედი”, ჩვენ, უბრალოდ, ერთად უნდა ვიშრომოთ მის მოსაძებნად.

სიმშვიდის ზონის შექმნა

ბევრ კლასში არის მყუდრო კუთხე კითხვისათვის და სიმშვიდის სხვა ცენტრები, სადაც ბავშვებს შეუძლიათ დაისვენონ და კომფორტულ სივრცეში იკითხოვნ. ეს კარგია ყველა ბავშვისთვის. თუ ზოგი ერთად ჯდება და თავიანთ წიგნებს განიხილავს, სხვებს აქვთ შესაძლებლობა განმარტოვდნენ და ენერგია მოიკრიბონ.

მაგრამ დიდი დასვენება სრულიად სხვა საკითხია. ეს თამაშისა და ჭარბი ენერგიის დახარჯვის დროა. თუ ზოგს ჯგუფური თამაშები ურჩევნია, სხვა მშვიდ თამაშებს ანიჭებს უპირატესობას. ეზოში მშვიდი ზონის შექმნა ინტრო-

ვერტ ბავშვებს საშუალებას აძლევს იპოვნონ სხვები, რომელთაც ასევე მშვიდი თამაშები აინტერესებთ.

ინტერმისების წახალისება

გავრცელებული მცდარი აზრით, ინტროვერტები მორცხვები არიან. სიმშვიდე და სიმორცხვე განსხვავებული ცნებებია და ინტროვერტი ბავშვებიც გატაცებით საუბრობენ, როცა ინტერესების გაზიარების საშუალება აქვთ.

ყველა ბავშვისთვის მნიშვნელოვანია იპოვოს „თავისი ხმა“ კლასში.

ყველა ბავშვს ვასწავლოთ, ჯერ დაფიქრდნენ სანამ რამეს იტყვიან, ინტროვერტ ბავშვებს დრო სჭირდებათ ფიქრებისა და ემოციების გადასამუშავებლად და თუ პირველები არ იწვევენ ხელს მასწავლებლის შეკითხვაზე, ეს იმიტომ რომ, თავიანთი ფიქრების გააზრებით არიან დაკავებული.

მასწავლებელს შეუძლია კითხვის დასმისას ბავშვებს დრო განუსაზღვროს, რათა კითხვა გაიაზრონ, სანამ ხელს აიწვევენ. ასე ბავშვები სწავლობენ ჯერ დაფიქრდნენ. ინტროვერტ ბავშვებს კი საშუალება ეძლევათ კლასში მიმდინარე განხილვებში ჩაერთონ.

მეგობრობის სისტემის გამოყენება

ინტროვერტი ბავშვები მეგობრის მოძებნას ცდილობენ. დიდ კლასში კარგი მეწყილის პოვნა დამლული შეიძლება იყოს. გამოიყენეთ „მეგობრობის სისტემა“.

იმის დეკლარირება, რომ „ყველანი მეგობრები ვართ“, საკმარისი არ არის. მსგავსად მოაზროვნე ბავშვების დაჯგუფება ეხმარება ინტროვერტ ბავშვს მეგობრის პოვნაში. ეს სასარგებლო იქნება სადილის ან დასვენების დროსაც.

ინტროვერტ ბავშვებს მდიდარი შინაგანი სამყარო აქვთ და სიამოვნებას იღებენ აზრიანი საუბრებით და ახლო ურთიერთობებით. განა არ დადგა დრო, შევცვალოთ ჩვენი აზრები და მცირე ცვლილებები განვახორციელოთ, რათა ინტროვერტ ბავშვებს შეეძლოთ ისევე გამოიჩინონ თავი, როგორც მათ ექსტრავერტ თანატოლებს.

წყარო: http://www.huffingtonpost.com/katie-hurley/the-introvert-in-the-classroom_b_5760950.html

მასწავლებლის მოლოდინები

„შენ იმას ხედავ, რის დანახვასაც ელი, სევერუს!“ – ასე უპასუხა ჰოგვორტსის სკოლის დირექტორმა ალბუს დამბლდორმა მაგანი მასწავლებლის პრეტენზიას იმის შესახებ, რომ ერთ-ერთი მოსწავლე „არაფრით გამორჩეული, მამასავით ქედმაღალი, წესების დამრღვევი, პოპულარობით გაყოყლოჩინებული, ყურადღების მოყვარული, თავხედი“ ბიჭი იყო. თან დაამატა: „მასწავლებლები კი ამბობენ, მორიდებული, მომხიბლავი და საკმაოდ ნიჭიერი“. მე თუ მკითხავ, საყვარელი ბავშვია“. („ჰარი პოტერი და სიკვდილის საჩუქრები“, ჯონ როულინგი, ციცო ხოტუაშვილის თარგმანი).

ჩვენ განსაზღვრული მოლოდინი გვაქვს საკუთარი თავისა და სხვა ადამიანების მიმართ. ხანდახან ეს მოლოდინი იმდენად დიდია, მთელ ძალისხმევას იმისკენ მივმართავთ, რომ ის შედეგი მივიღოთ, რასაც ველით. ფსიქოლოგები ამას თვითაღსრულებად წინასწარმეტყველებას (self-fulfilling prophecy) უწოდებენ. სოციალურ-კოგნიტური თეორიის წარმომადგენლის ალბერტ ბანდურას თეორიაში განხილულია თვითეფექტურობის ცნება – „ინდივიდის რწმენა, რომ მას შეუძლია მოცემული მიმართულების მქონე ისეთი ქმედების დაგეგმვა და განხორციელება, რომელიც საჭიროა მომავალ სიტუაციებთან გასამკლავებლად“ (სოციალური დასწავლა და კულტურა, ლილი ხეჩუაშვილი). მნიშვნელოვანია, დაგეგმვის დროს თავს იმდენად კომპეტენტურად ვგრძნობდეთ, რომ შეგვეძლოს, ბოლომდე მივიყვანოთ დაგეგმილი საქმე. ამაში შესაძლოა დაგვეხმაროს სხვა ადამიანების ჩვენთან დაკავშირებული მოლოდინებიც. „ფენომენს, რომლის დროსაც ერთი ადამიანის მოლოდინი მეორის ქცევის მიმართ მოქმედებს როგორც თვითაღსრულებადი წინასწარმეტყველება“, რობერტ როზენტალმა პიგმალიონის ეფექტი უწოდა.

როზენტალის კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ მასწავლებლის მოლოდინი დიდ გავლენას ახდენს მოსწავლეთა აკადემიურ თუ სხვა უნარებზე. კერძოდ, თუ მასწავლებელი პროგნოზირებს, რომ ერთ-ერთი მოსწავლე მაღალ ქულას მიიღებს მათემატიკის ტესტში, ამ მოსწავლეს უმაღლდება თვითეფექტურობის განცდა და ის უფრო მეტ ძალისხმევას გაიღებს, რათა მაღალი ქულა

მიიღოს. კვლევების მიხედვით, დამამთავრებელი კლასის ის მოსწავლეები, რომელთა მომავალზეც მასწავლებლები პოზიტიურ პროგნოზებს აკეთებენ, მეტი წარმატებით დაამთავრებენ კოლეჯს, ვიდრე ისინი, რომელთა მიმართ უფრო ნეგატიური მოლოდინები აქვთ.

არის ისეთი შემთხვევებიც, როცა მოსწავლის ქცევაში ცვლილებები შეინიშნება, მაგრამ არ იცვლება მასწავლებლის მოლოდინი. მაგალითად, მან შესაძლოა ვერ შეამჩნიოს, რომ ფრიადოსანმა ბავშვმა მოუკლო სწავლას ან ბოლო მერხზე მჯდომმა ბიჭმა, რომელსაც „მთელი წელი ხმა არ ამოუღია“, სწორად უპასუხა დასმულ კითხვას. იმიტომ რომ მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს იმ ინფორმაციაზე, რომელიც შეესაბამება მის საწყის მოლოდინს და მოულოდნელ შედეგს მიაწერს ისეთ მიზეზს, რომელსაც მოსწავლე ვერ აკონტროლებს. მაგალითად, პირველ შემთხვევაში, შესაძლოა იფიქროს, რომ ბავშვს უბრალოდ რთული პერიოდი უდგას, მეორე შემთხვევაში კი მოსწავლემ ითაღლითა. კვლევების მიხედვით, პიგმალიონის ეფექტი უფრო აშკარაა უმცროსკლასელებსა და იმ უფროსკლასელებთან, რომლებსაც საკუთარი თავისა და შესაძლებლობების შესახებ უფრო ნაკლები ინფორმაცია აქვთ.

მასწავლებლის მოლოდინს სხვადასხვა საფუძველი აქვს, მაგალითად, მოსწავლის პირადი საქმე, მისი სქესი, ეთნიკური წარმომავლობა, სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი, ფსიქოლოგიის დასკვნა, სამედიცინო დიაგნოზი, მის დაძმებთან ურთიერთობის გამოცდილება, კოლეგების შეხედულება ამ მოსწავლეზე... დიდი მნიშვნელობა აქვს მასწავლებლის გენდერულ წამოდგენებს. კერძოდ, კვლევები ადასტურებს, რომ გოგონებისგან მოელიან მაღალ აკადემიურ მიღწევებს, ოღონდ უფრო ჰუმანიტარულ საგნებში და არა მათემატიკაში ან საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში. ამავე დროს, ბიჭებისგან ელიან დისციპლინის პრობლემებს. „განტეების ვაცად“ ხშირად იქცევა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე.

თუ მასწავლებელმა გადაწყვიტა, რომ ზოგიერთი მოსწავლე უუნაროა და მათთან მუშაობისას ნაკლებად ეფექტური სტრატეგია გამოიყენა, ეს მოსწავლეები ორმაგი საფრთხის წინაშე აღმოჩნდებიან: ერთი მხრივ – დაბალი მოლოდინის, მეორე მხრივ კი არაადეკვატური სწავლებისა (Good & Brophy, 2003). სწავლება უეფექტო ხდება მაშინ, როცა ბავშვს მეტი შეუძლია, მაგრამ მასწავლებელს მის მიმართ დაბალი მოლოდინი აქვს და ამის გამო უფრო ადვილ მასალას სთავაზობს. ერთი და იმავე სწორი პასუხისთვის დაბალი მიღწევების მქონე მოსწავლეებმა შესაძლოა უფრო ნაკლები ქება დაიმსახუ-

რონ, ვიდრე მაღალი მოსწრებისამ. შეფასების გაუგებარი სისტემა აქვეითებს მათ მოტივაციას.

გთავაზობთ რამდენიმე რეკომენდაციას, რომლებიც მასწავლებლებს მოლოდინის ნეგატიური ეფექტის თავიდან აცილებაში დაეხმარება:

- გაითვალისწინეთ, რომ „ასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი სჯობია“ და დაუჯერეთ „აქ და ამჟამად“ მყოფი მოსწავლის შესაძლებლობებს, უნარებს და არა პირად საქმეს ან მისი ყოფილი მასწავლებლის მასთან დაკავშირებულ გამოცდილებას.
- მოსწავლეებთან შეთანხმებით შემოიღეთ კლასის საერთო წესები და ეცადეთ, წახალისებაც და სასჯელიც ყველას დამსახურებისამებრ შეეხოს, რათა რომელიმეს არ გაუჩნდეს უსამართლობის განცდა.
- დაბალი მიღწევის მოსწავლეებსაც ისეთივე სიხშირით დაუსვით კითხვები, როგორითაც იმ მოსწავლეებს, რომლებსაც მაღალი აკადემიური მოსწრება აქვთ. შეფასების სისტემა და კომენტარები უნდა იყოს მკაფიო და გასაგები, რათა ბავშვმა იცოდეს, რაში მიიღო ესა თუ ის ქულა.
- გამოიყენეთ ისეთი მასალა, რომელიც წარმოგვიდგენს მრავალ ეთნიკურ ჯგუფს.

ბულინგი სკოლაში. როგორ გადავარჩინოთ მოზარდები

ჰარი პოტერი იმ ასაკში გავიცანი, როცა სკოლისა და უნივერსიტეტის წლები უკვე გავლილი მქონდა. უფრო ადრე იმ ადამიანების გავლენის ქვეშ ვიყავი, რომლებსაც, დიდი ეჭვი მაქვს, არასდროს წაუკითხავთ როულინგი. ისინი გაუთავებლად იმეორებდნენ, რომ „წიგნები ჰარი პოტერზე ტოტალური უსიყვარულობით და უნდობლობითაა გაჯერებული, აქ მთლიანად არის უგულვებელყოფილი ოჯახი, საზოგადოება და მტრული დაპირისპირებაა მასწავლებელთან, ანუ აქ ბავშვის სასიცოცხლო გარემო მთლიანად დეფორმირებულია“. საბოლოოდ გადავწყვიტე, რომ „ასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი მერჩინა“ და დავიწყე პირველი ნაწილის კითხვა.

შვიდივე წიგნის წაკითხვის შემდეგ გამახსენდა, რომ ადამიანებს ჩვენ გარშემო მიმდინარე მოვლენებისა და სხვა ადამიანების მიმართ გვაქვს ჩამოყალიბებული სქემები, რომლებიც განსაზღვრავს, რას უნდა ველოდეთ და რატომ შეიძლება არ აგვიხდეს მოლოდინი. აქედან გამომდინარე, ჩვენ უმაღლეს ვამჩნევთ იმას, რაც ჩვენს მოლოდინს თანხვდება და უგულვებელყოფთ იმას, რაც სქემასთან თანხვედრაში არ მოდის. მე მგონია, რომ ადამიანი, ვინც „ჰარი პოტერს“ აძაგებს, სამოთხეშიც ჯოჯოხეთს დაინახავს. ჰოგვორტსის დირექტორი, ალბუს პერსივალ ვულფრიკ ბრაიან დამბლდორი, ამბობს, რომ „ბედნიერება ყველაზე ბნელ ღროსაც კი შეიძლება ვიპოვოთ, ოღონდ – თუ სინათლის ანთება გავგახსენდება“. „სინათლის ანთება“ ამ შემთხვევაში წიგნის წაკითხვა მგონია და, დარწმუნებული ვარ, ბავშვები (და არა მხოლოდ) ამ წიგნში იმედს, რწმენას, საკუთარი თავის, ადამიანებისა და თავისუფლების სიყვარულს, მეგობრობას, მიზნისკენ სწრაფვას, სწავლა-განათლების მნიშვნელობას, პატიებისა და სინანულის ძალას აღმოაჩენენ.

ჰოგვორტსი მოსწავლეზე ორიენტირებული სკოლაა, ისეთი მასწავლებლებით, რომელთათვისაც იქ მუშაობა სასიამოვნოა. იქ ყველა მოსწავლე და მასწავლებელი მნიშვნელოვანია. თუმცა, როგორც სხვა სკოლებში, იქაც არის ბულინგის შემთხვევები. „ბულინგი – ეს არის ხანგრძლივი ფიზიკური და ფსიქიკური ძალადობა ერთი ინდივიდის ან ჯგუფის მხრივ მეორე ინდივიდზე,

რომელსაც არ შეუძლია თავის დაცვა კონკრეტულ სიტუაციაში“ (Roland, 1988). როულინგმა – ალბათ, საკუთარი პედაგოგიური გამოცდილების გათვალისწინებით – აღწერა რამდენიმე მოსწავლე, რომლებიც გამუდმებით განიცდიან წნეხს მოსწავლეთა ჯგუფების მხრიდან:

„– როგორ ჩაიარა გამოცდამ, ბლუქუნ? – ჰკითხა ჯეიმსმა

– მე ვუყურებდი, ცხვირი პერგამენტზე ედო, – დამცინავად თქვა საირუსმა, – მთელი ნაშრომი ალბათ, ისე აქვს მოთხვრილი ცხიმის ლაქებით, ვერაფერს გაარჩევ!

მაყურებლებიდან ვილაცამ გაიცინა. სწეიპი აშკარად არ უყვარდათ“.

ასე დასცინოდნენ თანატოლები ბიჭს, რომელიც გაზეთილი თმით დადიოდა სკოლაში. „სკოლაში ძალადობის წლიური მონაცემების“ პროგრამის ფარგლებში 2014 წელს დიდი ბრიტანეთის 36 სკოლისა და კოლეჯის 13-დან 18 წლამდე ასაკის 3600 მოსწავლე გამოკითხეს. მათი 45% ბულინგის მსხვერპლი აღმოჩნდა, 36% – საკუთარი ფიგურის, წონისა და სიმაღლის გამო, ამასთანავე, 39%-ს ამის შესახებ არავისთვის უთქვამს.

მეგათეო გახსოვთ? „შავბნელი 90-იანების“ სერიალის გმირი, სულელი მეგათეო, გამუდმებით რომ დარბოდა და გაიძახოდა: „რაკეტა ვარ, რაკეტა!“ ამ პერსონაჟის როლის შემსრულებელ მსახიობს ჰვავდა ჩემი ერთი თანასკოლედი, რომელსაც მთელი ბავშვობა მეგათეოს ეძახდნენ და ამის გამო ბევრჯერ მინახავს ატირებული, გაბრაზებული, მთელ სამყაროზე ნაწყენი. ვერ ვიხსენებ, მასწავლებლები ოდესმე ჩარეულიყვნენ ამაში, მიუხედავად იმისა, რომ დაცინვას ბავშვები არც მათ თვალწინ ერიდებოდნენ. არ მახსოვს, ოდესმე დამრიგებელს ამის თაობაზე ესაუბროს ჩვენთან. პირველ ადგილზე ყოველთვის აკადემიური მოსწრება იდგა. არადა, ცუდი ნიშნები ხშირად პირდაპირ კავშირშია ბულინგთან. ჩემს კლასშიც იყვნენ ბავშვები, რომლებსაც, ერთსა და იმავე დროს, არ მოსწონდათ ვილაცის ჭარბი წონა და ჩემი სიგამბდრე. წლების განმავლობაში თავს ცუდად ვგრძნობდი ამის გამო, თუმცა არავის ვეუბნებოდი. ისევ წიგნები დამეხმარა, რომ საკუთარი თავისთვის მეთქვა, გაჩივიებული კი არა, სიფრიფანა ხარ-მეთქი.

პრინც ჰარის ბავშვობაში თურმე წითური თმის გამო დასცინოდნენ, ჯულია რობერტსი დიდი პირის გამო ჩავარდა თანაკლასელების ყბაში. ბარბადოსზე რიანას კანის ფერი „საკმარისად შავად“ არ მიაჩნდათ და მისი მწვანე თვალე-

ბიც დაცინვის საგნად იყო ქცეული. ჯასტინ ტიმბერლეიკს აკნეს გამო დასცინოდნენ და კიდევ იმისთვის, რომ სპორტულ თამაშებს მუსიკის წერა ერჩივნა. ქეით უინსლეტს „მსუქანას“ ეძახდნენ. „ხან მახინჯად მოვლიდნენ, ხან – ცხენად“, – ასე გაიხსენა თანაკლასელები ანჯელინა ჯოლიმ ერთ-ერთ ინტერვიუში. მემუარებში „ჩემი ცხოვრება“ ბილ კლინტონი ახალგაზრდა საკუთარ თავს აღწერს როგორც „ჯგუფის მსუქან ბიჭს“, რომელსაც ხშირად დასცინოდნენ უგემოვნო ჩაცმულობის გამო. ერთხელ, ცეკვის დროს, უფროსმა სტუდენტმა ჯინსის გამო დასცინა. „მან მთელი ძალ-ლონით დამარტყა“, – წერს ბილი, მაგრამ პასუხად ჩხუბი არ დაუწყია, არც უკან დაუხევია. „უბრალოდ, ვიდექი და დაჟინებით ვუყურებდი. ვისწავლე, რომ შემეძლო დარტყმის მიღება და არსებობს ერთზე მეტი გზა აგრესიის წინააღმდეგ“.

ბემოთ მოყვანილი ისტორიების გმირები არიან ბიჭები და გოგონები, რომლებიც გადარჩნენ. მათ შეძლეს, თვალი გაესწორებინათ სამყაროსთვის, რომელიც ხშირად არც ისე კარგად ექცევა რაღაცით გამორჩეულ ადამიანებს, თუნდაც ეს მხოლოდ თმის ფერი ან მოკლე ფეხები იყოს. ისინი ძლიერები აღმოჩნდნენ და გზა გააგრძელეს, მიზანი დაისახეს და მივიდნენ მასთან.

აი, ზოგიერთი კი ვერ უძლებს. გუგლში ასეთ ამბავს გადავაწყდი: ოჰაიოს შტატში 13 წლის ჯონათანმა სამსახურიდან დაბრუნებულ დედას ფურგონის კარი გაუღო, ჰკითხა, როგორ ჩაიარა პირველმა სამუშაო დღემ ახალ გარემოში... ერთ საათში ბიჭი, რომელსაც „უყვარდა ფეხბურთი, „ნასკარის“ რბოლა, ეკლესია და ოჯახი“, საკუთარ სახლში, დის კარადაში, ჩამომხრჩვალნი იპოვეს. ის წონითა და სიმაღლით ჩამორჩებოდა თანაკლასელებს და თანაგუნდელებს, რის გამოც ბულინგის მსხვერპლი გახდა. მშობლები ამბობენ, რომ ის წლების განმავლობაში იტანდა აბუხად აგდებას; ამის შესახებ მის მასწავლებელსაც უთხრეს, მაგრამ ბულინგი გრძელდებოდა. ჯონათანის მამა ამბობს, რომ ასეა სხვა სკოლებშიც, ისეთებშიც კი, სადაც ბავშვებს ამის შესახებ ესაუბრებიან. ჯონათანის საუკეთესო მეგობარი და თანაგუნდელი ჯორდანი იხსენებს, რომ წინა დღეს, თამაშის დროს, მას ბავშვებმა უთხრეს: „წადი, თავი მოიკალი!“ „ვკითხე, როგორ გრძნობდა თავს. მან მითხრა: „მე ძლიერი ვარ. გავეძღვება“. „რა თქმა უნდა“, – ვუპასუხე მე“.

ჯონათანის მშობლები, როგორც თავად ამბობენ, ინტერვიუზე მხოლოდ იმისთვის დათანხმდნენ, რომ მშობლებმა, მასწავლებლებმა და თავად ბავშვებმა სერიოზულად აღიქვან ბულინგი: „ეს უნდა შეწყდეს, სანამ სხვა ოჯახსაც არ შეემთხვევა ასეთი რამ“.

ასე რომ, მშობლებო, მასწავლებლებო, ბავშვებო, როდესაც წააწყდებით ან ყურს მოჰკრავთ ბულინგის შემთხვევას:

- ნუ უგულებელყოფთ. აღიარეთ, რომ პრობლემა არსებობს და ეცადეთ, იქვე მოახდინოთ რეაგირება. არ გადადოთ ხვალინდელი დღისთვის, მშობელთა კრებისთვის, მამის სახლში მოსვლის დროისთვის.
- მხარი დაუჭირეთ ძალადობის მსხვერპლს, იმუშავეთ მისი თვითშეფასების ასამაღლებლად, მოძალადეს კი აგრძნობინეთ, რომ მისი საქციელი არ მოგწონთ და მათთან ერთად შეიმუშავეთ გასაგები სანქცია იმ შემთხვევისთვის, თუ დაცინვა გამეორდა.
- ეცადეთ, დაანახოთ ბავშვებს, რომ სირთულის დასაძლევად, გარდა აგრესიისა, სხვა გზებიც არსებობს. წაახალისეთ, სიტყვიერად გამოხატოს საკუთარი ემოციები და მიეცით პროსოციალური ქცევის მაგალითი.
- იმავდროულად, ეცადეთ, ბავშვებს ყურადღება გაამახვილებინოთ ერთმანეთის დადებით მხარეებზე. არის ასეთი თამაში: ბავშვები წრეში სხდებიან და თითოეული გვერდით მჯდომს ეუბნება ერთ თვისებას ან გარეგნულ მახასიათებელს, რომელიც მასში მოსწონს. მაგალითად: „ნინო, შენ ძალიან ლამაზი თვალები გაქვს“; „გიორგი, მე მომწონს, რომ დასვენებაზე შოკოლადს მიყოფ“.
- რაც შეეხება მეტსახელებს, მე ასეთი რამ მოვიფიქრე: დაფაზე ჩამოვწერე მოსწავლეების სახელები და გვერდით მათივე კარნახით მივუწერე ის მეტსახელები, რომელთა დაძახებაც არ სიამოვნებთ. შევთანხმდით, რომ შეთანხმების დამრღვევი დიდ დასვენებაზე ეზოში ვერ ჩავიდოდა.

დასასრულ, პეპის თავდაჯერება გავიხსენოთ: „პარფიუმერიის მაღაზიის ვიტრინაში ჭორფლის საწინააღმდეგო კრემით სავსე უზარმაზარი ქილა იდგა. ქილაზე დიდი ასოებით ეწერა: „თქვენ ჭორფლი გაწუხებთ?“ პეპიმ მაღაზიის კარი შეაღო და შევიდა. დახლთან ხანში შესული ქალი იდგა. პეპი პირდაპირ მისკენ გაემართა და მტკიცედ უთხრა:

– არა!

– რა გინდა, გოგონი? – გაკვირვებით ჰკითხა ქალმა.

– არა! – იმავე ტონით უპასუხა პეპიმ.

– ვერ გამიგია, რისი თქმა გსურს?

– არა, მე არ მაწუხებს ჭორფლი. პირიქით, ძალიანაც მომწონს, ნახვამდის.

პეპი კარისაკენ გაემართა, მერე უცებ დახლისკენ შემოტრიალდა და დაამატა:

– აი, ისეთი კრემი თუ გაქვთ, ჭორფლი რომ უფრო დამეტყოს, შევიძლიათ

გამომიგზავნოთ შინ შვიდი-რვა ქილა“.

როგორ აღიქვამს ბავშვი დასჯის სიტუაციებს

ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნიკოლაი კობლოვი, რომელიც „კონსულტირების ევროპულ ასოციაციის“ (EAC) და „გამოყენებითი ფსიქოლოგიის საერთაშორისო ასოციაციის“ (IAAP) წევრია, არაერთი მეცნიერულ-პოპულარული წიგნის ავტორია. ახლახან მან გამოაქვეყნა სტატია სახელწოდებით „ბავშვის მიერ დასჯის სიტუაციების აღქმა“, რომელშიც არა მხოლოდ იძლევა ზოგად რეკომენდაციებს ბავშვთა აღზრდის ამ მნიშვნელოვან ელემენტზე, არამედ მოაქვს კონკრეტული მაგალითები – მათ შორის საკუთარი ცხოვრებიდანაც.

ბავშვები ძალიან საინტერესო არსებები არიან! ისინი თავისებურად აღიქვამენ ყველაფერს, დასჯასაც კი. ის, რაც ობიექტურად სასჯელს წარმოადგენს, ბავშვმა სხვანაირად შეიძლება აღიქვას (მაგალითად, როგორც თამაში ან ფიქრის საბაბი). პირიქით, სასჯელად და საზიზღრობად შეიძლება მოეჩვენოს ისეთი დავალება, რომლის მიცემისასაც თქვენ მსგავსი არაფერი გიფიქრიათ.

დავუშვათ, თქვენმა შვილმა იცელქა და მთელ ბინაში მიმოყარა სათამაშოები. თქვენ ის გააჩერეთ, კუთხეში დააყენეთ და მშვიდი ტონით უთხარი: „იფიქრე, როდის ააღაგებ შენს სათამაშოებს. როგორც კი მოიფიქრებ, მითხარი“. ობიექტურად ეს დასჯაა, რადგან ბავშვს წაართვით თამაშის შესაძლებლობა. სუბიექტურად კი, სრულიად შესაძლებელია, ბავშვმა იმსჯელოს ასე: „დასჯილი არ ვარ. მე ვფიქრობ, როგორ ავაღაგო სათამაშოები“.

საპირისპირო მაგალითი: მამამ ქალიშვილს ჭურჭლის გარეცხვა სთხოვა. თუ გოგონას ჰკითხავთ: „რას აკეთებ?“ – სრულიად შესაძლებელია, გაგცეთ ასეთი პასუხი: „მამამ დამსჯა, ჭურჭლის გასარეცხად გამომიშვა“. სინამდვილეში, მამას არ დაუსჯია, მაგრამ შვილი ამას დასჯად აღიქვამს...

ასეთ სიტუაციებში გადამწყვეტი მნიშვნელობა, როგორც წესი, ორ ასპექტს აქვს. პირველი არის ინტონაცია, რომელსაც იყენებთ დავალების (სასჯელის) ჩამოსაყალიბებლად. ბრაზიანი ტონი შვილს უფრო ხშირად ესმის, როგორც დასჯის მანიშნებელი, მშვიდი კი დავალებასთანაა ასოცირებული. მეორე ასპექტი: როგორი სიტუაციიდან როგორ სიტუაციაში გადადის ბავშვი? თუ ის მოსწყვეტეს ტელევიზორს და გაუშვეს ჭურჭლის გასარეცხად, ეს დასჯაა. თუ ბავშვს აშკარა დანაკარგი არ განუცდია, მაშინ – უბრალოდ დავალებაა.

დასჯის სიტუაციის აღქმის სუბიექტურობა ვლინდება თავად მოზრდილებშიც. მამაკაცები, როგორც წესი, გაგებით ეკიდებიან ფიზიკურ დასჯას, ქალები, ჩვეულებრივ, მისი სასტიკი წინააღმდეგეები არიან. კაცები, ძირითადად, დარწმუნებულები არიან, რომ პედაგოგიური „შემოლაწუნება“ არაფერს აშავებს, ქალები კი დარწმუნებულნი არიან, რომ ესაა პირდაპირი გზა ფსიქოლოგიური ტრავმისკენ. ქალებისთვის (უფრო სწორად, ქალური გენდერის ფარგლებში აღზრდილი ადამიანებისთვის) მსუბუქი მირტყმა უკვე ნიშნავს დარტყმას, დარტყმა აღიქმება ცემის სურვილად, შემდეგ უკვე ისმის – „ბავშვების ცემა არ შეიძლება“; არ შეიძლება კი იმიტომ, რომ სიტყვა „ცემაში“ იგულისხმება უკვე არა ერთი მირტყმა, არამედ მთელი ცემა-ტყეპა.

უფროსები ხშირად ზედმეტად მძიმედ აფასებენ ბავშვის განცდებს: არც ისე იშვიათად ნამდვილი განცდის მაგივრად, ბავშვი მხოლოდ თავს იკატუნებს; ამასთან ერთად, ბავშვებს, როგორც წესი, ადვილად შეუძლიათ ახალ მოვლენებზე ყურადღების გადართვა. თქვენ დასაჯეთ ბავშვი – დააყენეთ კუთხეში, მაგრამ ერთი წუთის შემდეგ ის უკვე პოულობს გართობის ახალ საშუალებას. ყურადღების ადვილი გადართვა ბავშვს ეხმარება სასჯელის სიმძიმის გადატანაში: ბავშვს შეუძლია ადვილად გადაერთოს გარე სამყაროს ახალ ელემენტებზე და დაივიწყოს ის უსიამოვნება, რომელიც ახლახან განიცადა.

მეორე მხრივ, თითქოსდა მსუბუქი, მაგრამ საწყენი და უსამართლო სასჯელი შვილს შეიძლება წლობით ახსოვდეს და მასში ბრახსა და მშობლებისთვის სამაგიეროს გადახდის, შურისძიების სურვილს იწვევდეს.

თუ თქვენ შვილს „გაულაწუნეთ“, მისთვის ეს ჯერ არაფრის მანიშნებელი არაა: ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ აღიქვამს ეს ბავშვმა. გალაწუნებას ბავშვი ხან მშობლების მხრიდან ყურადღების გამოვლენად, ხან კი მითითებად აღიქვამს; ხანდახან კი ბავშვი საერთოდ არ აქცევს მას ყურადღებას. მართალია, ძლიერი და აშკარად მტკივნეული დარტყმა თითქმის ყოველთვის აღმოჩნდება უარყოფითი განმამტკიცებელი, მაგრამ მთავარი ისაა, რას ეტყვის ეს სასჯელი ბავშვს, რა დასკვნის განმტკიცებას შეუწყობს ხელს – „მე აღარ უნდა ვიცელო“; „მშობლები შტერები არიან“; „მე ვარ შტერი“.

დასჯა უაზროა, როცა მას ბავშვი სწორად ვერ აცნობიერებს.

თუ ბავშვს გულწრფელად სჯერა, რომ ის მომხდარში დამნაშავე არაა, მაშინ დასჯა ვერ იმუშავებს. თუ მოზარდი დარწმუნებულია, რომ მამინაცვალს არც ერთ შემთხვევაში არ აქვს მისი დასჯის უფლება, მაშინ ჩვეულებრივი სასჯელი მასზე ვერ იმოქმედებს. დასჯას შედეგი მხოლოდ მაშინ მოაქვს, როცა დასჯილი ბავშვი მას შინაგანად ეთანხმება ან, სულ ცოტა, ესმის ის. სასჯელი, რომელიც ბავშვში მხოლოდ პროტესტს იწვევს, კონტრპროდუქტიულია. თუ ბავშვს ეჩვენება, რომ სასჯელი, სრულიად უსამართლოა ან ზედმეტად მკაცრია („ამისთვის ქაშკაშა ცემა არ შეიძლება!“), დასჯას მხოლოდ მისი გაბრაზება მოჰყვება. ძალიან ბევრ მცირეწლოვან ბავშვსა და ზოგიერთ გარეულ

ცხოველზე დასჯა საერთოდ არ მოქმედებს და იწვევს მხოლოდ პროტესტს – საპასუხო აგრესიას ან გაქცევას.

სასჯელმა რომ შედეგი გამოიღოს, ბავშვმა რომ ის შინაგანად მიიღოს, უნდა აუხსნათ, რატომ და რისთვის ისჯება. თუ მშობლები გონიერი და მოსიყვარულე ადამიანები არიან, მაშინ შვილი, სავარაუდოდ, დასჯას მშვიდად და ბუნებრივად აღიქვამს, როგორც მისი ქცევის საპასუხო გონივრულ უკუკავშირს. მაგრამ თუ ბავშვის ამრით, მშობლები მართლები არ არიან (და ასეთი რამ არც ისე იშვიათად ხდება), მაშინ მშობლებმა კი არ უნდა მოუმატონ ყვირილს, არამედ გარკვევით უნდა აუხსნან შვილს, რატომ და რისთვის სჯიან. რთულ შემთხვევებში ასეთი ახსნა შეიძლება ნამდვილ მოლაპარაკებაში გადაიზარდოს.

როგორც მახსოვს, ჩემი ქალიშვილები (ნასტია და მაშა) სერიოზულად დავსაჯე – მივარტყე – მხოლოდ ერთხელ. (თუმცა, როცა მათთან ვცადე ამის დაზუსტება, მიპასუხეს: „ერთხელ კი არა, ორჯერ დაგვარტყიო!“ კეთილი.) თუ არ ვცდები, ისინი დაახლოებით ოთხი წლისები იყვნენ და ერთმანეთს სცემეს. მე ჩავდექი მათ შორის და ვუთხარი „შეწყვიტეთ-მეთქი!“. ისინი არ მისმენდნენ და ისევ ცდილობდნენ ერთმანეთისთვის დაერთყათ. სერიოზულად და ხმამაღლა გავუმერე: „ნუ ჩხუბობთ-მეთქი!“, მაგრამ ისევ არ მომისმინეს და თავისას აგრძელებდნენ. მაშინ მე ერთსაც და მეორესაც კარგად გავულაწუნე. დაიწყეს ტირილი, მე ჩავიმუხლე და დაველოდე, სანამ დაწყნარდებოდნენ. შემდეგ ვუთხარი: „გოგოებო, მე ძალიან არ მინდა დაგსაჯოთ. გთხოვთ, როცა რამეს სერიოზულად გეუბნებით, მომისმინეთ და ასეთ შემთხვევაში არასოდეს არ დაგსჯით!“ ნასტიამ დამიქნია თავი, მაშამ კი მოულოდნელად მთხოვა: „ეგრევე არ დაგსაჯო, ჯერ გაგვაფრთხილე – გვითხარი, რომ ახლა უნდა გცემოთ!“ მე აღფრთოვანებული დავრჩი და პირობა მივეცი, რომ ასე მოვიქცეოდი. საინტერესოა, რომ ერთი კვირის შემდეგ გოგოებს ისევ გაუზურაზდი და ცემა დაუპირე, მაგრამ მაშამ გამაჩერა: „არა! არ შეიძლება ჩვენი გალახვა – შენ ხომ არ გაგიფრთხილებივართო!“ როგორც ჩანს, ხანდახან ბავშვები უფროსებზე უფრო ბრძენი და ყურადღებიანი არიან. მე დავეთანხმე მამას და მადლობა ვუთხარი შეხსენებისთვის. იმის შემდეგ ყველა სიტუაცია წყდებოდა მშვიდობიანად, ურთიერთგაგებითა და მოლაპარაკებით.

წყაროები:

1. Как ребенок воспринимает ситуацию наказания?
http://www.psychologos.ru/articles/view/kak_rebenok_vosprinimaet_situaciyu_nakazaniya_vop_zn_
2. <http://www.uppcenter.ru/psychologist/index>
3. <http://ru.wikipedia.org/wiki/%D0%9A%D0%BE%D1%83%D1%87%D0%B8%D0%BD%D0%B3>

მოსწავლე, მასწავლებელი, ჯობსი და ბრედბერი

...გაიგვლის წლები და მასწავლებლის მაგიდასთან მდგარ მაღინა საჯაიას ზამთრის ის ცივი დღე გაახსენდება, მასწავლებელმა დიდ შესვენებაზე ხალხით სავსე დერეფნის კედელთან რომ მიაყენა, ორივე ლოყაში გაართყა და მარჯვენა ყური აუწია.

„ეს ის კვირა იყო, ენ ტეილორი გრინთაუნში რომ ჩამოვიდა საზაფხულო სკოლის მასწავლებლად. მას უკვე ოცდაოთხი წელი შესრულებოდა... ენი ის მასწავლებელი იყო, რომლისთვისაც ყველა მოწაფეს სურდა მიერთმია ულამაზესი ფორთოხალი ან ვარდისფერი ყვავილები... იმ პირველ დილას მის ენ ტეილორი კლასში გვერდითა კარიდან შევიდა და სანამ დაფაზე მრგვალი ასოებით თავისი სახელი და გვარი გამოჰყავდა, ბავშვები მონუსხულებივით ისხდნენ. „მე ენ ტეილორი ვარ, თქვენი ახალი მასწავლებელი“, – ხმადაბლა თქვა მან. უეცრად ოთახში თითქოს შუქი დაიღვარა, თითქოს შენობას სახურავი ახადეს და ხეებზე მსხდომი ჩიტების ჟივილ-ხივილი მოისმა...“

დღეს, მოსწავლეების ჟივილ-ხივილით დაღლილმა, ორიოდ წუთით სკოლის ბიბლიოთეკას შევაფარე თავი, თაროდან პირველივე წიგნი ავიღე, გადავშალე და ხელში შემძრა რეი ბრედბერის „მოთხრობა სიყვარულზე“, რომელიც წინა აბზაცში მოყვანილი ისტორიით იწყება. რა თქმა უნდა, არც მე ვარ ენ ტეილორი და არც დიდუბე-ჩუღურეთია გრინთაუნი, მაგრამ სულ ახლახან შემისრულდა ოცდაოთხი, სკოლაშიც დავიწყე მუშაობა და მასწავლებლების დაავადებას – ყელის კატარსაც – გავუსინჯე გემო. როგორც ერთხელ ჩემმა პოეტმა მეგობარმა თქვა, „სტაფილოს გავხეხავ ყელით“. მაგრამ მასწავლებლობაზე – მერე... ჯერ იმას მოგიყვებით, მე როგორ ვსწავლობდი.

ხუთი წლისამ კითხვა უკვე ვიცოდი და მშობლებმა გადაწყვიტეს, რომ დრო იყო, ზუგდიდის მერვე საშუალო სკოლის მოსწავლე გავმხდარიყავი. სკოლის დირექციამ ხუთი წლის ციცქნა გოგოს მიღებაზე უარი განაცხადა, მერე განათლების სამინისტროში რაღაც კითხვები დამისვეს... მოკლედ, „ზემოთ“ გადაწყდა ეს ამბავი. რომელიღაც კლასში დაწერილ თხზულებაში პირველი დღის ამბებს (რატომ მახსოვს ასე ზუსტად, არ ვიცი) ასე აღვწერდი: „ბებიის კალთას

ამოფარებულს, არ მინდოდა სკოლაში შესვლა, მაგრამ გამოჩნდა სიკეთით სავსე ქალბატონი, რომელმაც მხარზე მომხვია თავისი თბილი ხელები და შემეცვანა საკლასო ოთახში. ასე გავიცანი ჩემი პირველი მასწავლებელი – ნელი შარია“.

გავიდა წლები და სექტემბრის თბილ დღეს, როცა ჯერ კიდევ უცნობი, მაგრამ უკვე „ჩემი“ მოსწავლეებისთვის ვამზადებდი ოთახს და თანამშრომელმა ერთ-ერთ ბავშვზე მითხრა, პატარაა და წინ დასვიო, გამახსენდა, როგორ ვიჯექი დაწყებით კლასებში პირველ მერხზე, რაც გულისხმობდა გაკვეთილის კარგად მომზადებას, მუდამ აწეულ ხელს და მაგიდის ქვეშ მოქანავე ფეხებს, იტაკს რომ ვერ სწვდებოდნენ. კიდევ ჩემი თანაკლასელი თამთა გამახსენდა, რომელიც ცუდად ხედავდა და თვალებს ჭუტავდა. ეს ისე მომხიბვლელი მეჩვენებოდა, რომ გადმოვიღე და ამის გამო დედამ კინალამ ოფთალმოლოგთან წამიყვანა.

გავიდა წლები, მაგრამ მე ისევ მახსოვს მასწავლებლის მარჯვენა ხელის ანაბეჭდი ჩემს ლოყაზე. წარმოიდგინეთ მეშვიდეკლასელი გოგო, რომელიც მეთერთეტე კლასის გუნდთან ერთად თამაშობს ინტელექტუალურ თამაშებს, დადის მათემატიკის, ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიისა და ქართულის ტურებსა და კონფერენციებზე (იქ რას აკეთებს, ეს სხვა საქმეა), იცის გალაკტიონის 45 ლექსი („შემოესწავლა“) და... არ ესწრება ფიზკულტურის გაკვეთილს. არც მაგიდის ჩოგბურთი უყვარს და არც ფინიშთან ბოლოს მიხიხება, ამიტომ რაღაც ცნობა აულო დედამ, ჰოდა, ფიზკულტურის გაკვეთილზე დარბაზის ნაცვლად კლასში ზის და მორიგ ლექსს კითხულობს. ერთ-ერთ ასეთ საათზე „შატალობე“ მყოფი ორი თანაკლასელი სთხოვს, მეზობელი კლასიდან გამოიყვანოს ვინმე გ.ზ., რადგან მას მამა ელოდება ეზოში. ეს შტერი გოგოც... ეს მესამე პირი რა უბედურებაა?! მოკლედ, მეც შევდივარ მე-11 კლასში და ქართულის მასწავლებელს მორიდებით, ღიმილით, კრძალვითა და ცახცახით ვეუბნები:

- მასწავლებლო, თუ შეიძლება გ. ზ. გამოუშვით, მამა ელოდება გარეთ.
- დაირეკება ზარი და გამოვა.

ზარი, ჩემდა სამწუხაროდ, მალე დაირეკა. ზემოხსენებულმა მასწავლებელმა კლასიდან გამომიხმო, შესვენებაზე აქეთ-იქით მოსიარულე მოსწავლეების, მასწავლებლებისა და მშობლების თვალწინ დერეფანში კედელთან მიმიმწყვდია, იქედნურად ჩაიქირქილა: „შენ იცი, მე ვინ ვარ?!“ – და ჯერ მარცხენა ლოყაში გამარტყა, მერე – მარჯვენაში, ბოლოს ყურიც ამიწია. მე, როგორც ნამდვილ ლედის შეეფერება, არ მიტირია. უბრალოდ, კლასში შევედი და მომდევნო გაკვეთილისთვის საჭირო წიგნები მერხზე დავაწყვე.

მეორე დღეს მამაჩემის საყვარელი ბიძა გარდაიცვალა და მთელი ოჯახი სამძიმარზე წავედით. სკოლა გავაცდინე. მესამე დღეს დამრიგებელმა რომ დამინახა, შვებით ამოისუნთქა: „მეგონა, ბებიას უთხარი და სკანდალს ველოდიო...“ დღესაც არ იცის, რომ ფსიქოლოგიის ბაკალავრის დიპლომის აღების მერე ვიპოვე ძალა, ეს ამბავი ჩემი ოჯახისთვის მომეყოლა. ბებიას ისეთი რეაქცია ჰქონდა („სად ჰყავს თეოფილე გაბუნისა დურუ ხუნჭუას გასალახი შვილიშვილი?!“), მივხვდი, დუმილით სკოლა გადავარჩინე. იმ მასწავლებელს კი, პროტესტის პასიურ ფორმას მივმართე და, არ ვესალმებოდი. დღემდე ვერ ამიხსნია, რატომ არ გაარკვია ჩემი „ტყუილის“ მიზეზი და რაში დასჭირდა იმ 30 კილო ბავშვის სახალხოდ ცემა, რომელიც ხელებჩამოყრილი, მხრებაწურული იდგა და იმეორებდა: „მე უბრალოდ... მე უბრალოდ...“ შესაძლოა, „განტეგების ვაცი“ ვიყავი იმ დროს, ან უბრალოდ „მსხალი“, რომელიც მასწავლებელმა მცირე ხელფასის, სურსათის სიძვირის, თბილისში ქირით მცხოვრები სტუდენტი შვილების გადასახადების, გადაღლილობის, სტრესის გამო დაგროვილი აგრესიისგან განსამუხტავად გამოიყენა.

ჰო, კიდევ, ერთი ქართულის მასწავლებელი მყავდა. წელიწადის იმ დროს, როცა ყვითელ ფოთლებს ხრაშინაოში გაუდის, მასთან საჩუქრად ჩემს ებოში დაკრეფილი ქრიზანთემები მიმქონდა. ჩარგავდა ყვავილებში თავს და „სხვაგან ქროდა მისი გონება, მისმან თავისმა წონამან“.

...დღეს სკოლის ებოში მოსწავლემ საქანელიდან გადმოძახა: „ქალბატონო მაღინაააა, როგორ არ მინდა სკოლიდან წასვლა!“

ოთხი დღეა ვიცნობ ამ ბავშვებს. სულ რაღაც ოთხი დღე, მთელი ოთხი დღე, ოცდათექვსმეტი საათი. ჰოდა, მგონი, შემეყვარდა. ყოველ შემთხვევაში, ყინული გალღვა და მე უკვე აღარ მეშინია, რომ ერთ დღესაც სკამზე ჭიკარტი დამხვდება. წინ კიდევ ბევრი სირთულეა, მაგრამ, როგორც გაბრიელა მისტრალი გვეუბნება, მასწავლებლის მთავარი მცნებაა „გიყვარდეს მთელი გულითა და სულით, თუ სიყვარული არ შეგიძლია, ნუ ასწავლი ბავშვებს“.

P.S. დღეს აიფონებზე ჩამოვარდა სიტყვა და სტივ ჯობსის ცხოვრებაზე მოვეყვი. ბოლოს მისი დანაბარებიც გადავეცი: „დიდი საქმის აღსასრულებლად მხოლოდ ერთი გზა არსებობს – შეიყვარეთ ის“

ისინი არ მოკლავენ ჯაფარას

იმ სკოლაში, სადაც მე ვსწავლობდი, ბაფხულში საკითხავ მასალას არ გვაძლევდნენ. ეგ კი არა, ისიც არ მახსოვს, როდისმე კლასგარეშე საკითხავი წიგნი ერჩიოთ. მე კი მხატვრული ლიტერატურის კითხვა უფრო მიყვარდა, ვიდრე სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული მასალის. ამიტომ, ბაფხულში თვითონ ვარჩევდი ან მშობლები სახლის სხვადასხვა კუთხეში მიტოვებდნენ საკითხავ წიგნებს. ახლა, სკოლები სასწავლო წლის ბოლოს მოსწავლეებს იმ წიგნების სიას აძლევენ, რომლებიც ბაფხულში უნდა წაიკითხოთ და სექტემბერში მოკლე შინაარსი მოუყვანენ კლასს. კვლევები ადასტურებს, რომ იმ ბავშვებს, რომლებიც ბაფხულში არ კითხულობენ, სკოლაში დაბრუნებისას კარგავენ იმ პოზიციებს, რომლებიც ჰქონდათ წინა სემესტრში. არადა, ბავშვების უმრავლესობას სხვა გეგმები აქვს: ცურვა, ხეებზე ძროშიალო, ეზოში თამაში, კომპიუტერული თამაშები. ამიტომ, რთულია, მათ შევაცვაროთ ბაფხულში კითხვა, თუ ვეტყვით, რომ ეს არის „ის 5 წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ არ დადევები გაქვს“.

„უნდა“, ხშირად, უარყოფითად აღიქმება ბავშვის მიერ. ჩვენ, მოზრდილ ადამიანებსაც კი, ამ სიტყვის წარმოთქმისას ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოს რაღაც თავს ძალით მოგვახვიეს და ამის გაკეთება ჩვენ არ გვინდა და არ გვჭირდება. ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ ბავშვი დავაინტერესოთ კითხვით. ბაფხულში კითხვის პროცესმა სიამოვნება უნდა მიანიჭოს ბავშვებს. ისინი უფრო მეტად დაინტერესდებიან კითხვით, თუ ექნებათ წიგნების არჩევის საშუალება და ასევე იმ ფორმატის, რომელშიც უნდა წაიკითხოთ, – შეიძლება ელექტრონული წიგნი უფრო მოსახერხებელი იყოს მათთვის. თუ კომპიუტერული თამაშებით არის გატაცებული, შეგიძლიათ, კომიქსები მოსინჯოთ. მაგალითად, „ადამიანი-ობობას“ რეკომენდაციას უწევენ ჩემი უკვე მესამეკლასელი მოსწავლეები, გოგონებიც და ბიჭებიც. რა თქმა უნდა, მათ უხარიათ, როცა მშობლებთან ერთად განიხილავენ წაკითხულის შინაარსს.

ვფიქრობ, რომ რევამ ინანიშვილის, ნოდარ დუმბაძის, ასტრიდ ლინდგრენის ნაწარმოებები ისედაც მოხვდებოდა მასწავლებლების სიაში. ამიტომ,

მინდა გესაუბროთ სამი წიგნის შესახებ, რომელსაც ჩემი აზრით, სიამოვნებით წაიკითხავენ ბავშვები ბაფხულის არდადეგების დროს. წელს ქართულად ითარგმნა უილიამ ჯოისისა და ლორა გერინგერის „სიმბრის მცველების“ პირველი წიგნი „სენტ ნიკოლას ჩრდილოელი და ბრძოლა კოშმარების ხელმწიფესთან“. დაწყებითი კლასის მოსწავლეები სიამოვნებით წაიკითხავენ ამ საინტერესო სათავგადასავლო ზღაპარს. „ჩემი ვაჟიშვილი დაატყვევა რომანმა. მას შემდეგ, რაც წიგნი ჩვენს სახლში გამოჩნდა, ბავშვი საათობით იკარგებოდა, შემდეგ ბრუნდებოდა, მაგრამ მისი წარმოსახვა ისევ სადღაც, ჩვენგან შორს იყო. მისი გონების ნაწილი მუდმივად უილიამ ჯოისის სამყაროთაგან ყველაზე არაჩვეულებრივისა და უახლესის სიღრმისეულ, ბნელ, თვალისმომჭრელ, უდარდელ მითოლოგიასთან იყო გადახლართული“ – ამბობს პულიცერის პრემიის ლაურეატი, მწერალი მაიკლ შებონი. წიგნის დასაწყისში სენტ ნიკოლას ჩრდილოელი ერთი თავზე ხელაღებული, ფულს და ოქროს დახარბებული ყაჩაღია, კოშმარების ხელმწიფე კუნაპეტი და მისი ხელქვეითი მაჯლაჯუნები კი ბავშვებს ტკბილ სიმბრებს პარავენ. მაგრამ საქმე არც ისე ცუდად არის, რადგან სანტოფ-კლაუსენის თითოეულ ბინადარს კარგად ახსოვს თავიანთი ბრძენის ომბრიკის პირველი გაკვეთილი: „ჯადოქრობის პაწაწინა მარცვალს ყველა ადამიანში სძინავს. ამ მაგიურ ძალას რწმენა ეწოდება. შემთხვევით არ არის, რომ ყველა შელოცვა ამ სიტყვებით იწყებოდა: „მწამს, მწამს, მწამს“. ჰოდა, ჩვენი ყაჩაღიც მამაც გოგონა კათრინთან ერთად ცდილობს კუნაპეტი დაამარცხოვოს და ბავშვებს ისევ ფერადი სიმბრები აჩუქოს. დაწყებითი კლასის მოსწავლეები ხშირად მასწავლებლის მიერ მიწერილი იარლიყების გამო, გაუბედავად იქცევიან. „აი, გიორგი ხომ ყველაზე ჭკვიანია და მაგანაც კი ვერ ამოხსნა ამოცანა, მე ხომ საერთოდ ვერ ამოვხსნი“ – ამბობს ბავშვი და ცდაზეც კი უარს ამბობს. ვფიქრობ, ეს წიგნი მათ დაეხმარება იმის გააზრებაში, რომ „გმირებად არა მხოლოდ იბადებიან, არამედ გმირად რომ დარჩე, გამოცდაც უნდა გაიარო“. გმირსაც ეშინია, მაგრამ ცდილობს, დაამარცხოვოს ეს შიში და სიკეთე მოუტანოს საკუთარ თავსაც და გარშემომყოფებსაც.

„მასწ, აი, ბერძნებს მითებში ამდენი გმირი რომ ჰყავთ, ჩვენ რატომ არ გვყავს?“ – ასეთი კითხვა დამისვა ერთხელ მოსწავლემ. მე ამ კითხვაზე საუკეთესო პასუხის მისაღებად ვურჩიე წაეკითხა ნატო დავითაშვილის „ამბავი ლილე იროელისა“, რომელიც მწერალმა ქართულ მითოლოგიაზე დაყრდნობით დაწერა. ყველაზე კარგად თვითონ პატარა მკითხველები საუბრობენ წიგნის შესახებ. – „მე ვარ ნანო, 10 წლის, მეხუთე კლასელი. როცა თქვენს

წიგნს გავეცანი, მე-4 კლასელი ვიყავი. ეს წიგნი იყო „ამბავი ღილე იროელი-სა“. საერთოდ წიგნების კითხვა არ მიყვარს, მაგრამ თქვენმა წიგნმა გამიტაცა. მალევე დავასრულე სამივე ნაწილი. ახლა გავიგე, რომ გამოვიდა მე-4 ნაწილიც. გამიხარდა. აუცილებლად ვიყიდი. ახლა შემიძლია ვთქვა რომ ნატო დავითაშვილი საუკეთესო მწერალია მთელ საქართველოში“. ვფიქრობ, რომ ნატო დავითაშვილის წიგნები ბავშვებმა ყველაზე მეტად იმის გამო უნდა იკითხოონ, რომ ღილეს სამყაროში, იმ ქვეყნებში, სადაც ის მოგზაურობს, არ არსებობს იმთავითვე ბოროტი ადამიანები. ყველას გაბოროტებას რაღაც მიზეზი აქვს და მწერალი ყველას აძლევს შანსს, რომ გახდეს უკეთესი, ვიდრე წიგნის პირველ გვერდზე იყო.

1960 წელს ამერიკელმა მწერალმა ჰარპერ ლიმ დაწერა წიგნი „ნუ მოკლავ ჯაფარას“. რომანის ცენტრალური პერსონაჟი, პატარა გოგონაა, რომელსაც „ჭყიტას“ ეძახიან. წიგნის სიუჟეტის ერთ-ერთი მთავარი ხაზია ჭყიტას, მისი უფროსი ძმის ჯემის და მათი მეგობრის – დილის აღფრთოვანება, შიში და ინტერესი მეზობელი რედლი-ბუას მიმართ, რომელიც სახლიდან არასდროს გამოდის.

სიუჟეტის მეორე ხაზი მოგვითხრობს რასიზმზე ამერიკის სამხრეთ ნაწილში. ბავშვების მამა, ატიკუს ფინჩი, იცავს შავკანიან მამაკაცს, რომელიც თეთრკანიანი ქალის გაუპატიურებაშია ეჭვმიტანილი. ის ცდილობს, გაახსენოს ნაფიც მსაჯულებს, რომ სასამართლო ის ადგილია, სადაც ყველა თანასწორია, განურჩევლად რასისა, სქესისა და სოციალური მდგომარეობისა. ამასთანავე, ლი ეხება ისეთ თემებს, როგორიცაა ქალთა უფლებები, რელიგიური ექსტრემიზმი... მოკლედ, ეს წიგნი არის ყოველგვარი დისკრიმინაციის წინააღმდეგ და ამერიკის თითქმის ყველა სკოლის პროგრამაშია შეტანილი.

„ნურასდროს ნუ მოკლავ ჯაფარას. ეს ცოდვაა. ერთადერთი, რასაც ჯაფარა შვრება, ისაა, რომ მღერის და გვართობს. ის არც ბალ-ბოსტნებს გვიჩანაგებს, არც კალოსთან იბუდებს, ცუდს არაფერს სჩადის და ადამიანს არაფერს უშავებს, მხოლოდ გალობს და გალობს და გალობით გვატკბობს. აი, რატომაც ცოდვა ჯაფარას მოკვლა“, – უხსნის მამა შვილებს. მახსოვს, რომ როცა მე-ხუთეკლასელ ბავშვებში რასიზმი შევამჩნიე, ისე დავიბენი, ვერ მოვიფიქრე, რა მეთქვა. ბოლოს ვუთხარი: აი, კალათბურთელი ლებრონ ჯეიმსი რომ მოგწონთ, ეგეც ხომ შავკანიანია-მეთქი. „ეგ შავკანიანი კი არაა, მულატია, მასწ!“ – მიპასუხეს. მერე მე დიდ ხანს ველაპარაკე მათ ამ თემაზე და ამ წიგნის მიხედვით, 1962 წელს გადაღებული ფილმი ვუჩვენე. ამ დროის განმავლობაში

ვაკვირდებოდი და ვამჩნევდი, როგორ ებჭინებოდათ გული ყელში. ვფიქრობ, რომ ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ ბავშვები უფრო შემწყნარებლები და კეთილები გახდებიან, ვიდრე ბაფხულის არდადეგებამდე იყვნენ და მგონია, რომ ისინი არასდროს მოკლავენ ჯაფარას.

ქეთევან კობალაძე

1	„რთული“ ბავშვები	167
2	„რთული“ მოზარდების ქცევითი თავისებურებები	172
3	რატომ ხდება მოზარდი რთული	176
4	ბავშვის ბუნების ფენომენი და ალზრდის პრობლემები	180
5	ალზრდის შეცდომები	185
6	რა შეცდომები მოგვდის ბავშვებთან ურთიერთობისას	190
7	შეკითხვები ფსიქოლოგს	194
8	მშობლების შეკითხვები ფსიქოლოგს	199
9	ალზრდა- ამოუწურავი თემა	204

„როული“ ბავშვები

ქუჩის ბავშვების დაკარგული ბავშვობა... პრობლემა, რომელსაც მივეჩვიეთ. ჩვენი ყოველდღიური ცხოვრებისგან თითქოს გამიჯნული სამყარო. სამყარო, რომელიც დანაშაულისა და არაჯანსაღი ცხოვრებისკენ გიბიძგებს, სადაც ყველაფერი თვითგადარჩენისთვის ხდება, ყველაფერი ცხოველურ ინსტინქტებზეა დამოკიდებული. სამყარო, რომელსაც გამუდმებით ვეხებით, მაგრამ რატომღაც გვერდს ვუვლით.

„მუჩის ბავშვების“ მოკლე ისტორია

ქუჩის ბავშვები ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ განვითარებულმა ცნობილმა მოვლენებმა წარმოშვა. იმპერიის დემონტაჟმა სოციალურ-ეკონომიკური ინფრასტრუქტურის ჩამოშლა გამოიწვია. გაჩნდა უმუშევართა უზარმაზარი არმია. მოსახლეობის ნაწილმა კრიზისულ სიტუაციასთან გამკლავების უმარტივესი გზა გამოიკვლია და შვილები ქუჩაში მოწყალების სათხოვნელად გაუშვა. იმ წლებში თბილისის მეტროს სადგურებსა და ქუჩებში ხშირად ნახავდით მომღერალ ბავშვებს, რომლებიც თავიანთი ოჯახებისთვის შემოსავლის ერთადერთ წყაროდ იქცნენ.

მთელი დღის მძიმე შრომის შემდეგ შინ დაბრუნებულ პატარებს, რომლებსაც სითბო და მზუნველობა სჭირდებოდათ, ხვდებოდათ არაკეთილგანწყობილი და აგრესიული გარემო. მათ მიერ გამოუმუშავებულ თანხას მშობლები საკუთარი მოთხოვნილებებისამებრ ხარჯავდნენ. ბავშვები კი, ფულის შოვნას მიჩვეულები, იზრდებოდნენ და ხვდებოდნენ, რომ თავიანთი შრომით მოპოვებული ფულის დახარჯვა თავად შეეძლოთ, თუ შინ აღარ დაბრუნდებოდნენ. ასე გაჩნდა თბილისში უბნები, სადაც მიტოვებულ ჯიხურებში, მანქანებში, კიბის უჯრედებში ღამეს ათევდნენ სხვადასხვა ასაკის, სქესისა და ეროვნების ბავშვები. ქუჩა ღიძლია, ადგილი ყველას ეყოფა და ერთ ბავშვს მეორე მიემატა, მეორეს – მესამე. „იოლა“ ნაშოვნი ფულის დახარჯვა იოლია, შეგიძლია იყიდო, რასაც მოისურვებ და რამდენსაც მოისურვებ, ეს ბავშვებმა მშვენივრად იცოდნენ.

პრობლემის მოგვარების მცდელობა

2005 წელს თბილისში მიუსაფარი ბავშვებისა და მოზარდებისთვის თავშესაფარი გაიხსნა – „ბავშვთა და მოზარდთა სოციალური ადაპტაციის ცენტრი“, რომელიც 2010 წლის ჩათვლით ფუნქციონირებდა და რომლის მონაცემებზე დაყრდნობითაც მინდა რამდენიმე დაკვირვება გაგიზიაროთ.

ცენტრი მიზნად ისახავდა ქუჩაში უმეტესწილად დარჩენილი ბავშვებისა და მოზარდების პრობლემათა შესწავლა-მოგვარებას. ის მომსახურებას უწევდა სხვადასხვა ასაკის მზრუნველობამოკლებულ, მიუსაფარ, ოჯახური კონფლიქტის, ოჯახური ძალადობის, შშმბავშვებისგან უგულვებელყოფის მსხვერპლ, ქუჩაში უმეტესწილად დარჩენილ, კანონთან კონფლიქტში მყოფ და სხვა კრიზისულ სიტუაციებში აღმოჩენილ ბავშვებსა და მოზარდებს, ზოგჯერ კი – მთელ ოჯახებსაც.

ადაპტაციის ცენტრი ღია, რეზიდენტული ტიპის დაწესებულება იყო, იქ ბავშვები და მოზარდები სადღეღამისო მომსახურებით სარგებლობდნენ. ცენტრის მთავარი მიზანი გახლდათ მოკლევადიანი მომსახურების გაწევა შემდგომი რეფერირების მიზნით. ბავშვების ნაწილი საფუძვლიანი მომზადების შემდეგ გადადიოდა მისი მენტალიტეტის, ქცევის, გონებრივი და ფიზიკური განვითარების შესაბამის გრძელვადიან ინსტიტუციურ დაწესებულებაში. ვინაიდან ცენტრის აღსაზრდელთა უმეტესობას ანტისოციალური ქცევისადმი მიდრეკილება ჰქონდა, წამოიჭრა საკითხი, გამკაცრებულიყო ბენეფიციარების კონტროლი, ცენტრის შინაგანაწესს დამატებოდა პუნქტები, რომლებშიც მითითებული იქნებოდა შესაბამისი სასჯელი სხვადასხვა ტიპის დარღვევისთვის; დაცვის სამსახურს მიეღო ნებართვა, ტერიტორიაზე ყოველი შემოსვლისას შეემოწმებინა მოზარდები და მათი პირადი ნივთები; განმეორებითი დარღვევის შემთხვევაში მოზარდს აღარ უნდა შესძლებოდა ცენტრის მომსახურებით სარგებლობა. ფსიქოლოგებსა და სოციალურ მუშაკებთან კონსულტირების შემდეგ ცენტრის ადმინისტრაციამ უარი თქვა შეზღუდვების დაწესებაზე, ვინაიდან:

- აღნიშნული ღონისძიებები ბენეფიციარებისთვის მუქარისა და საფრთხის შემცველი იქნებოდა, გაზრდიდა მათ შფოთვის, შიშის, აგრესიისა და გაამაფრებდა ქცევით აშლილობებს, შესაძლოა გამოეწვია დათრგუნვილობის და უსუსურობის განცდა;
- გაძლიერებული კონტროლის პირობებში უკიდურესად გართულდებოდა ყოველგვარი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო აქტივობა;

- ბავშვებსა და მოზარდებს, რომლებსაც სტრესულ, მატრავმირებელ გარემოში ცხოვრების გამოცდილება აქვთ, ადამიანებისადმი უნდობლობა ახასიათებთ, რაც შესაძლოა უფრო გაღრმავებულიყო;
- თავშესაფარში დაბრუნების აკრძალვა მოზარდებისთვის იმ პერიოდში დაღუპვის რისკის ტოლფასი იყო;
- ცენტრის ბენეფიციარებს, რომლებიც ჩვეულნი იყვნენ უგულვებელყოფას, გარიყვას, არავითარი შეზღუდვა არ უკვირდათ. მათთვის გაცილებით უჩვეულო იყო მზრუნველ გარემოში ცხოვრება. ამიტომაც გახლდათ საჭირო მათთვის მზრუნველობასა და კონტროლზე დაფუძნებული გარემოს შექმნა.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, უარი ითქვა დამატებითი შეზღუდვების დაწესებაზე და აქცენტი ფსიქოსოციალურ და საგანმანათლებლო აქტივობებზე დაისვა. ცენტრმა და მისმა პერსონალმა თანდათან მოიპოვეს ყველაზე „რთული“ კატეგორიის ბავშვებისა და მოზარდების ნდობა. ეს ნდობა ისე გაიზარდა, რომ ბენეფიციარებს ცენტრში თანატოლებიც მოჰყავდათ, რომლებიც ღამეს ქუჩაში ან, საუკეთესო შემთხვევაში, ინტერნეტკაფეში ათევდნენ (იმ წლებში ეს ფართოდ გავრცელებული მანკიერი პრაქტიკა იყო – ბავშვები მთელი დღე სხვადასხვა გზით აგროვებდნენ ფულს, ღამით კი ინტერნეტკაფეში რჩებოდნენ და სკამზე ეძინათ). ბავშვები თანდათან დარწმუნდნენ, რომ ცენტრში მათ ყოველთვის მიიღებდნენ, შეიფარებდნენ, მოუსმენდნენ, მათ წუხილს გაიზიარებდნენ და მათ ფიზიკურ თუ ფსიქოსოციალურ უსაფრთხოებაზე იზრუნებდნენ. ნელ-ნელა საგრძნობლად გაიშვიათდა ტერიტორიის დაუკითხავად, უნებართვოდ დატოვება, თანატოლებისა და გარშემო მყოფების მიმართ აგრესიული ქცევა. აუტოაგრესიული (საკუთარი თავის წინააღმდეგ მიმართული) ქმედებები. შემცირდა ცენტრის მატერიალური ქონების განზრახ და გაუფრთხილებლობით დაზიანების შემთხვევებიც. მოგვარდა ბენეფიციართა მძიმე თუ ნაკლებად მძიმე სამედიცინო პრობლემები, მათ თანდათანობით შეიძინეს თვითმოვლისა და პირადი ჰიგიენის უნარ-ჩვევები.

მცირე ინფორმაცია ცენტრის ბენეფიციარებზე

იყვნენ ისეთი ბავშვებიც, რომლებთანაც განსაკუთრებული სიმწვავით იჩინათ თავი ადაპტაციის პრობლემებმა. ამის მიზეზი გახლდათ გადატანილი სტრესი, ძალადობა, სოციალური დეპრივაცია, ქუჩაში ხანგრძლივი ცხოვრების გამოცდილება.

მრავალფეროვანმა სტრესულმა სიტუაციებმა უარყოფითად იმოქმედა ბავშვების პიროვნულ განვითარებაზე. მათ დაზიანებული ჰქონდათ ნებელობითი სფერო და უჭირდათ, ასე ვთქვათ, ერთი მიმართულებით ფიქრი, ამროვნება ან მოქმედება თუნდაც მცირე ხნით. უჭირდათ საკუთარი მიზნისკენ მიმავალ გზაზე დაბრკოლებათა გადალახვა. ურთულესი აღმოჩნდა ზოგიერთი მათგანის ქუჩური და ქურდული მენტალიტეტის შეცვლა, ზოგ შემთხვევაში – პრაქტიკულად შეუძლებელიც კი.

ცხადია, ცენტრის ბენეფიციარი ბავშვები და მოზარდები, „რთული ბავშვებისთვის“ დამხასიათებელი თავისებურებებით გამოირჩეოდნენ. ცენტრის ფსიქოლოგის მიერ შედგენილი ფსიქოდიაგნოსტიკური სურათი ასეთი გახლდათ:

- მოზარდებს დარღვეული ჰქონდათ სოციალური ურთიერთობების უნარ-ჩვევები;
- გონებრივი განვითარების სხვადასხვა ხარისხის შეფერხება;
- უკიდურესად მძაფრი ან დაქვეითებული ემოციური რეაქციები;
- მოუსვენარი ძილი;
- დაღლილობის მუდმივი შეგრძნება;
- ინტერესთა სფეროს გაღარიბება;
- გუნება-განწყობის სწრაფი და უეცარი ცვალებადობა (განსაკუთრებით – ტოქსიკომან ბავშვებთან);
- ყველაფერს აფასებდნენ სარგებლიანობის პრინციპით;
- უჭირდათ სხვის (თუნდაც მეგობრის) მიმართ თანაგრძნობის გამოხატვა, თანამშრომლობა (ფეხბურთის თამაშის დროსაც ერჩინათ, ბურთი ბოლომდე თავად ეტარებინათ, ვიდრე თუნდაც მომგებიან პოზიციაში მყოფი თანაგუნდელისთვის გადაეწოდებინათ);
- მრავალჯერ გადატანილი ფრუსტრაციის გამო ადამიანების მიმართ ეჭვსა და უნდობლობას გამოხატავდნენ;
- უჭირდათ ემოციების მართვა და კონტროლი, ამის გამო ერთმანეთსა და გარშემო მყოფებთან ხშირად მოსდიოდათ კონფლიქტი. ეს სწორედ ის შემთხვევა იყო, როდესაც საქმე ეხებოდა ერთგვარ თავდაცვით რეაქციას, როგორც კრიზისთან გამკლავების მათეულ ფორმას. თავდაცვის ნებისმიერი ხერხის გამოყენება მათთვის ქცევის ნორმას წარმოადგენდა, რომელიც მათ საფრთხის შემცველ გარემოში გადარჩენასა და თვითდამკვიდრებაში ეხმარებოდა; აღმზრდელობითი სახის ღონისძიებების მიმართ გამოირჩეოდნენ განსაკუთრებული წინააღმდეგობის გაწევის სურვილით.

ფორმალური და არაფორმალური განათლება

როგორი იყო ცენტრში მოხვედრილი ბენეფიციარების საგანმანათლებლო საჭიროებები?

თავშესაფრის არსებობის განმავლობაში მისი მომსახურებით ისარგებლა 414-მა ბენეფიციარმა. მათ უმრავლესობას პედაგოგიური ჩამორჩენა აღენიშნებოდა. ნაწილს საერთოდ არ ჰქონდა სკოლაში სიარულის გამოცდილება, არ იცოდნენ წერა-კითხვა, ვერ ცნობდნენ ფერებს, უჭირდათ ანგარიში, მართივი არითმეტიკული და სააზროვნო ოპერაციების შესრულება (მაგალითად, სიტყვათა ჩამონათვალიდან ზედმეტი სიტყვის და სიტყვათა წყვილიდან საერთო ნიშნის გამოყოფა).

ცენტრში მუშაობდნენ საგანგებოდ მიწვეული დამხმარე პედაგოგები, რომლებიც ბავშვების სკოლისთვის მომზადებას ცდილობდნენ. თავშესაფრის არსებობის განმავლობაში განხორციელდა რამდენიმე საგანმანათლებლო პროექტი. მათ შორის, აღსანიშნავია ფონდ „ღია საზოგადოების“ მიერ დაფინანსებული პროექტი „განათლების მეორე შანსი“, რომლის ფარგლებშიც ბავშვები ითვისებდნენ და ეუფლებოდნენ სხვადასხვა დისციპლინას და გამოიშუაებდნენ ელემენტარულ სახელობო უნარ-ჩვევებს.

მიუხედავად დაბრკოლებებისა (პირადი და სასკოლო დოკუმენტების არარსებობა, საგანმანათლებლო პროცესის ხანგრძლივი წყვეტა), ბავშვების საჯარო სკოლაში ჩარიცხვა მაინც ხერხდებოდა. აქ სირთულეები თავს იჩენდა უმთავრესად იმ სტიგმის გამო, რომელსაც იწვევდა სკოლასა და თემში „ქუჩის ბავშვების“ ცნება. პედაგოგებს ძალიან უჭირდათ ცენტრის ბავშვებთან ურთიერთობა. მათ გავლილი ჰქონდათ ტრენინგი განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობის სპეციფიკის გასაცნობად, მაგრამ ეს ვერ ეხმარებოდა მათ მსგავსი კატეგორიის მოსწავლეებთან „გამკლავებაში“. მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ვერ ყალიბდებოდა ის ურთიერთობა, რომლის შედეგადაც პედაგოგი შეიძლებოდა გამხდარიყო ის მტკიცე საყრდენი, რომელიც უდავოდ სჭირდებოდათ ცენტრის აღსაზრდელებს. დაბალი თვითშეფასების მქონე „ქუჩის ბავშვებისთვის“ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მათ მიმართ ჰუმანური, პატივისცემასა და თანაგრძნობაზე დაფუძნებული დამოკიდებულება.

ამ გზავნილის მთავარ ადრესატებად იმ მასწავლებლებს მივიჩნივე, რომლებსაც დღესაც უწევთ „რთულ ბავშვებთან“ ყოველდღიური ურთიერთობა, რაც სრულიადაც არ არის ადვილი. ვფიქრობ, დღევანდელი პედაგოგები უფრო მეტად არიან აღჭურვილი შესაბამისი უნარ-ჩვევებით და იმედი მაქვს, მათი ძალისხმევით უფრო და უფრო გაიშვიათდება „რთული ბავშვების“ საგანმანათლებლო პროცესიდან განდევნის შემთხვევები.

„რთული“ მოზარდების ქცევითი თავისებურებები

რატომ და როგორ ხდებიან ბავშვები „რთულები“ ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, რისი ბრალია, რომ ბავშვის ქცევა ასაკთან ერთად „რთულდება“?

ეს საკითხი დააინტერესებთ „რთულ ასაკში“ მყოფ მოზარდებთან მომუშავე მასწავლებლებს და ოდნავ მაინც დაეხმარება მათ აღსაზრდელთა პრობლემების იდენტიფიცირებაში.

გარდატეხის ასაკის პრობლემების შესახებ ყველამ იცის. ყველას გაუგონია, რომ ამ დროს მოზარდს ქცევა ეცვლება. ის ხდება უფრო ჭიუტი, ხშირად – აგრესიული (განსაკუთრებით – უფროსების მიმართ), ზოგჯერ საკუთარ თავში იკეტება, ეცვლება ხასიათი და ინტერესთა სფერო, უჩნდება სწავლისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულება, რასაც განსაკუთრებით მძაფრად აღიქვამენ მასწავლებლები. აქვე მინდა დავამატო, რომ „რთული ასაკისთვის“ დამახასიათებელი თავისებურებები მხოლოდ იმ მოსწავლეებთან არ იჩენს თავს, რომლებსაც სწავლა უჭირთ. ამ ცვლილებებს განსაკუთრებით განიცდიან ბავშვების მშობლები, სოციალური და, რა თქმა უნდა, პედაგოგები.

„რთული ასაკი“ – „რთული ქცევა“

სიტყვათშეთანხმება „რთული მოზარდი“ ერთ-ერთი ყველაზე განუსაზღვრელი ტერმინია ბავშვის ასაკობრივი განვითარების ფსიქოლოგიაში. თავად მოზარდობის ასაკი თავისუფლად შეიძლება ჩაითვალოს პიროვნების განვითარების კრიზისულ სტადიად, ანუ ნებისმიერი მოზარდი „რთულია“ და ეს „სირთულე“ გამოიხატება საკუთარ თავსა და სხვებთან მიმართებაში.

ყველას მშვენივრად მოეხსენება, რომ ბუნებას განსაზღვრული კანონზომიერებები ახასიათებს. ასაკობრივი ცვლილებებიც პიროვნების განვითარების თანმხლები მოვლენაა. რაკი რთულ ასაკზე ვსაუბრობთ, უნდა ითქვას, რომ ეს არის პერიოდი, როდესაც მოზარდი ცდილობს მოიკრიბოს ძალა საკუთარი, ზრდასრული, მშობლებისა და მასწავლებლებისგან დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის. საყოველთაოდაა ცნობილი ისიც, რომ ამ დროს მოზარდის

ორგანიზმში მნიშვნელოვანი ჰორმონული ძვრები მიმდინარეობს და ეს ყველაფერი გავლენას ახდენს განცდების გამოხატვის ინტენსივობაზე.

მაინც რა ხდება ამ დროს?

„რთულ ასაკში“ მყოფ არასრულწლოვნებს შშობლები და მასწავლებლები ხშირად თავხედებად და უტიფრებად მიიჩნევენ. ამ პერიოდში ისინი მართლაც გამომწვევად იქცევიან, არად დაგიდევენ უფროსებს, იზრდება მათი ეგოცენტრულობა და განვითარების განსაზღვრულ დონეს მიღწეულებს, მიაჩნიათ, რომ აღარ სჭირდებათ გადაჭარბებული მეურვეობა უფროსების მხრიდან.

ასეთი ქცევის შინაგანი, ქვეცნობიერი მოტივი ის არის, რომ მოზარდები ამ პერიოდში გაცილებით მგრძნობიარეები ხდებიან, ვიდრე მანამდე იყვნენ. ისინი ხომ ამ დროს ყველაზე მნიშვნელოვან დანაკარგს განიცდიან – ბავშვობას კარგავენ. ბავშვობა კი, როგორც ცნობილია, უსაფრთხოება, კომფორტი და უფროსების უპირობო სიყვარულია.

შშობლები და ხშირად მასწავლებლებიც ბავშვისთვის ყოვლისშემძლე, ყოვლისმცოდნე „ჯადოქრები“ არიან, რომლებსაც შეუძლიათ მისი ყველა სურვილის შესრულება, მისთვის სიმშვიდისა და სტაბილურობის გარანტიის მიცემა. ბავშვის ფსიქიკისთვის ეს აუცილებელია, რადგან სწორედ ამაზეა დამოკიდებული მისი შემდგომი პიროვნული ზრდა-განვითარება.

ამ ე.წ. რთულ ასაკს ფსიქოლოგები მოზარდის მიერ ღირებულებათა გადაფასების პერიოდს უწოდებენ.

მაინც რა ხდება ამ დროს?

16. იწყება იმედგაცრუება, რომელიც წყენასა და გაუცხოებაში გადაიზრდება ხოლმე. რეალობა ის არის, რომ ბავშვის ცხოვრებაში ყოველთვის ხდება ისეთი რამ, რაც მას უფროსების მიმართ უპირობო ნდობასა და პატივისცემას აკარგვინებს.
17. მე-ს ჩამოყალიბების ამ ერთ-ერთ ყველაზე რთულ პერიოდში ბავშვი მუდამ ეძებს დამნაშავეებს და ისინი ყოველთვის მის გარშემო მყოფი უფროსები არიან, რომელთაც აუცილებლად შეეშლება რაღაც და „ჩასაფრებულ“ მოზარდს უჩნდება განცდა, რომ ის მოატყუეს, ამიტომ სამყაროს უსამართლობასა და არასრულყოფილებაზე იწყებს ფიქრს.

18. მოზარდს ეჩვენება, რომ მართო დარჩა მშობლების, მასწავლებლების და სხვა უფროსების ჭკუის დამრიგებლური, „არაფრისმომცემი“ რიტორიკის პირისპირ.
19. ბავშვი იწყებს ფიქრს, როგორ გაართვას თავი ამ პრობლემებს. ასეთ ფიქრებთან მართო დარჩენილ მოზარდს ეშინია, რადგან ქვეცნობიერად მაინც აეჭვებს საკუთარი შესაძლებლობები.

ამ დროს არასრულწლოვნები ყველასა და ყველაფერს კრიტიკის თვალით უყურებენ. შესაძლოა, სასოწარკვეთილებაც კი დაეუფლოთ. ამ პერიოდში ხომ მოზარდებს ყველაზე მეტად სხვებზე „დომინირება“ სურთ, უნდათ, მათი „ძლიერება“ ყველამ დაინახოს და სათანადოდ დააფასოს.

საკითხის მცოდნე სპეციალისტების, მზრუნველი მშობლებისა და ყურადღებიანი მასწავლებლებისთვის ცნობილია, რომ გარდატეხის ასაკში მოზარდების „რთულ ქცევას“ ხშირად თავდაცვითი მექანიზმი უდევს საფუძვლად. მაგალითად, ბავშვები გამომწვევი ქცევით უპირისპირდებიან მასწავლებლის მიერ მათ მიმართ საჯაროდ გამოთქმულ შენიშვნას და წყენას, რომელსაც განიცდიან, როდესაც პედაგოგები ყურადღებას არ აქცევენ მათ „მიღწევებს“; სამაგიეროდ, უხვად არიგებენ შენიშვნებს, საყვედურებს, გაფრთხილებებს. ყველა ფსიქოლოგი აღნიშნავს, რომ მოზარდი შეურაცხყოფად აღიქვამს ამას და უმძაფრდება განცდა, რომ ის ყველაზე უარესი, უმაქნისი და უუნაროა.

გარდატეხის ასაკი ის პერიოდია, როდესაც მოზარდს ყველაზე მეტად სჭირდება გაგება და მისთვის მნიშვნელოვანი ადამიანების მხარდაჭერა. მას აღარ სურს, პატარად აღიქვამდნენ, ცდილობს, მოიპოვოს გარშემო მყოფთა პატივისცემა და დაარწმუნოს ისინი, რომ უკვე შესწევს უნარი, მიიღოს დამოუკიდებელი გადაწყვეტილებები და საკუთარ საქციელზე პასუხი აგოს.

მოზარდებს უნდათ, მხარი აუბან სოციალური მოთხოვნებს და, იმავდროულად, საკუთარი მოთხოვნილებებიც დაიკმაყოფილონ, მაგრამ ეს ორი რამ ყოველთვის ვერ თანხვდება ერთმანეთს, ამიტომ მოზარდებს ჰგონიათ, რომ თავად არიან „ცუდები და არასრულყოფილები“.

ყველაზე ხაზგასასმელი კი სწორედ ეს წინააღმდეგობრივი და ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავი განცდებია, რომლებიც მოზარდის ფსიქიკაში დულს. უფროსები აუცილებლად უნდა ესაუბრონ მას ამ განცდებსა და ემოციებზე. ეს დაამშვიდებს აფორიაქებულ მოზარდს, მიახვედრებს, რომ უფროსებისთვის მნიშვნელოვანია მისი როგორც სერიოზული გადაწყვეტილებები, ისე ემოციური და პიროვნული მომენტებიც.

რამდენიმე რეკომენდაცია

მიღებულია, რომ ფსიქოლოგები არ უნდა იძლეოდნენ პირდაპირ, იმპერატიულ რჩევებს; ისინი მხოლოდ ერთგვარი რეკომენდაციებით შემოიფარგლებიან. ბოლო ხანს მასწავლებლებმაც საქართველოში მრავალი სავალდებულო და ნებაყოფლობითი ტრენინგი გაიარეს. ტრენინგების თემატიკა მრავალფეროვანი იყო, მოიცავდა სწავლებისა და განვითარების პედაგოგიურ-ფსიქოლოგიურ თეორიებს, კლასის მართვის თანამედროვე სტრატეგიებს და სხვა. ამიტომ სასურველია:

- გამოიყენოთ მოსწავლეებთან ურთიერთობისას საკუთარი პედაგოგიური ცოდნა-გამოცდილება; თქვენთვის ცნობილია, რომ თანმიმდევრულები უნდა იყოს აღსაზრდელებთან და კარგად გააცნობიეროთ, რას ითხოვთ მათგან, რათა მოსწავლესთან უსარგებლო ომში არ აღმოჩნდეთ ჩაბმული და არ დამარცხდეთ.
- გაიხსენოთ, რომ შესანიშნავად იცით, რომ მოზარდს რთულ ასაკში ახასიათებს ერთგვარი ემანსიპაციის რეაქცია ანუ ქცევის ტიპი, რომლის მეშვეობითაც უფროსების (განსაკუთრებით – მასწავლებლების) გადაჭარბებული მზრუნველობისგან თავის დაღწევას ცდილობს. მოზარდები ანგრევენ სტერეოტიპებს, ეჭვ- ეჭვში აყენებენ „მამების იდეალებს“, ძველი ავტორიტეტების დისკრედიტაციას ახდენენ. სწორედ ასეთ კრიტიკულ სიტუაციებში გმართებთ თანაგრძნობა, მოთმინება, გაგება და საკუთარი პროფესიონალიზმის მაქსიმალურად გამოყენება.
- გამოიყენოთ ტრენინგებზე მიღებული უნარ-ჩვევები. გაიხსენოთ დამხმარე ლიტერატურა, რომელსაც უხვად გაეცანით და რომლის დახმარებითაც გაცილებით ადვილად გაუმკლავდებით ცოტა ხნის წინ დამჯერი მოწაფეების „სამწუხარო“, მაგრამ დროებით ცვლილებებს.

რატომ ხდება მოზარდი რთული

ბავშვების აღზრდის შესახებ უამრავი რამ დაწერილა. მინდა, ერთი საინტერესო სტატიის თარგმანი შემოგთავაზოთ. მისი ავტორია რუსი ფსიქოლოგი ევგენია დუნაევა, რომელიც მრავალი წელია რუსეთში, ფსიქოლოგიური დახმარების ერთ-ერთ რესურსცენტრში მუშაობს ძნელად აღსაზრდელ ბავშვებსა და მოზარდებთან და მათი ოჯახის წევრებთან.

შესავალი

როგორები არიან ეს „რთული“ მოზარდები? – ისინი გამომწვევად იცვამენ, უსმენენ „საშინელ“ მუსიკას, გამუდმებით ითხოვენ ფულს და არაფრად აგდებენ ახლობლების გრძნობებს. ცუდად სწავლობენ, შეუძლიათ, მამა სიგიჟედ მიიყვანონ, დედას ცრემლები აღვრევიან, ბებიას ინფარქტი დამართონ. მათ არ სურთ თქვენი აზრის მოსმენა და, მით უმეტეს, გათვალისწინება. რაც მთავარია, სულაც არ მიაჩნიათ, რომ შეცდომას უშვებენ და არც მის გამოსწორებას აპირებენ.

„რთული მოზარდი“ – ეს არის არასრულწლოვანი, რომლის მშობლებმაც აღზრდის პროცესში უამრავი სტრატეგიული და ტაქტიკური შეცდომა დაუშვეს. იმისთვის, რომ ნათელი გახდეს, რა კავშირია აღზრდასა და ბავშვის „რთულ“ ქცევას შორის, წარმოგიდგენთ მარტივ სქემას.

მოზარდები „რთულები“ ხდებიან, როდესაც:

- მშობლების მოთხოვნები არ შეესაბამება შვილების ასაკს.
- მშობლები ბევრის უფლებას აძლევენ შვილებს და ცოტას სთხოვენ.
- მშობლები ცოტა თავისუფლებას აძლევენ შვილებს და ბევრს ითხოვენ მათგან.
- მშობლების დამოკიდებულება ბავშვების მიმართ არ შეესაბამება მათ ასაკს:
- მიაჩნიათ, რომ მათი შვილი ჯერ კიდევ პატარაა და შესაბამისად ექცევიან.

- მიაჩნიათ, რომ მათი შვილი უკვე დიდია და მას, ფაქტობრივად, ბავშობიდანვე ექცევიან როგორც ზრდასრულს, რომელსაც უკვე საკმაო ცხოვრებისეული გამოცდილება აქვს დაგროვებული.
- მშობლები ხშირად ეუბნებიან შვილს, რომ ყველაფერი, რასაც წარმოადგენენ და რაც აქვთ (და, რა თქმა უნდა, თავად შვილიც), მათი საკუთრებაა. ამით მშობლები შვილს ართმევენ უფლებას, იცხოვროს საკუთარი ცხოვრებით, იყოს დამოუკიდებელი პიროვნება, ჰქონდეს გრძნობები და, რაც მთავარია, ცხოვრებაში საკუთარ, თუნდაც მცირე წარმატებას მიაღწიოს.
- მშობლები მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, მაქსიმალურად დააკმაყოფილონ შვილის მატერიალური მოთხოვნილებები და ყურადღების მიღმა რჩებათ მოზარდთან სულიერი, თბილი, მეგობრული ურთიერთობის დამყარების აუცილებლობა.
- მშობლები ცდილობენ, შვილი გაიზარდოს მათ „იდეალურ მედ“, გახდეს ისეთი, როგორადაც თავად ვერ მოახერხეს გახდომა. რაც ყველაზე უარესია, მშობლებს ხშირად სწორედ ის, მათ მიერვე შექმნილი „იდეალური შვილი“ უყვართ, რასაც ბავშვები ქვეცნობიერად გრძნობენ და მძიმედ განიცდიან.
- მშობლების აღზრდის სტილი არათანამიმდევრულია.
- ოჯახში არ არსებობს მკაფიო წესები. მაგალითად, გაუგებარია, რისთვის შეიძლება დასაჯონ შვილი და რისთვის შეაქონ. ხშირად ეს მშობლის ერთგვარ ხუმტურზეა დამოკიდებული.
- ოჯახში აღზრდის, მინიმუმ, ორი წესი მოქმედებს: ერთი – მამის, მეორე – დედის, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდება.
- ოჯახში არის გარკვეული წესები, მაგრამ ისინი სპონტანური და არათანამიმდევრულია: დასჯიან შვილს, მერე კი ბოდიშებს უხდიან, ეფერებიან და საჩუქრებსაც კი სჩუქნიან.

მოზარდები „რთულები“ ხდებიან, რათა:

- მიიქციონ ყურადღება. არ აქვს მნიშვნელობა, საზოგადოებისთვის მისაღები თუ მიუღებელი ქცევისთვის:
- თუ ბავშვობაში მშობლები ყურადღებას აკლებდნენ
- ან ჰიპერყურადღების გარემოში ამყოფებდნენ, რის გამოც მოზარდს ჩამოუყალიბდა სიყვარულის, ეგრეთ წოდებული, უსასრულო (ნევროზული) მოთხოვნილება.

- დაიცვან საკუთარი უფლება, იყვნენ მშობლებისგან დამოუკიდებელი პიროვნებები, მოიპოვონ საკუთარი თავის პატივისცემა და მოახერხონ თვით-დამკვიდრება.

მოზარდები „რთულები“ ხდებიან მას შემდეგ, რაც:

- მშობლები მთელ თავისუფალ დროსა და ძალ-ღონეს ახარჯავენ შვილს, ის მათი ცხოვრების ერთადერთი საზრისი და ნათელი წერტილია ცხოვრების ლაბირინთში.
- მშობლები საკმარის დროს არ უთმობენ შვილთან ურთიერთობას, მასთან საუბარს, აზრებისა და გრძნობების გაცვლა-გამოცვლას. ასეთ ოჯახებში თავაზიანი, მაგრამ ცივი ურთიერთობებია დამკვიდრებული და ემოციების ღიად გამოხატვა არ არის მიღებული.
- მშობლებს ერთმანეთთან აშკარა ან ფარული კონფლიქტი აქვთ, ამიტომ ვერ აღწევენ თანხმობას, რათა შვილთან თანამიმდევრული და პრინციპული ურთიერთობა დაამყარონ.

მოზარდები „რთულები“ ხდებიან, რადგან:

- შვილების აღზრდისას მშობლები გამუდმებით არღვევენ აღზრდის ძირითად წესებსა და პრინციპებს.
- ოჯახში, სადაც რამდენიმე ბავშვია, მშობლები უმცროსი და უფროსი შვილების მიმართ ხშირად აღზრდის სრულიად სხვადასხვა მიდგომებს იყენებენ.
- ხშირად მშობლები არასერიოზულად ეკიდებიან აღზრდას როგორც ასეთს, ვინაიდან მიაჩნიათ, რომ ბავშვი ისედაც იღებს „საჭირო დარიგებებს“ საბავშვო ბაღში, სკოლაში, მეგობრების წრეში და ა.შ.

მოზარდები „რთულები“ ხდებიან მას შემდეგ, რაც:

- მშობლები განქორწინდებიან და ერთმანეთთან ძალიან ცუდი ურთიერთობა აქვთ.
- მშობლები შვილთან „თავისმართლების“ ფორმად ირჩევენ მეორე მშობლის ხარჯზე საკუთარი ავტორიტეტის შენარჩუნებას.
- მშობლები დანაშაულის გრძნობის საბაბით თავს არიდებენ შვილთან ურთიერთობას.
- ბავშვი იზრდება არასრულ ოჯახში—მხოლოდ დედასთან, მამასთან ან სულაც ბებიასთან და არ იცის რას ნიშნავს სხვადასხვა სქესის ადამიანთა სრულფასოვანი თანაცხოვრება.

შეუძლიათ თუ არა ფსიქოლოგებს დახმარება „რთული“ მოზარდების პრობლემის მოგვარებაში? რა თქმა უნდა, შეუძლიათ, მაგრამ მხოლოდ მაშინ, თუ ამაში მათთან ერთად აქტიურად ჩაერთვებიან მოზარდის მშობლებიც.

ოჯახების კონსულტირების მრავალწლიანმა გამოცდილებამ დამარწმუნა, რომ ბავშვები მშობლების შეცდომების ანარეკლები არიან. ჩემს პრაქტიკაში, ფაქტობრივად, არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ მოზარდის ქცევა ისე, თავისთავად გამხდარიყოს „რთული“. მშობლები, განურჩევლად იმისა, აცნობიერებენ თუ ვერა, ყოველთვის „დამნაშავენი“ არიან, რადგან:

- ბავშვი იზრდება ჰიპერმზრუნველობის გარემოში, სადაც ყველა სურვილს უმაღვე უსრულებენ;
- არ აქვს მშობლებთან სრულფასოვანი ემოციური კონტაქტი;
- იზრდება მეტისმეტად მკაცრ გარემოში და მისი დასჯის მეთოდები არ შეესაბამება საცდელს;
- იზრდება არასრულ ოჯახში, მეტწილად – ბებიასთან.

არ არსებობს ბავშვის პრობლემა ოჯახის პრობლემისგან განცალკევებით. ბავშვები არ არიან ავტონომიურები, ამიტომ მათი დახმარება მშობლების აქტიური ჩართულობის გარეშე შეუძლებელია. მას შემდეგ, რაც მშობლები გააცნობიერებენ საკუთარ როლს, მოზარდის ქცევის კორექცია გაცილებით ადვილი გახდება.

ბავშვის ბუნების ფენომენი და აღზრდის პრობლემები

თბილისის ერთ-ერთი სკოლის დაწყებითი საფეხურის პედაგოგებთან და აღმზრდელებთან შეხვედრის დროს საუბარი წარიმართა 6-9 წლის ბავშვების განვითარების ასაკობრივ თავისებურებებზე. მასწავლებლები და აღმზრდელები ამ ასაკიდანვე აწყდებიან სერიოზულ სირთულეებს, როგორც ბავშვებთან ურთიერთობისას, ასევე მათ სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესში. საუბარში პედაგოგებმა რამდენიმე „რთული“ შემთხვევა აღწერეს. ისინი ცდილობდნენ მიეღოთ პასუხები საკუთარ შეკითხვებზე:

- რომელი ასაკიდან ხდებიან ბავშვები „რთულები“?
- რატომ ხდება, რომ მათ მიერ დახარჯული ძალისხმევა ზოგ შემთხვევაში სრულიად უშედეგოა?

„რთული“ მოზარდების კატეგორია საკმაოდ ფართო და მრავალგვარია. ამ კატეგორიას ზოგადად მიაკუთვნებენ ბავშვებსა და მოზარდებს, რომლებთანაც მშობლებს, აღმზრდელებსა და მასწავლებლებს უჭირთ მუშაობა. უფროსები ფიქრობენ, რომ ასეთ ბავშვებთან ოჯახში თუ საკლასო ოთახში მისაღები ქცევის ნორმების შესახებ ბრძნულ საუბრებს აზრი არ აქვს. გარშემო სოციალური დარწმუნებულია, რომ ასეთი ბავშვები ჯიუტი, თავნება, უყურადღებო, გონებაგაფანტული, ზარმაცი, ზოგ შემთხვევაში აგრესიული და უმართავებიც კი არიან.

და მაინც ცხოვრების რომელი პერიოდიდან უყალიბდება ბავშვს ისეთი თვისებები, რომლებიც აფიქრებინებს ზრდასრულ ადამიანებს, რომ ისინი „რთული“ ქცევის არიან? ფსიქოლოგების უმრავლესობა დიდი ხანია შეთანხმდა, რომ ბავშვის პიროვნება ხუთი წლის ასაკისათვის უკვე ფორმირებულია. ფართოდ გავრცელებულია ის მოსაზრებაც, რომ ხუთი წლის შემდეგ ბავშვის აღზრდაში დაშვებული სერიოზული შეცდომების გამოსწორება ძალზე რთულია. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ასევე არსებობს მოსაზრება, რომ არასწორი და არაადეკვატური აღზრდის სტილის მიუხედავად, ბევრი ბავშვი ზრდასრულ

ასაკში ყალიბდება დამოუკიდებელ, ძლიერ პიროვნებად და აღწევს გარკვეულ წარმატებას პროფესიულ კარიერასა და პირად ცხოვრებაში.

„რთულ“ ბავშვებთან, მოზარდებთან, ახალგაზრდებთან, მათი ოჯახის წევრებთან მუშაობის ჩემი მრავალწლიანი პრაქტიკული გამოცდილების შედეგად ვემხრობი მოსაზრებას, რომ მიზეზები, რომელთა გავლენითაც ბავშვების ქცევა „რთულის“ კატეგორიას მიეკუთვნება, განპირობებულია ალბრადში სულ მცირე ასაკიდანვე დაშვებული შეცდომებით.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მშობლობა ყველაზე რთული და საპასუხისმგებლო მოვალეობაა. ახალგაზრდა მშობლებს არავინ ასწავლის და არც ტრენინგებს უტარებს. როდესაც ოჯახში პატარა ჩნდება მაშინვე მის ფიზიკურ ჯანმრთელობასა და კეთილდღეობის უზრუნველყოფაზე გადადის მთელი ძალისხმევა. რამდენი გრამი შეჭამა; კბილები ხომ დროზე ამოუვიდა; სიარული როდის დაიწყო; ავად ხომ არ გახდა.... და უამრავი მსგავსი საზრუნავი.

შვილი წამოიზარდა, საჭიროა საბავშვო ბაღში შეყვანა. აქ ოჯახში ახალი საზრუნავი ჩნდება: როგორი ბავშვი იქნება? ისეთი, სადაც კვება დაბალანსებული თუ „ინგლისურს“ ასწავლიან განსაკუთრებული ხერხებით? ზეიმებზე აუდიოჩანაწერებს ხომ აკეთებენ? აბა როგორ, სოციალურ ქსელში მისი ვიდეო არ უნდა დაიდოს?

შემდეგი ეტაპი – „კარგი“ სკოლის შერჩევა. როგორ ირჩევენ დღეს მშობლები სკოლას? ჩემი დაკვირვებით ოჯახების უმრავლესობა საკუთარი ნაცნობებისა და მეგობრების რჩევა-დარიგებას მისდევს. და არჩევანიც გაკეთებულია, სკოლაში გაძლიერებულად ისწავლება უცხო ენები, ფუნქციონირებს სხვადასხვა დამატებითი სპორტული და შემეცნებითი, ე.წ. „წრეები“. მშობელი კმაყოფილია. სად არის აქ ბავშვის საუკეთესო ინტერესები? რომელმა მშობელმა სცადა საკუთარ პატარას დალაპარაკებოდა და ისე მიეღო გადაწყვეტილება? ჩვენს კულტურაში ბავშვები, მშობლების არარეალიზებული სურვილების რეალიზების „ინსტრუმენტი“. ბავშვს გამუდმებით ესმის უფროსებისგან: „მშობლების იმედები გაგემართლებინოს. მასზე კარგად არავინ იცის, შენთვის რა არის საუკეთესო“. განა ბევრია ისეთი ოჯახი, რომელიც საკუთარი შვილის შესაძლებლობებს ობიექტურად აფასებს?

მაგრამ მივუბრუნდეთ დასაწყისში ჩემ მიერ ნახსენებ სკოლას, რომელიც კერძო სკოლებს შორის ერთ-ერთ საუკეთესო სასწავლებლად ითვლება და რომლის მეორე კლასშიც სწავლობენ ის „რთული“ ბავშვები.

შეფიქრიანებულ მასწავლებლებთან პრობლემაში უფრო სიღრმისეულად გარკვევის შემდეგ აღმოჩნდა, რომ:

- ერთ ბავშვს მშობლები არ ჰყავს (უცხოეთში არიან სამუშაოდ წასულები), მას ბებია ზრდის;
- მეორის ოჯახში დიდი არეულობაა, მშობლები გაყრის პროცედურას აწარმოებენ;
- მესამის მშობლები დაძაბული სამუშაო გრაფიკის შემდეგ სახლში ძალიან დაღლილები მიდიან და ბავშვთან კონტაქტს თითქმის ვერ ახერხებენ;
- მეოთხეს სულ ახლახან პატარა ძამიკო შეეძინა და ამიტომ დარწმუნებულია, რომ ის მშობლებს ისე ძალიან აღარ უყვართ;
- მეხუთეს ძალიან „მზრუნველი“ მშობლები ჰყავს და ახლახან ბოლო თაობის მობილური და პლანშეტი უყიდეს. ის დარწმუნებულია, რომ ყველა მისი სურვილი ყოველთვის უნდა ასრულდეს;
- მეექვსეს უფროსი დაიკო ჰყავს, რომელიც სწავლაში წარჩინებულია და ყველა „წრებზე“ დადის. დედიკოს უნდა, რომ მანაც იაროს იმავე წრეებზე და თანაც უფრო მეტად წარმატებული იყოს. მას კი სულ სხვა სურვილები აქვს;
- მეშვიდე ბავშვის მშობლები გარკვეულწილად აცნობიერებენ საკუთარი შვილის ქცევით პრობლემებს. მაგრამ დარწმუნებული არიან, რომ „გაიზრდება და თავისთავად გადაუვლის“, რადგან მის ასაკში თავადაც ცელქები და ჯიუტები იყვნენ, მაგრამ ახლა წარმატებული ადამიანები არიან;
- მერვეს მშობლები თვლიან, რომ ბავშვი ზედმეტად არ უნდა აკონტროლო და შეზღუდო, ამიტომ ის მთელ თავისუფალ დროს ხან ტელევიზორთან და ხანაც კომპიუტერთან ატარებს.

ალბათ მიხვდით, რომ ამ ჩამონათვალის გაგრძელება კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ სათქმელი, ვფიქრობ, ისედაც ნათელია: მასწავლებლებს ძალიან უჭირთ ასეთ კლასში საგანმანათლებლო პროცესის წარმატებით წარმართვა და მაქსიმალური შედეგის მიღება.

ბავშვები სკოლაში ოჯახებიდან მიდიან და შესაბამისად მათ უკვე გავლილი აქვთ აღზრდის ოჯახური სტილის სპეციფიკური „კურსი“. საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ ადამიანის ძირითადი პიროვნული თვისებები სწორედ ოჯახში ყალიბდება. რაც არ უნდა კვალიფიციური პროფესიონალი პედაგოგი შეხვდეს სკოლაში ბავშვს, რომელსაც უკვე გარკვეული წარმოდგენა აქვს

სიკეთესა და ბოროტებაზე, გამომუშავებული აქვს საკუთარი პოზიტიური და მავნე ჩვევები, ძალიან გაუჭირდება ცვლილებების შეტანა მის ღირებულებათა სისტემაში.

საინტერესოა სინამდვილეში რატომ „იწებებენ“ ბავშვები მცირე ასაკიდანვე „რთული“ ბავშვის იარღილს? ჩემი ფიქრით იმის მიზეზი, რომ მათ თავად ძალიან უჭირთ, ოჯახში არსებული ფსიქოლოგიური კლიმატია. ეს გასაჭირი კი სწორედ სწავლის დასაწყის ეტაპებზე იჩენს თავს. მიზეზთა გამო, მათ ეწყებათ სწავლისა და ქცევის პრობლემები, უძნელდებათ კლასში არსებული სასწავლო ტემპისთვის ფეხის აწყობა, ზოგადად ნებისმიერი დავალების წარმატებულად შესრულება. მაგრამ არსებობენ წარმატებული „რთული“ მოსწავლეებიც, მათთვის ადვილია სასწავლო პროგრამის დაძლევა. სამაგიეროდ, მათ უჭირთ თანატოლებთან და უფროსებთან ურთიერთობა.

ბავშვებთან მომუშავე დაკვირვებული პერსონალი ხედავს, რომ ზოგიერთი ბავშვი თანატოლებს ფიზიკურ განვითარებაში ჩამორჩება, ზოგი პირიქით, სწრაფი ტემპით ვითარდება. ზოგიერთი გონებრივი განვითარების შენელებული ტემპით ხასიათდება, ზოგიერთი, პირდაპირ, ვუნდერკინდია. ზოგი მათგანი უფროსების უგულებელყოფის, ზოგიც ჰიპერმზრუნველობის მსხვერპლია. ზოგი საერთოდ ცდილობს ყველაფრით გამორჩეული და სრულიად ორიგინალური იყოს. ამით იმის თქმა მინდა, რომ უფროსი „სირთულის“ უამრავ ნაირსახეობას ხვდება და ნებისმიერი მათგანი ყურადსაღებია.

რა ტიპურ შეცდომებს უშვებენ მშობლები ალზჰაიმერის პროცესში:

- ბავშვის ინტერესებისა და სურვილების გაუთვალისწინებლობა;
- ჰიპერმზრუნველობა/ჰიპერმეურვეობა, რაც აფერხებს ბავშვის დამოუკიდებელ პიროვნებად ჩამოყალიბებას;
- აქცენტის გადატანა ბავშვის ფიზიკურ განვითარებაზე, პიროვნული განვითარების სერიოზულობის გაუცნობიერებლობა;
- ბავშვის მიღწევების გადამეტებულად შეფასება;
- არარეალისტური მომენტების დასახვა, რამაც მომავალში შესაძლებელია მას თვითშეფასება დაუქვეითოს;
- სხვა ბავშვებთან გამუდმებული შედარება: „ნახე, შენი თანატოლი ნინიკო უკვე ინგლისურად ლაპარაკობს, შენ კი ერთი ლექსიც ვერ დაიმასხოვრე“, „შენზე პატარა გიორგიმ გამრავლების ტაბულა უკვე გეპირად იცის, შენ კი ჯერ სწავლაც არ დაგიწყია“....

დimitრი უზნაძეს მიაჩნია, რომ „აღმზრდელი ვერ მიაღწევს თავის მიზნებს, თუ არ ჩასწვდება ბავშვის ბუნებას“. ხშირ შემთხვევაში, მშობლები ბავშვებთან ურთიერთობისას საკუთარი მიზნებით ხელმძღვანელობენ და ცდილობენ, მიზანს მბრძანებლური, ჭკუის დამრიგებლური დამოკიდებულებით მიაღწიონ.

როგორ მოიქცეს მშობელი და მასწავლებელი?

- „დაივიწყეთ“ საკუთარი საქმეები და პრობლემები, რათა შეძლოთ ბავშვის პრობლემის დანახვა/გაცნობიერება;
- შეეცადეთ, შეხედოთ ბავშვების პრობლემებს ბავშვის თვალით. მას ხომ ჩვენზე მეტად უჭირს პრობლემასთან გამკლავება;
- თუ არ გავარკვევთ მიზეზებს, რატომ უჭირს ბავშვს, ვერ მოვახერხებთ მათ აღმოფხვრას და ბავშვის დახმარებას;
- არ იფიქროთ სხვა „მსუბუქ“ ბავშვებზე. ბავშვების აღზრდის პროცესი – ყოველთვის რთულია, მიუხედავად საუკეთესო პირობებისა, რომელშიც შეიძლება იმყოფებოდეს ბავშვი;
- არ ჩავარდეთ პანიკაში და არ იფიქროთ, რომ გამოუვალ მდგომარეობაში ხართ. არ შეაფასოთ ბავშვი, როგორც „ცუდი/გამოუსწორებელი“, მხოლოდ იმიტომ, რომ ის გარკვეულ შეცდომებს უშვებს;
- მნიშვნელოვანი რჩევა, რომელსაც ყველა ფსიქოლოგი და ბავშვების აღზრდის პრობლემებზე მომუშავე სპეციალისტი აუცილებელ პირობად მიიჩნევს: მშობლებმა, აღმზრდელებმა, უახლოესმა სოციალურმა და მასწავლებლებმა უნდა ითანამშრომლონ და თანამიმდევრულად უნდა იმოქმედონ ბავშვთან ურთიერთობისას.

„რთული“ ქცევის მქონე შვილისა და მოსწავლის მშობლობა და მასწავლებლობა არ არის გადაულახავი პრობლემა, მით უმეტეს მათთვის, ვინც ამას აცნობიერებს. ფსიქოლოგები მიიჩნევენ, რომ პრობლემის მოგვარების სწორი გზის დასახვისათვის აუცილებელი წინაპირობა ამ პრობლემის გაცნობიერებაა.

აღზრდის შეცდომები

- ორი წლის დათუნა ჯერ გამართულად ვერ ლაპარაკობს და თანაც დედის კომ შენიშვნა, რომ ბავშვი ბოლო პერიოდში ზედმეტად შფოთავს, ამიტომ დედამ შვილი სპეციალისტებთან კონსულტაციაზე წაიყვანა. დათუნას არავითარი პრობლემა არ აღმოაჩნდა.
- სამწლიანხევრის ნინოს ბებოს მეგობარმა წიგნი აჩუქა. ნინომ ფერადი ნახატებით ლამაზად გაფორმებული და სპეციალურად მისი ასაკის ბავშვებისათვის გამოცემული პატარა ფორმატის წიგნი მეორე დღესვე საბავშვო ბაღში გაარბენინა. მასწავლებელს გაბრწყინებული სახით გადასცა და სთხოვა მას ხმამაღლა წაეკითხა, რათა მის მეგობრებსაც მოესმინათ. მასწავლებელმა კითხვა დაიწყო და რამდენიმე წუთში წიგნი ნინოს საშინლად უკმაყოფილო სახით დაუბრუნა, თან მკაცრად გააფრთხილა: „ასეთი სულელური წიგნი აღარ მოიტანო, დედაშენს უთხარი მომავალში კარგად შეარჩიოს წიგნი, რომელსაც აქ გამოგატანს“.
- ნატა საბავშვო ბაღის აღსაზრდელია, ის ხუთი წლისაა და ამიტომ წინასასაკოლო მზაობის სპეციალურ ჯგუფშია ჩართული. ბაღის აღმზრდელი ნატას დედას მუდმივად აფრთხილებს: „თქვენი შვილი სხვებივით ბეჯითი და მოწადინებული არ არის, ის ვერც დიდი ნიჭით დაიკვებინის, მას სწავლას თამაში ურჩევნია, ამიტომ სახლში ბევრი უნდა ამეცადინოთ“.
- გიორგი ექვსი წლისაა, ის თბილისის ერთ-ერთი საჯარო სკოლის პირველი კლასის მოსწავლეა. სასწავლო წლის დასაწყისში მასწავლებლები მუდმივად უკმაყოფილო იყვნენ მისი ქცევით. დედა ყოველ დღე საყვედურებს ისმენდა მასწავლებლებისაგან: „გიორგი ძალიან ცელქია. სულ ცდილობს საკუთარი ამრების და სურვილების გატანას, საკუთარი უპირატესობის წარმოჩენას. არავის არაფერს უთმობს. ამიტომ ძალიან გთხოვთ, მიხედეთ, ასწავლეთ, როგორ უნდა მოიქცეს სკოლაში, თორემ თანდათან სულ წავა ხელიდან და ვეღარ მოვერევით ვერც თქვენ და ვერც ჩვენ“.
- შვიდი წლის მარიამმა წერა-კითხვა უკვე ისწავლა. მაგრამ მას წიგნების კითხვა არ უყვარს. ოჯახი და მასწავლებლები ძალიან შეწუხებული არიან.

ისინი ცდილობენ, როგორმე შეაყვარონ მარიამს წიგნების კითხვა. მაგრამ ბავშვი სულ წინააღმდეგობას უწევს უფროსებს. ის ფიქრობს, რომ არ უნდა ასრულებდეს მათ თხოვნებს, რადგან მათგან არასდროს მიუღია თხოვნა-ზე ადეკვატური პასუხი.

- საბა ოჯახში ერთადერთი შვილია. მას ბოლო მოდელის მობილური ტელეფონი და პლანშეტი აქვს. ის გამორჩეულ კერძო სკოლაში დადის. მამიკოს მძლოლი ემსახურება. გაძლიერებულად სწავლობს ინგლისურს. დადის სპორტზე. ოჯახში მუდმივად ნერვიულობენ საბას გამო. ეშინიათ, რამე ცუდი არ შეემთხვეს. აკონტროლებენ მის ყოველ ნაბიჯს („რა ვიცით, რა ხდება, ეშმაკს არასდროს სძინავს“). სკოლაშიც მუდმივად ყურადღების ცენტრშია და მასწავლებლების განუწყვეტელი მეურვეობის ქვეშ იმყოფება.

დარწმუნებული ვარ მკითხველს ეცნო სიტუაციები, რომლებიც შესაძლებელია თავადაც კი გადახდა თავს, რადგან შეცდომები, რომლებსაც აღზრდის პროცესში უფროსები უშვებენ, ბევრ შემთხვევაში ტიპურია და სამწუხაროდ, არცთუ ისე იშვიათი.

სავარაუდოდ, ყველა უფროსი, მშობელი იქნება ის, ბაღის მასწავლებელი თუ სკოლის პედაგოგი, ცდილობს იყოს კარგი აღმზრდელი. თითოეული მათგანი საკუთარი შეხედულებების, სურვილების, ღირებულებათა სისტემის შესაბამისად ცდილობს ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესის მართვას.

დათუნას დედა, ძალიან ყურადღებიანი მშობელია. ის ხშირად უსმენს სხვადასხვა ტელეგადაცემებს ბავშვთა აღზრდისა და განვითარების შესახებ. ამიტომ შვილს მუდმივად აკვირდება, ეშინია, რამე არ გამოეპაროს, პატარას დავალებებს აძლევს, ცდილობს მის ალაპარაკებას. კონსულტაციაზე ფსიქოლოგმა აუხსნა, რომ დათუნა მისი ასაკისათვის სრულიად ნორმალურად ვითარდება. აი, დედიკოს და ოჯახის წევრების საგანგებო, გაძლიერებული ყურადღება, დაძაბულობა და შფოთვა კი მასზე ნეგატიურად აისახება და ბავშვი თავადაც ჭირვეული და გაღიზიანებულია.

ამდენად, მშობელი ხშირ შემთხვევაში მისდა უნებურად ახდენს **საკუთარი შიშების, ფობიების, ბავშვზე პროეცირებას**, რის გამოც მისი შვილი შფოთავს, წუხს, ერღვევა ისედაც მყიფე შინაგანი წონასწორობა.

მშობლები და მასწავლებლები ერთმანეთს მხარს უბამენ და გიორგის გამოსწორებას იწყებენ. მთელი ოჯახი მკაცრად აკონტროლებს მისი მეცადინე-

ობების გრაფიკსა და დროს. დედა მუდმივად ცდილობს, აღარ დაიმსახუროს მასწავლებლის შენიშვნა. შვილს უფრო დამჯერ და ნიჭიერ თანაკლასელებს ადარებს, რომლებმაც გიორგიზე მეტი იციან და მასზე კარგად იქცევიან სკოლაში. შედეგად გიორგი, უფრო ჯიუტი, უფრო დაძაბული გახდა. ის ცდილობს, სკოლა რაც შეიძლება ხშირად გააცდინოს და ხელიდან არ უშვებს ნებისმიერ ხელსაყრელ მომენტს, რათა ბეჯით თანაკლასელებს დასცინოს.

ნინო სახლში ძალიან ნაწყენი დაბრუნდა და ბებოს უთხრა, რომ მისი მეგობრის მიერ ნაჩუქარი წიგნის გამო მასწავლებელმა მკაცრად გააფრთხილა და ბავშვებმა დასცინეს. ბებომ შვილიშვილის მასწავლებლის გამო აღშფოთება ვერ დამალა და ნინოს თანდასწრებით სერიოზულად გააკრიტიკა მისი აღმზრდელის გემოვნება, განათლების დონე და ბავშვებთან სწორად მოქცევის უნარი. ნინო ძალიან დაბნეულია, ის გაჭირვებულა და ითხოვს, რომ ბაღში აღარ წაიყვანონ ან სხვაგან გადაიყვანონ. ბებია, თავის მხრივ, ატყობს შვილიშვილს, რომ ის ხშირად იბუტება და ბებოს უწინდებურად აღარ ენდობა.

ნინოს შემთხვევა, ვფიქრობ, ასევე ტიპურია და ნათლად მიგვანიშნებს, რომ ბავშვების **ოჯახები და მათი აღმზრდელები შეთანხმებულად უნდა მოქმედებდნენ**. უფროსებს აუცილებლად თანამიმდევრული, მკაფიოდ ჩამოყალიბებული მიდგომები უნდა ჰქონდეთ შემუშავებული ბავშვების აღზრდის პროცესში. ისინი უნდა გახდნენ პარტნიორები და თანამოაზრეები. აუცილებელია უფროსებმა მოახერხონ ერთმანეთთან ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული ურთიერთობების აგება.

ხუთი წლის არცთუ ისე „ნიჭიერი“ ნატას დედა მთელი დღე მუშაობს და ნატას სამეცადინოდ ვერ იცლის. არადა, ბაღში მასწავლებელი დავალებებს აძლევს. დაღლილი და შეწუხებული დედა ხშირად ადანაშაულებს ნატას, რომ ის სხვებთან შედარებით ნაკლებად ბეჯითია და სწავლას თამაში ურჩევნია. შედეგად ნატას და დედას ბოლო პერიოდში ურთიერთობები ვეღარ ეწყობათ. დედა გამუდმებით საყვედურობს, ადანაშაულებს – ასე ფიქრობს ბავშვი და ცდილობს სულ ბებოსთან იყოს. ბებო მას სამართლიანად ექცევა და ზედმეტადაც არ უჯავრდება სიზარმაცისა და ლექსების დაზეპირების ნაცვლად თოჯინებით თამაშის სურვილის გამო.

ნატას შემთხვევაშიც შეცდომა სწორედ ბავშვის მიმართ წაყენებულ შეუსაბამოდ გაზრდილ მოთხოვნაში მდგომარეობს. გამოდის, რომ უფროსები აღზრდის პროცესში საკმაოდ ხშირად **გადაჭარბებულ მოთხოვნებს** უყენებენ ბავშვებს და შემდეგ ბრაზობენ, როდესაც ისინი მათ მოთხოვნებს ვერ ასრულებენ.

აი კიდევ ერთი შეცდომა: ხშირად, უფროსები ბავშვებს **უსამართლო ბრალდებებს** უყენებენ. და არ ცდილობენ საკუთარი უსამართლობის გამოსწორებას, ბოდიშის მოხდას, რადგან უფროსებმა ხომ ბავშვებზე უკეთ იციან, რა სჭირდებათ მათ პატარებს.

მარიამის გარშემო შემოკრებილ უფროსებს ძალიან უკვირთ, რატომ არის ბავშვი ასეთი ჯიუტი და რატომ არასდროს ასრულებს მათ თხოვნებს.

უფროსებს ავიწყდებათ, რომ ხშირად სულ მარტივ ყოფით **სურვილებსაც კი არ უსრულებენ** ბავშვებს. ალბათ, ბევრისთვის ნაცნობია სიტუაცია, როდესაც მამა სახლში დაღლილი მივიდა და სწორედ მაშინ სთხოვს მას შვილი, ველოსიპედის დაშვებული საბურავის გაბერვას; საჭმლის კეთებით გართულ ბებოს პატარა ზღაპრის წაკითხვას სთხოვს; სიმღერის წრეზე სამი წლის გოგონას არ აინტერესებს გაკვეთილი, ის კარადაში ჩაკეტილი სათამაშოს გამოღებას ითხოვს; კომპიუტერის ეკრანთან მოკალათებულ დეიდას დისშვილი სასეირნოდ წაყვანას სთხოვს....

ნუთუ საბასაც პრობლემები აქვს? დიახ, მას ძალიან უჭირს დამოუკიდებლად მეცადინეობა, ამიტომ ბავშვს სახლში სპეციალურად მოწვეული პედაგოგი დამატებით ამეცადინებს. მიუხედავად ამისა, საბა მუდმივად შფოთავს, ის არასდროს არის დარწმუნებული, რომ ნებისმიერი ტიპის დავალებას კარგად შეასრულებს. მას ყოველთვის ეჭვი ეპარება საკუთარი ქმედებების სისწორეში. საბას მიაჩნია, რომ კლასში ყველაზე ჩამორჩენილი მოსწავლეა და ამის გამო დაბალი თვითშეფასება ჩამოუყალიბდა.

საბას მზრუნველი უფროსების მთელი არმია ახვევია გარს, მაგრამ ის მაინც არ არის საკუთარ თავსა და შესაძლებლობებში დარწმუნებული ბედნიერი ნებიერა. **ჰიპერმეურვეობა და მზრუნველობა** ერთ-ერთი შეცდომათაგანია, რომელიც ზოგ შემთხვევაში უგულვებელყოფის ტოლფას კვალს ტოვებს ბავშვის ფსიქიკაზე.

მსგავსი მაგალითების მოტანა უსასრულოდ შეიძლება. ეს სწორედ ის მაგალითებია, რომლებიც გვახსენებს, რომ უფროსებს ზოგჯერ უძნელდებათ, ზოგჯერ დრო არ ჰყოფნიან, ზოგჯერ შესაბამისი რესურსი არ აქვთ და ზოგჯერ სულაც ეზარებათ ბავშვების თხოვნების შესრულება. მათ ხომ ყოველთვის საპატიო მიზეზი აქვთ: ისინი დაიღალნენ; საკუთარი საქმე აქვთ და თანაც გადაუდებელი; მათ არ შეუძლიათ დაარღვიონ მუშაობის გრაფიკი თუნდაც მცირე ხნით; სამაგიეროდ, არასოდეს ავიწყდებათ საყვედურები და მითითებების გაცემა. არ ეზარებათ, გამუდმებით მიუთითონ ბავშვებს შეცდომებზე, უსაყვე-

დურონ და აკრძალვები დაუწესონ. უფროსები მუდმივად რაღაცას ითხოვენ უმცროსებისგან: საჭმელი არ დატოვო, გაკვეთილები მოამზადე, თბილად ჩაიცვი, დროზე დაწეი დასაძინებლად, არ დაიგვიანო, კომპიუტერი გამორთე და სწავლა დაიწყე. ეს ყველაფერი კარგად ნაცნობია და მსგავს სიტუაციებს ხშირად შევსწრებივართ.

მაგრამ რამდენად ხშირია უფროსების მხრიდან:

- მოზარდთან ერთად წიგნის კითხვა, მხატვრული ფილმის ნახვა, მის ავტორთანობაზე საუბარი;
- თავისუფალი დროის ერთად გატარება;
- უბრალოდ გულითადი საუბარი ან სულაც უსიტყვოდ მოსმენა;
- ბავშვების წინაშე საკუთარი შეცდომების აღიარება და მათთვის ბოდიშის მოხდა არასწორი საქციელის გამო?

რა შეცდომები მოგვდის ბავშვებთან ურთიერთობისას

რუსი ფსიქოლოგის, იულია გიკანარიძის წიგნის „როგორ უნდა ბავშვთან ურთიერთობა“-ს მიხედვით

ბავშვებთან ურთიერთობისას ბევრს მოსდის შეცდომა. მშობლები და მასწავლებლები ხშირად საუბრობენ სირთულეებზე, რომლებსაც ამ დროს აწყდებიან. გთავაზობთ მასალას, რომელშიც ბავშვებთან ურთიერთობის თანმხლები ტიპური შეცდომებია განხილული.

- 1. ბრძანება:** „ახლავე შეწყვიტე!“, „ახლავე ააღაგე!“, „ახლავე წადი დასაძინებლად!“, „გაჩუმდი!“, „ასეთი სისულელე მეორედ აღარ გამაგონო!“
ასეთი კატეგორიული მოთხოვნის გაგონებისას ბავშვს ჰგონია, რომ მშობლებს არ სურთ, მის პრობლემებს ჩასწვდნენ. ის განიცდის მისი დამოუკიდებლობის მიმართ უპატივცემულობას.
- 2. გაფრთხილება, მუქარა:** „თუ ახლავე არ შეწყვეტ ტირილს, წავალ და მიგატოვებ!“, „ფრთხილად იყავი, უარესი არ დაგემართოს!“, „თუ ასეთი რამ განმეორდა, საკუთარ საქციელზე პასუხს აღარ ვაგებ!“, „თუ შინ დროზე არ დაბრუნდები, მეორედ არსად გაგიშვებ!“
მშობლებო, იქნებ თქვენს შვილს მძიმე პერიოდი უდგას? ამ დროს თქვენს მუქარას აზრი ეკარგება. ასეთი გამოთქმები უარესად ძაბავს ბავშვის სულიერ მდგომარეობას და შესაძლოა, ჩიხშიც კი შეიყვანოს სიტუაცია.
- 3. ჭკუის სწავლება, მორალის კითხვა:** „ვალდებული ხარ, წესიერად მოიქცე“, „უფროსებს პატივი უნდა სცე“, „კარგად უნდა ისწავლო“, „ჩვენი იმედი უნდა გაამართლო“.
ასეთი ფრაზებისგან ბავშვი ახალს ვერაფერს ისწავლის – ისინი ხომ უკვე ასჯერ მაინც მოუსმენია. სამაგიეროდ, გრძნობს უფროსების ავტორიტეტის ზეწოლას, ზოგჯერ დანაშაულის განცდა იპყრობს, ხანდახან მოყირჭების განცდა უჩნდება, უფრო ხშირად კი ყველაფერ ამას ერთდროულად განიცდის.
საქმე ის არის, რომ მორალური ღირებულებები და ქცევა ბავშვს უყალიბდება არა სიტყვებით, არამედ ოჯახში სათანადო ატმოსფეროს ხელშეწყობით და უფროსების შესაბამისი ქცევის მოდელირებით (მიბაძვით).

4. **რჩევები, მზამზარეული გადაწყვეტილებები:** „შენც აიღე და თქვი...“; „რატომ არ გინდა, სცადო?“; „მიმანია, რომ ბოდში უნდა მოუხადო“; „მე რომ შენს ადგილას ვყოფილიყავი, აუცილებლად სამაგიეროს გადავუხდიდი“ მშობლების და, საზოგადოდ, უფროსების ასეთი პოზიცია ბავშვს აღიზიანებს და, რაც ყველაზე უარესია, უქრობს სურვილს, მომავალში უფროსებს საკუთარ პრობლემებზე ესაუბროს.

მიუხედავად იმისა, რომ რჩევა-დარიგების მიცემა უფრო ადვილია, უნდა დავაცადოთ ბავშვს, თავად მიიღოს გადაწყვეტილება – ეს დამოუკიდებლობისკენ მისი გასავლელი გზაა.

5. **ლოგიკური არგუმენტები, ნოტაციები, ლექციები:** „უკვე უნდა იცოდე, რომ ჭამის წინ ხელების დაბანაა საჭირო“; „მუდამ უყურადღებო ხარ და ამიტომ სულ შეცდომას უშვებ“; „რამდენჯერ გაგაფრთხილე, თუ არ დამიჯერებ, მერე საკუთარ თავს დააბრალებ–მეთქი“.

აქ ბავშვები უფროსებს პასუხობენ: „თავი დამანებე!“; „რამდენჯერ უნდა მითხრა ერთი და იგივე?“ ამ დროს, საუკეთესო შემთხვევაში, წარმოიქმნება „შინაარსობრივი ბარიერი“ ან, როგორც ფსიქოლოგები ამბობენ, ფსიქოლოგიური სიყრუე.

6. **კრიტიკა, საყვედურები, ბრალის დადება:** „რას ჰგავს ეს, რა უმსგავსოაა?!“; „სულ ტყუილად მქონია შენი იმედი“; „ყველაფერი შენი ბრალია!“; „ყოველთვის ყველაფერს აფუტებ!“

აღბათ, უკვე მზად ხართ დაგვეთანხმოთ, რომ ასეთ ფრაზებს არავითარი აღმზრდელობითი ფუნქცია არ გააჩნია. ისინი ბავშვებში ან თავდაცვით რეაქციას, საპასუხო თავდასხმას, უარყოფას, გაბოროტებას იწვევს, ან დათრგუნვილობის, იმედგაცრუების გრძნობას. ბავშვის თვითშეფასება ეცემა, ის იწყებს ფიქრს, რომ ცუდია, უნებისყოფო, უიმედო, უიღბლო.

7. **ქება:** ყოველივე იმის შემდეგ, რაც უკვე ვთქვით, დარწმუნებული ვარ, ძალიან გაგაკვირვებთ რეკომენდაცია, არ შეაქოთ ბავშვი. მინდა, კარგად ავხსნა განსხვავება ქებასა და წახალისებას ან ქებასა და გამამხნეველ გამოხმაურებას შორის. ქებაში ყოველთვის არის შეფასების მომენტი: „ყოჩაღ, შენ პირდაპირ გენიოსი ხარ!“; „შენ ყველაზე ლამაზი, ჭკვიანი და ნიჭიერი ხარ!“; „შენ ისეთი მამაცი ხარ, არაფერს უშინდები!“ ნაცვლად ამისა, უმჯობესია თქვათ: „გამიხარდა, ასე რომ მოიქეცი“.

შვილი: „მე ხომ მართლა ძალიან ცუდად გამოვედი შეჯიბრებაზე!“

მამა: „მე ასე არ მომიგონებია. პირიქით, მომეწონა კიდეც (და უნდა ჩამოვ–

თვალთ, რა მოგვეწონა)“. ნაცვლად ამისა, მშობლები ამბობენ: „რას ამბობ, შენ, როგორც ყოველთვის, ბრწყინვალე იყავი“.

8. **ირონია:** „მტირალა“, „უქნარა“, „ზარმაცი“, „მშიშარა“. ასეთი შეფასებები ბავშვის ჩვენგან გარიყვის და საკუთარი თავის რწმენის შესუსტების საუკეთესო გზაა. ასეთ დროს ბავშვები, როგორც წესი, იბუტებიან და თავდაცვით პოზიციაში გადადიან.

9. **ინტერპრეტაციები, ვარაუდები:** „დარწმუნებული ვარ, ისევ მატყუებ“; „ეჭვი არ მეპარება, ეს ყველაფერი იმიტომ მოხდა, რომ...“; „როგორც ყოველთვის, ისევ იჩხუბებდი“

უფროსები ხშირად უმეორებენ ბავშვებს: „კარგად გიცნობ და წინასწარ ვიცი, რას იფიქრებ და რას გააკეთებ“. ასეთი ვარაუდები ბავშვებს ძალიან აბრაზებს. მართლაც, რომელ ჩვენგანს მოსწონს, როდესაც მისი ქცევა ნაწინასწარმეტყველები და გათვლილია? ასეთ დროს ან თავდაცვითი რეაქცია ჩნდება, ან სურვილი, საერთოდ გავექცეთ ურთიერთობას.

10. **ჩაძიება, გამოძიება:** „ძალიან მაინტერესებს...“; „მაინც რა მოხდა? ხომ იცი, გავარკვევ“; „ისევ გააბრაზე უმცროსი ძმა?“; „რატომ ხარ ჩუმი?“ მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ძნელია „გამოძიებისგან“ თავის შეკავება, მაინც გირჩევთ, კითხვითი წინადადებები თხრობითით შეცვალოთ.

11. **სიტყვიერი თანაგრძნობა, დარწმუნება, დანამუსება:** ბავშვებს თანაგრძნობა სჭირდებათ, ეს უდავოა, მაგრამ მაინც არსებობს რისკი, ისეთმა ფრაზებმა, როგორებიცაა „თანაგრძნობა“, „მესმის შენი“, ზედმეტად ფორმალურად გაიჟღეროს, ამიტომ იქნებ სჯობს, ხანდახან არაფერი ვთქვათ, უბრალოდ, გულში ჩავიკრათ ბავშვი.

„არ მიქციო ყურადღება“, „გაიზრდები და გაგივლის“, „დრო გავა და დაგავიწყდება“ –სავსებით შესაძლებელია, ასეთი გამხნევება ბავშვმა მისი პრობლემისადმი არასერიოზულ დამოკიდებულებად აღიქვას. მას არ უნდა ეგონოს, რომ ცდილობთ დააკნინოთ ან საერთოდ უგულებელყოთ მისი დარდი.

12. **ხუმრობა, საუბრისთვის თავის არიდება:**

„შვილი: მამა, იცი, ვერ ვიტან ქიმიას, ამ საგნისა არაფერი მესმის.

მამა: ქიმიის სიყვარულშიც კი მე მგაგხარ“.

შვილის პრობლემა მამისთვის ხუმრობის საგანია...

„თავი დამანებე!“, „ახლა შენი თავი არ მაქვს“, „შენმა წუწუნმა გული გამიწყალა!“ – ამ ფრაზებზე რაღა უნდა ითქვას?

როდესაც მშობლები ეცნობიან მათ მიერვე წარმოთქმული ფრაზების ამ გრძელ სიას, შეწუხებულები წამოიძახებენ ხოლმე: „ეს არ შეიძლება, ის შეცდომაა, ასე არ უნდა უთხრა“... „აბა, რა შეიძლება?!“

მშობლები განერვიულებულები და შეფიქრიანებულები არიან.

თურმე აქამდე ყველაფერი არასწორად უკეთებიან, მაგრამ ძნელია, გადაევიო სისხლსა და ხორცში გამჯდარ დამრიგებლურ ფრაზებს, შენიშვნებს, გაფრთხილებებს.

ფსიქოლოგი: ესე იგი გიჭირთ საჭირო ფრაზების შერჩევა?

მშობლები: აბა რა, ისინი ხომ ჩვენთვის სრულიად უჩვეულოა. ნეტავ არ შეიძლება, ისევ ძველებურად გავაგრძელოთ?

ფსიქოლოგი: ისევ ძველებურად საუბარი გირჩევნიათ?

მშობლები: დიახ!.. თუმცა არა. ვხვდებით, რომ ეს სიკეთის მომტანი არ არის!

აქ სასარგებლო იქნება ერთი შედარება:

წარმოიდგინეთ, რომ ადამიანს არასდროს უნახავს ველოსიპედი და უცებ შესაფასებლად მიუტანეს ორი სხვადასხვა ტიპის კონსტრუქცია. რომელს მიანიჭებს უპირატესობას? რა თქმა უნდა, სამბორბლიანს. რატომ? იმიტომ, რომ ადვილად და სწრაფად ისწავლის მის ტარებას და თავს კომფორტულად იგრძნობს. ორთველიანი ველოსიპედის უპირატესობა მისთვის მანამდე გაუგებარი დარჩება, სანამ მის შესასწავლად დროსა და ენერგიას არ დახარჯავს.

ბავშვებისადმი მბრძანებლური, დამრიგებლური, საყვედურის კილოთი მიმართვაც ხომ დასწავლილი და დროთა განმავლობაში შესისხლხორცებული მდგომარეობაა, ისევე როგორც დიდი ხნის შეჩვეული ძველებური მოდელის მანქანის მართვა.

მთელი მსოფლიოს ფსიქოლოგებმა დიდი ძალისხმევა გაიღეს, რათა „კონსტრუქცია“ გაუმჯობესებინათ და დახმარებოდნენ მშობლებს, ესწავლათ „უკეთესი“ მანქანის „მართვა“.

ბავშვთან ურთიერთობების ახალი უნარ-ჩვევების შეძენის მცდელობას საფუძვლად უდევს ჰუმანური პრინციპები:

- ბავშვის პიროვნების პატივისცემა;
- მისი სურვილებისა და გრძნობების პატივისცემა;
- შეცდომის უფლების დადასტურება;
- ბავშვის საჭიროებათა გათვალისწინება;
- მუდმივ ჭკუის სწავლებასა და კონტროლზე უარის თქმა.

შეკითხვები ფსიქოლოგს

ყველა ბავშვი ინდივიდუალურია, ყველა – მშობელი/აღმზრდელი/მასწავლებელი განსხვავებული. ყველა ბავშვს აქვს შეკითხვა, რომელსაც ფსიქოლოგს უსვამს.

1. **პირველკლასელი სალომე:** „უკვე მთელი წელია სკოლაში დავდივარ. კარგია, მომწონს, მაგრამ მაინც ძალიან მინდა, არდადეგები მალე დაიწყოს“.

ფსიქოლოგი: „რატომ?“

სალომე: „დილით ადრე აღარ გავიღვიძებ და რასაც მინდა იმას გავაკეთებ, თორემ სულ ვმეცადინეობ და ვმეცადინეობ“.

სალომეს ძალიან მოსწონს სკოლაში სიარული. ის ფსიქოლოგთან საუბარში აღნიშნავდა, რომ უყვარს სკოლა, მასწავლებლები, თანაკლასელები, მაგრამ სანამ სკოლაში სიარულს დაიწყებდა, არ ეგონა, რომ ამდენი უნდა ემეცადინა. სალომეს თამაში ენატრება და თუ ადრე ერთი სული ჰქონდა, „დიდი გოგო“ გაზრდილიყო და სკოლაში წასულიყო, ახლა ხანდახან ნანობს, რომ ისევ პატარა არ არის და საბავშვო ბაღში აღარ დადის. აქ უდავოა, საქმე გვაქვს ისეთ სკოლასთან, სადაც ბავშვებს გადაჭარბებული რაოდენობის დავალებებს აძლევენ. ყოველ შემთხვევაში სალომეს სიტყვებიდან ასეთი დასკვნის გამოტანა შეიძლება. ამ ასაკში ბავშვები ხომ ძალიან სუბიექტურები არიან და ვერაფრით აფასებენ სასკოლო პროგრამის ნიუანსებსა და თავისებურებებს. სალომესთან საუბარმა კიდევ ერთ მნიშვნელოვან გარემოებაზე უნდა დაგვაფიქროს. კერძოდ, სკოლაში მიყვანამდე მშობლებმა, შვილს მისთვის გასაგებ ენაზე უნდა აუხსნან, რას ნიშნავს სკოლაში სიარული, რა შეიცვლება მის ცხოვრებაში, რა ახალი მოვალეობები და პასუხისმგებლობები დაეკისრება.

2. **პირველი კლასის დამრიგებელი:** „სასწავლო წელი თითქმის დამთავრდა. ჩემი მოსწავლეები ძალიან კარგები არიან, მაგრამ მათი მშობლები ვერაფრით დამშვიდდნენ, მოდიან, სულ პრეტენზიები აქვთ. გამუდმებით

საყვედურობენ პედაგოგებსა და აღმზრდელებს. მათ ადამიანი ვერაფრით ასიამოვნებს. რა ვქნა, როგორ მოვიქცე?”

თანამედროვე სკოლებში მშობლებთან ურთიერთობის სახეს, რაოდენობასა და ხანგრძლივობას სკოლის შინაგანაწესი უნდა არეგულირებდეს, რაც თავად სკოლის ადმინისტრაციის პასუხისმგებლობაა და მის შესახებ მშობლები სასწავლო წლის დასაწყისშივე უნდა იყვნენ ინფორმირებული. მასწავლებლის შეშფოთება, ვფიქრობ გადაჭარბებულია და საქმისადმი მცდარი მიდგომის შედეგია. მშობლებისათვის სიამოვნების მინიჭება, არ უნდა იყოს მასწავლებლის ფიქრის საგანი. თუ ის მაღალი პროფესიონალიზმით და კომპეტენტურობით გამოირჩევა, მას არ ექნება მშობლებთან ურთიერთობის დაბალანსების პრობლემა და საკუთარი შვილებისადმი ჰიპერმზრუნველი და გულგრილი დამოკიდებულების მქონე მშობლებიც კი თანაბრად სწორად შეაფასებენ მის კვალიფიკაციას.

3. **მეორეკლასელი სანდროს მშობელი:** „ჩემი ბიჭი ჯერ მხოლოდ მეორე კლასშია. მისი დამრიგებელი სულ მეუბნება, რომ ის ძალიან ცელქია და სკოლაში ქცევის წესებს არ ემორჩილება. გამუდმებით ვწერავთ, ასეთი პატარაა და ვერ ვიმორჩილებ. შემდეგ წლებში რაღა იქნება?“

ვფიქრობ, მეორეკლასელი ბავშვები სწორედ „ცელქები“ უნდა იყვნენ. აქ სავარაუდოდ პრობლემა სანდროს კლასის მასწავლებლებს აქვთ, რომლებიც სათანადოდ ვერ ფლობენ კლასის მართვის თანამედროვე ტექნიკებს. კლასში ქცევის წესების შემუშავებისა და მათი დაცვის პასუხისმგებლობა ხომ პედაგოგის პროფესიონალიზმის მაჩვენებელია.

სანდროს მშობელი, ყურადღებიანი და მზრუნველია, ის ცდილობს მუდმივად საქმის კურსში იყოს, ხშირად ესაუბრება კლასის დამრიგებელს და ითვალისწინებს მის შენიშვნებს. ის ცდება, როცა ფიქრობს, რომ შვილი უნდა ემორჩილებოდეს და უაპელაციოდ ასრულებდეს უფროსების მოთხოვნებს. ბავშვის აღზრდისადმი ასეთი მიდგომა და დამოკიდებულება, მართლაც, ხშირ შემთხვევებში ვერ ამართლებს და ასაკის მატებასთან ერთად სანდრო უფრო მეტად ეცდება საკუთარი შეხედულებისამებრ მოიქცეს და ნაკლებად „მართული“ იყოს. აღზრდის პროცესში შედეგიანია ბავშვებთან თანამშრომლობითი და ნდობაზე დამყარებული ურთიერთობები. ასეთ გარემოში აღზრდილი მოზარდები ყოველთვის პატივისცემას და სიყვარულს გასცემენ უფროსების მისამართით. ფსიქოლოგია, რა თქმა უნდა, ადასტურებს, რომ ამ შემთხვევაშიც შესაძლებელია, ე.წ. გარდატეხის

ასაკში ბავშვის მხრიდან ქცევითი ცვლილებები, მაგრამ ასეთ შემთხვევებს გამონაკლისის სახე აქვს და ისინი გაცილებით ნაკლები სიმძაფრითაა გამოხატული.

4. **მეორეკლასელი ლუკას დედა:** „ჩემი შვილის სკოლაში ბავშვებს სახლში დავალებებს თითქმის არ აძლევენ. დამრიგებელი გვეუბნება, რომ ბავშვებს ადგილზე ამეცადინებს და სახლში დავალების მიცემა საჭირო არ არისო. რა ვიცი, ცოტა დაძაბული ვარ. ასე მგონია, ვერ ვაკონტროლებ ჩემი შვილის სასკოლო მიღწევებს. მაინტერესებს, სწორია თუ არა ეს მიდგომა?“

დაწყებით საფეხურზე, ე.წ. საშინაო დავალებების არმიცემა, ვფიქრობ, თანამედროვე მიდგომებს სრულად ეხმაურება. ბავშვზე კონტროლი და ზრუნვა მუდმივად უნდა იყოს დაბალანსებული. სავარაუდოდ, მზრუნველი მშობელი ადვილად მიხვდება, რამდენად კარგად ვითარდება პიროვნულად და ინტელექტუალურად მისი შვილი, აქვს თუ არა მას სწავლისადმი ინტერესი და ხალისით დადის თუ არა თქვენ მიერ შერჩეულ სკოლაში.

5. **მესამე კლასის დამრიგებელი:** „იცით რა? მე ჩემს კლასში პრობლემები არ მაქვს. ბავშვები გაკვეთილზე ხელს არ მიშლიან, წყნარად სხედან, სანამ არ შევეკითხები, ხმას არ იღებენ. სამაგიეროდ, სხვა გაკვეთილებიდან ზოგჯერ ხმაური გამოდის. ყველას ერთად უნდა საკუთარი ამრის გამოთქმა და ვფიქრობ, რომ ახალგაზრდა პედაგოგები ვერ არიან მოწოდების სიმაღლეზე, სათანადო სიმკაცრეს ვერ იჩენენ“.

იმავე კლასის უცხო ენების პედაგოგები: „კლასში ძალიან განსხვავებული ხასიათების, ოჯახური მდგომარეობისა და პედაგოგიური უნარების მქონე ბავშვები მოხვდნენ. ჩვენ ვცდილობთ სწავლა-სწავლების სხვადასხვა ტექნიკების გამოყენებას. ხშირად ჯგუფურ მუშაობას ვატარებთ, რათა განსხვავებული შესაძლებლობების ბავშვები საკლასო მუშაობაში ჩაერთონ. ამით გარკვეულ შედეგებს ვაღწევთ, თუნდაც, ნაკლებად ნიჭიერ ბავშვებთან. რაც შეეხება დისციპლინას, მიგვაჩნია, რომ, ამ მხრივ, რამე განსაკუთრებული სირთულეები კლასთან არ გვაქვს“.

ადვილი მისახვედრია, რომ ამ კლასში სრულიად განსხვავებული პედაგოგიური უნარ-ჩვევების მქონე მასწავლებლები შედიან და სასწავლო გარემოც განსხვავებულია. სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომები მართლაც ახალისებენ გაკვეთილზე განსხვავებული აქტივობების გამოყენებას. აქ, სავარაუდოდ, უფრო მეტად დასაფიქრებელია იმ ბავშვების ბედი, რომლებიც აღზრდაში ამ ორი განსხვავებული მიდგომის მქონე მას-

წავლელის კლასში სწავლობენ. მოსწავლეებზე აუცილებლად აისახება ის ფარული ანტაგონიზმი, რომელიც დამრიგებელსა და საგნის მასწავლებლებს შორის ჩამოყალიბდა. აუცილებელია, კლასში თანამიმდევრული, ერთიანი აღზრდისა და გაკვეთილების ჩატარების სისტემის არსებობა.

6. **მეოთხეკლასელი გუგას მამა:** „ჩემი ბიჭი ძალიან ნიჭიერია, მაგრამ ზარმაცი. მეც ზუსტად ასეთი ვიყავი მის ასაკში და არ მიმაჩნია ეს დიდ ტრაგედია. გაიზრდება და მაინც ისწავლის, რაც მოუნდება. მთავარი ნიჭია. ხომ მეთანხმებით?“

ერთმნიშვნელოვნად არა, რადგან ნიჭი, რომელსაც შრომისმოყვარეობა არ ახლავს, დიდი ალბათობით, ვერ განვითარდება. ეს ჭეშმარიტება, ვფიქრობ ყველასათვის ცნობილია. აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ „გაიზრდება და მაინც ისწავლის“ ასევე, მცდარი შეხედულებაა, რადგან სწავლა ეს არის უნარ-ჩვევა, რომელსაც ძალიან მცირე ასაკიდან სჭირდება ჩამოყალიბება და მუდმივი შენარჩუნება. სხვა მხრივ, ზრდასრულ ასაკში პრაქტიკულად შეუძლებელია მისი გამომუშავება.

7. **10 წლის ლიკას დედა:** „ჩემს გოგონას, საერთოდ არ უყვარს წიგნების კითხვა. მხოლოდ გაკვეთილებს მეცადინეობს და შემდეგ კომპიუტერთან მის მთელი საღამო. რა ვქნა? ძალიან შეწუხებული ვარ.“

ვფიქრობ, ეს პრობლემა მეტ-ნაკლებად ნაცნობია ყველა იმ ოჯახებისათვის, სადაც ბავშვები იზრდებიან. წიგნების კითხვის ჩვევა ეს ის უნარია, რომელიც მშობელმა ბავშვს ადრეული ასაკიდან უნდა გამოუმუშაოს. აქ ფსიქოლოგის რეკომენდაციები ნაცნობი და მარტივია. მშობლებმა ბავშვებს წიგნები მცირე ასაკიდან უნდა უკითხოვნ. და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: ბავშვის ოჯახში უნდა იყოს წიგნიერი გარემო. ის უნდა ხედავდეს საღამოს უფროსებს წიგნით ხელში და არა ტელევიზორის ან კომპიუტერის ეკრანთან. პატარები ხომ გამუდმებით უფროსებს ბაძავენ, მათ ქცევებს იმეორებენ.

8. **მეექვსეკლასელი ანანოს დედა:** „ბავშვი ძალიან შეიცვალა. ეს ბოლო პერიოდია ვატყობ, სულ გაღიზიანებულია, საკუთარ თავში ჩაიკეტა, ადრე ყველაფერს მიყვებოდა, ახლა რამეს რომ ვეკითხები, უხეშად მპასუხობს: „თავი გამანებე!!!“ ჯერ მხოლოდ ახლა გახდა 11 წლის და რა სჭირს, ხომ ვერ მეტყვი?“

11 წლის ანანო: „სკოლაში დავდივარ, არ ვაცდენ, დავალებებს ვასრულებ, კარგ ნიშნებს ვიღებ, კვირაში ორჯერ დამატებით ინგლისურის მასწავლე-

ბელთან მიწევს სიარული, შაბათობით – სპორტი, მუსიკა. კვირას კიდეც სიმღერის გაკვეთილი მაქვს. დედაჩემი სულ ნერვიულობს. ჰგონია, რომ შევიცვალე და აღარ ველაპარაკები. რა ვქნა? როგორ გავაგებინო, რომ ძალიან ვიღლები და ზედმეტი ლაპარაკის თავი აღარ მაქვს ხოლმე. დაქალებთანაც კი ველარ ვახერხებ „გემრიელად ჩათაობას“. ჰო, მართლა, სულ დამავიწყდა სკოლა ჩვენი სახლიდან საკმაოდ შორის არის და ყოველდღე საათზე მეტი მეხარჯება გზაში. ისე, რა ვიცი, იქნებ კიდეც შევიცვალე ცოტა. მე ხომ პატარა აღარ ვარ? ვცდილობ, ეს დედაჩემს და სხვებსაც გავაგებინო. მაგრამ ეს უფროსები, ხომ არ გისმენენ? ისინი მართლაც ჭკუას გასწავლიან. დავიღალე“.

9. **„მე მქვია დემეტრე.“** უკვე 12 წლის ვარ და მიმაჩნია, რომ საკმაოდ დიდი ვარ და ჩემით უნდა ვწყვეტდე, რა ჩავიცვა, რა ვჭამო, სად წავიდე, ვისთან ვიმეგობრო. მამაჩემი კი სხვანაირად ფიქრობს. სულ ეშინია, რამე არ შემეშალოს, ცუდ წრეში არ მოვხვდე, სწავლას არ ჩამოვრჩე, კომპიუტერთან დიდ ხანს არ ვიჯდე და არასასურველ რამეებს არ ვუყურო. ბაბუა კი ხშირად მიყვება: „მამაშენი ისეთი ცელქი იყო, სულ სკოლის კარებთან ვიყავი ატუბულიო, ხან რაზე მიბარებდნენ და ხან რაზეო“. იცით, რა მაინტერესებს? ეს უფროსები რომ იზრდებიან, რატომ ავიწყდებათ საკუთარი წარსული? კიდეც იცით, რა მაკვირვებს? ხან მეუბნებიან, რომ უკვე დიდი ვარ და შესაბამისად უნდა მოვიქცე და ხან კი – პატარა ვარ, და ჯერ არ შემიძლია განსაზღვრო, რა არის ჩემთვის ცუდი და კარგი. აი, თქვენ ხომ ფსიქოლოგი ხართ. იქნებ აუხსნათ ჩვენს მშობლებს და მასწავლებლებს, რომ როგორც მათ აწყობთ და უნდათ, ისე კი არ უნდა გველაპარაკონ, არამედ ისე როგორც ჩვენს ასაკს შეეფერება“.

და მართლაც, უფროსებო, განა ყველასთვის უკეთესი არ იქნება, ნებისმიერი ასაკის ბავშვსა და მოზარდს შესაფერისი სიტყვებით ვესაუბროთ? შესაფერისი სიტყვების მოძებნა მშობლებისათვის ემოციური და მასწავლებლებსათვის კი – პროფესიული ვალდებულებაა.

მშობლების შეკითხვები ფსიქოლოგს

მოდით, ხშირად გავიხსენოთ შესანიშნავი გამონათქვამი: „ბავშვის არასასურველი ქცევა ცხოვრების არანორმალურ პირობებზე ნორმალური რეაქციაა“. სწორედ ამ ფრაზით იწყება ფსიქოლოგ იულია გიპენრეიტერის წიგნი: „მშობლებს: კითხვებისა და პასუხების წიგნი. რა უნდა გავაკეთოთ, რომ ბავშვებს სურდეთ სწავლა, იცოდნენ მეგობრობა და გაიზარდონ დამოუკიდებელნი“.

წიგნში შეტანილია სხვადასხვა დროს ავტორის მისამართით მშობლების მიერ დასმული შეკითხვები და მათზე გაცემული პასუხები (ხშირ შემთხვევაში ავტორი თავს არიდებს კონკრეტულ რჩევა-დარიგებებს და მხოლოდ საკუთარი მოსაზრებების გამოთქმით შემოიფარგლება, რათა თავად უფროსებს დაუტოვოს გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა). წიგნი შედგება სამი ნაწილისგან: „ბავშვის ემოციები“, „საქმიანობა, ინტერესები, განვითარება“, „ოჯახი, ურთიერთობები, აღზრდა“.

წარმოგიდგენთ ავტორის მოსაზრებებს პირველ ნაწილში დასმულ რამდენიმე საჭირობოროტო საკითხზე.

თანაგრძნობა, თუ მისი არქონა?

ანა (ჰყავს 8 წლის გოგონა):

„საღამოს ძალიან ამტკივდა თავი. შვილმა მკითხა, რატომ ვარ ასეთი მოწყვნილი. პასუხის მოსმენის შემდეგ თავი დააქნია და მკითხა: „წიგნს წამიკითხავ?“ ასეთმა რეაქციამ შემაწუხა. შვილს საერთოდ არ გამოუხატავს თანაგრძნობა“.

აქ უნდა აღინიშნოს სამი მნიშვნელოვანი გარემოება:

1. ყველა ბავშვს არ აქვს ერთნაირი თანაგრძნობის უნარი. არიან ბავშვები, რომლებიც ძალიან ზრუნავენ ოჯახის წევრებზე, დედაზე, ბებოზე... არიან ისეთები, რომლებიც უფრო მეტად კონცენტრირებული არიან საკუთარ ინტერესებზე. შესაძლებელია, რომ თქვენი გოგონა უფრო მეტად მეორე ტიპს განეკუთვნება.
2. თქვენმა შვილმა რაღაც დოზით გამოხატა თქვენდამი თანაგრძნობა. მან ხომ შენიშნა, რომ მოწყვნილი იყავით და მხოლოდ შეკითხვა დაგისვათ, ხომ არ წაუკითხავდით წიგნს. მას არ დაუჟინებია, გინდა თუ არა წამიკითხეო.

3. უნდა მოველოდეთ თუ არა ბავშვისგან თანაგრძნობის ზრდასრული ადამიანით გამოხატვას? ზრდასრული ადამიანი შემოგთავაზებთ წამალს ან სხვა რამე ტიპის დახმარებას, ხოლო ბავშვებს ახასიათებთ გარკვეულწილად ჯანსაღი ეგოცენტრიზმი. ის შეწუხებულია, რომ დედიკო მოწყვნილია, რომ მას არ შეუძლია ზღაპარი წაუკითხოს შვილს ანუ გამოდის, რომ თქვენ ორივე შეწუხებული ხართ და რატომ უნდა ფასობდეს დიდის წუხილი უფრო ძვირად, ვიდრე პატარასი?

არსებობს ასეთი იუმორისტული გამონათქვამი: „ეგოისტია ის, ვისაც საკუთარი თავი მეტად უყვარს, ვიდრე მე“. აბა დაფიქრდით – ხომ არ სურთ ზოგჯერ დედიკოებს, რომ შვილს ის მეტად უყვარდეს, ვიდრე საკუთარი თავი?

ბადაჭარბებული ემოციურობა

ელენე (ჰყავს 11 წლის ბიჭი):

„ჩემი ბიჭი ძალიან მგრძნობიარეა, სულ მე მგავს. როდესაც ისეთ ფილმს ვუყურებთ, რომელიც ცუდად მთავრდება, ორივე ვტირით. სანამ ახალი წიგნის წაკითხვას დავიწყებდეთ, ის ყოველთვის მეკითხება – ხომ კარგი დასასრული ექნება მოთხრობას? ერთი მხრივ, მინდა ავარიდო ჩემს ბიჭს მძიმე განცდები, მაგრამ, მეორე მხრივ, საჭიროა, იცოდეს სირთულეებთან და დანაკარგთან გამკლავება“.

ეს სწორედ ისეთი შემთხვევაა, როდესაც ბავშვს ახასიათებს განსაკუთრებული მგრძნობელობა. ასეთ ბავშვებს შესაძლებელია ხელოვნებისადმი მიდრეკილება ჰქონდეთ.

აუცილებელია ბავშვი გაეცნოს ცხოვრებისეულ რთულ სიტუაციებს, რომლებსაც ჩვენი დახმარებით დაძლევა. მნიშვნელოვანია, ბავშვს ვასწავლოთ უსიამოვნებების სხვადასხვა მხრიდან დანახვა. ყველაფერი, რაც ცუდად გვეჩვენება, შესაძლებელია არც ისე ცუდი იყოს. პრობლემები და სირთულეები წვრთნიან ბავშვის ხასიათის სიმტკიცეს და აძლევენ ძალას მათ დასაძლევად. არსებობს უამრავი საბავშვო წიგნი, რომელიც ასწავლის მათ სირთულეების დაძლევას. კარგი იქნება, თუ ჩვენი შვილები მათ წაიკითხავენ. მაგალითად, თუნდაც ალან მარშალის: „მე შემძლია გუბურაზე გადახტომა“.

რატომ უყვართ ბავშვებს, როდესაც მათ აშინებენ?

ჩემი აზრით, ზოგჯერ ბავშვებს არ ჰყოფნით ის ძლიერი ემოციები, რომლებსაც ცხოვრებაში აწყდებიან. ისინი ინტუიციურად გრძნობენ, რომ უნდა ისწავ-

ღონ საკუთარი შიშების გადალახვა. სწორედ ამიტომ თამაშობენ ბავშვები „შე-შინობანას“. გაიხსენეთ ისტორიები, რომლებსაც თქვენ და თქვენი ბავშვობის მეგობრები ერთმანეთს უყვებოდით. ბავშვები სპეციალურად ამბაფრებენ ისე-დაც „საშიშ ისტორიებს“, რომ სრული ძალით განიცადონ შიში და „გადარჩენ ასეთ საშიშ სიტუაციაში“. როდესაც მშობლები გაძლიერებულად ზრუნავენ შვილებზე და მუდმივად ცდილობენ ისინი საშიშ სიტუაციებს გაარიდონ, ბავშვები მშობლებისგან მალულად თავად ეძებენ სხვადასხვა „საშიშ“ ადგილებს და დამოუკიდებლად ცდილობენ ისწავლონ თავის გადარჩენა მსგავს გარემოებებში.

გარდაცვალება – რა ვუთხრათ ბავშვებს, როდესაც ოჯახში ვინმე გარდაიცვალა?

„ჩემს მეგობარს გარდაეცვალა მეუღლე. მას 3,5 წლის ბიჭი ჰყავს. ის სულ მამას კითხულობს. დედამ გადაწყვიტა, არ უთხრას შვილს სიმართლე მანამ, სანამ ბიჭი 6 წლის არ გახდება. როგორ ფიქრობთ, ასეთი გადაწყვეტილება მართებულია? რაც არ უნდა იყოს ეს ხომ ბავშვის მოტყუებაა?“

ჩემი აზრით, ეს სწორი არ არის. მე ვფიქრობ, რომ ბავშვს მსგავსი ამბის გადატანა ექვსი წლის ასაკშიც ისევე გაუჭირდება, როგორც სამწლიანხევრის ასაკში. ექვსი წლისას შესაძლოა უფრო მეტადაც გაუძნელდეს ასეთ ამბავთან შეგუება. ამას დაემატება ის, რომ ბავშვი თავს მოტყუებულად იგრძნობს.

ჩვენს საზოგადოებაში არსებობს გარკვეული კულტურულ-რელიგიური ტრადიციები და ამიტომ მგონია, სჯობს ბავშვს უთხრან, რომ „მამიკო ზეცაშია, ის იქიდან გიყურებს, და უხარია, შენ რომ კარგად ხარ. მამიკოს შენ ძალიან უყვარხარ“. ამ ასაკში ის ადვილად მიიღებს და დაიჯერებს ამ ამბავს.

შესაძლებელია თუ არა, რომ ბავშვები დაკრძალვას ესწრებოდნენ?

მიმაჩნია, რომ ეს ძალიან რთული საკითხია და მას ყველა ოჯახი ინდივიდუალურად წყვეტს. მე ვფიქრობ, რომ შესაძლებელია ბავშვს მივცეთ შესაძლებლობა გამოემშვიდობოს გარდაცვლილს. არ არის საჭირო მძიმე ემოციურ განცდებში მისი ჩაბმა, პანაშვიდებზე დასწრება. სრულიად საკმარისია უბრალოდ გამოემშვიდობება. სავარაუდოდ, ყველას გახსოვთ სამი წლის ჯონ კენედი უმცროსის ფოტო, სადაც ის უკანასკნელ სამხედრო პატივს მიაგებს გარდაცვლილი მამის ცხედარს. მგონია, რომ ასე ეყრება საფუძველი სიცოცხლისა და სიკვდილის მნიშვნელოვნების განცდას, მის სრულ გაცნობიერებას.

სხვა უფრო რთულ სიტუაციებში, როგორებიცაა, მაგალითად, მშობლების განქორწინება ან ოჯახის რომელიმე წევრის მძიმე ავადმყოფობა, აქ ბავშვი ძალაუვნებურად არის ჩართული უფროსების განცდებში. ამ დროს აუცილებელ-

ლია ბევრი ვისაუბროთ ბავშვთან. არ არის საჭირო ემოციების დამალვა. თუ ჩვენ ვცდილობთ ბავშვებს ვუთხრათ: „მე უბრალოდ ძალიან დავიღალე“, „ღამით ცუდად მეძინა“, „ყველაფერი წესრიგშია“... ბავშვს უძლიერდება შფოთვის და განგაშის შეგრძნება. ბავშვების მოტყუება პრაქტიკულად შეუძლებელია, ისინი შესანიშნავად გრძნობენ, რომ ოჯახში ყველაფერი წესრიგში არ არის.

ხანდახან შესაძლებელია მშობლებს მოეჩვენოთ, რომ მათი შვილები არ განიცდიან ემოციებს, თუნდაც რაღაც მძიმე შეტყობინების მიღებისას. „ბაბუა გარდაიცვალა“ – ეუბნებიან პატარას. „გასაგებია“, – ამბობს ის და აგრძელებს თამაშს. ბავშვები უფროსებისგან განსხვავებულად აღიქვამენ ადამიანის ცხოვრებიდან წასვლას. და რაც უფრო პატარაა ბავშვი, მით უფრო განსხვავებული, სპეციფიკური განცდები აქვს მას. პატარებს, ძალიან უჭირთ მომხდარის სრული მასშტაბით გასიგრძეგანება. ბავშვი ძალიან მოიწყენს, რადგან ბაბუ იყო და აღარ არის, ის აღარასოდეს მოვა მასთან. სიტყვა „აღარასოდეს“ პატარას ისევე აშინებს, როგორც ზრდასრულს. ბუნებრივია, განსხვავებული ფორმით. ბავშვი იხსენებს ბაბუასთან გატარებულ მშვენიერ წუთებს. პატარები ეგოცენტრული ელფერით აღიქვამენ დანაკარგს. მათ ბაბუაზე მეტად საკუთარი თავი ეცოდებათ, რადგან უკვე ვეღარ შეძლებენ მის კალთაში ჩაჯდომას, რათა სულგანაბულებმა უსმინონ მის მიერ წაკითხულ ზღაპარს.

როდესაც ოჯახში, სადაც ბავშვია, ვიღაც იღუპება, ეს პატარასათვის სრულიად განსხვავებული ამბავია. ის ხედავს, რომ უფროსები რაღაც განსხვავებული საქმიანობებით არიან დაკავებული. სახლში რაღაც ისეთი ხდება, რაც სრულიად არ ჰგავს მათი ოჯახის ჩვეულ საქმიანობას. ეს გარემოება ბავშვში ცნობისმოყვარეობასთან ერთად შიშის განცდასაც აღვიძებს. პატარა გარშემო სიტუაციას აკვირდება. ნერვიულობს, თუ ვინმე ტირის, ზოგჯერ შესაძლებელია თავადაც გული აუჩუყდეს. თან მუდმივად ინტერესდება: „რა იქნება შემდეგ“, „რა არის პანაშვიდი“, „დაკრძალვა?“ და ა.შ.

ვფიქრობ, ყველა მშობელს აქვს საკუთარი მოგონებები და განცდები იმის შესახებ, თუ როგორ აღმოჩნდა პირველად მსგავს სიტუაციაში, რას აკეთებდა და რას განიცდიდა მაშინ. ასეთი მოგონებები, დაეხმარება მშობელს, მიხვდეს, თუ რა განცდები და ემოციები ტრიალებს მისი შვილის თავს.

რა ვქნათ, როგორ გავაგებინოთ ბავშვს დანაკარგის შესახებ?

დანაკარგის შესახებ ბავშვს უნდა ვაცნობოთ მშვიდ, წყნარ სიტუაციაში. უნდა გამოვხატოთ დიდი პატივისცემა გარდაცვლილი ადამიანისა და მომხდარი ფაქტის მიმართ. გარდაცვალება და დაბადება ეს ორი ყველაზე გრანდიოზული მოვლენაა ადამიანის ცხოვრებაში. ამიტომ მათ შესახებ საუბრისას უფროსს

ადეკვატური ტონალობა უნდა ჰქონდეს და შეძლებისდაგვარად ბავშვის ცნობიერებისათვის შესაფერისი სიტყვებით უნდა აუხსნას მას მომხდარის არსი.

დედა შენ მოკვდები?

ლარისა (6 წლის ბიჭის დედა)

„ჩემს შვილს ძალიან აშინებს სიკვდილის თემა, რადგან გაიგო, რომ ყველა ადამიანი უნდა გარდაიცვალოს. როგორ ვესაუბრო მას ამ თემაზე?

მართლაც საშიშია, იმის წარმოდგენა, რომ ოდესმე მიწაში ჩაგმარხავენ. ეს სწორი რეაქციაა. ბავშვებმა უნდა იცოდნენ, რომ არსებობს ავადმყოფობები, განსაცდელები. მაგრამ ცოდნა არ ნიშნავს, რომ მათ მოუშუშებელი ტრილობა მივყენოთ ამ ნიადაგზე. მშობლების ვალია, მშვიდად, აუღელვებლად აუხსნან შვილებს სიკვდილის არსი. ეცადონ, ბავშვმა ზედმეტი ემოციების გარეშე მიიღოს ის, როგორც გარდაუვალი რეალობა.

სწორედ ჩვენს თემასთან დაკავშირებით მინდა მოგიყვებოდნენ ცნობილი ფსიქოლოგის ლევ ვიგოტსკის შვილის მოგონების შესახებ: „მაშინ 5-6 წლის ვიყავი. მამას მეგობარი მოულოდნელად გარდაიცვალა და ამიტომ ოჯახში ყველა ამ ამბავზე ლაპარაკობდა. სწორედ მაშინ მივხვდი, რომ სიკვდილი გარდაუვალი მოვლენაა. ამან ძალიან შემაშინა და დამთრგუნა. მამამ შეამჩნია ჩემი ეს მდგომარეობა და ერთხელაც, როდესაც ჩვენ მარტო ვიყავით, ხელი ჩამჭიდა, მუხლებზე დამისვა და მკითხა:

– მითხარი, რა მოხდა?

– ეს სიმართლეა, რომ ყველა ადამიანი მოკვდება? – ვკითხე მას. მახსოვს, როგორ მინდოდა, მამას გაექარწყლებინა ჩემი შიშები და ეთქვა, რომ ეს ტყუილია. მაგრამ მამამ თვალებში ჩამხედა, თავზე ხელი გადამისვა და მშვიდი ხმით მითხრა:

– დიახ, ეს სიმართლეა. მაგრამ ილუბებიან მხოლოდ ასაკოვანი და ავადმყოფი ადამიანები, ამიტომ შენ არაფერი გაქვს სანერვიულო, ჩვენ მხოლოდ დიდი, დიდი ხნის შემდეგ გარდავიცვლებით.

– და შენ? დედა?

– ჩვენ ხომ ჯერ არ დავბერებულვართ და თანაც ორივენი ჯანმრთელები ვართ. ასე რომ, შენ არ მოიწყინო, არაფერზე იდარდო. წადი ახლა და სხვა ბავშვებთან ითამაშე, – ამ სიტყვებით მამამ მუხლებიდან ჩამომსვა, მაკოცა და მსუბუქად მიბიძგა კარისკენ.

ნათლად მახსოვს, როგორ დავმშვიდდი და ვიგრძენი მამისადმი უსაზღვრო სიყვარული და პატივისცემა“.

აღბრდა – ამოუწურავი თემა

„მზე ადამიანს ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ უნათებს,
ეს არის ბავშვობა და ყრმობა.
თუ ადამიანი მოახერხებს და გათბება მის სხივებში,
მისი სული არასოდეს გაცივდება და ყველაფერი
კარგი რაც მის სულშია გაღვივდება,
გაიფურჩქნება და ნაყოფს გამოიღებს“.

ფრიდრიხ გებელი – გერმანელი დრამატურგი

ვფიქრობ, მზე მოზარდი ადამიანის ცხოვრებაში არის მშობელი.

ბავშვს, მისი ზრდა-განვითარების ნებისმიერ საფეხურზე სჭირდება მშობლისგან მხარდაჭერა, მხარდაჭერა „აქ და ამაჟამად“. ბავშვებს არ შეუძლიათ დიდხანს ელოდონ მშობლებს, როდის „მოიცლიან“ ისინი მათთვის; აღმზრდელებს, როდის „ისწავლიან“ ისინი აღზრდას. ბავშვებისათვის ყოველი დღე ძალიან მნიშვნელოვანია, ისინი ხომ მუდმივი ზრდის და განვითარების რეჟიმში იმყოფებიან და ზოგჯერ შეიძლება აღმოჩნდეს, რომ შვილმა გაუსწრო მშობელს განვითარებაში. აღმზრდელისათვის სრულიად აუცილებელია ნებისმიერ რთულ სიტუაციაში ზრდასრული ადამიანივით მოქცევა. მან უნდა შეძლოს მონაწილეობა მიიღოს ბავშვის ცხოვრებაში, შეასრულოს ყველა ის ფუნქცია, რასაც მას მშობლის როლში ყოფნა ავალდებულებს.

რა ხდება მაშინ, როდესაც ბავშვი „მოულოდნელად“ იცვლება, როდესაც მშობელი ამას საერთოდ არ ელის, ყოველ შემთხვევაში ჯერ ადრეა, მისი შვილი ხომ ჯერ სრულიად პატარა ბავშვია?

მაშინ შესაძლებელია, „ბავშვმა“ კრიტიკის ქარცეცხლში გაატაროს მშობლის ნებისმიერი რჩევა, გადაწყვეტილება და ეს შეეხება ყველა შესაძლო თემას, რაც ოჯახში წამოიჭრება.

- ამას არ შევჭამ, შენ არც კი იცი, რომ ეს არ მიყვარს;
- ამას არ ჩავიცვამ, რადგან უკვე გავიზარდე და ჩემი გემოვნება მაქვს, შენ ეს ჯერ არ შეგიმჩნევია?

- ამას არ ვისწავლი, რადგან არ მომწონს ეგ საგანი;
- არ წავალ სტუმრად შენს მეგობრებთან, რადგან საერთოდ არ მაინტერესებს ის თემები, რაზეც ისინი გაუთავებლად საუბრობენ;
- და საერთოდ, ამის შემდეგ მე თავად გადავწყვეტ რა ვჭამო, რა ჩავიცვა, რა ვისწავლო, ვისთან ვიარო სტუმრად....
- ყველამ თავი დამანებეთ, მე თვითონ მივხედავ ჩემს ცხოვრებას, თქვენ ნუ ჩაერევით.
- ჰო, მართლა..სულ დამავიწყდა, ჩემს ოთახში დაუკაკუნებლად აღარ შემოხვიდეთ.

მშობლებო ნაცნობი სიტუაციაა?

თქვენი შვილი გაიზარდა, ანუ, როგორც თქვენ ამბობთ, გარდატეხის ასაკი დაეწყო.

სპეციალისტები ამ დროს პუბერტატზე საუბრობენ და აღნიშნავენ, რომ ეს არის ძალიან დიდი, დრამატული მოვლენა ბავშვის ცხოვრებაში.

ე.წ. გარდატეხის ასაკის დასაწყისი სრულიად ინდივიდუალურია. დღეს უკვე აღნიშნავენ, რომ ათი წლის ასაკიდან შესაძლებელია პირველი „სიმპტომები“-ს გაჩენა (განსაკუთრებით გოგონებში). ამ რთული ასაკის დასასრული, ზოგიერთი მკვლევრის აზრით, შესაძლებელია, თვრამეტ წლამდეც კი გაგრძელდეს. მარტივად და გასაგებად რომ ვთქვათ, ეს არის პერიოდი, როდესაც ბავშვობა სრულდება და ზრდასრულობა იწყება.

გარდატეხის ასაკზე საუბრისას, ემოციურ და სოციალურ სიმწიფესთან ერთად, არ შეიძლება არ ვახსენოთ სქესობრივი მომწიფება. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ამ პერიოდში ხდება ბავშვის ჩამოყალიბება როგორც ფიზიკურად, ასევე ფსიქო-ემოციურად და სოციალურად, რაც ამ შემთხვევაში ჩვენთვის უფრო საინტერესოა.

დაკვირვებულმა მშობლებმა, მასწავლებლებმა, აღმზრდელებმა კარგად უწყიან, რომ ამ პერიოდში მობარდი საკუთარი თავისადმი განსაკუთრებული კრიტიკული დამოკიდებულებით გამოირჩევა. მას არაფერი არ მოსწონს, მათ შორის ყველაზე მეტად საკუთარი ფიზიკური სხეული, გარეგნობა. (აღსანიშნავია, რომ კრიტიკულობა მობარდებში იზრდება გარშემომყოფი სოციალის მიმართაც). მიაჩნია, რომ არასრულფასოვანია და სრულებით არ გავს სხვებს. თინეიჯერებს თავში ათასი გაურკვეველი, დამაბნეველი, ხშირად დესტრუქციული აზრი უტრიალებთ. ზოგ შემთხვევაში ისინი დროში და სივრცეში დეზო-

რიენტაციასაც განიცდიან, იწყება ღირებულებების გადაფასება, გუნება-განწყობილების ცვალებადობა, გაღიზიანება, აგრესია. ნიშანდობლივია, რომ მობარდებს თავად ძალიან უჭირთ ამ მდგომარეობის ასხნა, აღწერა, გარკვევა, თუ რა ხდება მათ თავს.

პარალელურად, თინეიჯერებს ურთიერთგამომრიცხავი, განსხვავებული განცდები იპყრობთ. შესაძლებელია ეგონოთ, რომ ყოვლისშემძლეები არიან და თავზეხელაღებული ქცევები განახორციელონ. ნებისმიერ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია მობარდებმა იცოდნენ, რომ მათი მშობლები და აღმზრდელებიც ყოფილან მსგავს სიტუაციაში და რომ ეს „ასაკი“ და შესაბამისი „სირთულები“ მათაც გაიარეს და სწორედ ამიტომ, ძალიან კარგად ესმით მისი ფსიქოემოციური განცდები. ამ დროს დიდი ტაქტია საჭირო, რომ არ დავაფრთხოთ ბავშვი, რომელიც საკუთარი, „უნიკალური“ შეგრძნებების და განცდების ტყვეობაშია, მან არ უნდა იფიქროს, რომ უფროსები პატივს არ სცემენ მის „ერთადერთ და განუმეორებელ“ პერსონას, მთელი მისი შეგრძნებებით, განცდებით. მობარდები უნდა დარწმუნდნენ, რომ მათ პრობლემებს უფროსები სრული სერიოზულობით ეკიდებიან და მზად არიან შესაძლებლობის ფარგლებში დახმარების ხელი გაუწოდონ ბავშვს.

მიუხედავად იმისა, რომ აქცენტი მობარდების ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაზე მინდოდა გამეკეთებინა, მაინც მომიწევს ამ ასაკისათვის დამახასიათებელ ფიზიკურ მომწიფებაზე ორიოდ სიტყვის თქმა. მით უფრო, რომ ეს მოვლენები მნიშვნელოვანწილად განაპირობებენ თინეიჯერების ემოციურ განვითარებას.

სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ გოგონებში ეს ასაკი ერთი-ორი წლით ადრე იწყება, ვიდრე ბიჭებში. გოგონები იწყებენ საკუთარ თავში ცნობილი ფიზიკური ცვლილებების შემჩნევას. ეს მათში აძლიერებს ცნობისმოყვარეობას. მიიჩნევა, რომ ბიჭებში მომწიფების ასაკი გაცილებით ნაკლები დრამატიზმით ხასიათდება (მკვლევარების ნაწილი ამას იმით ხსნის, რომ ბიჭები ამ დროისათვის უფრო დიდი ასაკის არიან), თუმცა ორივე სქესის ბავშვების მშობლებს უჩნდებათ მრავალი კითხვა:

როდის, რა და როგორ აუხსნან შვილს ამ ცვლილებებზე?

ვფიქრობ, მშობლები მზად უნდა იყვნენ ბავშვის შეკითხვებზე პასუხის გასაცემად ჯერ კიდევ მანამ, სანამ დადგება გარდატეხის ასაკისათვის დამახასიათებელი ყველაზე რთული პერიოდი. მოგეხსენებათ, რომ ბავშვები ძალიან ცნობისმოყვარეები არიან და ეს მშობელმა სათავისოდ უნდა გამოიყენოს,

რადგან შემდეგ, როდესაც მოზარდი საკუთარ თავში და პრობლემებში ჩაკეტვას დაიწყებს, ძალიან გართულებს მასთან გულახდილად, გულწრფელად საუბარი. ბავშვს გაუჩნდება დიდი და პატარა „საიდუმლოებები“, რომლებსაც უფროსებს, როგორც წესი, აღარ უმხელენ. მის სამყაროში შესაძლებელია მრავალი არასწორი, დამახინჯებული „ცოდნა“ და ასაკით ოდნავ უფროსი, საკითხის „კარგად მცოდნე“ მეგობრის „რჩევა-დარიგება“ გაჩნდეს.

მშობლის მოვალეობაა ბავშვებს სწორი, მართებული ინფორმაცია მიაწოდონ ან ის მაინც შეძლონ, რომ მიუთითონ, სად და ვისთან შეიძლება დაუმახინჯებელი, ადეკვატური ინფორმაციის მოპოვება.

ყურადღებიანი, ბრძენი მშობლები, რომლებმაც მოახერხეს და ამ რთულ პერიოდშიც კი არ დაკარგეს საკუთარი შვილების ნდობა და სარგებლობენ ავტორიტეტით, ბავშვის ასაკობრივი თავისებურებების ცოდნით აღჭურვილები ყველაზე კარგად მოახერხებენ დიალოგში შესვლას, საჭირო სიტყვების მონახვას და საჭირო დროსა და საჭირო მომენტში გვერდზე გადგომას, რათა საშუალება მისცენ მოზარდს, დაუშვას „შეცდომები“, შეიძინოს გამოცდილება, დაგროვება, რათა საბოლოოდ მოახერხოს საკუთარი, მართებული ღირებულებების სისტემის ჩამოყალიბება.

ძალიან ძნელია გაიზომოს ემოციური და სოციალური სიმწიფის ხარისხი, ეს მშობლებისთვის განსაკუთრებით რთულია. მათ შესაძლოა საკუთარ შფოთვისა და შიშში (რამე არ გამოძრჩეს, რამე არ გამომეპაროს, თორემ შემდეგ შეიძლება ძალიან გვიან იყოს და ხომ დავიღუპებით?) ვერ განსაზღვრონ, როდის იწყება და როდის სრულდება ეს, ეგრეთ წოდებული, გარდატეხის ასაკი. მშობლების მეორე კატეგორია: უშფოთველები (მე არაფერი გამომეპარება, მე ყველაფერს ვაკონტროლებ), ვფიქრობ, მათაც იგივე საფრთხე ემუქრებათ შვილებთან მიმართებაში.

სპეციალისტების დაკვირვებით მშვიდი, გაწონასწორებული და შესაბამისი ცოდნით შეიარაღებული მშობლები და აღმზრდელები, როგორც წესი, ზუსტად გრძნობენ, რა ხდება მოზარდის თავს და ცდილობენ, სწორედ იმ ხარისხის ინტერვენცია განახორციელონ, რასაც სიტუაცია და მოზარდის ფსიქო-ემოციური მდგომარეობა საჭიროებს.

ემოციური სიმწიფე, ვფიქრობ არის ის, როდესაც ადამიანი მზად არის მიიღოს საკუთარი თავი ისეთი როგორიც არის. აიღოს გარკვეული სოციალური და მორალური პასუხისმგებლობები. გათავისუფლდეს მშობლების და აღმზრდელების მეურვეობისაგან.

